

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ზოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ისტორიის ინსტიტუტი

ახალი ქართული ლიტერატურის

ს ა კ ი თ ხ ე ბ ი

VI

გამომცემლობა „მეცნიერება“

თ ბ ი ლ ი ს ი

1975

კრებულში — „ახალი ქართული ლიტერატურის საკითხები“ (VI) განხილულია XIX საუკუნის ქართული მწერლობის ნაკლებად შესწავლილი, საინტერესო საკითხები. კრებულში წარმოდგენილია ნარკვევები მიხეილ ბარათაშვილისა და ფილადელფოს კიკნაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, ნ. ნიკოლაძის ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხედულებებსა და მის მონაწილეობაზე XIX საუკუნის 70-იანი წლების რუსულ პერიოდიკაში, გ. წერეთლის ლიტერატურულ-კრიტიკულ მოღვაწეობაზე გაზ. „კვალში“, ალ. ყაზბეგის შემოქმედების თავისებურებებზე, XIX საუკუნის ქართული სალიტერატურო კრიტიკის ისტორიის ცალკეულ საკითხებზე და სხვ.

კრებული გამიზნულია როგორც ლიტერატურის სპეციალისტებისათვის, ასევე ქართული მწერლობის ისტორიის საკითხებით დაინტერესებული მკითხველსათვისაც.

რედაქტორები: გ ი ო რ გ ი ა ბ ა შ ი ძ ე
გ უ რ ა მ ა ს ა თ ი ა ნ ი

შალვა გოჯალიშვილი

მ ი ხ ე ი ლ ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი

გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, მწერალი და მეცნიერი, პროგრესულად მოაზროვნე და დეკაბრისტული მოძრაობის მონაწილე მიხეილ ბარათაშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილის სიტყვით, „ჟამ-ვი-თარებით გარდახვეწილ“ იმ რჩეულ მამულიშვილთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთაც რუსეთიდან სამშობლოში „განათლება და ხმა სა-ამო“ მოჰქონდათ, იმ მამულიშვილთა რიცხვს, რომელთა

ტრფიალებით აღსავსე სული

უდნობს ყინულსა ჩრდილოეთსა, განცეცხლებული,
და მუნით ჰზიდვენ თესლთა ძვირფასთ მშობელს
ქვეყანად,

მხურვალეს ცის ქვეშ მოსამკალთა ერთი ათასად!

ერეკლე მეორის მიერ გადადგმული, საქართველოს მომავალი ბედ-იღბალისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე ნაბიჯის ისტორიულ გამართლებას ნიკოლოზ ბარათაშვილი საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების მშვიდობიანი გზით განვითარებასა და ქართული კულტურის აღმავლობაში ხედავდა. გენიალურ პოეტს მიხეილ ბარათაშვილი სწორედ ამ განათლებისა და პროგრესის ერთ-ერთ მეკვლედ ესახებოდა და ცნობილი ლექსის „საფლავი მეფის ირაკლისა“ — შექმნის უშუალო სტიმული სწორედ მიხეილ ბარათაშვილის რუსეთიდან სამშობლოში ჩამოსვლა გახდა.

მიხეილ პეტრეს ძე ბარათაშვილი (ბარათაევი) — შვილიშვილი მელქისედეკ ბარათაშვილისა, რომელიც 1724 წელს რუსეთში გაჰყვა ქართლის მეფე ვახტანგ მეექვსეს და ემიგრაციაში დაასრულა თავისი სიცოცხლე, — რუსეთში დაიბადა და რუსულ მიწაზე აიღვა ფეხი. აქ, რუსეთში, სიმბირსკის გუბერნიაში გაიარა მიხეილ ბარათაშვილის ბავშვობამ, ყრმობამ და სიკაბუჯემ. აქ მიიღო მან აღზრდა

და ფართო, მრავალმხრივი განათლება. აქვე დაცოლშვილდა იგი, დაწინაურდა სამხედრო და სამოქალაქო-სამსახურებრივ სარბიელზე; გაიცნო და შეიყვარა უბრალო რუსი ხალხი, გაიცნო და დაუახლოვდა რუსული საზოგადოებრიობის საუკეთესო შვილებს; აქვე მოღვაწეობდა იგი ათეული წლების მანძილზე, როგორც რუსეთის მოწინავე ინტელიგენციის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელთაგანი; დაბოლოს, აქ რუსეთში შეითვისა და შეისისხლბორცა მიხეილ ბარათაშვილმა ეპოქის პროგრესული მსოფლმხედველობა, დემოკრატიული მისწრაფებანი და დეკაბრისტული იდეები.

მაგრამ რუსეთში დაბადებული და აღზრდილი მიხეილ ბარათაშვილის ძარღვებში ქართული სისხლი ჩქეფდა, და მის გულშიც მუდამ ჩაუქრობელ ლამპრად ენთო შორეული — და თან ასე მახლობელი სამშობლოს სიყვარული. სწორედ ამ სიყვარულმა ჩამოიყვანა უკვე ქარმაგი მიხეილ ბარათაშვილი საქართველოში, რათა მთელი თავისი დიდი ცოდნა, გამოცდილება და ენერჯია მშობელი ქვეყნისა და ერისათვის მოეტანა მსხვერპლად.

მიხეილ ბარათაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა იმთავითვე იწყობდა მკვლევართა ყურადღებას. ჯერ კიდევ გასული საუკუნის რუსული პერიოდული პრესისა და ცალკეული ერთდროული გამოცემების ფურცლებზე არაერთი საყურადღებო ცნობა მოიძიება მიხ. ბარათაშვილის ცხოვრებისა თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამა თუ იმ მომენტთან დაკავშირებით; მიხ. ბარათაშვილის შესახებ თანამედროვე ქართველ მკვლევრებსაც აქვთ გამოქვეყნებული რამდენიმე მნიშვნელოვანი წერილი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ, მიხ. ბარათაშვილის ხანგრძლივ და საინტერესო ცხოვრებასა თუ მის უაღრესად ნაყოფიერ და მრავალმხრივ მოღვაწეობაზე ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობასა და ისტორიოგრაფიას, ჯერჯერობით ძალზე ფრაგმენტული და არასრული ცოდნა მოეპოვება.

ჩვენ შევეცადეთ თავი მოგვეყარა XIX და XX საუკუნის მანძილზე მიხეილ ბარათაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მკვლევართა მიერ მოპოვებული ცალკეული ცნობებისა და ფაქტებისათვის, გაგვეთვალისწინებინა მათი დაკვირვებები და შეხედულებები, საგანგებოდ შეგვესწავლა და დაგვემუშავებინა მრავალრიცხოვანი საარქივო მასალები — მათ შორის მიხეილ ბარათაშვილას პირადი არქივიც, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში დაკარგულად იყო მიჩნეული, — და აღნიშნულ მასალათა შუქზე მეტ-ნაკლებად სრული წარმოდგენა შეგვემუშავებინა გასული საუკუნის ამ უაღრესად მნიშვნელოვანი პიროვნების ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

წინამდებარე ნარკვევი ამ მიმართულებით ჩვენს მიერ ჩატარებული ხანგრძლივი კვლევა-ძიების შედეგების მხოლოდ მცირე ნაწილს წარმოადგენს. მასში მიხეილ ბარათაშვილის ცხოვრების მხოლოდ სიმბირსკის პერიოდი მოკლედ დახასიათებული. ამ შემთხვევაშიც, მიხ. ბარათაშვილის ბიოგრაფიის ძირითადი მომენტების დადგენასთან ერთად, ჩვენი ყურადღება, უმთავრესად, მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობის მხოლოდ ორ მხარეზეა გამახვილებული: მიხეილ ბარათაშვილის მასონურ საქმიანობასა და მის კავშირზე დეკაბრისტულ მოძრაობასთან.

საქართველოდან გადახვეწილი მელქისედეკ ბარათაშვილის უმცროსი შვილი პეტრე, თავის უფროს ძმებთან ერთად, სახელმწიფო სამსახურში დიდად დაწინაურდა და დიდი პატივითა და გავლენითაც სარგებლობდა. მას გენერალ-პორუჩიკობამდე მიუღწევია, ხოლო 1784—1786 წლებში იგი სიმბირსკის გუბერნიის მეფისნაცვალ იყო.

ქ. სიმბირსკიდან 12 კილომეტრის დაშორებით პეტრე ბარათაშვილი (ბარათაევი) 1782 წელს „კონნაია სლობოდის“ თვალუწვდენი მიწების ნაწილის — 600 დესეტინის მფლობელი გახდა. შემდეგ მან ამ მიწებზე გლეხები დაასახლა და ახალი სოფელი ბარათაევეკა დააფუძნა.

1798 წელს, პეტრე მელქისედეკის ძის გარდაცვალების შემდეგ, სოფელი ბარათაევეკა მის ქვრივს — ეკატერინე საბას ასულს ეკუთვნოდა. იმჟამად ეკატერინეს საკუთრებაში ყოფილა 133 სული გლეხი და მიწების დიდი რაოდენობა — 1278 დესეტინაზე მეტი ფართობით.

სოფელი ბარათაევეკა დაარსებიდანვე, თავისი არსებობის განმავლობაში, ირგვლივ მდებარე სახნავ-სათესი მიწებით უკანასკნელ დრომდე (რევოლუციამდე) ბარათაშვილების (ბარათაევების) მამაკაპეულ საგვარეულო მამულს წარმოადგენდა.

მიხეილ პეტრეს ძე ბარათაშვილი 1784 წლის 25 იანვარს დაიბადა. რუსეთის იმპერიის სამსახურში მყოფი გავლენიანი მამის — პეტრე მელქისედეკის ძის წყალობით, ერთადერთ ვაჟს მიხეილს სრული შესაძლებლობა ჰქონდა ოჯახში ევროპული აღზრდა-განათლება მიეღო. ოჯახში მიწვეულმა საუკეთესო მასწავლებლებმა მიხეილს, რუსულ ენასთან ერთად, სამაგალითოდ შეასწავლეს ევროპული ენებიც (ფრანგული, გერმანული და სხვ.) და, საერთოდ, კარგი განათლება მისცეს.

1798 წელს 14 წლის მიხეილი მე-11 საარტილერიო ბატალიონში

შედის, ხოლო ერთი წლის შემდეგ, 15 წლის ასაკში, პოდპორუჩიკის სამხედრო წოდებას იღებს და მე-5 საარტილერიო პოლკში გადადის.

1805 წელს, 21 წლის მიხეილ ბარათაშვილი, პორუჩიკის წოდების მიღების შემდეგ, სამხედრო სამსახურიდან გადადგა; მაგრამ 1806 წელს იგი ხელახლა შევიდა სამხედრო სამსახურში — მუშაობა დაიწყო მე-7 ცხენოსანთა დივიზიის ბრიგადის მეთაურისა და პავლოგრადის აუზართა პოლკის შეფის, გენერალ ჩაპლიცის ადიუტანტად. ამ თანამდებობაზე მიხეილი ერთხანს მუშაობდა, აგრეთვე, არმიის მხედართმთავარ ბარონ ბენინგსენთან. ამ პერიოდში მან მონაწილეობა მიიღო 1805—1807 წლების ბრძოლაში ფრანგების წინააღმდეგ, სადაც თავი გამოიჩინა როგორც მამაცმა და საგანგებო დავალებების შესრულების უნარიანმა ოფიცერმა.

„პულტუნსკთან ბრძოლის (1806 წ.) წინ, გენერალ დობტუროვის დავალებით, ბარათაშვილმა, გაიკაფა რა მტრის ნაწილებით დაკავებული გზა, ძვირფასი ცნობები მიუტანა გენერალ ბარკლაი დეტოლის, რამაც ამ უკანასკნელს საშუალება მისცა შეერთებოდა რუსეთის ჯარების მთავარსარდალს ბენინგსენს“¹.

ამ ბრძოლებში გამოჩენილი სიმამაცისათვის მიხეილ ბარათაშვილმა ჯილდოდ მიიღო წმ. ვლადიმირის მე-4 ხარისხის ჯვარი ბაბთით, პრეისიშვილაუსთან ბრძოლაში მონაწილეობისათვის — „ოქროს ჯვარი“, აგრეთვე პრუსიული ორდენი „დამსახურებისათვის“.

ლანსბერგთან და შემდეგ ალტენსბერგთან ბრძოლების დროს მიხეილი ორჯერ მძიმედ დაიჭრა ფეხში და კრილობების გამო, 1809 წელს, შტაბ-როტმისტრის წოდებით, სამხედრო სამსახურიდან გადადგა; ამასთან ერთად, მას სრული პენსია დაენიშნა; მაგრამ 1812 წლის სამამულო ომის პერიოდში, როდესაც სამშობლო მძიმე განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა და სიმბირსკიდან სახალხო ლაშქრისაგან შემდგარი ხუთი პოლკი მძიმე ბრძოლებში ჩაება, ამ სახალხო ლაშქრის შემადგენლობაში სხვა ცნობილ სიმბირსკელ ყოფილ სამხედრო პირებთან — ნ. ნ. ტრეგუბოვთან, პ. ნ. ივაშევთან და სხვებთან ერთად, მიხეილ ბარათაშვილიც მონაწილეობდა ბრძოლებში.

სამხედრო სამსახურიდან გადადგარა მიხეილმა, სიმბირსკში დაბრუნების შემდეგ, 1810 წელს ჯვარი დაიწერა „ტიანი სოვეტნიკის“ ჩოგლოკოვის ქალზე — ალექსანდრა ნიკოლოზის ასულზე და ახლადშექმნილი ოჯახით თავის მამულში, სოფელ ბარათაევკაში დასახლდა.

¹ ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი მოსკოვში, ფონდი 48, საქმე 199, ფურცელი 35—43.

მიხეილის ავტოგრაფიული ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ მას და მის მეუღლეს ჰყავდათ 12 შვილი — შვიდი ქალი და ხუთი ვაჟი; შვილების დაბადების ქრონოლოგია, თანმიმდევრობით, შემდეგ სურათს იძლევა: პირველი შვილი — ელისაბედი, დაბადებულია 1811 წელს, მეორე — სერგეი (პირველი), 1812 წელს, მესამე — მიხეილი 1814 წ., მეოთხე — ალექსანდრა, 1815 წ., მეხუთე — ეკატერინე, 1816 წ., მეექვსე — პეტრე, 1819 წ., მეშვიდე — ანა, 1820 წ., მერვე — ნიკალა, 1821 წ., მეცხრე — სოფიო 1822 წ., მეათე — ვერა, 1824 წ., მეთერთმეტე — ადელაიდა, 1825 წ., მეორამეტე — სერგეი (მეორე), 1827 წელს (მათგან ოთხი ბავშვი ჩვილობის ასაკშივე გარდაცვლილა; სერგეი, პირველი ვაჟიშვილი, გარდაიცვალა 1813 წ., პეტრე — 1819 წ., ნიკალა — 1821 წ. ვერა — 1828 წ.).

მრავალშვილიანი ოჯახის პატრონს — მიხეილ ბარათაშვილს, როგორც ოფიციალური მიმოწერიდან ირკვევა, 1834 წლის პირველ ნახევარში ცხოვრების თანამგზავრი, საყვარელი მეუღლე ალექსანდრა ნიკოლოზის ასული გარდაეცვალა. მრავალრიცხოვანი ოჯახისა და ცოლშვილის მოამაგე მიხეილს, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, თურმე ძალიან გაუჭირდა უდედოდ დარჩენილი შვილების აღზრდა-პატრონობა. 1834 წლის აგვისტოში სიმბირსკიდან პეტერბურგში ჩასვლისას, იმპერატორისადმი გაგზავნილ წერილში მიხეილს უთხოვია, რომ მისი უმცროსი ქალები — 12 წლის სოფიო და 9 წლის ადელაიდა მიეღოთ პეტერბურგის კეთილშობილ ქალთა სასწავლებლის პანსიონში სახელმწიფოს ხარჯზე. იმპერატორს დაუკმაყოფილებია მიხეილ ბარათაშვილის თხოვნა.

მიხეილ ბარათაშვილი დაცოლშვილებიდანვე მუდმივად სოფელ ბარათაევკაში, თავის მამისეულ მამულში ცხოვრობდა. მისი ოჯახი მთელ გუბერნიაში ერთ-ერთ მოწინავე. კულტურულ-პროგრესულ ოჯახად ითვლებოდა. თვით მიხეილი ცნობილი იყო თავისი გონებამახვილობით, მხიარული ბუნებით, კაცური კაცობით, გულკეთილობით, კაცთმოყვარეობით, სათნოებითა და შრომისმოყვარეობით. განსაკუთრებით აღსანიშნავია მიხეილის კეთილგანწყობილება, მზრუნველობა და ურთიერთობა მის მამულში დასახლებულ გლეხობასთან. ასეთი დამოკიდებულება იმ დროისათვის იშვიათი იყო მეფის რუსეთის იმპერიაში.

უაღრესად თვალსაჩინო და მნიშვნელოვანი იყო მიხეილის პირადი ადამიანური თვისებები, რითაც მთელი სიცოცხლის განმავლობაში ხიბლავდა ყველას, მათაც კი, ვისაც მასთან თუნდაც მხოლოდ შორეული ნაცნობობა ჰქონდა. იგი ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი

ჰუმანურობით, კეთილშობილებითა და კაცთმოყვარეობით სამსახურებრივი თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე.

ამის ბუნებრივი შედეგი იყო, რომ მიხეილს არ აკმარეს მარტო თავისი მყუდრო ოჯახური ცხოვრებით ეცხოვრა, — 1816 წელს იგი აირჩიეს სიმბირსკის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლად. მისი ავტორიტეტი და პოპულარობა უფრო და უფრო იზრდებოდა და ოთხიოდე წლის შემდეგ, 1820 წელს იგი არჩეულ იქნა სიმბირსკის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლად. მიხეილი ამ თანამდებობაზე სამ-სამი წლის ვადით ხუთჯერ აირჩიეს და 15 წლის განმავლობაში თავდადებით, უანგაროდ ემსახურებოდა სიმბირსკის გუბერნიის მოსახლეობას².

გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლად მუშაობის პერიოდში მიხეილმა ბევრი რამ გააკეთა სიმბირსკისათვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ხელმძღვანელობით 1818 წელს დაარსებული ქალთა „ქრისტიანული მოწყალების“ საზოგადოება, ხოლო 1820 წელს — თავადაზნაურ ღარიბ ქალთა შრომისმოყვარულთა სახლი. ეს სახლი შემდეგში გადაკეთდა დედოფალ ელისაბედის სახელობის მეორე თანრიგის ქალთა სასწავლებლად, რომლის დარბაზს ამშვენებდა მიხეილის პორტრეტი, წარწერით: „სიმბირსკის შრომისმოყვარულთა სახლის ფუძემდებელი მ. პ. ბარათაევი“.

მეტად მნიშვნელოვანი იყო, აგრეთვე, მიხეილის ინიციატივისა და ზრუნვის შედეგად, თავადაზნაურთა შეწირულებით შეგროვილი სახსრებით, 1834 წელს გიმნაზიის პანსიონის გახსნა³.

მიხეილ ბარათაშვილის სიმბირსკში მოღვაწეობის პერიოდიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სასწავლო-აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო მუშაობა. წლების განმავლობაში მიხ. ბარათაშვილი სიმბირსკის გიმნაზიის პირველი ზედამხედველი იყო, შემდეგ კი საპატიო მზრუნველი (1835 წლის პირველ ნახევრამდე)⁴.

² იხ. სიმბირსკის გუბერნიის ისტორიულ-სტატისტიკურ მასალათა კრებული (სიმბირსკის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლების სია), სიმბირსკი, 1868, გვ. 138—139.

³ იხ. ი ქ ვ ე, გვ 223—230.

⁴ ყაზანის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, სასწავლო ოქჩის ფონდი № 92, ანაწერი 1, საქმე 3643 — სიმბირსკის გიმნაზიის საპატიო მზრუნველად „სტატსკი სოვეტნიკის“ თავად ბარათაშვილის დამტკიცების შესახებ; ფონდი 92, ანაწერი 1, საქმე 4292 — სიმბირსკის გიმნაზიის დათვალიერების შესახებ, 4 პ ფურცელზე; სიმბირსკის გუბერნიის სამეცნიერო საარქივო კომისიის ფონდი 732, ანაწერი 2, საქმე 358, — გიმნაზიის საპატიო მზრუნველთა სია.

სიმბირსკში მიხეილ ბარათაშვილის ცხოვრებასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე საუბრისას აუცილებელია მოვიხსენიოთ მიხ. ბარათაშვილის დამოკიდებულება რუსეთის გამოჩენილ ისტორიკოს ნ. მ. კარაშინთან (1766—182წ), რომელიც, როგორც ცნობილია, სიმბირსკელი იყო.

მიხეილ ბარათაშვილი თავის უფროს თანამემამულესა და თანამედროვეს — ნ. მ. კარაშინს ახლოს იცნობდა და დიდადაც აფასებდა მის დამსახურებას სამშობლოს წინაშე. ამიტომაც, როდესაც წარმოიშვა აზრი სიმბირსკში ნ. მ. კარაშინის ძეგლის დადგმის შესახებ, მიხეილ ბარათაშვილი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელიც მხურვალედ გამოეხმაურა ამ იდეას, მხარი დაუჭირა მას და ამ საკითხის გარშემო ზემდგომ ორგანოებში გავლენიან პირებთან მიწერ-მოწერა გამართა. მიხეილ ბარათაშვილი დაბეჭდვით აღნიშნავდა, რომ ნ. მ. კარაშინისათვის ძეგლის აგებასთან ერთად, მიზანშეწონილი და სასარგებლო იქნებოდა დაარსებულიყო კარაშინის სახელობის სასწავლებელი, რომელშიც საზოგადოებრივ ხარჯზე წინასწარ შერჩეული, პერსპექტიული ახალგაზრდობა ისწავლიდა.

მიხეილის მხარდაჭერით წამოწყებული საქმე განხორციელდა. ქ. სიმბირსკის ცენტრში აღიმართა ნ. მ. კარაშინის შესანიშნავი ძეგლი, რომელიც 1843 წლის 23 აგვისტოს საზეიმოდ გაიხსნა.

ძეგლის გახსნისას სიმბირსკში თავი მოიყარეს რუსული საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლებმა. მათ შორის იმყოფებოდა პეტერბურგიდან ახლადდბრუნებული ჩვენი სახელოვანი თანამემამულე მიხეილ ბარათაშვილიც.

შეტად საგულისხმო და ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ სიმბირსკში ბარათაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მთელ მანძილზე, თუ რამ მომხდარა სიმბირსკის გუბერნიაში ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი, პროგრესული, ღირსშესანიშნავი მოვლენა, მიხეილის სახელთან არის დაკავშირებული. მიხეილ ბარათაშვილი ყოველთვის მზად იყო ენერგიული მონაწილეობა მიეღო ყოველგვარ კეთილშობილურ საქმიანობაში, როგორც წაჰმძვინვლებს, ხელმძღვანელს, ან როგორც მონაწილეს, ხელისშემწყობსა და თანამგრძნობელს

* * *

ყურადღებას იმსახურებს მიხეილ ბარათაშვილის გატაცება მასონური საქმიანობით, ხოლო შემდეგში მისი კავშირი დეკაბრისტულ მოძრაობასთან.

ჯერ ისევ ადრე, გენერალ ჩაპლიცთან სამხედრო სამსახურში ყოფნის დროს, მიხეილ ბარათაშვილი გაეცნო რუსეთში არსებულ მასონური სალონების საქმიანობას და მათ მიმართულებას, მაგრამ 1816 წლამდე იგი არცერთ სალონში არ შესულა. ამ წელს კი იგი შედის პეტერბურგის „შევრთებული მეგობრობის“ მასონურ სალონში და იმავე წელს, მოსკოვში ამ სალონის „რუსული ენის“ განყოფილების გახსნისას, მიხეილს ოსტატის მოადგილედ ირჩევენ. პეტერბურგის იმდროინდელი მთავარი სალონის — „ასტრეის“ დავალებით, მიხეილ ბარათაშვილმა 1817 წელს ყაზანსა და სიმბირსკში დააარსა მასონთა სალონი. სიმბირსკში დაარსებულ მასონურ სალონს „სათნოების გასაღები“ უწოდა და თვითონვე იყო მისი ხელმძღვანელი — ოფიციალური „დიდი მამამთავარი“, რომელიც ამ თანამდებობაზე სალონის წევრებმა იგი დაუსწრებლად აირჩიეს.

რუსეთში მასონური სალონების არსებობა მთავრობის მიერ ოფიციალურად იყო ნებადართული. ამიტომაც „მასონობა, რომლის ერთ-ერთი თვალსაზირო წარმომადგენელი მიხეილ ბარათაშვილი იყო, — როგორც სამართლიანად მიუთითებს პროფ. ი. ანთელავა, — მთავრობისათვის საშიში მიმდინარეობა არასოდეს არ ყოფილა. თავისი სოციალური შემადგენლობით რუსეთის მასონობა თავადაზნაურული იყო და დაბალი წრიდან გამოსულ პირებს მასში არ ღებულობდნენ“⁵.

„სათნოების გასაღებიც“ არ წარმოადგენდა ამ მხრივ გამოწაკლისს. აი, „სათნოების გასაღების“ წევრთა სია⁶, რომელიც 27 წევრს აერთიანებდა. ესენი იყვნენ: თავადი მიხეილ პეტრეს ძე ბარათაშვილი — თავადაზნაურთა წინამძღოლი: პეტრე ნიკიფორეს ძე ივაშევი — გენერალ-მაიორი; ვასილ სიმონის ძე მალაევი — „კოლეჟსკი სოვეტნიკი“; ივანე კარლოს ძე იაკობი — გვარდიის პორუჩიკი; პეტრე ბორისის ძე ხარინი — „ტიტულიარნი სოვეტნიკი“; ივანე სიმონის ძე არჩეგვიტინოვი — მაიორი; ივანე თეოდორეს ძე ლაზარევიჩი — „ნადვორნი სოვეტნიკი“; ანდრია ბართლომეს ძე დინეჟური — პროფესორი; ალექსი ალექსანდრეს ძე რუდნევი — „გუბერნსკი სეკრეტარი“; ნიკოლოზ თედორეს ძე ფილატოვი — „ნადვორნი სოვეტნიკი“; ივანე ანდრეას ძე კუზავეციკი — მაიორი; გრიგოლ ვასილის ძე ბესტუჟევი —

⁵ ი. ანთელავა, XIX საუკუნის პირველი ნახევრის საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან (მიხეილ ბარათაშვილი და დეკაბრისტები), „მნათობი“, 1960, № 8, გვ. 161.

⁶ ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი მოსკოვში, ფონდი 48, საქმე 199, ფურც. 4—5.

პოლკოვნიკი (შემდეგში გენერალ-მაიორი; მიხეილ ბარათაშვილის შემდეგ, 1835 წლიდან, სიმბირსკის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი); პეტრე პეტრეს ძე ბაბკინი — მაიორი; ლევ ექვთიმეს ძე კალინოვსკი — კაპიტანი; ალექსანდრე ალექსის ძე სტოლიპინი — „კოლევსკი სოვეტნიკი“ (მიხეილ ბარათაშვილის შემდეგ, 1836 წლიდან სიმბირსკის გიმნაზიის საპატიო მზრუნველი); ნიკოლოზ ილიასძე ტატარინოვი — „ტიტულიარნი სოვეტნიკი“; ალექსი პეტრეს ძე სკრიტსკი — გვარდიის კაპიტანი; მათე მიხეილის ძე პინსკი — გიმნაზიის მასწავლებელი; მიხეილ მიხეილის ძე როსლიაკოვი — პოლკოვნიკი; ივანე სტეფანეს ძე კროტკინი — პორუჩიკი; ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ტრეგუბოვი — „ნადვორნი სოვეტნიკი“ (ცნობილი ნწერლის ივ. ალ. გონჩაროვის ნათლია და აღმზრდელი); გრაფ იაკობ ვასილის ძე ტოლსტოი — „ტიტულიარნი სოვეტნიკი“; ლევ ალექსანდრეს ძე ადამი — საპატიო მოქალაქე; ალექსი ანდრეას ძე დუდინი — არტილერიის მაიორი (პეტერბურგიდან); ანდრია პეტრეს ძე ჰომორსკი — კაპიტანი (პეტერბურგიდან); პეტრე პეტრეს ძე ტურგენევი — „კოლევსკი ასესორი“; დვორნიკოვი, ვასილი თედორეს ძე. — მეშვიდე კლასის მოხელე.

როგორც სამართლიანად აღნიშნავს პ. ს. ბეისოვი წიგნში — „გონჩაროვი და მშობლიური მხარე“, „სიმბირსკის მასონური სალონი გაიხსნა 1817 წელს. მასში შედიოდა 27 წევრი. ესენი იყვნენ სიმბირსკის საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლები (პ. ნ. ივანევი, მამა დეკაბრისტისა, ა. ა. სტოლიპინი, გრაფი ი. ვ. ტოლსტოი, ა. პ. ტურგენევი და სხვ.). სალონის წევრთა განწყობილების შესახებ შეიძლება განვსაჯოთ ბარათაშვილის ერთ-ერთი წერილიდან ნოვიკოვის შეილიშვილისადმი, რომელსაც სწერდა: „მე არც თვითმპყრობელობა მიყვარს და არც დესპოტიზმი“⁷.

როდესაც მთლიანობაში ვეცნობით მიხეილ ბარათაშვილის მიერ განვლილ ცხოვრებას, მის საზოგადოებრივ და მეცნიერულ-ლიტერატურულ საქმიანობას, ვეცნობით განვლილ პერიოდში მის ირგვლივ არსებულ ლიტერატურულ და საარქივო დოკუმენტურ წყაროებს, აშკარად ვგრძნობთ, რომ მიხ. ბარათაშვილი ვერ თავსდებოდა მეფის მთავრობის ნებადართული მასონური სალონების ჩარჩოებშემოვლებული აზროვნების სფეროში; მას ვერ აკმაყოფილებდა არსებული ცხოვრება და უკეთესისაკენ მიილტვოდა, მისი ფიქრი და

⁷ პ. ს. ბეისოვი, „გონჩაროვი და მშობლიური მხარე“ (რუსულად), კუბიშევი, 1960, გვ. 23.

აზრი ირგვლივ სიკეთისა და სათნოების დამკვირდებისათვის ისწრაფოდა.

„მ. ბარათაშვილს იმ მასონების რიცხვს ვაკუთვნებთ, რომლებიც პირუთვნელად აკრიტიკებდნენ ბატონყმური ურთიერთობისა და თვითმპყრობელობის ყველა საზიზღარ მხარეს. ამ მხრით ის უეჭველად განსხვავდებოდა ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის მოტრფიალე მასონებისაგან. მ. ბარათაშვილი თავის სიტყვებში (გამოსვლებში) გვევლინება, როგორც თავისუფლების, სოციალური თანასწორობისა (გარკვეული აზრით) და ღარიბდამაშვრალთა დამცველი. ის წინააღმდეგია სიმდიდრისა და ტიტულების, იმის, რომ ადამიანებს აფასებდნენ და აწინაურებდნენ ამ ნიშნების მიხედვით“⁸. — სამართლიანად წერს პროფ. ი. ანთელავა.

მიხეილ ბარათაშვილს ებრალებოდა ღარიბი და დაჩაგრული. იგი წუხდა იმის გამო, რომ ადამიანი ფასდებოდა არა თავისი ღირსების მიხედვით. არამედ გვარიშვილობით, სიმდიდრითა და ტიტულებით. მისი ღრმა რწმენით, „სიმდიდრე, წარჩინება, გვარიშვილობა ადამიანის ისეთი თვისებებია, რომლებიც, მართალია, ჩვენს არსებას ღირსებას ანიჭებენ, მაგრამ პირდაპირ არ წარმოადგენენ ჩვენს კუთვნილებას; განა კაცი — კეთილშობილი სულით, სათნო შინაგანი გულასწადილით, საპატიო თავის საქმეებით, მდიდარი სამშობლოს წინაშე დამსახურებით, წარჩინებული გულის გრძნობებით, კარგავს თავის ღირსებებს იმის გამო, რომ უბრალო გვარიშვილობა ხვდა მას წილად, სიღარიბე ცხოვრობს მის უბრალო ქოხში, მისი მოქმედების არე შემოფარგლულია არც ისე ბრწყინვალე, მაგრამ არანაკლები მნიშვნელობის მქონე საქმეებით? — სრულებითაც არა! მას უფლება აქვს თავი ყველა იმ ადამიანზე მალლა დააყენოს, ვინც მხოლოდ ტიტულებითაა ცნობილი“⁹.

აღნიშნული საკითხის შესახებ მიხეილ ბარათაშვილი 1820 წლის 21 სექტემბერს „ასტრეის“ მდივანს — მასონ ი. რეინეკეს სწერდა: „ტიტულს ჩემთვის ნუგეში არ მოუნიჭებია და თუ მისი დატოვება საჭირო იქნება, ამას უყოყმანოდ გადაკეთებ. მე ძალზე დამშვიდებულად ვცხოვრობდი და ჩემი ცხოვრების თვრამეტი წლის ასაკიდან, როდესაც სამსახურში მიმიღეს, ტიტული არ მიძებნია. თუ მისი ვინ-

⁸ ი რ ა კ ლ ი ა ნ თ ე ლ ა ვ ა, იხ. ზემოთ დასახელებული წერილი, „მნათობი“, 1960, № 8, გვ. 162.

⁹ ი ქ ვ ე, გვ. 163.

მესთვის გადაცემას მიბრძანებენ, მზად ვარ ეს პროცენტების გაღებით შევასრულო“¹⁰.

* * *

ერთის შეხედვით, მიხეილ ბარათაშვილის სიტყვებსა და წერილებში, როგორც ამას პროფ. ირაკლი ანთელავაც აღნიშნავს, „არაა მოწოდება მდიდრების, პირველ რიგში, გაბატონებული ფეოდალური კლასის, თვითნებობის შეზღუდვისაკენ“, მაგრამ ის, დანარჩენი მასონებისაგან განსხვავებით, მაინც აშკარად გამოირჩეოდა თავისი რადიკალური შეხედულებებით და მთელი გულწრფელობითა და გატაცებით გაბედულად აკრიტიკებდა მის თანამედროვე საზოგადოების ბნელ მხარეებს და თავის პრაქტიკულ მოქმედებაში, როგორც სალონის — „სათნობის გასაღების“ მმართველი და გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი, ყოველნაირად ცდილობდა თავადაზნაურების თვითნებობის შეზღუდვას. მას ღარიბების ინტერესების გაბედული დაცვით არაერთხელ გამოუწვევია მაღალ თანამდებობის პირთა უკმაყოფილება და აღშფოთება. ლაპარაკობდა რა გენერალ ივაშვიის (სალონის გავლენიანი წევრის) უკმაყოფილების მიზეზებზე, მ. ბარათაშვილი მიუთითებდა: გენერალი ნაწყენია იმიტომ, რომ „მე, არ ვეკიდები რა პატივისცემით ჩინებსა და სიმდიდრეს, გადასახადებს ვანაწილებ ყველაზე და, რაც ამაზე უარესია, ვცდილობ ღარიბების მდიდრებისაგან დაცვასა და მფარველობას“¹¹. იმავე კერძო წერილებში მ. ბარათაშვილი თვითმპყრობელობის აშკარა მოწინააღმდეგედ მოჩანს; ერთ მათგანში ის წერდა: „აი, იმის დასტური, რომ მე არც თვითმპყრობელობა მიყვარს და არც დესპოტიზმი“¹².

მიხეილ ბარათაშვილის შესახებ თუმცა შეფარვით. ამასვე აღნიშნავდა მისი პირველი ბიოგრაფი ვ. ბაიუშევი 1868 წელს, როდესაც წერდა: „მასონური თუ სხვა რაიმე თვალსაჩინო საქმიანობა თავად მიხეილ პეტრეს ძეს ხელს არ უშლიდა უფრო დადებითი სასარგებლო საქმისათვის მოეკიდა ხელი. 1816 წელს იგი აირჩიეს სიმბირსკის მაზრის, ხოლო 1820 წელს გუბერნიის თავადაზნაურთა წი-

¹⁰ ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი მოსკოვში, ფონდი 48, საქმე, 199, ფურტ. 6—10. ციტირებულია ი. ანთელავის წერილიდან, „მნათობი“, 1960, № 8, გვ. 163.

¹¹ იქვე, ფურტ. 12—13.

¹² იქვე, ფურტ. 6—10.

ნამძლოლად, რასაც 1835 წლამდე ემსახურებოდა შესანიშნავი ტაქტიკითა და ამომჩივე წოდებათა ინტერესები არ დაუჩრდილია საკუთარით და თუ საჭირო იყო მათი დაცვა, ამა ქვეყნის ძალმოსილთა წინაშე, არ დარიდებია სიმართლის თქმას¹³.

ვფიქრობთ, მასონური მოღვაწეობიდან თავისი მსოფლმხედველობის თანდათანობით აღმავალი განვითარების გზით მ. ბარათაშვილი სრულიად ბუნებრივად მივიდა დეკაბრისტულ მრწამსის აღიარებამდე.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში, მეფის რუსეთის იმპერიაში, ცხოვრების მძიმე პირობების მიუხედავად, მოწინავე საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება თავისი გზით მულამ პროგრესისაკენ მიისწრაფოდა. ამ შემთხვევაშიც ლეგალურად ნებადართულ მასონურ სალონებშიც თანდათან შეიჭრა რევოლუციური თვალსაზრისით გამსქვალული ახალგაზრდობა, რომლებსაც სძულდათ ბატონყმობა და თვითმპყრობელობა, აშკარად მოითხოვდნენ მის წინააღმდეგ ბრძოლის საჭიროებას. მასონური სალონები უკვე სცილდებოდა თავის „საზღვრებს“, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენია მეფის მთავრობას და სწორედ ამან განაპირობა მათ საწინააღმდეგოდ გადამკრეღი ზომების დროზე მიღება.

იმპერატორის „რესკრიპტით“, შინაგან საქმეთა საზინისტრომ, 1822 წლის 21 აგვისტოს ბრძანებით, მასონური სალონები ყველგან გააუქმა და აკრძალულად გამოაცხადა.

ამრიგად, სიმბირსკის „სათნოების გასაღებმაც“ აღნიშნული დროიდან შეწყვიტა არსებობა.

XIX საუკუნის პირველი ნახევრის საზოგადოებრივი აზრის განვითარების ისტორიაში მიხეილ ბარათაშვილს გარკვეული ღვაწლი მიუძღვის და ბუნებრივია, რომ ამ პერიოდის შესწავლისადმი მიძღვნილ ნაშრომებში თავისი ასახვა ჰპოვა მიხეილ ბარათაშვილის როგორც პრაქტიკულმა მოღვაწეობამ, ასევე საზოგადოებრივი აზრის გამოხატულებამ.

ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ისეთი ნაშრომები, როგორიცაა: სიმბირსკის კრებული, 1845 წლის გამოცემა ვალუევისა, სიმბირსკის გუბერნიის ისტორიულ-სტატისტიკური მა-

¹³ იხ. ვ. ბაუშევის ბიოგრაფიული ნარკვევი მიხ. ბარათაშვილზე.

საღების კრებული, ვ. ი. სემევესკის — „პოლიტიკური და საზოგადოებრივი იდეები დეკაბრისტებისა“, ი. ა. გონჩაროვის — „სამშობლოში“, ა. რიბასოვის — „ი. ა. გონჩაროვი“, ა. ს. ბეისოვის — „გონჩაროვი და მშობლიური მხარე“, ტ. სოკოლოვესკაიას — „რუსული მასონობა და მისი მნიშვნელობა საზოგადოებრივი მოძრაობის ისტორიაში“, ვ. შადურის — „დეკაბრისტული ლიტერატურა და ქართული საზოგადოებრიობა“, ირაკლი ანთელავას — „XIX საუკუნის პირველი ნახევრის საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან (მიხეილ ბარათაშვილი და დეკაბრისტები)“ და სხვა მრავალი¹⁴.

ამასთანავე, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჯერ ისევ მიხეილის სიცოცხლეშივე და გარდაცვალების შემდეგაც, მის შესახებ ადრეულ ცენტრალურსა და სიმბირსკის გუბერნიის რუსულ პერიოდიკაში („სიმბირსკიე გუბერნსკიე ვედომოსტი“¹⁵, „სევერნაია ჰჟელა“¹⁶, „ვესტნიკ ევროპი“¹², „რუსსკი ვესტნიკ“-ი¹⁸, რუსსკაია სტარინა¹⁹, „ვოლჟსკი ვესტიკ“-ი²⁰, „მოსკოვსკიე ვედომოსტი“²¹, „რუსს-

¹⁴ Симбирский сборник, издание Валуева, том I, г. Симбирск 1815; Сборник историко-статистических материалов по Симбирской губернии, Симбирск, 1868, стр. 136, 139, 150—151, 223—230, 253; Политические и общественные идеи декабристов, В. И. Семевского, С.-Петербург, 1909, стр. 255, 322—336, 338—339, 348—364, 408; И. А. Гончаров, На родине, собр. соч., т. VII, 1954, стр. 246—247; На родине. Ульяновск, 1956, стр. 5, 13—14, 16—27, 237—270; А. Рыбасов, И. А. Гончаров, Москва, 1956, стр. 72—79; П. С. Бейсов, Гончаров и родной край, Куйбышев, 1960, стр. 10—33, 84, 144, 153, 155; Соколовская, Т. Русское масонство и его значение в истории общественного движения, стр. 126, 172—176 и др.; В. Шадурин, Декабристская литература и грузинская общественность, Тбилиси, 1958, стр. 546—549; *ირაკლი ანთელავა, XIX საუკუნის პირველი ნახევრის საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან (მიხეილ ბარათაშვილი და დეკაბრისტები)*, ჟურ. „მნათობი“, 1960, № 8, გვ. 160—166.

¹⁵ Г. з. Симбирские губернские Ведомости, 1838, № 23, 1839, № I, 1856, № 21, 1874, № 69—79, 1895, № 74, 87, 1897, № 25, 1898, №№ 19 и след.

¹⁶ Газ. Северная пчела, 1856, № 193.

¹⁷ Жур. Вестник Европы, 1872, февраль, стр. 600—601

¹⁸ Газ. Русский вестник, т. 1875, VII («Отец и сын»), портрет в музее арх. комисс.

¹⁹ Жур. Русская старина, 3 декабря 1878, стр. 683, т. XXII, стр. 413, 417, 419, 1890, июль, стр. 75, 109, 1909, № 2, стр. 424—432, № 3, стр. 631—642.

²⁰ Газ. Волжский вестник, 1879, № 4, стр. 4—5.

²¹ Газ. Московские ведомости, 1883, №№ 225, 293, 335.

კი არხივ“-ი²², „ბილოე“-²³, „ისტორიჩესკი ვესტნიკ“-ი¹², „მინუეშიე გოლი“-²⁵. სიმბირსკიე ეპარხიალნიე ვედომოსტი“-²⁶ და სხვა) და ცალკეულ გამოცემულ კრებულებში მრავალმხრივ საყურადღებო წერილები. სტატიები და მასალები გამოქვეყნდა.

აქ საკმარისია მაგალითისათვის მოვიტანოთ 1868 წელს გამოცემული სიმბირსკის გუბერნიის ისტორიულ-სტატისტიკური მასალების კრებული, რომელშიც, სხვა მასალებთან ერთად, დაიბეჭდა ადგილობრივ მკვიდრთა — ზოგიერთ შესანიშნავ მოღვაწეთა ბიოგრაფიული ნარკვევები. ამ ნარკვევებში წარმოდგენილი ნ. მ. კარამზინის (1766—1826), ი. ი. დმიტრიევის (1760—1837), მ. ა. დმიტრიევის (1796—1866), ნ. მ. იაზიკოვისა (1803—1846), ი. ა. გონჩაროვის (1812—1891) და სხვა თვალსაჩინო მოღვაწეთა შორის ჩვენს მიხეილ ბარათაშვილს თვალსაჩინო ადგილი აქვს დათმობილი და ყურადღების ცენტრშია მოქცეული. იმ დროისათვის ცნობილმა მოწინავე საზოგადო მოღვაწემ ვ. ბაიუშევმა მიხეილ ბარათაშვილს უძღვნა მეტად საინტერესო, პირველადი წყაროების შემცველი ცნობებით, ზემოთ უკვე მოხსენებული ბიოგრაფიული ნარკვევი.

სიმბირსკის საზოგადოებრივი ცხოვრების გათვალისწინებისას გარკვევით ჩანს, რომ საერთო ჩამორჩენილობისა და გაუნათლებლობის მიუხედავად, თავადაზნაურთა შორის მაინც იყვნენ დიდი განათლებისა და კულტურის მქონენი: ისტორიკოსი ნ. მ. კარამზინი, პოეტი და იგავთმწერალი ი. ი. დმიტრიევი, პოეტი ნ. მ. იაზიკოვი, მწერალი დ. ვ. გრიგოროვიჩი, პ. ვ. ანენკოვი, ი. ა. გონჩაროვი და სხვები.

მკვლევარი ა. რიბასოვი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ სიმბირსკის თავადაზნაურთაგან გამოვიდნენ აგრეთვე ცნობილი დეკაბრისტები: მ. ბარათაშვილი, ვ. ივაშევი, ნ. ტურგენევი²⁷.

მოწინავე თავადაზნაურთა რიგებს ეკუთვნოდა, აგრეთვე, ნიკოლოზ ტრეგუბოვი, მასონური სალონის წევრი, რომელსაც მეგობრული ურთიერთობა და მიმოწერა ჰქონდა ზოგიერთ დეკაბრისტთან. მის უახლოეს ნაცნობთა შორის არის მიხეილ ბარათაშვილი, რომე-

22 Жур. Русский архив, 1897, № 4, стр. 583.

23 Жур. Былое, 1906, VII, стр. 41—53.

24 Жур. Исторический вестник, 1907, т. VIII, стр. 506.

25 Жур. Минувшие годы, 1908, № 2, стр. 42, 44—46, №№ 3, 4, 5, 6.

26 Жур. Симбирские епархиальные ведомости, 1912, №№ 15, 16, 17, 18,

27 ა. რიბასოვი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 72—73.

ლიც დეკაბრისტ ვ. ივაშევის საშუალებით დაკავშირებული იყო დეკაბრისტთა „სამხრეთ საზოგადოებასთან“²⁸.

დეკაბრისტულ აჯანყებამდე, წინა წლებში, სიმბირსკში, იხევე როგორც რუსეთის სხვა მოწინავე ქალაქებში, ფართოდ იყო გავრცელებული მთავრობის მიერ აკრძალული ლიტერატურა. ამას ადასტურებს ქ. ულიანოვსკის (სიმბირსკის) სახელმწიფო არქივში ამჟამად დაცული რადიშჩევის, რილევეის, რაევსკის, ვიაზემსკის, ნ. ტურგენევის, გრიბოედოვის, პუშკინის, ლერმონტოვის და სხვათა თხზულებათა სხვადასხვა ხელნაწერები.

ცხადია, 1825 წლის 14 დეკემბრის ისტორიული ამბავი სიმბირსკისათვის შეუძმჩნევლად არ დამთავრებულა და მან თავისი კვალი დატოვა. პეტერბურგიდან მოსული ბრძანებით აჯანყების ყველაზე სამიშ მონაწილეთა შორის დააპატიმრეს და ციმბირის კატორღაში გაგზავნეს დეკაბრისტი ვ. ივაშევი; მასთან ახლო ურთიერთობისათვის, ეჭვით. დააპატიმრეს, აგრეთვე, მიხეილ ბარათაშვილი და დაკითხვაზე გაგზავნეს პეტერბურგში, სადაც, გამოტეხის მიზნით, ფარულად, ფიზიკურად აწამეს კიდევც.

ამგვარი უანდარმული ზომები სხვების საწინააღმდეგოდაც იყო მიღებული. სიმბირსკში მოხდა მასონური სალონის ყოფილ წევრთა ჩხრეკა, დევნა და პასუხისგებაში მიცემა. მთავრობის რეპრესიებმა დააშინა თავადაზნაურობის მოწინავე ნაწილი, მათში გაძლიერდა რეაქციული, ერთგულქვეშევრდომული განწყობილება²⁹.

სიმბირსკელ თავადაზნაურთა მოწინავე წარმომადგენელთა და, მათ შორის, მიხეილ ბარათაშვილის დეკაბრისტულ მოძრაობაში მონაწილეობის შესახებ დაახლოებით ასეთსავე ცნობებს იძლევიან სხვა მკვლევარებიც.

პ. ს. ბეისოვის ვადმოცემით, სიმბირსკის მასონური სალონის— „სათნოების გასაღების“ დამაარსებელ ბარათაშვილს მიმოწერა ჰქონდა „სლავთა გაერთიანების“ საზოგადოების ზოგიერთ წევრთან, რის გამოც დააპატიმრეს.

საზოგადოების „ძმობის“ წევრები მხარდაჭერის იმედს ამყარებდნენ თურმე სიმბირსკის თავადაზნაურობის წინამძღოლ ბარათაშვილზე და გენერალ პ. ივაშევზე — დეკაბრისტ ვ. ივაშევის მამაზე³⁰. ამასთანავე, პროგრესული სიმბირსკი დაკავშირებული იყო დეკაბ-

28 ა. რ ი ბ ა ს ო ვ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 13—14.

29 ი ქ ვ ე, გვ. 74.

30 პ. ს. ბ ე ი ს ო ვ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 13—14.

რისტებთან, აკრძალული არალეგალური დეკაბრისტული ლიტერატურით³¹.

3. ბეისოვიც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ი. ა. გონჩაროვის აღმზრდელი ნ. ნ. ტრეგუბოვი თავის დროისათვის განათლებული, მოწინავე ადამიანი იყო, რომელიც ქალაქში დიდი ავტორიტეტით, საერთო სიმპაზიითა და პატივისცემით სარგებლობდა. იგი ახლო მეგობრულ ურთიერთობაში იმყოფებოდა მიხ. ბარათაშვილთან, და ორივენი ი. ივაშევის საშუალებით დაკავშირებულნი იყვნენ „სამხრეთ საზოგადოების“ დეკაბრისტებთან³².

დეკაბრისტების „სამხრეთ საზოგადოების“ წევრი ვ. პ. ივაშევი, ტულჩინოში სამსახურში ყოფნის დროს, ხშირად დიდი ხნობით იმყოფებოდა ხოლმე სიმბირსკში თავის მშობლებთან. ცხადია, იგი ამ დროს თავისი მამის, გენერალ პ. ივაშევის საშუალებით, დეკაბრისტულ საქმიანობასთან დაკავშირებით, ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა მიხეილ ბარათაშვილთან და ნ. ტრეგუბოვთან.

დეკაბრისტების გამოსვლების დროს ვ. ივაშევი იმყოფებოდა „ოჯახურ შევებულებაში“ თავის მშობლებთან, სიმბირსკში. როცა მან გაიგო აჯანყების შესახებ, ის სასწრაფოდ მოსკოვს გაემგზავრა³³.

1826 წლის 4 იანვარს სიმბირსკში დეკაბრისტი ზავალიშინი ჩასულა. სადაც მეორე დღესვე დაუპატიმრებია ამისათვის მივიღებულ ოფიცერს და პეტერბურგში წაუყვანია. ამავე დროს სიმბირსკში მიუღიათ ბრძანება ვ. ივაშევის დაპატიმრების შესახებ, მაგრამ ბრძანებამ მას მოსკოვში მოუსწრო, სადაც 1826 წლის 26 იანვარს იგი დააპატიმრეს და პეტრე-პავლეს ციხეში გაგზავნეს³⁴.

დეკაბრისტული მოძრაობის შესახებ არსებული გამოკვლევებისა და სხვა ლიტერატურული წყაროების და არქივებში გამოვლინებული დოკუმენტური მასალების მიხედვით, ნათლად ჩანს დეკაბრისტებთან მიხეილ ბარათაშვილის არა მარტო მსოფლმხედველობრივი-იდეური ურთიერთობა, არამედ ორგანიზაციული როლიც. მაგრამ, როგორც ჩანს, მთავრობის საგამომძიებლო კომისიას არ მოეპოვებოდა რომელიმე, მასთან ურთიერთობაში მყოფი დეკაბრისტის (ვ. ივაშევის, ზავალიშინის და სხვ.) რაიმე მამხილებელი ცნობა, დოკუმენტურად დამოწმებული. ცხადია, მათგან არავის არ მოსვლია ფიქრად, რაიმე გამონათქვამით გაემყლავნებინა მიხეილ ბარათაშვი-

31 პ. ს. ბეისოვი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 20.

32 იქვე, გვ. 23.

33 იქვე, გვ. 33.

34 იქვე, გვ. 33.

ლის ურთიერთობა თუ მონაწილეობა დეკაბრისტულ მოძრაობაში. მიუხედავად ამისა, იგი მაინც ვერ ასცდა დაპატიმრებასა და ფიზიკურ წამებას. აქაც იგი თავისი ნებისყოფის სიმტკიცითა და ფიზიკური გამძლეობის წყალობით ადვილად გადაურჩა უარეს სასჯელს.

მეფის მთავრობის მიერ დანიშნულ საგამომძიებლო კომისიას ექვიც არ ეპარებოდა მიხეილ ბარათაშვილის დეკაბრისტობაში, მაგრამ არც ხელჩასაჭიდი რაიმე მამხილებელი დოკუმენტი ჰქონდა ხელთ. და აი, მის დასაპატიმრებლად მიზეზიც მიეცათ. მთავარი მასობური სალონის „ასტერეის“ ყოფილი მდივნის, ჯაშუშ იგორ რეინეკეს 1826 წლის 15 თებერვლის დასმენის საფუძველზე მიხეილ ბარათაშვილი იმავე წლის 15 თებერვლის შემდგომ სიმბირსკში შეიპყრეს და პეტერბურგს გაამგზავრეს დეკაბრისტთა საქმის მთავრობის საგამომძიებლო კომიტეტის განკარგულებაში.

მიხეილ ბარათაშვილს ბრალდებოდა დეკაბრისტულ მოძრაობაში მონაწილეობა. ჯაშუშმა რეინეკემ თავის დასმენა-მოხსენებით ბარათს თან დაურთო სხვა მამხილებელი მასალებიც: სიმბირსკის ყოფილი მასობური სალონის — „სათნოების გასაღების“ 27 წევრისაგან შემდგარი სია, 1819—1820 წლების მისდამი მიწერილი მიხეილ ბარათაშვილის წერილების ავტოგრაფები 11 ფურცელზე³⁵ და სხვა.

რეინეკე თავის დასმენაში ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მიხეილ ბარათაშვილი ნეფის მთავრობისათვის საშიში მოღვაწე იყო. მთავრობის უქვეშევრდომილესი ერთგულებით იგი წერდა: „1819 წელსვე შტაბს-როტმისტრმა თავადმა ბარათაშვილმა, რომელიც ახლა თავად-ანაურობის წინამძღოლია სიმბირსკში და რომელსაც მე გავეცანი; როცა იგი აქ სალონს ხელმძღვანელობდა, შემომთავაზა შევსულიყავი კარბონართა ორდენში და დასძინა, რომ იგი დანიშნულია ამ ორდენის მესვეურად რუსეთში. ქვეშევრდომის მოვალეობის გრძნობამ მიკარანახა დავთანხმებოდი შესვლაზე, რათა გამეგო ყველაფერი ის, რაც ფარულ საზოგადოებას ეხებოდა. მან დაუყოვნებლივ გაალო თავისი ყუთი, სადაც თავისუფალი კალატოზებისა და ტამპლიერების აქტების გარდა ელაგა კარბონართა აქტებიც. აი, აქტებიც, — მითხრა მან, — მაგრამ ვიდრე მე მიგიღებთ, წერილობით უნდა მიპასუხოთ რამდენიმე შეკითხვაზე. როგორც მახსოვს, მან დამისვა შემდეგი კი-

³⁵ მოსკოვის ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 48, საქმე 199, ფურ. 1—19; ამ ფონდში არსებული მთელი დოკუმენტები, რომელთა ფოტოპირებიც ხელთა გვაქვს, მეტად მნიშვნელოვან ცნობებს იძლევიან შიხ. ბარათაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

თხევები: რა შეხედულებისა ვარ რელიგიაზე, მხსნელზე, სახელმწიფოს მმართველობის ნაირსახეობებზე და ამათგან რომელი მიმართა საუკეთესოდ, იმ საშუალებებზე, რომელთაც შეუძლიათ მიიყვანონ ადამიანი კეთილდღეობამდე, და თუ აღმოჩნდებოდა ვინმე, რომელიც ამ მიზნის განხორციელებას წინ აღუდგებოდა, მივიჩნევდი თუ არა მიზანშეწონილად საერთო საქმისადმი მის მსხვერპლად შეწირვას“³⁶.

პროფ. ირაკლი ანთელავას სწორი მოსაზრებით, „მოტანილ ამონაწერში, პირველყოვლისა, ყურადღებას იპყრობს ის ადგილი, სადაც ლაპარაკია ბარათაშვილის მიერ რეინეკისათვის მიცემულ წინადადებაზე კარბონარების ორგანიზაციაში შესვლის შესახებ. კარბონარები კი, როგორც ცნობილია, წევრები იყვნენ ფარული რევოლუციონური ორგანიზაციისა, რომელიც არსებობდა იტალიაში XIX საუკუნის პირველ მესამედში. მიუხედავად თავისი შემადგენლობის სიჭრელისა (პასში შედიოდნენ ბურჟუაზიულ-ლიბერალური და დემოკრატიული ელემენტები, გაბურჟუებული თავადაზნაურების წარმომადგენლები, ოფიცრობა, სასულიერო წრეებიდან გამოსულნი და, აგრეთვე, კლეზების და ქალაქის მოსახლეობის ფართო ფენები), კარბონარიზმმა შინც ითამაშა გარკვეული პროგრესული როლი ისტორიაში.

1820 წელს კარბონარები ედგნენ სათავეში ნეაპოლის რევოლუციას და მეფე ფერდინანდ IV აიძულეს კონსტიტუცია შეემუშავებინა. ისინი მონაწილეობდნენ 1821 წლის პიემონტის რევოლუციაშიც. 1828 და 1829 წლებში ადგილი ჰქონდა კარბონარების უშედეგო ცდას მოეწყოთ რევოლუცია ნეაპოლსა და პაპის ოლქში. 1830—1831 წლებში ისინი ენერგიულ მონაწილეობას იღებდნენ რევოლუციაში, რომელმაც იტალიის სხვადასხვა კუთხეში იფეთქა. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რეინეკეს ჩვენების ამ ადგილს, სადაც ლაპარაკია კარბონარისტულ აქტებზე, რომლებიც მან თურმე მ. ბარათაშვილს უნახა და ამ უკანასკნელის კარბონარობაზე მიუთითებდა. კიდევ მეტი: თუ დავუჭვრებთ რეინეკეს, მიხ. ბარათაშვილს მისთვის განუცხადებია, რომ „ის დანიშნულია ამ ორდენის მესვეურად რუსეთში“³⁷.

შორსმჭვრეტელმა და ფრთხილმა მიხეილმა, დეკაბრისტების აჯანყების მარცხით დამთავრების შემდეგ, დაპატიმრების მოლოდინში, სოფელ ბარათაშვილში თავიდანვე მის ხელთ არსებული ზემოაღ-

³⁶ მოსკოვის ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 48, საქმე 199, ფურ. 1—2; ადგილი მოტანილია პროფ. ირაკლი ანთელავას ზემოაღნიშნული წერილიდან, „მნათობი“, 1960, № 8, გვ. 164.

³⁷ იქვე.

ნიშნული მდიდარი ლიტერატურა, მიმოწერა და სხვა ხასიათის დოკუმენტური მასალა, რაც კი გაამჟღავნებდა მის კავშირს დეკაბრისტებთან და რასაც შეეძლო — მთავრობის მიერ მათი ხელში ჩაგდებათ, — მძიმე, საბედისწერო შედეგი მოჰყოლოდა, მოასწრო და წინასწარ, დროზე გაანადგურა. თვით მიხ. ბარათაშვილის წერილებზე რეინეკეს საპასუხო წერილებიც, რომლებიც ნამდვილად არსებობდა, საქმეში არ აღმოჩნდა და უკვალოდ გაქრა.

დღეს ამას ნათლად გვიდასტურებს ულიანოვსკის სახელმწიფო არქივში მიხეილ ბარათაშვილის პირად ფონდში დაცული, თითქოს წინასწარ საგანგებოდ გადარჩეული და შემონახული მსოლოდ ოფიციალური ხასიათის დოკუმენტები: მთავრობის ჯილდოების შესახებ სიგელები, ცნობები და მოწმობები, მიმოწერა, მოხსენებები, საოჯახო და სხვადასხვა სახის საბუთები.

პირად ფონდში რაიმე კვალიც კი გამჟღავნა მიხეილ ბარათაშვილის ხელში თავმოყრილი მამხილებელი, საექვო ლიტერატურის ხელნაწერებისა, რაც ასე ფართოდ იყო გავრცელებული სიმბირსკში და პირველ რიგში მიხ. ბარათაშვილს უნდა ჰქონოდა. ამასთანავე, რაც მთავარია, არ ჩანს ეპისტოლარული ხასიათის მასალები — ცნობილ საზოგადო მოღვაწეებთან წარმოებულ მიმოწერა და მათი საპასუხო წერილები, რომლებთანაც მიხ. ბარათაშვილს ახლო მეგობრული და საზოგადოებრივი ურთერთობა ჰქონდა. არც მათი კვალი შემორჩენილა

თუ მხოლოდ აღნიშნული ფონდის მასალების მიხედვით ვიმსჯელებთ, მიხეილ ბარათაშვილი წარმოგვიდგება როგორც ჩვეულებრივი. რიგითი, ნდობით აღჭურვილი ქვეშევრდომი. უწყინარი მოხელე, პემამულე, თავადი სიმბირსკის გუბერნიისა, რასაც, თავისთავად ცხადია, ჰემშარიტებასთან არავითარი საერთო არ ექნებოდა.

სიმბირსკელი მკვიდრის, გამოჩენილი მწერლის — ივანე გონჩაროვის გადმოცემითაც, დეკაბრისტების საქმესთან დაკავშირებით. მასონების შესახებ ატეხილი ხმაურის შედეგად, პეტერბურგიდან პრლებული ბრძანებით, სიმბირსკში ყოფილი მასონები ყველანი გაჩხრიკეს, ჩამოართვეს საექვო ქაღალდები, ხოლო თვით სალონის ხელმძღვანელი ბრავინი (მიხ. ბარათაშვილი — შ. გ.) დააპატიმრეს და პეტერბურგში გაგზავნეს. ამასთანავე, რაც მოასწრეს, მასაც ჩამოართვეს მთელი მიმოწერა და სხვა ქაღალდები და თან წაიღეს. მაგრამ, როგორც დასტურდება, ადგილობრივი ადმინისტრაციულ-საგამომძიებლო ორგანოში მომუშავე თანამშრომლის (ნათესავის) მიერ წინასწარი გაფრთხილების წყალობით, რამდენიმე საათით ადრე გაჩხრეკამ-

დე. მიხ. ბარათაშვილმა მოასწრო სოფ. ბარათაეცკაში მოესპო ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი თავისი დოკუმენტებისა. ამრიგად გადააჩინეს ბრავინი (ბარათაშვილი), შესაძლებელია, მძიმე განსაცდელისაგანო, დაასკვნის ივ. გონჩაროვი.

ნ. ნ. ტრევეზოვის გადმოცემით, ივ. გონჩაროვი წერდა: მიხ. ბარათაშვილი დაახლოებით ნახევარ წელიწადს გაუჩერებიათ პეტერბურგში და შემდეგ გაანთავისუფლეს. სიმბირსკში დაბრუნებისას ის მიიღო გამწვანებული, თითქოს გაშავებული იყო. ის, — ამბობდნენ, — ფარულად ფიზიკურად დაუსჯიათო (უწამებიათო)³⁸.

ამრიგად, როგორც მიხეილ ბარათაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ლიტერატურისა და საარქივო დოკუმენტური მასალების შესწავლით ჩანს, იგი მოსალოდნელ საფრთხეს თავიდანვე მომზადებული შეხვდა, მოქმედებდა ფრთხილად და გონივრულად, პეტერბურგში პატიმრობის დროს დაკითხვისას თავი მშვიდად ექიჩრა, არ შემდრკალა, მძიმე წამებასაც ბოლომდე ვაჟკაცური სიმტკიცით გაუძლო და თავისი გაიტანა.

რეინეკეს დაბეზლებასთან დაკავშირებით მიხ. ბარათაშვილმა კატეგორიულად უარი თქვა კარბონარების ორგანიზაციასთან რაიმე კავშირზე. „კარბონარების საზოგადოება ჩემთვის საცხებით უცხო იყო“, — წერდა იგი ერთ თავის ჩვენებაში³⁹. ამასვე იმეორებდა თავის სხვა ჩვენებაშიც, რომელიც 1826 წლის 10 მარტს მიუცია. ამ ჩვენებაში მიხ. ბარათაშვილი წერდა: „ბატონი რეინეკეს ჩვენება იმის შესახებ, თუ მე თითქოს თავი გავასალე კარბონარების დიდ მაგისტრად, მსურდა ამ სექტის (ჩვენში) გავრცელება, ვურჩევდი შესულიყო მასში, ამასთან დაკავშირებით ვეკითხებოდი მას რაღაცას..., სრული სიცრუეა, ჩემს სიცოცხლეში არასდროს. არ ვკუთვნივარ არც ერთ ფარულ საზოგადოებას, გარდა მასონებისა რუსეთში“⁴⁰.

რა თქმა უნდა, ძნელი დასაჯერებელი იყო საგამომძიებლო ორგანოებისათვის მიხეილის „გულწრფელობით აღიარებული სიმართლე“, მაგრამ რადგან იგი დარწმუნებული იყო, რომ მის გასამტყუნებლად, წინასწარ მის მიერ მიღებული მოფიქრებული ზომების წყალობით (რაზეც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ), ვერავითარ ხელჩასაჭიდ დოკუმენტურ საბუთს ვეღარ წარუდგენდნენ, გადაჭრით უარყოფდა

³⁸ ი. ა. გონჩაროვი, საშობლოში, თხზ., კრებული, ტ. VII, 1954, გვ. 245—247; ოლეგ განოცევა, ქ. ულანოვსკი, 1956, გვ. 26—27.

³⁹ პოსკოვის ცენტრ. სახ. ისტ. არქივის ფონდი 48, საქმე 199, ფურც. 25.

⁴⁰ იქვე, ფურც. 26—29, ადგილი მოტანილია პროფ. ირაკლი ანთელავას აღნიშნული წერილიდან, — მნათობი“, 1960, № 8, გვ. 164.

რეინეკეს დასმენით აღნიშნულ ბრალდებებს. მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდების დასამტკიცებლად საგამომძიებლო ორგანოებისათვის ცნობილი იყო მიხ. ბარათაშვილის გაბედული გამოსვლები სიმბირსკის სალონის — „სათნოების გასაღები“-ს შეკრებულეზებზე, ისევე, როგორც ზოგიერთი კერძო წერილის შინაარსიც. მაგრამ. ამასთან ერთად, როგორც პროფ. ირაკლი ანთელავა აღნიშნავს. — „საგამომძიებლო ორგანოებს ბრალდების დასამტკიცებლად უფრო მკაფიო და ექვემიუტანელი საბუთი ჰქონდა...—კარბონარული აქტები, რომლებიც უნახა რეინეკემ ბარათაშვილს. არ უარყოფდა რა ამ ფაქტს, ბარათაშვილი აცხადებდა: „1816 თუ 1817 წელს, არ მახსოვს ზუსტად, პეტერბურგში, ბატონი ბებერის (მასონების უფროსი პრეფექტის) დავალებით გავეცანი მე იტალიიდან ჩამოსულ კონდრიატის. რომელმაც მითხრა, რომ კონსტანტინეპოლში მასონურ სალონებს აარსებენ და თურქები მასში დიდი სურვილით შედიანო... ვაცნობე რა ეს ბებერს, მან მოისურვა ცარგრადში (კონსტანტინეპოლში — ი. ა.) მიმდინარე მუშაობის აქტები ენახა. მე ვთხოვე ხსენებულ იტალიელს ეს აქტები, მაგრამ რადგანაც ისინი იტალიურ ენაზე იყო დაწერილი, ვათარგმნინე ფრანგულად ბებერისათვის და კიდევაც მივართვი მას. ეს აქტები აღმოჩნდნენ პირველი ხარისხის კარბონარული აქტები, რომლებიც შესაძლებელია მინახა მე ბატონმა რეინეკემ: მაგრამ წინადადება კარბონარების სექტაში შესვლის შესახებ მე მისთვის არ მიმიცია, რადგანაც თვითონაც არ ვეკუთვნოდი მას და მაგ სასიით არავისთან არავითარი ურთიერთობა არა მქონია“⁴¹.

როგორც ჩანს, მიხ. ბარათაშვილმა არ უარყო, რომ მას ჰქონია კარბონარული აქტები, რაც რეინეკესაც უნახავს მასთან, მაგრამ ცდილობდა საგამომძიებლო კომისია დაერწმუნებინა, რომ იგი ამაში რაიმე დამამძიმებელ გარემოებას თითქოს ვერაფერს ხედავდა და ცდილობდა თავის გამართლებას. თავის ჩვენებაში მიხ. ბარათაშვილი აღნიშნავდა: „ბებერმა გაარჩია ფრანგული თარგმანი და ივარაუდა, რომ ისინი კარბონარების პირველი ხარისხის აქტებია, კარბონარებისა, რომელნიც მაშინ ცუდი მხრით არ იყვნენ ცნობილნი... ამ აქტებში მან ვერ ნახა ვერც ქრისტიანობისა და ვერც მთავრობის საწინააღმდეგო აზრები“⁴².

41 მოსკოვის ცენტრ. სახ. ისტ. არქივის ფონდი 48, საქმე 199, ფურც. 25. ციტირებულია პროფ. ირაკლი ანთელავას აღნიშნული წერილიდან, გვ. 164.

42 იქვე, გვ. 165.

ჩვენთვის ნათელია, რომ მიხ. ბარათაშვილმა თავიდანვე კარგად იცოდა აღნიშნული აქტების მნიშვნელობა და გარკვეული მიზნითაც ჰქონდა შემონახული; მაგრამ აქ იმასაც უნდა მიეჭყეს ყურადღება, რომ რენენკეს დასმენის ძირითადი მიზანი იყო არა კარბონარიზმთან და საზღვარგარეთულ ორგანიზაციასთან კავშირი, არამედ ამ ბრალდებით — არაპირდაპირი, შემოვლის გზით, — უპირველესად ემხილებინა მიხ. ბარათაშვილი და ბრალი დაედო დეკაბრისტებთან ურთიერთობაში, და რაც მთავარია, ამით — მთავრობის „ერთგულების“ გამოჩენით, — მოეპოვებინა მისი „მოწყალება“.

დეკაბრისტთა საქმესთან დაკავშირებით მთავრობის საგამომძიებლო კომისიის დაკითხვის დროს, პეტერბურგში დეკაბრისტულ მოძრაობაში მონაწილეობა მიხეილ ბარათაშვილმა გადაჭრით უარყო, როგორც ეს მოსალოდნელიც იყო, და მტკიცედ განაცხადა, რომ მას არავითარი ახლო ნაცნობობა და ურთიერთობა არა ჰქონია „ბოროტგანმზრახველებთან“ და „ბოროტდამლუპველებთან“.

მიხ. ბარათაშვილი თავის ჩვენებაში წერდა: „ამჟამად გამოძევებულ ფარულ საზოგადოებას მე არამცთუ არ ვეკუთვნი, არამედ მისი არსებობაც კი არ ვიცოდი. მის წევრებთან ურთიერთობა არ მქონია და ბევრის სახელიც კი არ გამიგონია. სიმბირსკში კი მთელს გუბერნიაში საზოგადოების არსებობის შესახებ არაფერი ვიცოდი და თამამად შემძილია ვთქვა, რომ ასეთი რამე არც არსებობს“⁴³.

მიხეილ ბარათაშვილი პატიმრობისას დაკითხვების დროს, წერილობით ჩვენებებში თუ „უმაღლესობისადმი“ გაგზავნილ განცხადებებში მტკიცე თანმიმდევრობით იცავდა თავიდანვე მიღებულ გალანწყვეტილებას — რადაც არ უნდა დაჯდომოდა, „ემართლებინა“ თავი, რადგან იმედი ჰქონდა, ახლო ნაცნობი დეკაბრისტებიდან არავინ გათქვამდა, ხოლო მამხილებელი წერილობითი დოკუმენტები კი მოსპობილი ჰქონდა. თუმცა დღეს ჩვენთვის მისი „დანაშაული“ ისევე ნათელია, როგორც ეს მაშინ საგამომძიებლო კომისიისათვის იყო ცხადი. მაგრამ მათ რომ „ხელჩასაქიდი“ ვერაფერი განზონახეს, ეს იყო ყურადსაღები.

„ვუდასტურებ თქვენს აღმატებულებას, რომ, გარდა მასონობისა, — წერდა თავის ახსნა-განმარტებაში მიხეილ ბარათაშვილი, —

43 მოსკოვის ცენტრ. სახ. ისტ. არქივის ფონდი 48, საქმე 199, ფურც. 25. ციტირებულია პროფ. ანთელავას აღნიშნული წერილიდან, გვ. 165.

მე არავითარ ფარულ საზოგადოებას არ ვეკუთვნოდი... კანონის სა-
წინააღმდეგო მიწერ-მოწერა არავისთან არ მქონია, და მხოლოდ გა-
ზეთებიდან გავიგე ბოროტგანმზრახველთა ჯგუფის შესახებ (ე. ი.
დეკაბრისტებზე). თავზარდაცემული ვკითხულობდი ცნობას ამაზე და
საკუთარ თვალებს არ ვუჭერებდი. იქ აღნიშნულ პირებთან ნაცნო-
ბობა არ მქონია და ბევრი მათგანი არც კი მინახავს არასდროს“⁴⁴.

ასეთი კატეგორიული ტონით იმართლებდა თავს მიხეილ ბარა-
თაშვილი. იმავე დროს არწმუნებდა ყველას და მოაგონებდა თავის
ღრმა პატივისცემას, ერთგულებას, სიყვარულს და კეთილგანწყობი-
ლებას იმპერატორისა და მაღალ თანამდებობის პირთა მიმართ, მოა-
გონებდა, აგრეთვე, თავის ორ ათეულ წელზე მეტი ხნის განვლილ
უმწიკვლო მუშაობას. იგი მოითხოვდა: „უბრძანეთ გასინჯონ მთელი
ჩემი ცხოვრება, მთელი ჩემი საქმეები და ვბედავ იმის თქმას, რომ
ისინი წმინდა არიან ღმერთისა და ადამიანების წინაშე“⁴⁵.

საგამომძიებლო კომიტეტმა მიხეილ ბარათაშვილისადმი წაყენე-
ბული ბრალდების დასამტკიცებლად უკანასკნელ საშუალებას მიმარ-
თა, — მოაწყო მისი დაპირისპირება ჯაშუშ რეინეკესთან — მაგრამ
ამანაც ვერ გასკრა. რეინეკემ გაიმეორა, რაც მის დასმენაში იყო
ნათქვამი, ხოლო მიხეილ ბარათაშვილმა ისევე გადაჭრით უარყო მის
მიმართ წაყენებული ბრალდება. „პირისპირ შეხვედრისას რეინეკემ
უჩვენა, რომ 1819 წელს მას თავადმა ბარათაშვილმა ნამდვილად
მისცა წინადადება კარბონარების ორდენში შესვლაზე, მოითხოვდა
წერილობით პასუხებს იმ კითხვებზე, რომლებიც მის დასმენაშია
ჩამოთვლილი, მაგრამ მან უარი განუცხადა. ამის დასამტკიცებლად
ბარათაშვილს მოაგონა, რომ ის მაშინ ცხოვრობდა დიუმურის ტრაქ-
ტირში, სადაც ის მან დილით ინახულა... შტაბროტმისტრმა თავადმა
ბარათაშვილმა კი განაცხადა, რომ მას რეინეკესათვის არ მიუცია წი-
ნადადება კარბონარების ორდენში შესვლის შესახებ, კითხვებზე პა-
სუხები არ მოუთხოვია და არავითარი საუბარი, გარდა იმისა, თურ-
ქებს შორის მასონობის გავრცელებას რომ შეეხებოდა, მასთან არ
ქონია“⁴⁶.

ამის შემდეგ, როგორც ჩანს, საგამომძიებლო კომიტეტი, როცა
მას უკვე სხვა გასამტყუნებელი ღონისძიება აღარ ჰქონდა, იძულე-

44 მოსკოვის ცენტრ. სახ. ისტ. არქივის ფონდი 48, საქმე 199, ფურც. 26—27;
ციტირებულია პროფ. ირ. ანთელავას აღნიშნული წერილიდან, გვ. 165.

45 იქვე.

46 იქვე.

ბული ვახდა გამოეტანა დადგენილება, რომელშიც ეწერა: „რაკი არ არის არავითარი საბუთი ბარათაშვილის საწინააღმდეგოდ, ისევე როგორც რეინეკეს დასმენის უარსაყოფად, ვინაიდან მათ საუბარს მოწმენი არ დასწრებიან, ამიტომ კომიტეტს არა აქვს საშუალება მისცეს ამ საქმეს მსვლელობა... ამიტომ დაადგინა: ყოველივე ეს მოხსენა-დეს მის იმპერატორობით უმაღლესობას“⁴⁷. ამ დადგენილებაზე ნიკოლოზ პირველის მიერ წარწერილია: „ბარათაშვილი განთავისუფლდეს“⁴⁸.

ამრიგად, იმპერატორის განკარგულებით მიხეილ ბარათაშვილი განთავისუფლეს, რადგან ბრალდების ხელჩასაკიდი რაიმე დამამტკიცებელი დოკუმენტი არ აღმოაჩნდათ. იგი „შეწყალებული“, სიმბირსკში დააბრუნეს თავის მოვალეობის შესასრულებლად — გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის თანამდებობაზე. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მიხეილ ბარათაშვილისადმი ასეთი „შელავატი“ და „მოწყალება“ ალბათ იმანაც განაპირობა, რომ მის მიმართ თავიდანვე პირადი ნაცნობობით კეთილად იყვნენ განწყობილნი იმპერატორები — ჯერ ალექსანდრე პირველი, შემდეგ ნიკოლოზ პირველი.

მიხეილ ბარათაშვილის განთავისუფლება პატიმრობიდან. რა თქმა უნდა, არ მოწმობს იმას, რომ მიხეილ ბარათაშვილი დეკაბრისტულ მოძრაობაში არ მონაწილეობდა. „საგამომძიებლო ორგანოს დადგენილება არ გამოდგება ისეთ საბუთად, რომელზედაც შეიძლება დამყარდეს მსჯელობა ბარათაშვილის მონაწილეობაზე დეკაბრისტების საქმეში“. — სამართლიანად აღნიშნავს პროფ. ირაკლი ანთელავა⁴⁹ და იქვე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ დეკაბრისტულ მოძრაობასთან „ბარათაშვილის უშუალო ორგანიზაციული კავშირი ჯერჯერობით არ ჩანს, მაგრამ მისი იდეური ურთიერთობა მათთან თითქოს უეჭველია. უეჭველია, რომ ის იზიარებდა დეკაბრისტების შეხედულებებს მთელ რიგ საკითხებზე“⁵⁰.

დაახლოებით ასეთივე მოსაზრებაა გამოთქმული პროფ. ვ. შადურის ნაშრომში, „დეკაბრისტული ლიტერატურა და ქართული საზოგადოებრიობა“, რომელშიც ვკითხულობთ: „საფიქრებელია, რომ ბარათაშვილი არ ეკუთვნოდა დეკაბრისტთა საიდუმლო საზოგადოე-

47 მოსკოვის ცენტრ. სახ. ისტ. არქივის ფონდი 48, საქმე 199, ფურც. 46, ცტარებულია პროფ. ირ. ანთელავას აღნიშნული წერილიდან, გვ. 165—166.

48 იქვე.

49 იქვე, გვ. 166.

50 იქვე.

ბებს, მაგრამ შეხედულებებით და ნაწილობრივ თავისი მოღვაწეობის ხასიათით იგი უექველად მათთან ახლო იდგა“.

ზაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს მიერ ზემოთ მოხსენებულ მთელ რიგ რუს მკვლევართა ნაშრომებში მიხეილ ბარათაშვილი წარმოდგენილია არა მარტო როგორც იმ დროის ერთ-ერთი მოწინავე, პროგრესულად მოაზროვნე თვალსაჩინო მოღვაწე, არამედ, აგრეთვე როგორც დეკაბრისტული მოძრაობის გატაცებული თანამგრძნობელი და მონაწილეთაგანი. მაგრამ, როგორც იტყვიან ხოლმე, ძალად სახრჩობელას ყულუში თავი არავის არ გაუყვია, და მიხეილ ბარათაშვილსაც არ ჩაუდენია უაზრო საქციელი. დეკაბრისტული მოძრაობის დამარცხების შემდეგ მიხეილ ბარათაშვილმა ყოველგვარი შესაძლებელი ღონე იხმარა, რომ ბრალდებისაგან თავი დაეღწია. და მან, ამას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავისი მოხერხებულობითა და სიმტკიცით მიაღწია კიდევ.

თუნდაც იმ გარემოების გამო, რომ „რუსეთში არსებული საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილების კრიტიკა ბარათაშვილის მიერ... მართალია, უკიდურესად რადიკალური არ იყო, მაგრამ ბევრ რამეში ჰგავს დეკაბრისტების მიერ მოცემულ კრიტიკას“, და რომ „მასონთა საზოგადოებაში, სადაც ბარათაშვილი წლების განმავლობაში ტრიალებდა, ბევრი დეკაბრისტი ირიცხებოდა (ასე, მაგალითად, 1816 წელს „შეერთებული მეგობრების სალონში“ მიღებულ იქნა წევრად ცნობილი დეკაბრისტი მათე ივანეს ძე მურავიოვ-აპოსტოლი. იქვე დაიწყეს თავისი მასონური მოღვაწეობა დეკაბრისტებსა — სერგი გრიგოლის ძე ვოლკონსკიმ და ილია ანდრიას ძე დოლგორუკიმ)“, — არა მარტო იმის დაშვებაა ბუნებრივი, რომ „ბარათაშვილი პირადად იცნობდა ყველა ამათ, ხშირად საუბრობდა მათთან და განიცდიდა კიდევ მათ გავლენას. და დეკაბრისტებიც „სინჯავდნენ“ ბარათაშვილს, ეცნობოდნენ მის აზრებს, შეხედულებებს და ბევრ საერთოსაც ნახულობდნენ მასთან“⁵¹, — არამედ, ჩვენი აზრით, იმ თვალსაზრისის სამართლიანობის აღიარებაც ბუნებრივია, რომ მიხეილ ბარათაშვილი უშუალოდ იყო დაკავშირებული დეკაბრისტულ მოძრაობასთან და შეძლებისდაგვარად მონაწილეობას იღებდა მასში.

პროფ. ირაკლი ანთელავა, ისევე როგორც პროფ. ვანო შადური, მათ მიერ გამოთქმულ მთელ რიგ უდავოდ სწორ და ძალზე საყურადღებო შეხედულებათა მიუხედავად, მაინც არ მივიდნენ იმ კვშმარ-

⁵¹ ი. ანთელავა, დასახელებული შრომა, გვ. 166.

ტების აღიარებამდე, რომ „სიმბირსკის თავადაზნაურობიდან გამოვიდნენ თვალსაჩინო დეკაბრისტები: მიხ. ბარათაშვილი, ვ. ივაშვი, ნ. ტურგენევი“⁵².

საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურული და საარქივო დოკუმენტური წყაროების შესწავლა საშუალებას იძლევა დასმული საკითხი დადებითად იქნას გადაჭრილი: მიხეილ ბარათაშვილი მთელი თავისი საზოგადოებრივი-ლიტერატურული და პოლიტიკური მოღვაწეობით, მთელი თავისი მსოფლმეგრძნებით და იდეური მრწამსით ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა დეკაბრისტებთან, იზიარებდა მათს მისწრაფებებს და სიმბირსკის გუბერნიიდან უშუალო ხელშეწყობით მონაწილეობას იღებდა დეკაბრისტული მოძრაობის საქეთილდღეოდ წარმართვისათვის.

⁵² ა. რიბასოვი, ი. ა. გონჩაროვი, 1812—1891 (რუსულად), 1957, 33-72—73.

შალვა რაბინი

ფილადელფოს კიკნაძე

(ნარკვევი)

ფილადელფოს კიკნაძე (ბერი) XIX საუკუნის 20—30-იანი წლების საქართველოში ცნობილი პიროვნება იყო. „აქტი გონივრისა“ და საიდუმლო ანბანის ავტორი ორმოც წელსაც არ იყო მიღწეული, რომ ციხის აშშორებულ საკანში დალია სული. მაგრამ ხალასი ნიჭით, შრომისმოყვარეობით, განათლებითა და უანგარო მამულიშვილური მოღვაწეობით მან შესძლო თავისი ადგილი დაეჭირა ქართველი ხალხის ისტორიაში.

უთვისტომო, ობლობასა და ტანჯვა-წამებაში გაზრდილი უბრალო ბერი თავისი დროის მოწინავე ადამიანების გვერდით იდგა და დღენიდაღ სამშობლოს ბედ-იღბალზე ფიქრობდა, სიტყვით თუ საქმით ხელს უწყობდა ქვეყნის სასიცოცხლო ძალების ამოძრავებას თავისუფალი და სვებედნიერი მომავლისათვის ბრძოლაში. მართალია, იგი დაეცა ბრძოლის ველზე, როგორც რიგითი ჯარისკაცი, მაგრამ გადარჩა მისი ოცნება, მისი სულის მღელვარება, მის შემოქმედებით თუ პრაქტიკულ მოღვაწეობაში რომაა ჩაწნული. დროის ტრიალმა ჰევრი ფილადელფოსზე უფრო დიდი მასშტაბის მოღვაწე არ დაინდო და სრულ დავიწყებას მისცა. ფილადელფოსი კი გადარჩა და ეს იმიტომ, რომ მან მთელი თავისი არსება ეპოქის ეროვნული სულის ყველაზე მღელვარე ფაზას დაუკავშირა... 1832 წლის შეთქმულებამ ააშორა ფილადელფოს კიკნაძეს დავიწყების ბნელი საფარი და იგივე გარემოება გვიკარნახებს ამჟამადაც, რომ უფრო ახლოს გავეცნოთ ამ კაცის ცხოვრების გზას, მის ნაშრომ-ნაღვაწს. რა თქმა უნდა, ფილადელფოს კიკნაძეს არც რაიმე ახალი მოძღვრება შეუქმნია და არც მაღალმხატვრული ქმნილებებით გაუმდიდრებია მშობლიური ლიტერატურა, მაგრამ რაც გააკეთა, მისი შესწავლა საჭიროა. ეს იქნება კიდევ ერთი მკაფიო დადასტურება იმისა, რომ გასული საუკუნის 20-იან წლებში „არც ქართველთ ეძინათ გონებითა“.

„ფილადელფი ბერი იმ დროის განათლებული ქართველობის სული და გული იყო“-ო, აღნიშნავდა პ. კარბელაშვილი გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე დასტამბულ წერილში¹. მაგრამ როგორ მოახერხა უბრალო ბერმა ესოდენ მაღალი ღირსების მოპოვება იმჟამინდელ წარჩინებულ ქართველთა შორის?

ეს ნათელი ვახდება თუ თვალს გავადევნებთ ფ. კიკნაძის ხანმოკლე ცხოვრების გზას, გავითვალისწინებთ მისი მრავალწახნაგოვანი მოღვაწეობის ხასიათს.

1833 წლის 7 თებერვალს, 1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო კომისიის შეკითხვებზე გაცემულ პასუხებში. ფ. კიკნაძე წერს: „არ იყო ჩვეულება პირველად ქართველთა შორის შობის წელთ მწერლობა, გარნა ცნობისამებრ თავისა ჩემისა სარწმუნოდ ვრაცხ ყოფად ორმოცის წლისა“².

ნათელია, რომ 1833 წელს ფილადელფოსი 40 წლის ყოფილა, მაშასადამე, იგი დაბადებულა 1793 წელს.

ფილადელფოს კიკნაძის მამა იოანე კიკნაძე იმერეთის საზახინო აზნაური, ხოლო დედა თინათინ აბაშიძის ასული იყო. ნათლობის სახელი რქმევია ნიკიფორე, ბერად აღკვეცისას უწოდებიათ ნიკოლოზ, ხოლო „იერომონახათ კურთხევაში მიწოდეს ნებითა მიტროპოლიტის ბოდბელის იოანესითა ფილადელფოს, ვარ იერომონახი თერთმეტი წელი არს“. შვიდი წლის ნიკიფორე მამას იოანე ნათლისმცემლის მონასტერში ჩაუყვანია სასწავლებლად, „საზოგადოს ძმათ ხარჯით“. როგორც თვითონ აღნიშნავს. ფილადელფოსი ადრე დაობლებულა. დედაც და მამაც გარდაცვლილან „გაძლიერებულისა დიდის ჭირისაგან“. ეს უნდა მომხდარიყო 1811 წელს. ცნობილია, რომ ახალციხესთან მებრძოლ ჯარებში გაჩენილი შავი ჭირი სწრაფად მოედო საქართველოს, მთელს ამიერკავკასიასა და დაღესტანსაც. განსაკუთრებით მძვინვარებდა იგი დასავლეთ საქართველოში, სადაც 1810 წელს ნაადრევად დამდგარმა ყინვებმა მოსპო ჭირნახული, ხოლო 1811 წელს ისეთი შიმშილობა ჩამოვარდა, რომლის მსგავსი მოსახლეობას არ ახსოვდა. დამშეულ ქვეყანას საოცარი სისწრაფით მოედო შავი ჭირი. განსაცდელში მყოფ ქვეყანას თავს დაატყდა ახალი სტიქიური უბედურება — წყალდიდობა, რის შედეგადაც ბარის.

¹ გაზ. ივერია, 1903, № 219.

² გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, 1935, გვ. 344—35.

გლებთა ასობით ოჯახი ფუძიანად მოიშალა. მოსახლეობის თითქმის ერთი მესამედი ამოწყდა. საუბედუროდ, მშობლებთან ერთად ამოწყვეტილან ფილადელფოსის მახლობლებიც. ამის შემდეგ ფილადელფოსს მშობლიური კუთხე, მამისეული კერა აღარ უნახავს, ან რა გული გაუწევდა იქეთკენ! ერთ უბედურებას მეორეც ზედ შერთვია— მშობლების გარდაცვალების უმალ მეზობელ თავად აბაშიძეს ფილადელფოსის მშობლიური სახლი გადაუწვავს და მთელი ეზო-კარმიდამო მოუსპია. ამის შემდეგ ფილადელფოს კიკნაძეს საკუთარი სახლი, საკუთარი კერა აღარასოდეს ჰქონია.

დაობლებული, უთვისტომო და უსახლკარო ფილადელფოსი უცხო მხარეში მარტოდმარტო რჩება ცხოვრების პირისპირ, მაგრამ სულით არ ეცემა. კეთილი ადამიანების შემწეობით ფილადელფოსმა ნათლისმცემლის მონასტერში გააგრძელა მეცადინეობა. აქ მან შეისწავლა „საღმთო წერილის წერა და სჯული ღვთისა“. ამის პეღს ნათლისმცემლის მონასტერი ვერას მისცემდა ჰაბუკს და მის სწავლა-განათლებასაც თითქოს აქ უნდა დასმოდა წერტილი. მაგრამ არ, ერთ ნშვენიერ დღეს ნათლისმცემლის მონასტერი მოინახულა ხირსის მონასტრის არქიმანდრიტმა ნიკიფორემ. ნიკიფორეს ძალზედ მოსწონებია მკვირცხლი, ცნობისმოყვარე, მაგრამ ობოლი ბიჭი და თან წაუყვანია ხირსის მონასტერში. არქიმანდრიტ ნიკიფორეს შიქლებილადკარად ყველაფერი გაუკეთებია, რათა ფილადელფოსს სათანადო განათლება მიეღო: „მნახა, რომ ობოლი და უპატრონო ვიყავ, — წერს ფილადელფოსი, — წამიყვანა თავისთან და ვიმსახურებდი ეკლესიაში; შემდგომ მიმბარა ოსტატს და მასწავლა ქართულს ენაზე ფილოსოფია და ღვთის მეტყველება“.

როგორც ვხედავთ, ფილადელფოსს ჰაბუკობაში გვარიანი განათლება მიუღია. ამასთან ერთად, ფილადელფოსს ჩინებული ნიჭი გამოუჩენია ქართულ გალობაში. მას ცალკე მგალობელთა გუნდიც შეუდგენია, რომლის ლოტბარიც თვითონვე ყოფილა. მალე ამ გუნდმა ფართოდ გაითქვა სახელი, ფილადელფოსმა, როგორც „შვენიერმა მგალობელმა და განათლებულმა ბერმა, ბატონიშვილებისა და ანტონ II კათალიკოსის ყურადღებაც კი დაიმსახურა.

ხირსის მონასტერში ფილადელფოსს რამდენიმე წელიწადს უმსახურია. შემდეგ კი რუსული ენის შესწავლის მიზნით ფილადელფოსი გადმოსულა თბილისში და დამკვიდრებულა ფერისცვალების მონასტერში. ჰკვიანი, განათლებული, ჩინებული მგალობელი და სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი ფილადელფოსი მალე თბილისის

საზოგადოებაშიც ცნობილი პიროვნება შეიქნა. ბერის შავ სამოსში გახვეული ფილადელფოსი ყველასათვის სასურველი სტუმარი იყო.

1826 წელს ფილადელფოსი რუსეთში გამგზავრებულა. როგორც თვითონ შენიშნავს, „მოთხოვნისამებრ კათალიკოსს ანტონისა გაგზავნილ ვიქმენ რუსეთს“-ო. იგი რუსეთიდან მალე დაბრუნდა. მაგრამ ამ დაბრუნების მიზეზი დღესაც გამორკვეული არ არის. თვითონ კი წერს, რომ „შემდეგ გარდაცვალებისა კათალიკოსისა, მოვბრუნდი ისევ ტფილისს“-ო, მაგრამ ეს მართალი არ არის. კათალიკოსის სიყვდილი აქ არაფერ შუაშია. სინამდვილეში კი სხვა მასალებს ანალიზის საფუძველზე აი, როგორ გამოიყურება რუსეთში მისი ხანმოკლე მოგზაურობის ისტორია:

„1811 წლის 10 ივნისს იმპერატორ ალექსანდრე I კათალიკოზ პატრიარქს ანტონ II ორი რესკრიპტი უბოძა — ერთით წარმოუგზავნა წმ. ანდრია პირველწოდებულის ორდენი, მეორეთი დაითხოვა სამსახურიდან და უბრძანა რუსეთში წამობრძანდიო“³.

ანტონი ვერ გადასვლია იმპერატორის ბრძანებას და გამგზავრებულა რუსეთს. საცხოვრებლად აურჩევია ნიჟნი ნოვგოროდი, რადგან აქ მახლობლად სოფ. ლისკოში ცხოვრობდნენ თურმე ვახტანგ VI შთამომავალი ბატონიშვილები, მისი ნათესაეები. აი, ამ ანტონ II 1826 წლის 16 მარტს მიუწერია საქართველოს ეგზარხოსის იონასათვის — ორი ბერი, ერთი მღვდელი, მონაზონი და ერთი იერო დიაკონი გამომიგზავნე, რათა ქართულად მიწირონ და მილოცონ ზოღბეო. მღვდელ-მონაზონთა შორის თვითონ ანტონს შეუჩრევია თეოდანე მაჩაბელი, დავით გარეჯის მონასტრის ხაზინადარი; სხვა დანარჩენი ეგზარხოსს უნდა შეერჩია, ეგზარხოს იონას ყურადღება შეუჩრებია ფილადელფოს კიკნაძეზე, რომელიც რამდენიმე წლის წინ იონანე ბოდბელის რჩევით თვითონ გადმოუყვანია თბილისის დარის მონასტერში.

მლ. პ. კარბელაშვილი მიუთითებს, რომ ანტონ კათალიკოსს „იონანე გაუგზავნა თეკლე ბატონიშვილის თანხმობით ფილადელფო ბერი და თან გაატანა იერო დიაკონი დანიელ მეტრეველი“. ანტონს ამ ბერების სამგზავრო ფული 20 თუმანი წინასწარ გამოუგზავნია.

პ. კარბელაშვილისავე ცნობით, ფილადელფოსი და დანიელი მოსკოვში ჩასულან ივლისში. ანტონს რომ მათი მოსკოვში ჩასვლის

³ მლ. პ. კარბელაშვილი, ბერი ფილადელფო კიკნაძე, „ივერია“, 1903, № 219.

ამბავი შეუტყვია, არხიმანდრიტ ათანასესათვის ბერების სახარჯოდ ათი თუმანი გამოუგზავნია. ამ ცნობას ადასტურებს თვითონ ფილადელფოსი ზემოხსენებულ ჩვენებაში: „ვიყავ მოსკოვს... აქედან მიმავალი კათალიკოსთან, დავისვენე ერთ კვირას ღონის მონასტერში, მამა არხიმანდრიტს ათანასესთან“.

მოსკოვიდან ფილადელფოსს და მის თანამგზავრს რის ვაივაგლახით სექტემბერში ჩაულწევიათ ნიჟნი ნოვგოროდში კათალიკოს ანტონ II.

კათალიკოსს გულთბილად მიუღია საქართველოდან ჩასული ბერები. დაუნიშნავს ჯამაგირი თითოეულისათვის ხუთი თუმანი და ახალი კაბა-ანაფორებიც შეუკერავს. სულ რაღაც ოთხი თვე დაჰყო ფილადელფოსმა ნიჟნი ნოვგოროდში. 1827 წლის 20 იანვარს იგი საქართველოში გამოისტუმრეს. რამ გამოიწვია ფილადელფოსის ესოდენ სწრაფად დაბრუნება საქართველოში?

რუსეთში ცუდ ფეხზე ჩავიდა ფილადელფოსი. იქ ყოფნის ოთხი თვიდან ერთი გამოძიებასა და პატიმრობაში გაატარა. იონა ხელაშვილისადმი მიწერილ ბარათში ს. დოდაშვილი წერდა: „კვალად ფილადელფი შეპყრობილი ჰყავდათ ერთი თვე აქა და აქითგან ქვევით ნიჟნი ნოვგოროდის წარუყვანიათ, რომლიცა დიდ ფრიად შესაწუხარ არს“⁴.

რატომ უნდა დაეპატიმრებინათ ფილადელფოსი?

პრაფ. გ. გოზალიშვილი შენიშნავს: „მართალია, არსებობს ცნობები იმის შესახებ, რომ რუსეთში ყოფნის დროს ფილადელფოსს მის მახლობლად მყოფ პირებთან ჰქონია რაღაც უთანხმოება, რასთანაც დაკავშირებულია რამდენიმე უსიამოვნო მომენტი (თავის მართლების მიზნით, მოწინააღმდეგეთა წინააღმდეგ წერა), მაგრამ ეს პირადი ურთიერთობის სფეროს ამბები ვერ მიაყენებს ფილადელფოსის პიროვნებას საიმისო ჩრდილს, რომ იგი დაგმობის ღირსი გახდეს, მით უმეტეს, რომ აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, იგი განთავისუფლებულ იქნა პასუხისმგებლობისაგან და დააბრუნეს საქართველოში“⁵.

აქედან ის აზრი გამოდის, რომ თითქოს ფილადელფოსი სხვათა დაბეჭდების თუ დასმენის (თუნდაც მოწინააღმდეგეების) გულისათვის დაუპატიმრებიათ. მაგრამ ეს მოსაზრება დამაჯერებელი ვერ არის.

⁴ ს. დოდაშვილი, თხზულებანი, 1961, გვ. 259.

⁵ გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. II, 1970, გვ. 57.

უფრო სარწმუნოა მეორე მოსაზრება: ფილადელფოსი „რუსეთში ყოფნისას მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედებისათვის გამოძიებასა და პატიმრობაში ყოფილა (იხ. წერილი № 25), მაგრამ ანტონ II კათალიკოსის გავლენით გათავისუფლებულა“⁶.

აი, რას ამბობს ამ საკითხთან დაკავშირებით თვითონ ფილადელფოსი: „ყოფასა ჩემსა ნიქეგოროდს კათალიკოსთან აღმძრა მე ნახმან გრძობანმა სულისა ჩემისამან, და თანამდებობითგან სიყვარულჲან ღვთისა, და ცხებულისა მისისაგან, არ ვიცოდი წესი სასაზართლოსა, არცა სჯულები მათი, ლიტონის და მართლის გულით გამოვაცხადე უშესაბამო ლაპარაკი რაც იყო იქ (ახი ჩემი — შ. რ.), ამასხედა ვიყავ მე ქვეშე გამოძიებისა, გარნა მოხსენებისამებრ ჩემისა მათს დიდებულებასთან რომ მე არ ძალჲედვა ფორმისამებრი დამტკიცება, ყოვლად უმოწყალოდ ინება სამლოთოთა ხელითა თავისითა განთავისუფლება ჩემი სასამართლოდამ და წამოსვლა საქართველოში აღრჩევად ადგილისა სადაც მე მინდოდა“⁷.

როგორც ვხედავთ, ფილადელფოსი ციხეში მოხვედრილა არა სხვათა დაბეზღებისათვის, არამედ ხელისუფლების წინააღმდეგ „უშესაბამო ლაპარაკისათვის“. ეს კარგად უნდა სცოდნოდა 1832 წლის შეთქმულთა საქმეების საგამომძიებლო კომისიას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ფილადელფოსი ზედმეტ ტვირთს არ აიკიდებდა და სიტყვასაც არ დასძრავდა თავისი ბიოგრაფიის ზემოხსენებულ მომენტზე.

ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რომ იმპერატორის რეჟიმისადმი კრიტიკული დამოკიდებულება, რომელიც ესოდენ მკაფიოდ გამოამჟღავნა მან რუსეთში, უნებლიე მომენტი არ ყოფილა ფილადელფოსისათვის.

ფილადელფოსისათვის დიდი დახმარება აღმოუჩენია ანტონ II კათალიკოსს. მას „მეამბოხე“ ბერი საქართველოში დაუბრუნებია 1827 წლის 20 იანვარს.

სხვათა შორის, არ არის მართალი, თითქოს ფილადელფოსი „1827 წელს, ანტონის გარდაცვალების შემდეგ, წამოსულა საქართველოში“⁸.

საქმე იმაში გახლავთ, რომ თბილისისაკენ მომავალი ფილადელფოსისათვის საყვედურის წერილი გამოუტანებია ანტონ II კათა-

6 ს. დოდაშვილი, თხზულებანი, 1961, გვ. 395.

7 ვ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. I, 1935, გვ. 346.

8 ს. დოდაშვილი, თხზულებანი, 1961, გვ. 395.

ლიკოსს (ცხადია, გარდაცვლილი ანტონი წერილს ვერ დაწერდა) საქართველოს ეგზარხოს იოანასადმი, რაკი ფილადელფოსი იონას რეკომენდაციით იყო წარგზავნილი.

„ფილადელფი ჩემი გუნებისა ვერ გამოდგა, მოუსვენარიიო“, — წერს ანტონი იონას⁹. ანტონისადმი 1827 წლის 28 თებერვლის თარიღით გაგზავნილ საპასუხო ბარათში ეგზარხოსი იონა თავისმართლების მიზნით წერს: „თქვენთვის დის თეკლეს თანხმობით და იონა ბოდბელ მიტროპოლიტის რჩევით გაახელით ფილადელფი ბერიო“¹⁰. საქართველოში მომავალ ფილადელფოსს სამშობლოს გათავისუფლებისათვის ბრძოლის იდეაც მოჰქონდა¹¹. ეს აზრი საფუძველს მოკლებული არ გახლავთ.

რუსეთიდან დაბრუნებული ბერი ეგზარხოსმა იონამ შუამთის მონასტერში გაგზავნა. ამიერიდან მთელი დარჩენილი სიცოცხლე ფილადელფოსმა შუამთაში გაატარა. იგი ხშირად ჩამოდიოდა თბილისში; ერთხანს მასწავლებლის ადგილიც უძებნია, მაგრამ ვერ უშოვია.

ფილადელფოსმა საქართველოში მჩქეფარე მოღვაწეობა გააჩაღა როგორც პედაგოგმა, შემოქმედმა და სამშობლოს თავისუფლებათვის მებრძოლმა.

შუამთის მონასტრის უბრალო ბერი მთელი არსებით შეუერთდა 1832 წლის შეთქმულების მონაწილეებს და წლებს მანძილზე კალმით თუ საქმით „მამულის გამოსხნის“ იდეას ემსახურებოდა. მაგრამ 1832 წლის შეთქმულების მონაწილეთა საქმე უკუღმა დატარილდა, შეთქმულება გასცეს. შეთქმულნი დააპატიმრეს, დააპატიმრეს ფილადელფოს კიკნაძეც. ეს მოხდა 1833 წლის იანვრის პირველ რიცხვებში. გაჩხრეკისას ფილადელფოსს უამრავი ნაწერები ჩამოართვეს, აქედან ნაწილი მაშინვე დაწვეს.

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ შეთქმულთა შორის გრ. ორბელიანსა და ფილადელფოსს კიკნაძეს ყველაზე მეტი წერილობითი მასალა აღმოაჩნდათ. ეს მაშინ, როდესაც ფილადელფოსმა დაპატიმრებამდე ბევრი რამის მოსპობა მოასწრო, და როგორც თვითონ წერს, „რომელშიაც გამოცხადებით არა ეწერა რა იმიტომ არ დავწვი, რომ თუ არ ენახათ უფრო დიდ ექვს მოიტანდნენ და იქვის გასაქარვებლად დავადე, და არც მეგონა თუ მომაგნებდნენ, იქ

⁹ იხ. „ივერია“, 1903, № 129.

¹⁰ იქვე.

¹¹ იქვე.

რომ ჩემი აქტი („აკტი გონიური“ — შ. რ.) არ გამოცხადებულა, მე ვერ მომაგნებდნენ“.

ამ აღსარებიდან ისიც აშკარაა თუ, რაოდენ ფრთხილი, დაკვირვებული და გამოცდილი შეთქმული ყოფილა ფილადელფოს კიკნაძე.

ფილადელფოსი დააპატიმრეს შუამთაში: „გაუკეთეს ბორკილი წელზე და ყელზე გრძელი თოკი მოაბეს. ამ თოკის ერთი წვერი მისცეს ცხენზე მჯდომ ყაზახს ხელში და უკან ფეხით გამოიყენეს ფილადელფოსი, სადაც ცხენოსანი ყაზახებიც ფეხდაფეხ მისდევდნენ და ამგვარათ ჩამოიყვანეს ტფილისში“¹².

ადვილი წარმოსადგენია, ისედაც სუსტი ჯანმრთელობის ფილადელფოსი. როგორც ჩამოვიდოდა შუამთიდან თბილისში ბორკილგაყრილი ფეხით. სარწმუნო უნდა იყოს ის ცნობაც, რომ გაღიზიანებული სალდათები გზაში საშინლად სცემდნენ ფილადელფოსს და ეს ყველაფერი ხდებოდა 1833 წლის იანვრის სუსხიან დღეებში, ყინვა რომ ძვალსა და რბილში ატანდა კაცს.

ძიუხუნდავად ყველაფრისა. ფილადელფოსი მხნე განწყობილებით შეუერთდა ავღაბრის ყაზარმებში გამომწყვდეულ თანამოაზრეებს. იგი შეეცადა იმთავითვე კავშირი დაემყარებინა სხვა შეთქმულებთან, რომლებიც მეზობელ ოთახებში იყვნენ ჩაკეტილები.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ფილადელფოს კიკნაძე ისე დააპატიმრეს, ვერც კი მოასწრო წინასწარ შეხვედრა თავის შეთქმულ კოლეგებთან და გარკვეული გეგმის შემუშავება. თბილისში მყოფი შეთქმულების ხელმძღვანელებმა კი მოასწრეს ურთიერთ-შეხვედრა; მათ ბევრი რამ ერთობლივად გაანადგურეს და ერთგვარად შეემზადნენ კიდევ მომავალი დაკითხვებისათვის. ამ ფაქტს უთუოდ აქვს გარკვეული მნიშვნელობა.

სოლომონ დოდაშვილის, ზაქარია ჩოლოყაშვილისა და სხვა ჩვენებებიდან ირკვევა, რომ მათ უფრო ადრე იცოდნენ შეთქმულების გაცემის ამბავი, ვიდრე ანტონ აბხაზს კორაჟუსის უფროსი დაიბარებდა. გასაგებია, რომ ასეთ შემთხვევაში შეთქმულები გარკვეულ ღონისძიებებს გაატარებდნენ. საყურადღებოა ერთი ცნობა, რომელსაც ალ. ორბელიანი ვადმოგვცემს თავის მოგონებაში: „...მინამ დაგვიქერდნენ ერთი თვის წინად გული მიგრძნობდა ჩვენს დაჭერას. ამიტომ ჩემი საიდუმლო ქაღალდები და ის ჩემი დაწერილი ძველი ამბების სია ერთს ქილაში ჩავაწყვე, ზევიდან ერთი სალა სიპი

¹² შ. კიკნაძე, ისტორია ფარული საზოგადოებისა, ფილადელფოს კიკნაძე, 1919, გვ. 21.

ქვა პირზე დავაგდე, საკუქნაოს კუთხეში მე და ჩვენმა გრიგოლა დიაკვანმა ორმო მოვთხარეთ, ის ქილა შიგ ჩავდგით და მიწით ამოვავესე, ამ სიტყვით: „გრიგოლა დიაკვანო, შენ ჩემი სარწმუნო პირი ხარ და ჩვენი ამბებიც იცი რა ამბებშიც ვართ ჩვენ ყმაწვილი კაცები, ვინცობა არის რა ვიცით იქნება დაგვიპირონ, ეს ქილა მაშინვე ამოიღე და რაც ამაში ქალაღები იყოს, საჩქაროდ დასწვი, მაგრამ, გაუფრთხილდი დაწვის დროს არაეინა გნახოს. ამ ქილაში ჩემი მიწერილი წიგნის პასუხიც მქონდა ბიძაჩემის ბატონიშვილს ალექსანდრესი, რომ ჩვენ დაგვიპირეს, გრიგოლ დიაკვანსაც ის ჩემი თქმული აღესრულებინა“.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა მეორე ცნობაც:

ფ. კიკნაძისათვის მასთან ერთად დამწყვედულ ნათალაშვილს უკითხავს:

„ეს ყმაწვილები რომ დაიპირეს ხომ შეიტყობდი, და თუ კიდევ გამოცხადება არ გინდოდა ის წიგნები რაღად გქონია“—ო¹³. ფილადელფოსს უპასუხნია: „რომელშიაც გამოცხადებით არა ეწერა რა ამიტომ არ დავწვი, რომ ეგ თუ არ ენახათ უფრო დიდ ექვს მოიტანდნენ და იქვის გასაქარვებლად დავაგდე და არც მეგონა თუ მომაგნებდნენ. იქ რომ ჩემი აქტი¹⁴ არ გამოცხადებულყო მე ვერ მომაგნებდნენო“¹⁵.

ამ ორი დოკუმენტიდანაც ნათელია, რომ შეთქმულებმა დაპატიმრებამდე ნაწილობრივ მაინც მოასწრეს მამხილებელი კვალის დაფარვა. მაგრამ ეს საკმარისი არ იყო. დადგენილია, რომ შეთქმულები დაპატიმრების შემდეგ ცდილობენ ურთიერთდაკავშირებას და საკირო ინფორმაციის ურთიერთგაცვლას¹⁶.

ფაქტებიც რომ ხელთ არ გვქონდეს, ისედაც სავარაუდებელი იქნებოდა, რომ ფილადელფოს კიკნაძეც შეეცდებოდა რაიმე კავშირი დაემყარებინა დაპატიმრებულ მეგობრებთან. ამას მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ფილადელფოსი მალე გამოეთიშა ამხანაგებს, ისედაც სუსტი ჯანმრთელობის ფილადელფოსი დაპატიმრებამ, შუამთიდან თბილისში ფეხით. ბორჯილგაყრილმა ჩამოსვლამ, ციხის მძიმე ატმოსფერომ სწრაფად და-

¹³ იგულისხმება ფილადელფოსისათვის სხვადასხვა პირებთან მიმოწერის ჩამორთმევა.

¹⁴ იგულისხმება „აქტი გონიური“.

¹⁵ გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. 1, 1935, გვ. 8.

¹⁶ იქვე, გვ. 11—14.

ასწავლა. ფილადელფოსი ზოგ სხვა ბერთან ერთად გადაყვანილ იქნა დარიის მონასტერში. აქვე გარდაიცვალა კიდეც 1833 წლის 2 სექტემბერს.

ციხის უფროსმა პოლკოვნიკმა შოსტენკამ ყოველივე აცნობა იონა ეგზარხოსს და თან წარუდგინა ფილადელფოსის ციხეში ნაქონი ნივთები — გეოგრაფიული რუქები, ღურბინდი, წიგნები და სხვ. ამასთან, ფული — 94 მანეთი. მიცვალებულის გვამს უპატრონა დარიის მონასტრის ბერმა ილუმენმა იოანემ. ფილადელფოსი დაასაფლავეს იმავე მონასტრის ეზოში, სამრეკლოს სამხრეთით, შესავალ კართან.

ეგზარხოსმა იონამ ფილადელფოსის ფულიდან 10 მანეთი და 20 კაპიკი ჩააბარა ილუმენ იონას, რათა მიცვალებულის დასამარხი ხარჯები დაეფარა, ხოლო დანარჩენი 83 მანეთი 80 კაპიკი შუამთის „მონასტერში მიაქცია ეკლესიის სასარგებლოდ“. ყოველივე ეს ეგზარხოსმა იონამ დაწვრილებით აცნობა სინოდის ოპერპროკურორს ნეჩაევს.

ასეთია ფილადელფოს კიკნაძის ცხოვრების გზა.



ფილადელფოს კიკნაძე, როგორც აღვნიშნეთ, მკვირცხლი, დაუდგარი, ცოცხალი ნიქისა და ერთობ შრომისმოყვარე ყოფილა. ამასთან იგი ტკბილი და სასიამოვნო სასიმღერო ხმითაც დაუჭილდობია ბუნებას. პატარა ფილადელფოსი მგალობელთა გუნდში ჩაურიცხავთ, როცა წამოზრდილა, მას ცალკე დამოუკიდებლად ჩამოუყალიბებია მგალობელთა გუნდი. ამ გუნდს, როგორც გადმოგვცემენ, არაერთხელ მოუხიბლავს მსმენელი.

არ არის გამორიცხული, რომ ფილადელფოსის გუნდი წარჩინებული ოჯახების კერძო შეკვეთითაც გალობდა. ამ გზით კი ქაბუკი ფილადელფოსი უშუალო კონტაქტებსაც დაამყარებდა წარჩინებულ ადამიანებთან. მაგრამ სიმღერა და გალობა ფილადელფოსის მოღვაწეობის ერთი მხარე იყო. ფილადელფოსი ცნობილი იყო, როგორც ფართოდ განსწავლული და ყმაწვილთა შესანიშნავი აღმზრდელ-მასწავლებელი. პედაგოგობა ფილადელფოსის შინაგანი მოწოდება იყო, მაგრამ ისე ჩავიდა სამარეში ეს კეთილი ადამიანი, რომ უბრალო მასწავლებლის ადგილიც კი ვერ იშოვა. ფილადელფოსი ბევრჯერ ფეხით ჩამოსულა შუამთიდან თბილისში, ბევრი ვინმეც შეუწუხებია, მაგრამ ამოდ. ფილადელფოსს განსაკუთრებით ს. დოდა-

შვილის იმედი ჰქონია. ერთ-ერთ ჩვენებაში ს. დოდაშვილი წერს: „იერომონაზი კიკნაძე 1831 წელს ერთ წერილში მთხოვდა შემეწყობ ხელი, რომ მისთვის მიეცათ სამღვთო სჯულის მასწავლებლის ადგილი თელავის სასწავლებელში ან სხვაგან სადმე... იგი უკანასკნელად 1830 წელს (უნდა იყოს 1832 წელი — შ. რ.) ვნახე ჩემს სახლში მოსული, საუბარი ისევ მისთვის მასწავლებლის ადგილის შოვნას შეეხებოდა“¹⁷.

თავის მხრივ არც ს. დოდაშვილს დაუკლია ცდა, რომ მეგობრისათვის დახმარება აღმოეჩინა. მაგრამ ამ ცდას რაიმე შედეგი არ მოჰყოლია¹⁸. ფილადელფოსი კი მაინც განაგრძობდა თავის პედაგოგიურ მოღვაწეობას. იგი ერთი იმ პირველთაგანი იყო, ვინც ხალხში გავიდა და გლეხკაცის შვილებს უსასყიდლოდ ასწავლიდა წერა-კითხვას.

ფ. კიკნაძის ამხანაგი მღვდელ-მონაზონი გენალი გადმოგვცემს: ფილადელფოსი „მართლაც შესანიშნავი კაცი იყო, ბერების მოყვარე, გლეხკაცების ძმა და ყველას ამხანაგი, აბა მასზედ ცუდს ვინ რას იტყობდა, შუა მთას ჰქონდა სასწავლებელი და უფასოდ ასწავლიდა (დაყოფა ჩვენია — შ. რ.) თავადაზნაურობის, თელავის მოქალაქეების და გლეხთა შვილებს. ჩვენ ბერებსაც ბევრს რამეს გვასწავლიდა“¹⁹.

ფილადელფოსს, როგორც განათლებულ პედაგოგს და აღმზრდელს, მოკლე ხანში ისეთი სახელი მოუხვეჭია, რომ იმდროის ბევრი წარჩინებული ქართველის ოჯახი ცდილობდა შვილების აღმზრდელად ფილადელფოსი მოეწვია.

შემორჩენილია რაფიელ ერისთავის მამის დავითის პასუხი საგამომძიებლო კომისიის შეკითხვაზე, სადაც წერია: „იერომონაზი ფილადელფოს გავიციან შუამთის მონასტერსა შინა სხვათა შორის ბერებთა თანა..მას ებარა ჩემი ბიძაშვილი გიორგი და კვალად შვილსაცა ჩემსა რაფაელსაცა უპირებდი მიბარებას, და ამისათვის ვწერდი წიგნებს ქართულის წერილის შესწავლისათვისო“.

დავით ერისთავს პატარა რაფიელი მართლაც მიუბარებია ფილადელფოსისათვის. ეს უნდა მომხდარიყო 1831 წელს. როგორც ჩანს, რაფიელ ერისთავი ფილადელფოსის შეგირდად უნდა ყოფილიყო ფილადელფოსის დაპატიმრებამდე.

¹⁷ გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, II, 1970, გვ. 146.

¹⁸ ს. დოდაშვილი, თხზულებანი, 1961, გვ. 311.

¹⁹ ზ. კიკნაძე, ფილადელფოს კიკნაძე, 1919, გვ. 15.

ფილადელფოსს უდიდესი გავლენა მოუხდენია გიორგი ერისთავზე, შემდგომში გამოჩენილ პოეტსა და დრამატურგზე. სხვათა შორის, გ. ერისთავი ღმერთს მადლს სწირავდა, რომ მას ყმაწვილობაში მოძღვრად ფილადელფოსი მოეყვინა.

„გმაღლობ შენ კეთილგანგებო, — წერდა გ. ერისთავი ფილადელფოსისადმი გაგზავნილ ერთ კერძო ბარათში, — რომელმაც შემაკავშირე კეთილთა გვამთა, და მომეც მოძღვრად ფილადელფოს“²⁰.

თუ როგორი სასურველი მასწავლებელი ყოფილა ფილადელფოსი და როგორი მაღალი ავტორიტეტით სარგებლობდა იგი ფართო საზოგადოებაში, ნათლად მეტყველებს ფილადელფოსის არქივიდან გადარჩენილი თელავის მაზრის მცხოვრებთა თხოვნა ფილადელფოსის მასწავლებლად დანიშვნის თაობაზე²¹.

მართალია, ეს „თხოვნა“ დარჩა ხმად მლაღადებლისა, სამაგიეროდ შთამომავლობას შემორჩა იმდროინდელი თელავის მაზრის წარჩინებული საზოგადოების დასტური იმის შესახებ, რომ ფილადელფოსს კიკნაძე იყო „ქეშმარიტი ქრისტიანებრითი ქვეყისა“, ღრმად განსწავლული ფილოსოფოსი. საბუნებისმეტყველო და მათემატიკური საგნების მცოდნე. ამასთან ერთად, ფილადელფოსი იყო ღმობლიური ისტორიისა და ლიტერატურის ჩინებული მცოდნე, პოეტური მღელვარებისა და რევოლუციური სულისკვეთების ადამიანი, თუმცა ამის შესახებ თანამედროვე საზოგადოებამ არაფერი იცოდა. სამშობლოს თავისუფლებისათვის რევოლუციური სულის აღტკინება ერის რჩეულ შვილთა საიდუმლოდ რჩებოდა.

ფილადელფოსს კიკნაძე წარჩინებულ ადამიანებთან დაახლოებას პირადი აღზევებისა და ბედნიერებისათვის როდი იყენებდა. იგი სიკვდილამდე ცხოვრობდა როგორც უბრალო ბერი, „ბერობის წესით. ჯამაგირი... წელიწადში ექვსი თუმანი შემოსავალი საწირავი და ჯამაგირი ათი თუმანი, ოდესმე მცირე, ოდეს მეტი“.

ზემოთ ჩვენ უკვე გვქონდა შესაძლებლობა გვეთქვა, რომ ეგზარხოსმა იონამ 1826 წელს რუსეთში მყოფ კათალიკოს ანტონ II ფილადელფოსს კიკნაძე გაუგზავნა თეკლე ბატონიშვილის რეკომენდაციით. რეკომენდატორი კი შეუძლებელია თუ ყოველმხრივ არა, ახლოს მაინც არ იცნობდეს იმ პირს, ვისაც რეკომენდაციას უწევს.

20 გ. ერისთავი, თხზულებანი, 1936, გვ. 363.

21 იხ. გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. II, 1970, გვ. 55—56.

აძღენად, ნათელია, რომ ფილადელფოსს მშვენივრად იცნობდნენ თბილისში მცხოვრებ ბატონიშვილთა წრეში. ამ ფაქტს არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს! საქმე იმაში გახლავთ, რომ არ შეიძლება ბატონიშვილებთან ურთიერთობაში ფ. კიკნაძეს არ ეგრძნო და არ შეემჩნია ის სევდა-ნაღველი, რომელიც მოუტანა ბაგრატიონთა ტახტის მემკვიდრეებს საქართველოს რუსეთთან შეერთებამ. აქ იგი არაერთხელ მოისმენდა თავისუფლების, დამოუკიდებლობის, მამულის დაკარგვით გამოწვეულ კენესა-წუხილს.

და თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ ბერი ფილადელფოსის მკერდში სცემდა მამულის სიყვარულით ათრთოლებული გული, მაშინ ნათელი შეიქნება, თუ როგორ მიესადაგებოდა ფილადელფოსის პატრიოტულ მღელვარებას ბატონიშვილების წრეში გამეფებული სულიერი განწყობილება. ამ წრეში უნდა ჩავარდნოდა გულში ფილადელფოსს „მამულის გამოხსნის“ აზრის ნაპერწკალიც, რომელიც სულ მალე მოგიზგიზე კოცონად იქცა და რომელზედაც ბოლოს და ბოლოს თვითონვე დაიფერფლა.

არ შეიძლება არ გავიხსენოთ ისიც, რომ ფილადელფოსს ახლო კეთილშეგობრული დამოკიდებულება ჰქონდა ალექსანდრე ჰავკავაძესა და მის დიდ ოჯახთან.

იგი, როგორც ჩანს, შეთქმულების ჩასახვამდე გაცილებით ადრე იცნობდა ალ. ჰავკავაძეს. ფილადელფოსის ქალაქებში აღმოჩნდა ალ. ჰავკავაძის პირადი წერილი ფილადელფოსისადმი, რომელიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნის მათ ურთიერთობაზე; აგრეთვე ჩვენს ხელთაა ფილადელფოსის ერთი ჩვენება, რომელიც აგრეთვე შეიცავს რამდენიმე საყურადღებო დეტალს ამ საკითხთან დაკავშირებით.

საგამომძიებლო კომისიის შეკითხვაზე — იცნობდით თუ არა თ. ალ. ჰავკავაძესო, ფილადელფოსს ასეთი პასუხი გაუცია: „ცნობაი მათის ბრწყინვალებისა, ლენერალის ალექსანდრე ჰავკავაძისა მაქვს დიდი ხნით ამა შემთხვეულობისა გამო, რომ ვიყავი და ვმსახურებდი ქისიყის ხირსის მონასტრის არხიმანდრიტის ნიკიფორესთან. ალექსანდრე ჰავკავაძე არის სიბე არხიმანდრიტის ნიკიფორესი. ამისათვის შემთხვეულებისამებრ მოვიდოდა იგი მასთან, მნახენდნენ მეცა იქ და მიბრძანებად მოწყალებიანსა სიტყვასა. შემდგომ ყოველთვის მყვანდა პატივცემული ცნობა, გარნა წერილობითი საუბარი არა მქონიეს ადრე მასთან. მხოლოდ რომ 1819-ს წელსა აღმოსწერე წმინდათა ცხოვრებიდან ცხოვრება წმინდისა, ქალწულ

მოწამისა მარინასი და მივართვი ქიზიყიდან დედასა მისსა მარიამს, რომლისათვისაცა ებრძანებინა წერილობითი მადლობა. გარდა ამისა არა მქონიეს მასთან სხვა მიწერ-მოწერა; წარსულს 1832-ს წელსა ვიყავ მასთან შემთხვეულებისა ამისათვის, რომელ ვთხოვლობდი სამონასტროდ პურს, გარნა კნიაზი არ იყო შინ და არც მინახავს. 1832 წელს გაზაფხულზე ვიახელ მას კვალადაცა სათხოვნელად სამონასტროდ ღვინისა, მაშინ შინ ბრძანდებოდა. ვახლდი ერთს ღამეს, მაშინ იმის სახლიდამ წამოვიღე გასასინჯად ძველი ქართული გლობუსი და სხვა მათემატიკის იარაღები. შემდგომ მეც მქონდა ერთი ძველი წიგნი ქართული, მათემატიკური მრიცხველობა, რომელიც მეც არ ვიცოდი რა იყო, ის გადავსწერე და მივართვი მეცა სანახავად, და მასთან ვსთხოვე მცირედი კარგი ღვინოც ებოძებინა და პასუხიცა მიეწერა მადლობა წიგნისა, შემდგომ წარსულ აგვისტოში (1832 წლის აგვისტოში — შ. რ.) ვიახელ, ერთს ღამეს ვახლდი, და წამოველ დილაზე. ამის მეტი მცნობლობა ანუ მიწერ-მოწერა მასთან არა რაი მქონიეს არცა სხვა რაიმე საუბარი“²².

ამ ცნობის თანახმად, ფილადელფოსს ალ. ჰავკავაძე უნდა გაეცნო დაახლოებით 1815—16 წლებში (ამ დროს იგი ახალი გადასული იყო ხირსის მონასტერში). შემდეგ ისე ახლოს გაუცენია ალ. ჰავკავაძე და მისი ოჯახი, რომ ალ. ჰავკავაძის დედის—მარიამისათვის მიუროთქვია მის მიერვე ამოკრებილი მასალების საფუძველზე შედგენილი წმინდა მარიამის ცხოვრება.

როგორც ჩანს, ფ. კიკნაძეს კალამი იმთავითვე ემარჯვებოდა, თორემ უნიჭო და უხეირო თხზულებას იგი ვერ აკადრებდა ალ. ჰავკავაძის ოჯახს.

შემდგომში, როგორც ჩანს, ფილადელფოსს წესად გაუხდია, რომ თავისი თხზულებები უპირველეს ყოვლისა ალ. ჰავკავაძისათვის ეჩვენებინა. ამას უნდა ადასტურებდეს ალ. ჰავკავაძის წერილი ფილადელფოსისადმი, რომელიც დაწერილია 1832 წლის 22 მარტს. ამავე დროს ალ. ჰავკავაძის წერილი ნათელი საბუთია იმისა, თუ როგორი ახლო ურთიერთობა მქონდა მის ოჯახთან ფ. კიკნაძეს. აი, ეს წერილიც:

„მამაო ფილადელფოს!

წერილმან თქვენმან მშვიდობის თქვენისა სწავებითა მახარა და

²² გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. I, 1935, გვ. 276—277.

ხსოვნისა ჩემისა დამტკიცებითა დამდვა ვალი საამო მადლობისა. ესრეთვე ნაღვაწმან თქვენგან ხატმან ქვისა ალექსანდრე ნეველისა-მან, რომელიცა დამშობისა სამარადისოდ ნიშნად მტკიცედ ჩემდა ზომართისა თქვენგან სიყვარულისა.

ასტრონომიისა იარაღნი, გარდა მისი, რიჰელნიცა მოგართვით. არლა მქონიან, და საათი მზისა გარდასაღებლად თვით მომირთმევია ჩუღითა დიაკონისა თქვენისაჲა. რვეულთა თქვენთაჲ წარვიკითხავ, შემდეგ მოგახსენებთ რაისაცა ვპოვებ მასშინა სასარგებლოსა.

ღვინო მოგართვი საუკეთესო, მაგრამ სიმცირისათვის ნუ დაგმობ. ღვინის თვისებისათვის ასე იტყვიან:

ღვინო თვისებას არ ჰსცვალვს,
არამედ უმატებს ძალებს,
კეთილ თვისებათ მქონემან
ჭერარს სვას, კეთილს უმრავლებს.

ეს ლოთური ლექსია, ნუ გამიწყრებით დიდ მარხვაში მოწერისათვის.

შენს მადლსა, როცა მოიცალო, დაგვხედე, რომლითაც დია ვალ-დებულ ჰყოფ თქვენს უმორჩილეს მოსამსახურეს თ. ალექსანდრე კავკაძეს²⁴. გასაგებია, რომ ამგვარ წერილებს მახლობელ ადამიანებს სწერენ ხოლმე.

ფ. კიკნაძის ყველაზე ახლო სულიერი მეგობარი მაინც ს. დოდაშვილი იყო. თავისი დროისათვის ამ გამოჩენილ ადამიანთან მეგობრობამ ბევრის მხრივ შეუწყო ხელი ფილადელფოს კიკნაძის ამბოხი სულის ფორმირებას. წლების მანძილზე ფ. კიკნაძე მხარში ედგა ს. დოდაშვილს კულტურის თუ რევოლუციური მოღვაწეობის ყველა სფეროში. ს. დოდაშვილი თორმეტი წლის იყო (ე. ი. 1817 წელს), როდესაც ხირსის მონასტერში გაიცნო ფ. კიკნაძე. აქედან მოკიდებული, ვიდრე სიკვდილამდე ისინი ახლო მეგობრები იყვნენ და ვატაცებით ემსახურებოდნენ ქართული კულტურის, ქართული ეროვნული სულის აღორძინების საქმეს. მათ თითქმის ერთდროულად იკისრეს შეთქმულის მძიმე ტვირთიც. ამასთან დაკავშირებით მეტად საყურადღებოა 1826 წლის 20 დეკემბრით დათარიღებულა

²³ ჭერჭერობით გამორკვეული არ არის, რომელ რვეულზე თუ ნაწარმოებზეა აქ საუბარი.

²⁴ გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება ტ. II, 1970, გვ. 54—55.

ს. დოდაშვილის წერილი, რომელიც მან პეტერბურგიდან გაუგზავნა დ. კლდიაშვილს ნიუნი ნოვგოროდში. ეს ის პერიოდი გახლავთ, როდესაც უნივერსიტეტდასრულებული ს. დოდაშვილი თბილისისაკენ მიემართებოდა. მაგრამ ვიდრე ამ წერილის სათანადო ადგილს გავეცნობოდეთ. უნდა გავიხსენოთ, რომ ახალგაზრდა ს. დოდაშვილი ჯერ კიდევ პეტერბურგში, ბატონიშვილთა წრეებში ეზიარა „მამულის გამოსხნის“ იდეას. იგი საქართველოში მოემგზავრებოდა სამშობლოს განთავისუფლების ძლიერამოსილი იდეით შთაგონებული. მაგრამ ამ დროისათვის (1826—1827 წწ. მიჯნა) საქართველოში. კერძოდ თბილისში, ჯერ კიდევ არ იყო დამკვიდრებული ამბოხების, გზით ქვეყნის განთავისუფლების იდეა. ამიტომ ამ იდეის „გადმონერგვა“ საქართველოში განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა წარმოებულყო.

რა თქმა უნდა, ს. დოდაშვილი იქნებოდა თუ სხვა ვინმე. თავის გულის ნადებს ესოდენ სერიოზულ საკითხებზე პირველ რიგში ახლო მეგობარს გაანდობდა, ამიტომ არაფერია იმაში გასაოცარი, რომ ს. დოდაშვილს ფიქრები მამულის გამოსხნის შესახებ უპირველესად თავისი ახლო მეგობრის ფილადელფოსისათვის გაენდო. ს. დოდაშვილს სრული ინფორმაცია ჰქონდა რუსეთში ფ. კიკნაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. მან ისიც კარგად იცოდა, რომ ფილადელფოსი 1827 წლის დასაწყისში ისევ თბილისში უნდა დაბრუნებულიყო. ამ წელს პეტერბურგიდან დაბრუნდა ს. დოდაშვილიც.

როგორც წერილიდან ჩანს, ს. დოდაშვილს სურდა ფილადელფოსი მალე წასულიყო საქართველოში, ვინაიდან აქ პირისპირ შეიქმნებოდა საშუალება იმის თქმისა, რაზეც მეტად ბუნდოვნადაა მითითებული ზემოხსენებულ წერილში. აი, რას წერს ერთ ადგილას სოლომონ დოდაშვილი: „უკეთესი ღმერთი ინებებს, იქნება მინისტრ-მან წარმგზავნოს ტფილისად, მე კი ჯერეთ არა მსურს წასვლა; ჩემს კერძო არა სასიამოვნოდ არს თქვენი აქ დაახლოება. მე ვაზმნობდი სხვისა რაისამე და ოდეს მთავრობასთანა სრულ ვყოფ, მაშინ ძალ-მძის ცნობად თქვენდა, რომელი აწცა მაქვს იგივე და მსურდა თქვენი მყოფობა ამის მიზეზისათვის საქართველოსა შინა, არა შესახებლად მისსა, სადაც მე მაწესებენ, არამედ სხვა აზმნობა არს სასარგებლოდ მამულისა“²⁵.

დღემდე საკამათოდაა ქცეული ციტირებული წერილის ბოლო სტრიქონის აზრი. ბევრი მკვლევარი ფიქრობს, რომ გამოთქმა „სხვა

²⁵ ს. დოდაშვილი, თბ. 1960, გვ. 248.

აზნობა არს სარგებლად მამულისა“ უნდა გულისხმობდეს შეთქმულების ამბავსო.

1832 წლის შეთქმულების მასალების ისეთი ჩინებული მცოდნე, როგორც გახლავთ პროფ. გ. გოზალიშვილი, ამ საკითხთან დაკავშირებით წერს: „ამ წერილში იმდენად ნიშანდობლივ არის ლაპარაკი, რომ შეუძლებელია მისი სხვანაირად გაგება, თუ არა ისე, რომ პეტერბურგში მყოფ ქართველთა შორის შეთქმულების უჭრელი უკვე ჩასახულა, და რაც საინტერესოა — საქართველოში ამგვარი ამბის მოლოდინში ყოფილან“²⁶. ზოგი მკვლევარი, მაგ., მ. გოცაძე არ იწყნარებს ამ შეხედულებას²⁷.

მას მიაჩნია, რომ ზემოხსენებულ წერილში არამც თუ ლაპარაკია შეთქმულების შესახებ, არამედ არც შეიძლებოდა ასეთი რამ თქმულიყო, ვინაიდან თვით ს. დოდაშვილი შეთქმულების ჩასახვის იდეას პირველად მხოლოდ 1827 წლის მეორე ნახევარში ეზიარაო. აქაა სწორედ მკვლევრის შეცდომის ძირი. დღესდღეობით არავისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ ს. დოდაშვილი პეტერბურგიდან საქართველოში „მამულის გამოხსნის იდეით“ შთაგონებული ბრუნდებოდა. ეს იმდენად ცხადია, ახლა, რომ სიტყვის გაგრძელებაც არ ღირს.

„სხვა აზნობა“ გულისხმობს პეტერბურგში ს. დოდაშვილის საქმია.ოაა „ლოგიკის“ გამოცემასთან დაკავშირებითო. კი ბატონო, ამ საკითხზე მართლაც არის წერილში საუბარი, მაგრამ აქ შეიძლება წერტილის დასმა? თუ მხოლოდ „ლოგიკაზეა“ საუბარი, მაშინ რაღად წერს ს. დოდაშვილი „მსურდა თქვენი მყოფობა ამის მიზეზისათვის საქართველოსა შინა“? ვითომ რაში წაადგებოდა „ლოგიკის“ გამოცემას პეტერბურგში ფილადელფოსის საქართველოში ყოფნა?! ეს ხომ სრული უაზრობა იქნებოდა.

მ. გოცაძის „კრიტიკა“ ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

1827 წელს იანვარში თბილისში დაბრუნდა ფ. კიკნაძე, ამავე წლის ივლისში კი — ს. დოდაშვილი. აქედან მოკიდებული კიდევ უფრო ღრმავდება და მტკიცდება ამ ორი ადამიანის მეგობრობა.

მართალია, ს. დოდაშვილი პეტერბურგის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ღრმადგანსწავლული და იმპერიის მასშტაბით აღიარებული „ლოგიკის“ სახელმძღვანელოს ავტორი გახლდათ, ხოლო ფილადელფოსი უბრალო ტანჯული ბერი, მაგრამ ამით მათ ურთი-

²⁶ გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. I, 1935, გვ. 18.

²⁷ მ. გოცაძე, სოლომონ დოდაშვილი, 1955, გვ. 101—103.

ერთობას ჩრდილი არ მისდგომია. ისინი ორივენი ჩაგრული საქართველოს შვილები იყვნენ და ორივეს მშობელი ქვეყნის სამსახური მიაჩნდა უმთავრესსა და უწმინდეს მოვალეობად. აკი ერთი მიზეზითა და ერთი მიზნით დაეცნენ კიდევ სამშობლოს განთავისუფლებიანათვის ბრძოლაში.

ფილადელფოსისათვის ს. დოდაშვილი მარტო მეგობარი კი არა, იდეური მეთაური და მასწავლებელი იყო. იგი მუდამ მხარში ედგა ს. დოდაშვილს და რითაც შეეძლო უმსუბუქებდა იმ მძიმე ტვირთს, რომელიც ისტორიულმა ვითარებამ ს. დოდაშვილს დასდო მხრებზე.

თავის მხრივ ს. დოდაშვილი დიდ ანგარიშს უწევდა ფილადელფოსს, როგორც განსწავლულ და ეროვნული საქმისათვის თავდადებულ მოღვაწეს. სანიმუშოდ მოვიტანთ ს. დოდაშვილის მიერ ფილადელფოს კიკნაძისადმი გაგზავნილ ერთ წერილს, რომელიც მრავალმხრივ არის საინტერესო.

„უსასიამოვნესი წერილი თქვენი მებოძა, — წერს ს. დოდაშვილი, — რომელმანცა ფრიად მახარა უძვირფასესი სიმართლე თქვენი. თქვენის საქმისა მე წარსულ წელს მოგწერე, და არ ვუწყვი მოვერთვათ თუ არა? არკიერთან რამდენჯერმე გახლდათ ღირეკტორი, გარნა არ ინება წარმოედგინა მიზეზნი სხვა და სხვანი. შემდგომ არ ვიცი რა იქნება²⁸. გაზეთები და ჟურნალი გამოდის (ივლისსხმება გაზ. „ტფილისის უწყებანი“ და ჟურნალი „სალიტერატურონი ნაწილინი“ „ტფილისის უწყებათანი“ — შ. რ), წელიწადში რვა მანეთი თეთრი ფული გახლავთ მისი ფასი.

უკეთუ თქვენ აღწერთ რასმე სტიხად თუ პროზად. დაპბეკდენ ჟურნალში, მე გირჩევთ იყიდოთ, ამისათვის, რომელ მრავალი სასარგებლო აღწერა იქნება იმაში და უკეთუ თქვენ შეჰნიშნავთ რასმე ცუდსა, ძალგიძთ წინააღმდეგობანი დასწეროთ, რომელიც დაიპბეკდება. ორს ნომერს ეხლავე გიგზავნი. რვა მანეთი გამოგზავნეთ, თუ გნებავდეთ მანდაურს ნაჩაღნიკს მიართვით და ის გამოგზავნის, რათა შემდგომნი ნომრებიც კომიტეტმა გამოგიგზავნოს. სხვათაცა სთხოვე და კიდევ ეცადეთ, რათა ხელი მოაწერონ. მე ფრიად დამავალებთ, ამისათვის, რომელ ცოტანი არიან ხელის მომწერნი და ხარჯი მრავალი უნდა. თუ დადგეს დაბეკდება მთავრობისაგან ქართველთათვის სირცხვილია. როგორ არ უნდა ვისურვოთ ენის გამ-

²⁸ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ფ. კიკნაძეს სურდა სადმე მასწავლებლის ადგილი ეშონა. დახმარებისათვის არაერთჯერ მიმართა ს. დოდაშვილსაც, მაგრამ როგორც ჩანს, ამ უკანასკნელმა კმედითი დამხმარება ვერ აღმოუჩინა.

დიდრებისათვის, მაჰულის დიდებისათვის და გონების განათლები-
სათვის ესრეთი სასარგებლო საქმე. გთხოვ ეცადნეთ ათიოდ მსურ-
ველი იშოვოთ. თუ მეტს იშოვნით — უფრო უკეთესი. ნურავინ
დაჰზოგავს რვა მანეთს, ყოველთავე ურჩიე“²⁹.

ამ წერილიდან სრულიად ნათელია ს. დოდაშვილის ფილადელ-
ფოსისადმი დამოკიდებულების ხასიათი. ძნელი შესამჩნევი როდია,
რომ ს. დოდაშვილი ფილადელფოსს ისეთ კაცად მიიჩნევს, რომელ-
საც კარგად ესმის პერიოდული ორგანოს თუ მხატვრული შემოქმე-
დების ფასი ერის სულიერი ცხოვრების აღორძინების საქმეში.

ამავე დროს, ს. დოდაშვილი ფ. კიკნაძეს ანგარიშს უწევდა რო-
გორც კრიტიკოსს, მოაზროვნეს. აკი სთავაზობს კიდევ, თუ კი ისურ-
ვებ, შენს მხატვრულ ნაწერებს დავბეჭდავ ჟურნალში და იმასაც
სიამოვნებით მოვათავსებთ, თუკი კრიტიკულ რაიმეს დაგვიწერთო.
ამავე წერილში, როგორც ვხედავთ, ს. დოდაშვილი სთხოვს დაეხ-
მაროს ჟურნალ-გაზეთების გავრცელების საქმეში. არც ეს არის
შემთხვევითი. ს. დოდაშვილისათვის ფილადელფოსი უბრალო ბერი
რომ იყო, ასეთი თხოვნით არც მიმართავდა. მან მშვენივრად იცის,
რომ ფილადელფოსი სწავლა-განათლების მგზნებარე პროპაგანდის-
ტა იყო. მას მუდამ ჰყავდა შემოკრებილი მსმენელთა გარკვეული
ჯგუფი, რომელთაც ფ. კიკნაძე ცოდნის სხვადასხვა საკითხებზე ესა-
უბრებოდა. მეტიც, დადგენილია, რომ ფილადელფოს კიკნაძე ეროვ-
ნული თავისუფლების იდეის შესანიშნავი მქადაგებელი იყო. ეს
ცნობილი უნდა ყოფილიყო შეთქმულების საქმეთა საგამომძიებლო
კომისიისათვის და რაც, ნებისთ თუ უნებლიეთ, გამკლავებულია
ფილადელფოსის ოფიციალურ ჩვენებებში.

ერთი შენიშვნაც: გამორკვეულია, რომ „შეთქმულთა“ მოქმე-
დება მარტო თბილისით არ შემოიფარგლებოდა, მათ გაცხოველე-
ბული ურთიერთობა ჰქონდათ რუსეთში და სპარსეთში მყოფ ქართ-
ველ თანამოაზრეებთან, აწარმოებდნენ მიწერ-მოწერას საქართვე-
ლოში მყოფ შეთქმულების თვალსაჩინო წევრებთან, როგორც მა-
გალითად, ფილადელფოს კიკნაძესთან. ამ უკანასკნელს თავის მხრივ
ასეთივე ურთიერთობა დაუმყარებია სხვა წევრებთან. თელავის მაზ-
რა ფილადელფოსთან მჭიდრო ურთიერთობაში ყოფილა.

აი, მაგ., რას წერს დავით ერისთავი ფილადელფოსს: „თურმე
საქმეზედ მიწერ-მოწერა გაქვთ და მე კი არას მატყობინებთ, უეჭ-
ველად სარწმუნო უნდა ბრძანდებოდეთ“... და სხვ... დაწერილია

29 ს. დოდაშვილი, თხზულებანი, 1961, გვ. 311—312.

1830 წელს მაისის 27-ს. როგორც ამ საქმეში დაცული მიმოწერიდან ჩანს, კახეთის უდიდესი ნაწილი, განსაკუთრებით თელავის მაზრა, ფილადელფოსთან მკიდრო ურთიერთობაში ყოფილა შეთქმულების გამო, ხოლო შემდეგში (1832 წ.) გიორგი დავითის ძე ერისთავი და ფილადელფოსი, ამ უკანასკნელის მიერ შედგენილი საიდუმლო ანბანის საშუალებით ურთიერთშორის გაცხოველებულ მიმოწერას აჩაღებენ³⁰.

ვფიქრობთ, ნათელი უნდა იყოს, რაოდენ დიდი მასშტაბით აწარმოებდა ფ. კიკნაძე შეთქმულთა იდეების პროპაგანდას. ფ. კიკნაძის მოღვაწეობის არსი კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდება თუ ყურადღებით განვიხილავთ მისივე წერილობით ჩვენებებს.

მაგრამ ფ. კიკნაძის და მის თანამოზიარეთა ჩვენებები მეტ დამაჯერებლობას შეიძენს, თუ წინასწარ გავითვალისწინებთ მათ მიწერ-მოწერას ახლო მეგობრებთან.

ამ მხრივ ფრიად საინტერესოა გ. ერისთავის წერილები ფილადელფოსისადმი.

ერთ წერილში დ. ერისთავი ფილადელფოსს წერს: „შენი წერილი მებოძა, რომელიც ავანტყოფი მწოლიარ აღმადგინა სარეცელით, ზე უღმერთოვ, პატარა ადრე მოგეწერა, რა მადლი გინდოდა“³¹.

ამასთან დაკავშირებით პროფ. გ. გოზალიშვილი განმარტავს: „თუ მოვიგონებთ, რომ პეტერბურგში დიმიტრი ბატონიშვილი ყველას საქართველოში მომავალს საზოგადოების შედგენასა და გავრცელებას ავალებდა, ძნელი დასაშვები არ იქნებოდა, რომ ს. დოდაშვილს უკვე ასეთი საზოგადოება ჰყავდა ელიზბარის ჩამოსვლამდის. ყოველ შემთხვევაში ფილადელფოსს თავის მხრივ უკვე ჰყოლია ხალხი შეიძენილი და ურთიერთ შორის მიწერ-მოწერაც გაუმართავთ“³².

მაშასადამე, ფ. კიკნაძე ბრუნდება თუ არა საქართველოში, ს. დოდაშვილთან ერთად თავგამოდებით იღწვის შეთქმულთა საზოგადოების შექმნისა და გავრცელებისათვის.

თბილისში 1830 წლისათვის უკვე ჩამოყალიბებული იყო შეთქმულების ცენტრი (ალ. ორბელიანის, ელ. ერისთავის და ს. დოდაშვილის შემადგენლობით), ხოლო ადგილებზე ცენტრის მითითებებს ასრულებდნენ შეთქმულების ერთგული და ამასთან, განათლებული, ორგანიზატორული ნიჭით გამოჩინებული ადამიანები. ასეთი იყო,

30 გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. I, 1935, გვ. 30.

31 იქვე, გვ. 24.

32 იქვე.

მაგალითად, შუამთაში ფ. კიკნაძე. ფილადელფოსის მოღვაწეობაზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის შეთქმულების მასალებში დაცული მღვდელ მესხიშვილისა და ნათელაშვილის ერთი ჩვენება. როგორც პესხიშვილი და ნათელაშვილი აღნიშნავენ, საქართველოში მათთან ერთად გამოძეგვდებულ ფილადელფოსს უთქვამს: „ოდეს იყო საქართველოსა... მეფის ძე ოქროპირ გამომიცხადა მე ჰაზრი საქართველოსა შინა მეფობის აღდგენისა, რომელ უკეთუ საქართველოსა შინა მოხდების რაიმე აღრეულობა ანუ წინააღმდეგობა, მაშინ ხელმწიფე როსიისა დაუტევებს საქართველოსა და თუ ამ საგანზედ ეცდები შენ როგორმე ხალხის შეგონებას და აღდგება საქართველოსა შინა მეფობა, მაშინ რომელ ეპარხიაზედაც გსურს მღვდელ მთავრად გაკურთხებთ და სასწავლებელს მოგანდობთ; ამაზედ გვქონდა ლაპარაკი, მე უთხარი ოქროპირსაო ვე ჰაზრი სხვათ ვინც იციან თუ არ გამოჰიცხადებ, მე გაგცემ. მაშინ ოქროპირმა მითხრაო, ეს საქმე იციან შაჰზადესთან რომ ნევრი (ლეკი — ყოველ შემთხვევაში ვინაობა გამოურკვეველია — შ. რ.) არი იმან, აგრეთვე აქ რომ ფრანცუცია (საფრანგეთის საკონსულოს მდივანი ლეტელიე — შ. რ.), რომელ ქართულსაც სწავლობს, იმან და ერთი აგრეთვე წვერნალები მოხუცი კაცი დადიოდა, იმანაც იცის და პორფირი ბერმაო და სხვამ არავინ იცისო. შემდგომად, როდესაც წავიდა ოქროპირ და მე კახეთში წავედი, რამდენსამე ხანს უკან ვიყავ თელავს და მიველ თავადს აბელ ჩოლოყაევთან, რომელიც იდგა ივანე ღვდლის სახლში. იმ დროს აბელ დადიოდა გარეთ ბალკონზე შეწუხებული და ოხრამდა, მე ვკითხე რა მიზეზი, მან მითხრა: „ამდენს ტანჯვასა და მწუხარებაში ვართ და ყვედრებაში, რომ სათქმელი რამე გვინდოდეს სიმართლე ხმას ვერ ამოვიღებთ და როგორ არ შევწუხდეთ“. მერმე უთხარი: მაგის საშუალებას უნდა ეცადნოთ შეიძლება განთავისუფლება და უთხარი აბელსაო როგორც შესაძლებელი იყო ეს საქმე. ამიერიდგან იყო აბელ და იმ თადარიგში, რომ ფშავხევისურეთის ხალხი უნდა მოეხიზნა როგორმე. და ივანე ერისთავი რომ ჭარში მიდიოდა, მაშინ იმ ხეობაში დაბრკოლება თუ რაღაც მომხდარა, ისიც აბელის დარიგება იყოვო, რომ მეზობლები არიან ამ მხარის ხალხი და ნუ მოვიმდურებთო (ვითომც აბელს ეთქვას და ასე შეეგონებინოს ხევსურებისათვის) და თოფის წამლისათვისაც ფული გაუგზავნა აბელმა მთაშიო. ამავე აზრზე მყვანდა ჩემი ნათლიმამა, ნოდარი ჯორჯაძე, გამზადებული თავის სამოურაო ხალხის დიდებით, რომ ისინი დაღესტანსაც აურევედნო, და კვლად ამ აზრზე ლაპარაკი გამოუცხადე ლენერალ მაიორს ქავკაეაძეს და უთხარი ზემოხსენებული

თადარიგები. მაშინ ქავეკავაქემ მითხრა სხვანიც არიან თადარიგში და სახელები კი არ მითხრაო. გარდა ამათსა სხვებსაც ალევგორიულად რამდენსამე უთხარი, როგორც რევაზ მყაყევს, აგრეთვე სხვათა თავადაზნაურთა და გლუხთაცა, რომ სირცხვილია თოფ-იარაღი არ გაქვთ რაგზედ დაწყობილი ამდენი მტერიანობა არი, როგორი ყმაწვილნი კაცნი ხართ და ამგვარად რამდენთამე ჰქონდათ თადარიგო. ეგრეთვე ქიზიყში იმედი მქონდა, რომ კაცნი მყვანდნენ იმისთანანი, რომლებიც შესძლებდნენ გაღმა ლეკებისა და გამოღმა ხალხის არევას. და კახელი გლუხკაცობისა ადვილი იყო ყველგან ამითი, რომ ეთქვა სალდათს ითხოვენ, მაშინვე აირეოდნენო. აგრეთვე დავიო ერისთავს უთხარი ამავე აზრის წასამართლებლად არაგვზე წაღიო და იქაურს ხალხს კარგად ეჩვენე, რომ ისინიც მზად იყვნენ. და ის დავითიც იმ თადარიგში იყოო. ერთ დროს ჩოლოყაანთსა ვიყავით მიწვეულნი არხიმანდრიტები, თავადები და სამღვდელოებანი. უკ თავადებმა სადილის უწინ მომიტაცეს და ხელიხელ დავეყვანდიო. მერმე, როცა მოგბრუნდით იქ, სადაც სადილი იყო მომზადებული, მე უთხარი თავადებს: აგრე მომატებით ჩემს პატივისცემას ნუ აგრძნობინებთ, ხალხში ამიგდეთ, რადგან არხიმანდრიტები ჩემზე უფროსნი არიან, შურს აიღებენ და ვაი თუ სხვა რიგად იფიქრონ რამე და საშიშიაო, ხოლო როცა პატარა გიორგი ერისთავი (ცნობილი დრამატურგი — შ. რ.) ვნახე ჩოლოყაანთ სახლში და მითხრაო ჩვენ რამდენიმე ვართ და გვსურს მამულისათვის სასარგებლო რამ და გვაქვს ამაზე შეკრებულობაო, ეს აზრი რომ გავიგონე, რომ ჩემს აზრსა გვანდა, მაშინ აღუთქვი აქტის (იგულისხმება „აქტი გონიური“ — შ. რ.) მიცემა და იმგვარად ალევგორით ვილაპარაკეთ, რომ ისიც მიხვდა და მეც ერთმანეთის აზრსა. ამოიარა მონასტერში გიორგიმ და მივეცი აქტი და თუმცა იქ ეწერა კანონი თუ როგორ ერთს მეორისათვის გამოეცხადებინა, მაგრამ როგორც მე მქონდა კახეთში დაწყობილი, რომ მეტმა და იმის მეტმა არავინ იცოდნენ, ვისაც მე ვეუბნებოდი, ესე იგი, იმათ ერთმანეთისა არ იცოდნენ, თუ სახელდობრ რომელმა იცოდა ეს საქმე და რომელმა არა³³.

ეს ფრიალ საგულისხმო დოკუმენტია, მაგრამ არის კი ის „დოკუმენტი“? უფრო ზუსტად, უთხრა კი ფილადელფოსმა ამგვარი რამ ზემოხსენებულ პირებს, თუ მათ მოიგონეს იგი და შემდეგ ფ. კიკნაძეს მიაწერეს? როგორც ჩანს, ასეთივე კითხვა გასჩენია საგამომძიებლო კომისიასაც.

³³ გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. I, 1935, გვ. 51—33.

ამასთან დაკავშირებით ინტერესმოკლებული არ არის ფილადელფოს კიკნაძის სიტყვიერი ჩვენება:

„იერომონახ ფილადელფოს კიკნაძემ, რომელსაც წარედგინა პორუჩიკ ნათალოვისა და მღვდელ ეფრემის ჩვენებები მისი მოთხრობის შესახებ (იგულისხმება ჩვენს მიერ ციტირებული მონათხრობი — შ. რ.), განაცხადა, რომ მოთხრობილის აზრი შეეფერება მის მიერ ნათქვამის სინამდვილეს, მაგრამ ეფრემისა და ნათალოვის მხილებაში მოთხრობილი წარმოდგენილია როგორც დიდი მნიშვნელოვანი რამე, მაშინ, როდესაც მან ის უამბო მათ ხუმრობის სახით და ისიც მათი დაქინებით მოთხოვნის შემდეგ“³⁴.

აშკარაა, რომ ფილადელფოსს მართლა უთქვამს ის, რასაც მესხიშვილი და ნათალაშვილი გადმოგვცემენ, რაც შეეხება იმას, რომ უველაფერი ხუმრობით ვთქვიო, ჯერ ერთი, რა ეხუმრებოდა საპყრობილეში დამწყვდეულ შეთქმულს, მეორეც, ვინც ჩვენს მიერ ციტირებულ ტექსტს დააკვირდება, დარწმუნდება, რომ ფილადელფოსი „ხუმრობდა“ არა მაშინ, როცა გატაცებით ესაუბრებოდა მესხიშვილსა და ნათალიშვილს, არამედ, როცა საგამომძიებლო კომისიას სიტყვიერ ჩვენებას აძლევდა.

რომ ფილადელფოსს ეკუთვნის ჩვენთვის საინტერესო მონათხრობი, სხვათა შორის, ტექსტში შემორჩენილი რამდენიმე დეტალიდანაც მშვენიერად ჩანს.

ასე, კახელი გლენობის „ამბოხება“ იოლი იყო. ამისათვის საკმარისი იყო მეუქვა „საღდათს ითხოვენო“.

ამავე დროს, ცნობილია, რომ სწორედ ამ მეთოდზე ამყარებდნენ დიდ იმედებს შეთქმულების ხელმძღვანელები. მათი „საიდუმლო“ კი შეიძლებოდა სცოდნოდა ფ. კიკნაძეს, როგორც ცენტრთან დაახლოებულ პირს, და არავითარ შემთხვევაში მღვდელ მესხიშვილს ან ნათალიშვილს.

შემდეგ, აქ აღწერილია თუ როგორ და რა ვითარებაში გადასცა ფილადელფოსმა „აქტი გონიური“ ახალგაზრდა გ. ერისთავს. ამ საკითხის ირგვლივ ანალოგიურ სურათს ხატავს ფ. კიკნაძე საკუთარი ხელით დაწერილ სხვა ჩვენებებში³⁵.

ჩვენი აზრით, ამ ჩვენებებიდან სრულიად უეჭველი ხდება, რომ ფ. კიკნაძეს შეთქმულების იდეა ოქროპირ ბატონიშვილმა შთააგო-

³⁴ გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. 1, 1935, გვ. 480.

³⁵ იქვე, გვ. 261—263.

ხა. ამავე ოქროპირმა და მისმა პეტერბურგელმა თანამოაზრეებმა აზიარეს ს. დოდაშვილიც „მამულის გამოსხნის“ იდეას.

სრულიად აშკარაა ისიც, რომ ფ. კიკნაძეს დაუყოვნებლივ დაუწყვია პრაქტიკული მოღვაწეობა. იგი გარს იკრებს საიმედო ადამიანებს. მაგრამ ამავე დროს მკაცრად იცავს კონსპირაციის წესებს. საქმე იქამდე მისულა, რომ ფილადელფოსს იმედი ჰქონია საჭიროების შემთხვევაში აეჯანყებინა არა მარტო კახეთის, არამედ მთის მოსახლეობაც, მეზობელი დაღესტნისა და სხვა მცხოვრებნიც. ამავე დროს ფ. კიკნაძეს მკიდრო კონტაქტი ჰქონდა ცენტრთან, კერძოდ ს. დოდაშვილთან.

ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ს. დოდაშვილი ზედმიწევნით იცნობდა ფ. კიკნაძის საქმიანობას და თვალს ადევნებდა მის ორგანიზატორულ და პროპაგანდისტულ მოღვაწეობას. ამიტომ სრულიადაც აღარ გამოიყურება დაუსაბუთებლად ს. დოდაშვილის ცნობილი ნათქვამი: მე მარტო ერთს შემიძლია მთელი კახეთი ავაჯანყო. ამ დროს, უდავოა, იგი ანგარიშს უწევდა არა მარტო საკუთარ ავტორიტეტს და დამსახურებას, არამედ იმ შედეგებსაც, რომელსაც დიდი ცდითა და მეცადინეობით მიაღწია მისმა მეგობარმა ფ. კიკნაძემ.

ამავე ნაამბობიდან დიდ ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ ფ. კიკნაძეს თავისი გულის ნაღები ბოლოსდაბოლოს ალ. ჭავჭავაძისათვისაც გაუზიარებია³⁶. ალ. ჭავჭავაძეს კი თავის მხრივ უთქვამს: „სწვანიც არიან თადარიგშიო“. ეს კი იმის უტყუარი საბუთია, რომ იმ დროს საქართველოში, კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოში უკვე მოქმედებდნენ შეთქმულთა ცალკეული ჯგუფები. ამას ადასტურებს იასე ფალავანდიშვილი: „სოვეტნიკმა (ალ. ორბელიანი — შ. რ.) მითხრა, რომ ეხლა ორი საზოგადოება იქნება, ერთი გენერალ მაიორ ჭავჭავაძისი, ლუარსაბ ორბელიანითურთ, ხოლო მეორე გენერალ მაიორ თავად მუხრანსკისაო“³⁷.

მაშასადამე, სრულიად აშკარაა, რომ საქართველოში აქტიურ ორგანიზატორულ-პროპაგანდისტულ მუშაობას ეწევიან შეთქმულთა ცალკეული ჯგუფები. ბუნებრივია, თითოეულ ჯგუფს თავისი მეთაური ეყოლებოდა, ხოლო თავის მხრივ ეს მეთაურები თბილისში

³⁶ ზემოთ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ფილადელფოს ბერი ძალზედ დაახლოებული იყო ალ. ჭავჭავაძესთან და მის ოჯახთან. ამ დაახლოების მიზეზი მიზნის ერთიანობაც უნდა ყოფილიყო.

³⁷ გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. I, 1935, გვ. 33.

ცენტრთან იქნებოდნენ დაკავშირებული. ამ შემთხვევაში ცენტრის მიზანი ნათელია: შეთქმულთა ცალკეული ჯგუფების ჩამოყალიბება, მათი გაძლიერება და საბოლოოდ კი გაერთიანება. როგორც ვხედავთ, შეთქმულების ხელმძღვანელები გარკვეული გეგმით, კანონზომიერად წარმართავენ საერთო-სახალხო აჯანყების გეგმის ხორცშესხმას. თავი დავანებოთ იმის ძიებას, თუ რამდენად სწორი და რეალური იყო ეს გეგმა და მისი განხორციელების გზები, ამჟერად ჩვენთვის მთავარია ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ 1832 წლის შეთქმულების ხელმძღვანელთა ჩანაფიქრის რეალიზაციის საქმეში უთუოდ აქტიურ როლს ასრულებდა ფილადელფოს კიენაძე, როგორც ორგანიზატორი და პროპაგანდისტი. ამავე დროს, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ფ. კიენაძემ შეიმუშავა შეთქმულთა ურთიერთობის კონსპირაციული საშუალება და შეთქმულების ორგანიზაციის ერთგვარი წესდება. მხედველობაში მაქვს მის მიერ შექმნილი საიდუმლო ანბანი და „აქტი გონიური“.

სამეცნიერო ლიტერატურაში უცილობლადაა მიჩნეული, რომ საიდუმლო ანბანის შემქმნელი ფ. კიენაძეა. მრავალთაგან აი, ერთი საბუთი: „მან მითხრა, — წერს გ. ერისთავი, — ბევრი თხზულებები მაქვს და სხვათა შორის თქვა, რომ ერთნაირი ანბანი შევადგინე, რომლის წერაც ძალიან ადვილია და ჩვენს ხუცურს მიაგავსო; რომელიც მან დამიწერა“³⁸.

გიორგი ერისთავს ერთ-ერთ პირველს შეუსწავლია ეს ანბანი და მიწერ-მოწერაც გაუმართავს ფილადელფოსთან. შემორჩენილია რამდენიმე პირადი წერილი, რომელიც გ. ერისთავსა და ფილადელფოსს ერთმანეთისათვის მიუწერიათ. სანიმუშოდ მოვიტანთ ერთ ამონაწერს ფილადელფოსისადმი გ. ერისთავის მიერ მიწერილი კერძო ბარათიდან:

„მამაო ფილადელფოს.

ვგონებ მიწყურებით და ჰფიქრობთ ის რა პლუტი ჩავიგდე ხელშიო, ერთხელაც წიგნი არ მომწერაო? მამაო! მიზეზი ჩემი მღუშმარებისა ის იყო, რომ კარგი მგზავრი ვერავენ ვიშოვე და ფორტით არ მოგწერე, ამისათვის, რომ, როცა პოხოდობა შეიქმნება ხოლმე ყოველთვის წიგნსა ესნიან. აგრეთვე თქვენცა გთხოვთ ფოსტით აღარ მომწეროთ.

მომილოცავს ალექსანდრეს აქტის ჩლენობა თავისი ძმითურთ³⁹,

³⁸ გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. I, 1935, გვ. 248.

³⁹ ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები.

აგრეთვე ჩემის ბიძაშვილისა შანშეს შვილისა⁴⁰, ამათ ბევრი პარტია ჰყავთ და ცდილობენ მათს მოყვანას. ჩემს წილათ ესენი ვიშოვნე და უნდა ვიშოვნო: ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანნი, ელიზბარ და დიმიტრი ერისთავნი, ამ ოთხთ უკვე იციან.

ამ ერთს კვირაზედ თავს დაგიკრავენ შემდგომნი:

თავადი დავით ჭორჭაძე, სოლომონ დოდაევი.

იოსებ მამაცაშვილი, ეს არის განათლებული აზნაურიშვილი, რუსულისა და ქართულის მცოდნე...

დიმიტრი ყიფიანოვი ყმაწვილი კაცი, რუსულისა და ქართულის კარგად მცოდნე, სკოლაში უჩიტელი, და პერეველძიკი დეპუტატ სობრანიაში.

სოლომონ რაზმაძე ეს ახლა გადმოვიდა რუსეთიდან, ბატონიშვილებთან იყო. — კარგი და განათლებული კაცი. — ესენი ყოველ დღე ერთათა ვართ და ადვილად შეიძლება ამათი მოქცევა“.

ეს წერილი კომენტარს არ საჭიროებს. საიდუმლო ანბანს, როგორც ვხედავთ, შეთქმულნი მარჯვედ იყენებდნენ თავიანთი ფარული ზრახვების ურთიერთგაზიარებისას. სხვათა შორის, მოტანილი ამონაწერიდან კარგად ჩანს, რომ გ. ერისთავი ფილადელფოსს ავტორიტეტად მიიჩნევს და ერთგვარად, ანგარიშსაც კი აბარებს მას.

„აკტი გონიური“ შეთქმულთათვის ერთგვარ წესდებას წარმოადგენდა და ამიტომ გასაგებია, რომ შეთქმულების საქმეთა ძიებისას მას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ. მაგრამ დაკითხვებისას ფ. კიკნაძე ყოველნაირად ცდილობდა მის გაუვნებელყოფას და საკმარისად ოსტატობით იცავდა თავს.

უპირველეს ყოვლისა, „აკტის“ მთავარ მიზნად ფილადელფოსი აღიარებდა ადამიანთა გარკვეული წრის შექმნას, ფიცით შეერთებას, რომელიც იზრუნებდა მოსახლეობის განათლებაზე, კულტურულ წინსვლაზე და სხვა.

ფილადელფოსის თქმით, „აკტი“ მიმართული იყო არა იმპერატორის რეჟიმის წინააღმდეგ, არამედ პირიქით, იგი ადამიანებს შთაავონებდა ხელმწიფის, რელიგიისა და სამშობლოს სამსახურს. საყურადღებოა, როგორ უსაბუთებს ფილადელფოსი გამოძიებას — ხვებათ თუ არა, ჩემი „აკტი“ პირველ რიგში იმპერატორის ინტერესებისადმი ერთგულებას ქადაგებსო⁴¹. მოვიტანთ რამდენიმე მაგა-

⁴⁰ ალექსანდრე ერისთავი.

⁴¹ გ. გ. ო. ზ. ა. ლ. ი. შ. ე. ლ. ი., 1832 წლის შეთქმულება, ტ. I, 1935, გვ. 282.

ლითს, თუ როგორ ოსტატურად ანეიტრალებდა ფილადელფოსი საგამომძიებლო კომისიის შეკითხვებს „აკტთან“ დაკავშირებით.

აი, მაგალითად, როგორ ასაბუთებს იგი, რომ „აკტში“ მხოლოდ რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზეა საუბარი:

„მოკლედ თქმა იმისი, რომელ დაემორჩილნენ ხელმწიფესა სრულის ერთგულებით, რომლისაცა ხელსა ქვეშე იყვნენ, არა არს ამისი შინა არაიმე სიბნელე და არცა იქვი ამისათვის, რომ ოდესცა ითქმის ხელმწიფე, არავინ არ იფიქრების სხვა, გარდა როსიის იმპერატორისა. ჩვენს ენაზე თქმა ხელმწიფის მყის მიეწერების იმპერატორსა როსიისა. სპარსეთისასა ეწოდების შახ, ქართულად ყენი, თურქთა სულთანი, ქართულად ზვანთქარი, საქართველოსას, ეწოდების მეფე. არავის არ შეშლიან საქართველოსი, ჩვეულებისამებრ იწოდებიან, მაგალითებრ, მეფე ერეკლე, მეფე გიორგი, მეფე თეიმურაზი. მეფე ვახტანგ და სხვანი. ხელმწიფე ლეჟსი ნიშნავს როსიის იმპერატორს“⁴².

კომისიის კითხვაზე, რატომ აქციეთ „აკტი“ საიდუმლოდ თუ ბოროტი განზრახვა არა გქონდა რაო, ფილადელფოსი მიუგებს: „ფიცში წერილი არს რათა არა განაცხადოს საიდუმლო აქტისა. ამისათვის, რომ უკეთუ განაცხადებოდა, აღარც შეიძლებოდა არსება აქტისა, ვინაიდან თვით საკუთარი მყოფობა აქტისა დამოკიდებულ არს საიდუმლოებასა ზედა“⁴³.

გარდა ამისა, საიდუმლო, ფარული ყოველთვის უფრო იზიდავს აღამიანსო, შენიშნავს იგი სხვა ადგილას. და კიდევ: შეკითხვაზე, რატომ დოკუმენტს თქვენი ვინაობა არ მიაწერეთო, ფილადელფოსი პასუხობს: „აღკრძალულ იყო, რომ არ სცოდნოდათ არც პირველი ავტორი: ამისათვის რომ უკეთუ ეცოდინებოდათ, რომ მე ვარ ეს, ვითარი გლახკანი ბერი, მაშინ არ ექნებოდა მას პატივი და არცა მიიღებდნენ ხალისით და არც შემდგომსა უწყებასა რასამე დამიჯერებდნენ“⁴⁴.

ვფიქრობ, საგანგებო კომენტარის გარეშეც ნათელია, რომ ამ პასუხების ავტორი ნათელი გონების, განათლებული, დაფიქრებული და გამოცდილი აღამიანი იყო.

უეჭველია, რომ, როცა ფილადელფოსს „აკტში“ მეორე პუნქტად რუსეთის იმპერატორისადმი ერთგულების ფიცი შეჰქონდა,

42 გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. I, 1935, გვ. 380.

43 იქვე, გვ. 304.

44 იქვე, გვ. 301.

სრულიად გარკვეული მოსაზრებით ხელმძღვანელობდა. იგი, როგორც ყველა გონიერი კაცი, მოსალოდნელ საშიშროებასაც ითვალისწინებდა და ბუნებრივია, თავდაცვის ზღუდესაც იმთავითვე იგებდა. იმპერატორის „ქება“ ეს იყო ნიღაბი, რომელიც ავტორს საჭიროების შემთხვევაში უნდა გამოეყენებინა. საგულისხმოა, რომ ამგვარ ტაქტიკას თუ მეთოდს ფილადელფოსი მხატვრულ შემოქმედებაშიც კი იყენებდა. გავიხსენოთ თუნდაც მისი პოემა „გოდებანი იერამიასი ძისა ენაისნი ხილვათათვის მდგომარეობისა ივერიისასა აწინდელსა ზედა“.

საზოგადოდ, ფ. კიკნაძე თავის ხალხს და შეთქმულების საქმეს თავგამოდებით ემსახურებოდა როგორც პოეტი ტრიბუნი.

როგორც ჩანს, ფილადელფოსი ინტენსიურად მუშაობდა ამ დარგში და უნდა ვივარაუდოთ, რომ ნაყოფიერადაც მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრი მისი ნაწარმოები დღესდღეობით ან განადგურებულია ან კიდევ გაფანტულია. გადარჩა მხოლოდ რამდენიმე ნაწარმოები. რალა თქმა უნდა, ამ ორიოდ ნაწარმოებით შეუძლებელია შევადგინოთ საბოლოო აზრი ფილადელფოსის პოეტურ პოტენციაზე, მაგრამ მისი პოეზიის საგნის, ფიქრთა დინების მიმართულების განოკვევა კი შეიძლება. სამშობლო, თავისუფალი საქართველო — აი, ფილადელფოსის ფიქრის თავი და ბოლო, მისი პოეზიის საფუძველი.

გავიხსენოთ ფილადელფოსის ქალაქებში ნაპოვნი ლექსი, რომელიც ნიქინ ნოვგოროდში უნდა იყოს დაწერილი (ე. ი. 1826 წლის მეორე ნახევარში).

აი, ეს ლექსი (თუ ნაწყვეტი?):

ვინ ხარ, რომელს სიცოცხლის ჩემი გასაღები ხელთ გიპყრია
ჩემო ხელმწიფევე როდის განახო გვირგვინ სიკატრიან
სახშილის ალთა ნაბერწყალნი გულიდამ მკრთიან
ერთიც შენამდე ვერ მოსწვდების ჰაერათ ჰჭრიან...
მუნ დაუადგრე ყნოსათა მშვეები ვიყო ფიქრიან
სული ჩემი გრძნობს სიყვარულსა აღტაცებულსა
ხმას ნურვინ გამცემთ ფიქრთა შინა გაოცებულსა
ვზივარ მღუმარე მას ვიგონებ გამხეცებულსა
ხმას ნურვინ გამცემთ ფიქრთა შიგან გაოცებულსა⁴⁵.

ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ ეს არის პატრიოტული ყადის ლექსი. პოეტურ სტრიქონებში გამომქვადნებულია უმთავრესი ოც-

⁴⁵ გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. I, 1935, გვ. 95.

ნება — ნახოს თავისი „ხელმწიფე“ (საოცნებო სამშობლო) „გვირგვინ-სკიპტრიან“ (თავისუფალი და ბედნიერი). პოეტის ფიქრი მიმართულია მამულისაკენ, მაგრამ იქამდე ველარ „აღწევენ და ჰაერშივე განიბნევიან“ (ნ. ბარათაშვილი). პოეტის სულში ალი გიზგიზებს, გულში ტორტმანებს გრძნობა მამულისადმი აღტაცებული სიყვარულისა.

სამშობლოს მწარე ხვედრს დასტირის პოეტი ზემოხსენებულ „იერემიას გოდებაში“.

სხვათა შორის, ამ ნაწარმოებში შესანიშნავად არის გამოყენებული ის ნილაბი, რომელზედაც ზემოთ მივეუთითებდით. „იერემიას გოდებაში“, — შენიშნავს პროფ. გ. გოზალიშვილი, — რომელიც მან იმავე მიზნით შეთხზა, რა მიზნითაც „დათვი და ცხვარი“, „გივი ამილახვრის აღსარება“, „იარალისადმი“ და სხვა მრავალია დაწერილი, იგი მაშინდელი საქართველოს სავალალო მდგომარეობას დასტირის, რაც რუსეთის ცარიზმის დამკვიდრების შედეგი იყო. ამ ნაწარმოებში მოიპოვება ცალკე მუხლი, რომელშიც რუსეთის მეფისა და მისგან საქართველოს მფარველობის უფრო გაძლიერების სასოებაა გამოთქმული. და ეს იყო მხოლოდ უბრალო წინდახედულება, მეხამრიდი“⁴⁶.

მართლაც, „ორმოც მუხლოვან“ ნაწარმოებში, ერთის მხრივ, გადმოცემულია ავტორის უზომო სევდა დაბეჩავეებული და ფეხქვეშგათელილი სამშობლოს გამო, რაც სწორედ ცარიზმის კოლონიალური პოლიტიკის პირდაპირი შედეგი იყო, ხოლო მეორეს მხრივ, ქები-თაა მოხსენიებული საქართველოს რუსეთთან შეერთების ფაქტი და იმპერატორის მფარველი ხელი.

იმისათვის, რომ თავისი გულისნადებიც მკაფიოდ გადმოეცა და ნილაბიც მომარჯვებული ჰქონოდა, ფილადელფოსს ისტორიულ ეპოქათა დაპირისპირების ხერხი გამოუყენებია.

აი, რას წერს თვითონ ფილადელფოსი. „...შევთხზე დაცემისათვის საქართველოსა ალილორიებ პოემა ტრალედიური, არა თუ აწინდელისათვის მდგომარეობისა, არამედ დროისათვის ოდეს მურვან ყრუმ სპარსეთისამან სრულებით მოაოხრა იგი, აწინდელისათვის მდგომარეობის იყო მადლობა როსიულისა მფარველობისა და ყვედრება ქართველთ საზოგადოებისა, რომელ მათ არ იციან გრძნობა ამისი“⁴⁷.

⁴⁶ გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. II, 1970, გვ. 65—66.

⁴⁷ გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. I, 1935, გვ. 266.

როგორც ვხედავთ, ფილადელფოსი ისე ხატავს სურათს, გეგონებათ ერთ დროს უბედური საქართველო. ცარიზმმა გააბედნიერა. სინამდვილეში კი მისი მიზანი სულ სხვა იყო. კერძოდ, ფ. კიკნაძემ ერთ-ერთმა პირველმა (თუ პირველმა არა!) ისტორიული მასალა ოსტატურად გამოიყენა ეროვნული თავისუფლების იდეის ქადაგებისათვის. მან ისტორია მოიშველია იმისათვის, რომ ხელი შეეწყოს ეროვნული თვითშეგნების მიძინებული ნერვის გაღვიძებისათვის. ჩენი აზრით, გ. ერისთავის პირველი პოემა — „ოსური მოთხრობა“ ფილადელფოსის „იერემიას გოდებიდანაა“ ამოზრდილი. მხედველობაში გვაქვს ისტორიისადმი აქტიური დამოკიდებულება. ამგვარად, თუ ამ თვალსაზრისით ვიხელმძღვანელებთ, მაშინ ფილადელფოსის „იერემიას გოდება“ მნიშვნელოვან ნაწარმოებად უნდა ჩათვალოს მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართული მწერლობის ისტორიაში.

ფ. კიკნაძის კალამს ეკუთვნის, აგრეთვე, შესანიშნავი თხზულება — „სიყვარული სამშობლოსადმი“. ამ ნაწარმოების ავტორი მკითხველს წარმოუდგება, როგორც ღრმად ერუდირებული ფილოსოფოსი მწერალი.

ნაწარმოების დედააზრია: სხვის „მფლობელობაში ყოლა“, ანუ დამოუკიდებლობის დაკარგვა უკიდეგანო უბედურებაა. ოფიციალურად კი ფილადელფოსი შეფარული ირონიით აცხადებს: მე „დავამტყიცე აქსიომებრ, რომ სიყვარული მამულისა არის სიყვარული და ერთგულება ხელმწიფისა და უნდა ცნობილ იყოს ყოველთვის, რომელ რაოდენ მცირედ მამული შეერთდების დიდსა სახელმწიფოსა, ეგოდენ ბედნიერ არს მცირე იგი მამული, რამეთუ არა სარგებლობს დიდი მცირესაგან ეგოდენ, რაოდენ სარგებლობს მცირედი დიდისაგან“⁴⁸. ვფიქრობ, დამატებითი კომენტარი საჭირო არ არის.

ასეთია ფ. კიკნაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი ასპექტები.

როგორც ვნახეთ, ფილადელფოსი თავისი დროის გამოჩენილი ადამიანი იყო. უბრალო ბერის სამოსში გახვეულმა ფილადელფოსმა მთელი თავისი ხანმოკლე სიცოცხლე სამშობლოს საკურთხეველზე მიიტანა, ეს უანგარო და სიკეთით აღსავსე კაცი იყო აღიარებული აღმზრდელი პედაგოგი, 1832 წლის შეთქმულების თავგამოდებული

⁴⁸ გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. I, 1935, გვ. 266.

შონაწილე, საიდუმლო ანბანისა და „აქტი გონიერის“ ავტორი, გგზანებარე პოეტური სტრიქონების შემოქმედი ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეის დაუღალავი პროპაგანდისტი. ფილადელფოს კიკნაძე არ არის ღირსი დავიწყებისა. მის ნაფიქრ-ნაღვაწს მონოგრაფიული შესწავლა ესაქიროება.

6. ნიკოლაძე და ქართული კრიტიკული რეალიზმი

6. ნიკოლაძემ თვალსაჩინო როლი ითამაშა ქართული კრიტიკული რეალიზმის განვითარებაში. თუ 60-იანი წლების ქართულ ლიტერატურაში კრიტიკული რეალიზმის ჩამოყალიბებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ი. ჭავჭავაძის სტატიებს „ცისკარსა“ და „საქართველოს მოამბეში“, 70-იანი წლების ქართულ მწერლობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ნ. ნიკოლაძის ლიტერატურულ-კრიტიკულმა მოღვაწეობამ. ს. მესხის სამართლიანი აზრით, 70-იანი წლების ქართულ მწერლობაში კრიტიკოსის სახელს ყველაზე მეტად ნ. ნიკოლაძე იმსახურებდა.¹

6. ნიკოლაძე თავისი დროისათვის ფართოდ განსწავლული მოაზროვნე იყო. გარდა მშობლიური ლიტერატურისა იგი კარგად იცნობდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და რუსეთის მწერლობას, რაც სათანადო თეორიულ მომზადებასა და დიდ ერუდიციასთან ერთად საშუალებას აძლევდა ღრმად ჩასწვდომოდა იმდროინდელი ქართული ლიტერატურის განვითარების კანონზომიერებას და სწორად განესაზღვრა მისი მომავალი გზა.

6. ნიკოლაძე მნიშვნელოვნად იყო დავალებული რუსი რევოლუციონერი-დემოკრატების — ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის ნაზრევით. ნ. ნიკოლაძის ლიტერატურულ-კრიტიკულ შეხედულებებს საფუძვლად დაედო კრიტიკული რეალიზმის თეორია, რომელიც რევოლუციონერმა დემოკრატებმა შექმნეს. ნ. ნიკოლაძემ შემოქმედებითად შეუფარდა ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის ესთეტიკურ შეხედულებათა სისტემა ქართული მწერლობის განვითარების მოთხოვნილებებს. ქართველ მოაზროვნეს სამართლიანად მიაჩნდა, რომ მშობლიური ლიტერატურა მხოლოდ მაშინ შესძლებდა თავისი ბოწოდებისა და დანიშნულების შესრულებას, თუკი მომავალი გა-

¹ ს. მესხი, „კრებული“, — გაზ. „დროება“, 1873, № 14.

ნუხრელად წარიმართებოდა კრიტიკული რეალიზმის გზით. „ჩვენი ლიტერატურა მუდამ უნდა უმტკიცებდეს საზოგადოებას, რომ ჩვენებური ცხოვრება ნაკლებად ჩამოგავს კაცურს, დაანახებდეს ამ კაცური ცხოვრების სურათებს... უძრავდეს გულში გონების გახსნის, ხასიათის, ზნისა და ცხოვრების გაუმჯობესების სურვილს,“ — წერდა ნ. ნიკოლაძე გაზეთ „დროებაში“ 1870 წელს².

რეალიზმის თეორიის შექმნე განიხილავდა ნ. ნიკოლაძე ლიტერატურის იდეურობის, ხალხურობის, ტიპიურობისა და სხვა საკითხებს.

ნ. ნიკოლაძე ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მხატვრული ნაწარმოების უპირველეს ღირსებას მისი საზოგადო მნიშვნელობა წარმოადგენს. „ყოველი საგანი მით უფრო შესანიშნავი და ყურადღების ღირსია, — წერდა ნ. ნიკოლაძე „კრებულში“, — რაც უფრო მეტი საზოგადო მნიშვნელობა აქვს მას ცხოვრებაში... მაშასადამე, სალიტერატურო შრომაში ყოველ საგანს იმოდენა ყურადღება უნდა ჰქონდეს მიქცეული და სწორეთ ის ადგილი უნდა ეკავოს, როგორც ეღირსება საგანს თავისი საზოგადო ან კერძო ხასიათით, და ამ პირობიდან პირდაპირ ის კანონი გამოდის, რომ რომელიმე საზოგადოებრივ აღწერაში ყოველ მხარეს, ყოველ თვისებას, თვითუფლ ხასიათს თავისი შესაფერი ადგილი უნდა ეჭიროს, სწორედ ის ადგილი, რომელსაც ეს საგანი თავისი საზოგადო მნიშვნელობით ჰპოულობს“³. ამისათვის კი, კრიტიკოსის აზრით, აუცილებელია ცხოვრებისეულ რთულ მოვლენებში სწორად გარკვევის უნარი.

კრიტიკოსი მართებულად შენიშნავს, რომ შემოქმედებითი პროცესი ურთულესი მოვლენაა, რომელიც მწერლისაგან გარდა ცხოვრების ცოდნისა, უდიდეს ნიქსა და მგრძნობიარე გულს მოიზივებს, მხოლოდ ის ავტორი აღწევს მკითხველზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას. რომელსაც ეს თვისებები გააჩნია. „მაღალი და პატიოსანი გრძნობა, — წერს იგი, — კეთილი სულის მოძრაობა, მშვენიერი ლტოლვილება და გულის სიმაღლე თითქმის ნიადაგ მხვედრად რგებიან უმჯობეს პოეტებს და უგონიერეს კაცის გულის მცნობელებს“. მსოფლიოს უდიდესი მწერლები.—ნ. ნიკოლაძის აზრით,—იმით გახდნენ უკვდავი, რომ მათ შესძლეს მკითხველის გულში ის წმინდა ალი და გრძნობა ჩაენერგათ, რომელიც მას აამაღლებდა. ნამდვილ

2 ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, პროფ. დ. გამეზარდაშვილის რედაქციით. ტ. II, 1960, გვ. 50.

3 იქვე, გვ. 419.

„პოეზიას, — წერს კრიტიკოსი, — ის თვისება აქვს, რომ უცბათ იტაცებს მკითხველს მის ნაჩვევ აზრებისაგან, რაღაც უცნობ ცეცხლს უნთებს გულში და ცოცხლათ, გახორციელებულათ, წარმოუდგენს თავის აზრს, სურათს და გრძნობას“.

მხატვრული ლიტერატურის ნიშანდობლივ თვისებად ნ. ნიკოლაძე ტიპიური ხასიათების შექმნას თვლიდა. ტიპიურობის პრობლემას იგი კრიტიკული რეალიზმის შუქზე წყვეტდა. მას მიაჩნდა, რომ ტიპიურ სახეში მწერალმა განზოგადოებული სახით უნდა წარმოვკიდგინოს ის თვისებები, რომელიც ცხოვრებაში გავრცელებულია. მხოლოდ ამ გზით მიაღწევს იგი ისეთი მხატვრული სახის შექმნას, რომელსაც საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს.

მხატვრული ლიტერატურის სოციალური არსის გავებიდან გამომდინარეობდა მისი ხალხურობა. როგორც ცნობილია, რევოლუციონერი-დემოკრატები ხალხურობას კრიტიკული რეალიზმის განუყრელ თვისებად თვლიდნენ. 60—70-იანი წლების გამოჩენილმა ქართველმა მწერლებმა გაიზიარეს ეს შეხედულება. რუსი რევოლუციონერი-დემოკრატების კვალდაკვალ მათ აღიარეს, რომ ლიტერატურა მაშინაა ხალხური, თუ იგი სწორად გადმოსცემს ხალხის აზრს, მის განწყობილებასა და სულისკვეთებას. „ჩვენს მწერლობას, — წერდა ნ. ნიკოლაძე, — ნამდვილი მწერლობის ძალა და ხასიათი მხოლოდ მაშინ მიეცემა, როცა ჩვენ გავიცნობთ ხალხის გონებას და მონაზრებას... იმნაირ წერაში გავიწაფებით, რომელსაც პირდაპირ ხალხის გრძნობამდი და გონებამდი მიღწევა შეეძლოს“. ყურნალ „კრებულის 1871 წლის მესამე ნომერში დაიბეჭდა ნ. ნიკოლაძის სტატია „კრიტიკა და მისი მნიშვნელობა ლიტერატურაში“. მასში ავტორმა ხაზი გაუსვა იმ ჭეშმარიტებას, რომ კრიტიკა ლიტერატურის გარკვეული და მეტად მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც გულდასმით სწავლობს სხვა დარგების განვითარებას, აზოგადოებს მწერლობის გამოცდილებას, აფასებს ნაწარმოების ღირსებას და ადგენს დასაბუთებულ და ობიექტურ აზრს.

ქართული მწერლობის სისუსტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზად ნ. ნიკოლაძეს კრიტიკის განუვითარებლობა მიაჩნდა. ჩვენს ლიტერატურაში, — აღნიშნავდა კრიტიკოსი, — ჯერ კიდევ ხშირად ვხვდებით ისეთ ნაწარმოებს, რომლის ავტორი უმნიშვნელო და შემთხვევით მოვლენებზე აჩერებს მკითხველის ყურადღებას, მაშინ, როცა არსებითი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ფაქტები შეუმჩნეველი რჩება. ეს კი იმის შედეგია, რომ არა ვვაქვს კრიტიკა, რომელიც მწერლისა და მკითხველის ყურადღებას გარკვეულ მიმარ-

თულებას მისცემდაო. როცა კრიტიკა სათანადო დონეზე დგას, მაშინ, ნ. ნიკოლაძის აზრით, — „მისი შრომა მეტად სასარგებლო და ნაყოფიანია, როგორც თვითონ განხილული თხზულებისათვის, აგრეთვე მთელი მწერლობისათვის და საზოგადოებისათვის, კრიტიკის დახმარებით თხზულების სურათს ღირსეული დაფასება, ახსნა და გავრცელება ეძლევა, კრიტიკა უხსნის მკითხველს რა ძალა და მნიშვნელობა, რა ხასიათი და გავლენა აქვს მწერლის თითოეულ სურათს, რას ნიშნავს წვრილმანი მხარეები, ერთი სიტყვით, ათასნაირათ უტრიალებს და უსინჯავს მკითხველს იმ ხასიათს და სურათებს, რომელნიც მწერლის თხზულებაში გაკვრით თუ არა, ისე ვერ გამოიხატებოდნენ და იმ წვრილმან შენიშვნების და საგნებისაგან, რომელნიც დაფანტული არიან აქა-იქ ხელოვნურ თხზულებაში, ან სხვადასხვა თხზულებებში, კრიტიკა ერთ საზოგადო სურათს, საზოგადო და საერთო აზრს ადგენს, რომელიც ერთბაშად და ღრმად ხატავს საზოგადო მდგომარეობას, საკიროებას და ხასიათს“.

როგორც ვხედავთ, ნ. ნიკოლაძის აზრით, კრიტიკა ლიტერატურის საზოგადოებრივი ფუნქციის გაგებიდან უნდა გამომდინარეობდეს. ამისათვის კი გადამწყვეტი ისაა, თუ რამდენად შეეფერება სინამდვილეს მხატვრულ ნაწარმოებში ასახული სურათი, რამდენად რეალისტური და ტიპიურია იგი. კრიტიკოსი ლიტერატურული ნაწარმოების შეფასების დროს სინამდვილიდან, ცხოვრებიდან უნდა გამოდიოდეს: „...ის თხზულება, რომელშიაც ცხოვრება ან ბუნება მახინჯათ არის გამოხატული, ისე რომ ცხოვრების ნამდვილი და უმთავრესი მხარეები დავიწყებულია და წვრილმან ან უმნიშვნელო შემთხვევებს შეუფერებელი ადგილი უკავიათ და შემცდარი აზრის დატოვება შეუძლიანთ მკითხველის გონებაში, ამისთანა თხზულებები... ითვლება უთავბოლო, მახინჯ თხზულებათ და კრიტიკა მის გასინჯვის დროს სულ სხვა ნაირათ იქცევა, ვინემ ნამდვილი და ხელოვნური თხზულებების გაჩხრეკის დროს“, — წერს ნ. ნიკოლაძე. ამავე დროს, თუ ნაწარმოები რეალისტურად ასახავს სინამდვილეს, სწორ წარმოდგენას აძლევს მკითხველს ცხოვრებაზე, თუ მისი მხატვრული დონე მაღალია, მაშინ კრიტიკოსი ვალდებულია განუმარტოს მკითხველს ავტორის აზრი და ხელი შეუწყოს მხატვრულ ზემოქმედებას.

ზემოაღნიშნული პრინციპებიდან გამომდინარე ნ. ნიკოლაძე თავის ხანგრძლივ ლიტერატურულ-კრიტიკულ საქმიანობაში. კრიტიკული რეალიზმის შუქზე განიხილავდა იგი თანამედროვე მწერალთა მხატვრულ შემოქმედებას.

ბუნებრივი იყო ის დიდი ყურადღება, რომელიც ნ. ნიკოლაძემ გამოიჩინა ქართული კრიტიკული რეალიზმის ფუძემდებლის ი. ჰავ-
კავაძის მხატვრული შემოქმედებისადმი. თავის მხრივ ი. ჰავკავაძეც
დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ნ. ნიკოლაძის აზრს და მის ესთეტი-
კურ გემოვნებას. 1873 წლის 18 იანვარს ილია წერდა ნიკო ნიკოლა-
ძეს: „მამო ნიკო... ვწერ კი („გლახის ნაამბობს“) მაგრამ არ ვიცი
როგორი მოსაწონი გამოვა. ცუდი საქმე მიყავით, რომ ეგრე ცოტა
დრო მოქეცით ნაამბობის შესასრულებლად. რაც ახალი დამიწერია,
მინდოდა შენთვის გამომეგზავნა, რომ შენ და კირილეს თვალი გადა-
გვევლოთ და მის შემდეგ თქვენი პირუთვნელი აზრი ჩემთვის გეც-
ნობებინათ. ამ განზრახვასაც თავი დავანებე. რაც იქნება ის მოხ-
დეს“⁴.

რედაქტორობდა რა გაზეთ „ივერიას“, ილიას მიზანშეწონილად
მიანხნდა ნ. ნიკოლაძის თანამშრომლობა მის გაზეთში. იგი წერდა იო-
ნა მეუნარჯაას: „ნიკოლაძესა სთხოვე და შეეხვეწე ჩემს მაგიერ
ჩვენს გაზეთს თავისი ნაწერებით შეეწიოს. მომიტეოს ამ ჟამად, რომ
საკუთარ წერილს არ ვწერ, ეგ იმისთანა კაცი არ არის, რომ ამის
გამო გაგვიწბილდეს და გულიდამ ამოიღოს ჩვენი გაზეთი“⁵.

ცნობილია, რომ 1873 წელს გაზეთ „დროებაში“ (№ 45) ნ. ნი-
კოლაძემ გამოაქვეყნა წერილი სათაურით „მშვიდობით“, რომელ-
შიაც, საზღვარგარეთ გამგზავრების წინ, იგი, ნაწყენი „დროების“
რედაქციასზე, ემშვიდობებოდა მკითხველებს. ამასთან დაკავშირებით
ერთ კერძო ბარათში ილია წერდა ნიკო ნიკოლაძეს: „პირმოთნობა-
ში ნუ ჩამომართმევ, — და შენ მე პატივსა გცემდი, როგორც ნიჭი-
ანს, რიგიანს, გამბედავს და დაუშრომელს მოღვაწესა, როგორც კაც-
სა, რომელზედაც კაცური-კაცის თვალი იმედით შეჩერდებოდა და
რომელთანაც დამეგობრება და ერთად უღელში შებმა სახარბიე-
ლოა... შენ ჩემს თვალში მაინც ისეთი კაცი ხარ, რომლის გულშიაც
კაცი. თუ მონახავს, მადანს იპოვის, — და ამის გამო აი რას გთხოვ:
თუ მართლა გიყვარს ის, რისთვისაც ეგრე თამამად და უშიშრად იღ-
წვოდი..., ნუ აღასრულებ მას, რასაც გვიქადაი. დარჩი და იშრომე, —
და მხოლოდ ის გქონდეს ხსოვნაში, რომ მარტო უბედურთ უნდათ
შველა“...⁶.

ნ. ნიკოლაძე უღრმესი პატივისცემით იყო გამსჭვალული ილია
ჰავკავაძისადმი. მას არაერთხელ გამოუთქვამს ეს პატივისცემა პრე-

⁴ ილ. ჰავკავაძე, თხზულებანი, ტ. 10, 1961, გვ. 43—44.

⁵ იქვე, გვ. 110.

⁶ იქვე, გვ. 44—46.

ლის ფურცლებზე და არაერთხელ დაუმტკიცებია პირად ურთიერთობაში. ცნობილია, რომ 70-იან წლებში, როდესაც ილია ჭავჭავაძე დუშეთში ცხოვრობდა, ხოლო ნ. ნიკოლაძე გ. წერეთელთან ერთად „დროებასა“ და „კრებულს“ ედგა სათავეში, იგი ყოველმხრივ ცდილობდა, რომ ილიას კვლავ გაეწია მესვეურობა 70-იანი წლების ლიტერატურული მოძრაობისათვის.

ნ. ნიკოლაძე იგონებდა: როდესაც ილია ჭავჭავაძე „დუშეთში ცხოვრობდა, საცა მომრიგებელ მოსამართლის თანამდებობას ასრულებდა, ჩემი პირველი ნაბიჯი ის იყო, რომ ყოველი მაშინდელი ახალთაობის მომხრენი შევაგროვე და დავაჯერე — დუშეთში ავიდეთ, ილია ჭავჭავაძე მოვიყვანოთ და ისევ ქართულ მწერლობას დაუბრუნოთ, ქართული საქმეების სათავეში ჩავაყენოთ მეთქი. ამ აზრით და მიზნით 1871—1873 წლებში ხუთჯერ მაინც ავსუღვართ დუშეთს „გროვად“ ქართული მწერლობის და აღორძინების მოტრფიალენი“⁷.

ნ. ნიკოლაძე მაღალ შეფასებას აძლევდა იმ როლს, რომელიც ილია ჭავჭავაძემ შეასრულა 60-იანი წლების საქართველოში. იხილავდა რა 60-იანი წლების ლიტერატურულ მოძრაობას და ითვალისწინებდა რა იმ ფაქტს, რომ ეს ლიტერატურული მოძრაობა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის დიდი ბრძოლების ნაწილი იყო, რომ ეს იყო ბრძოლა ორი იდეოლოგიისა. ორი მოწინააღმდეგე ბანაკისა — ფეოდალურ-რეაქციულისა და რევოლუციურ-დემოკრატიულისა, რომ ეს იყო ბრძოლა განახლებული ცხოვრებისათვის, ნ. ნიკოლაძე ხაზგასმით აღნიშნავდა ილია ჭავჭავაძის როლს ამ ბრძოლებში: „ბრძოლა სასტიკი ატყდა, რაც კი რამე იყო ჩვენში ახალგაზრდა, მხნე, ახალი წესის და ცხოვრების მოყვარე, ყველამ იცნო ის პატიოსანი მომავლის დროშა, რომელიც მხნედ ეკავა ილია ჭავჭავაძეს“⁸.

უფრო მოგვიანებით ნ. ნიკოლაძე კვლავ უბრუნდება ილიას როლს 60-იანი წლების ლიტერატურაში და ხაზგასმით აღნიშნავს მის დამსახურებას: „ილია ჭავჭავაძე, რომელსაც უპირატესად წილად ჰვდა პატივი 60-იანი წლების დასაწყისში საქმის ასეთი გონივრული წარმართვისა, სწორედ ისეთი ადამიანი იყო, როგორც სპირტდობდა მაშინდელ ქართულ ლიტერატურას; მისი ნიჭი, მისი განწყობილება და მსოფლმხედველობა მაშინ სრულიად შეესაბამებოდა მოთხოვნი-

7 „მნათობი“, 1933, № 8—9, გვ. 279.

8 ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ. III, გვ. 60.

ლებებს. ილია ჭავჭავაძემ. აღზრდილმა 40-იანი და 50-იანი წლების რუსული ლიტერატურის ქმნილებებზე, როდესაც ბატონყმური წყობილების წინააღმდეგ პროტესტი იყო საფუძველი რუსი მწერლების საუკეთესო ნაწარმოებებისა, მოახერხა და შესძლო ჩასდგომოდა სათავეში მოძრაობას, შესძლო მოეტანა მეტად ხელშესახები სარგებლობა როგორც ქართული ლიტერატურისათვის, ასევე ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი განვითარებისათვის“⁹.

თავისი შეხედულებანი ილია ჭავჭავაძის მხატვრული შემოქმედების შესახებ ყველაზე უფრო ვრცლად ნ. ნიკოლაძემ ჩამოაყალიბა სტატიაში „გლახის ნაამბობი“, მოთხრობა ილ. ჭავჭავაძისა“, რომელიც დაბეჭდა ჟურნალ „კრებულის“ 1873 წლის № 5—6. აღსანიშნავია, რომ სტატიის მნიშვნელობა სცილდება ერთ ნაწარმოებზე დაწერილი რეცენზიის ფარგლებს. მასში განხილულია ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითი გზა 60-იანი წლების ქართული ლიტერატურის განვითარების ფონზე და დაყენებულია ქართული კრიტიკული რეალიზმის განვითარების პერსპექტივა.

ი. ჭავჭავაძის შემოქმედებაში კრიტიკული რეალიზმის ზენიტად ნ. ნიკოლაძეს „კაცია აღამიანი?!“ მიაჩნია. ეს ნაწარმოები კრიტიკოსის ყურადღებას იქცევს სოციალური სინამდვილის უარყოფელი პათოსით, იმით, რომ მასში გაშიშვლებულია ბატონყმური საშინელებანი, მისი დამღუპველი გავლენა როგორც ბატონზე, ისე ყმაზე. „კაცია აღამიანში“ კრიტიკოსი აფასებს მხატვრული წარმოსახვის ობიექტურობას, ცხოვრებისეულ სიმართლეს.

მაღალ შეფასებას აძლევს კრიტიკოსი, აგრეთვე, „ვლესოა განთავისუფლების სცენებს“, „მგზავრის წერილებსა“ და სატირული ხასიათის ლექსებს, ხაზს უსვამს „მისი ლექსების გრძნობას და მისი სარკაზმის ძლიერებას“.

ილიას ყრმობის ლექსების განხილვის დროს კრიტიკოსი შენიშნავს, რომ ისინი გამოირჩევიან ორიგინალური თვისებებითო, მაგრამ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ერთი მომენტი ანსხვავებს ილიას ლექსებს — ესაა აზრის ძლიერება. ნ. ნიკოლაძე ხაზს უსვამს ილია ჭავჭავაძის პოეზიის ხალხურობას, რაც, როგორც ცნობილია, რეალიზმის განუყრელ თვისებას წარმოადგენს. ნ. ნიკოლაძის აზრით, ილიას ლექსებში ჩანს ჩვენი ხალხის ენა, ხელოვნური სიტყვის თლილობა, სურათის უბრალოება და ძალა, და თან ნამდვილი გრძნობის შეუფერავი და მაინც ლაზათიანი გამოთქმა. ეტყობა, რომ ილ. ჭავჭავაძეს ჩვენი ხალხის პოეზიისთვის ყური უთხოვებია, მის ხასიათს

⁹ „ო ბ ო რ ი“, 1880, № 394.

გაცნობია, მისი სულით აღვსილა, ჩვენი ხალხის ენა, მოაზრების კილო, აზრისა და გრძნობის გამოხატულება კარგა საფუძვლიანად დაუნახავს და შეუსწავლიაო.

ი. ჭავჭავაძის ლექსებიდან ნ. ნიკოლაძეს კრიტიკული რეალიზმის ნიმუშად მიაჩნია ილიას „ქართლის დედა“, „მუშა“ და „გუთნის დედა“. მას განსაკუთრებით იზიდავს ილიას სიტყვები:

ჩვენ უნდა ჩვენი ვშვით მყოობადი,
ჩვენ უნდა მივეცეთ მომავალი ხალხს.

აღნიშნული ნაწარმოებები, ნ. ნიკოლაძის შეფასებით, მნიშვნელოვანია იმით, რომ მათში „შეუფერავადა“ წარმოსახული ცხოვრება.

სულ სხვაგვარ შეფასებას აძლევს ნ. ნიკოლაძე ი. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობს“. როგორც ცნობილია, „გლახის ნაამბობი“ ილიას ერთი პირველი ნაწარმოებთაგანია. ნ. ნიკოლაძეს მიაჩნია, რომ „გლახის ნაამბობი“ დაწერილია იმ დროს, როდესაც ავტორი ჯერ კიდევ არ იდგა კრიტიკული რეალიზმის ნიადაგზე. ამ ნაწარმოებს სტატიის ავტორი განიხილავს, როგორც ნაბიჯს კრიტიკული რეალიზმისაკენ მიმავალ გზაზე. კრიტიკოსის აზრით, „გლახის ნაამბობი“ ახალგაზრდა მწერალს დაწერილი აქვს რუსულ მწერლობაში ერთ დროს გაბატონებული მიმართულების გავლენით. იგი იმ ეპოქის ნაყოფს წარმოადგენდა, რომელიც 50-იანი წლების სახელითაა ცნობილი და იმით ხასიათდებოდა, რომ მწერლობა ვერ ბედავდა თავისი იმ გულისწადილის გამოთქმას, რაც ბატონყმობის გაუქმებაში მდგომარეობდა.

„მაშინ მწერლობა, რომელსაც ამ მხრით თავისი აზრის და გრძნობის გამოთქმა ვერ შეეძლო, უფრო მოთხრობებს, რომანებსა და დრამულ თხზულებებს მიაწვა, რომლებშიაც კარგად თუ ავთ გლენ-კაცური მდგომარეობის შებრალების გამოსახვა შეიძლებოდა. ასეთი ნაწარმოებები „სოვრემენიკში“ იბეჭდებოდა და მათში ის აზრი იყო გატარებული, რომ გლახიც ადამიანია, იმასაც ბედნიერება და კეთილდღეობა სჭირდებაო“.

აღნიშნულ ფაქტს ნ. ნიკოლაძე ისტორიულ ახსნას აძლევს. ნ. ნიკოლაძის თქმით, რადგან იმ დროს შექმნილი ვითარების შედეგად მხოლოდ რომანების და ფელეტონების ბეჭდვა შეიძლებოდა, რომელთა ავტორს უფლება ჰქონდა ელაპარაკა მხოლოდ სიყვარულზე და ქალისა და კაცის გულზე, მაშინდელ რომანებში ბატონ-

ყმონის საკითხი აუცილებლად სიყვარულის ფონზე აისახებოდა და ჩვეულებრივი იყო შემდეგი სიტყვები: გლესს გლესის ქალი შეუყვარდა, შაგრამ ბატონის ძალადობამ მათ მოუსპო ბედნიერების საშუალება. კრიტიკოსი აღნიშნავს, რომ მაშინდელი რუსული ლიტერატურისათვის ასეთი შინაარსის მწერლობას დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მკითხველი გლესობისადმი თანაგრძნობით იმსჯელებოდა. ამ მწერალთაგან ნ. ნიკოლაძე ასახელებს გრიგორივიჩს, პოტეხინს, ტურგენეფს, პისემსკის, მარკო-ვოფჩოკს და განაგრძობს: „იმათ თხზულებებს მთელი ათი წლის განმავლობაში მეტისმეტი ხალხით ჰკითხულობდა რუსული საზოგადოება და მწერლობაც, ესე იგი კრიტიკა, იმ სარგებლობის მიხედვით, რომელიც ამ თხზულებებს საზოგადო საქმისთვის მოჰქონდათ, როდი ეხებოდა და როდი ანიშნებდა მკითხველებს იმათ სუსტ მხარეებს, როდი ჰკიცხავდა იმათ ხელოვნური მხარის ნაკლოვანებას, როდი ამბობდა ნამდვილად ხელოვნური მწერლობა უფრო ბეჯითი გზით უნდა დაიარეპიოდეს“¹⁰.

ნ. ნიკოლაძის აზრით, კრიტიკას რომ პირუთვნელი აზრი გამოვლიქვა და გაეკრიტიკებინა. მათი ნაწარმოებები, ამით მხოლოდ ზიანს მოუტანდა ბატონყმობის გაუქმების საქმეს. ამიტომ მოხდა, რომ მხოლოდ ბატონყმობის გაუქმების შემდეგ დაიწყო ლიტერატურულმა კრიტიკამ პირველი შენიშვნების გაკეთება და თვით იმ უურნალმა დაბეჭდა ეს შენიშვნები, რომელშიაც აღნიშნულ მწერალთა ნაწარმოებები იყო დაბეჭდილი. ასეთი ხასიათის კრიტიკული სტატიის ნიმუშად ნ. ნიკოლაძე ასახელებს ნ. გ. ჩერნიშევსკის სტატიას—„ცვლილებათა დასაწყისი ხომ არ არის“ (საცენზურო პირობების გამო ავტორის დაუსახელებლად). ცნობილია, რომ სწორედ ამ სტატიაში მოგვცა ჩერნიშევსკიმ „შეუფერავი რეალიზმის“ გაგება, რომელიც ქართულ კრიტიკაში პირველად ნ. ნიკოლაძემ შემოიტანა 70-იანი წლების კრიტიკული რეალიზმის დასახასიათებლად.

ნ. გ. ჩერნიშევსკის აღნიშნული სტატია მიძღვნილი იყო ნ. უსპენსკის მოთხრობების განხილვისადმი. ჩერნიშევსკი აღნიშნავდა საგრძნობ სხვაობას მანამდე „სოვრემენიკში“ დაბეჭდილ ნაწარმოებებსა და ნ. უსპენსკის მოთხრობებს შორის. „Те идеализировали мужицкий быт, изображали нам простолюдников такими благородными, возвышенными, добродетельными, кроткими и умными, терпеливыми и энергическими, что оставалось

¹⁰ ნ. ნიკოლაძე, ტ. III, გვ. 376.

რეალიზმით“ გატაცების შედეგი უნდა იყოს. მიუხედავად ამისა, თვით იდეა „შეუფერავი რეალიზმისა“, ისე, როგორც იგი ესმოდა ნ. ნიკოლაძეს, დადებით მოვლენას წარმოადგენდა 70-იანი წლების ქართულ ლიტერატურაში. იგი მწერლობის ყურადღებას ამახვილებდა ცხოვრების მახინჯ მხარეებზე, რომელთა მხილება ობიექტურად არსებული სინამდვილის წინააღმდეგ ბრძოლის გამოხატულება იყო.

ნ. ნიკოლაძე უაღრესად მაღალ შეფასებას აძლევდა ქართული კრიტიკული რეალიზმის მეორე უდიდესი წარმომადგენლის—ა. წერეთლის შემოქმედებას. მას ი. ჭავჭავაძესთან ერთად ა. წერეთელი 60-იანი წლების ქართული ლიტერატურის ბურჯად მიაჩნდა. ნ. ნიკოლაძე ხაზს უსვამდა ა. წერეთლის ნოვატორულ როლს ქართული პოეზიის განვითარებაში. კრიტიკოსის მართებული შენიშვნით, თუ იდეური მიმართულება 60-იანი წლების ქართულ ლიტერატურას ი. ჭავჭავაძემ მისცა, ა. წერეთლის როლი ენისა და ფორმის სიახლეში მდგომარეობდა.

ნიკო ნიკოლაძე ხაზგასმით აღნიშნავდა აკაკის მაღალ პოეტურ ოსტატობას: „გადაუქარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ბუნებრივი ნიჭით იგი მთელი თავით მაღლა დგას გამოუყლებლივ ყველა თანა-ნედროვე კავკასიელ მწერალზე, პოეტსა და პროზაიკოსზე. ჩვენში ყველაზე მეტათ იგი ფლობს ფასდაუდებელ ნიჭს, მწერლის უზენაეს ძალას: მისი ყოველი სიტყვა ელექტროდენივით გამსჭვალავს მკითხველს. ის აფორიაქებს, აღვიძებს, ფეხზე აყენებს დამბლადაცემულებსაც კი. პოეტი სამუდამოდ წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს არა მარტო თავისი აზრით, არამედ მისი გამოხატვის ფორმითაც და, შეიძლება ითქვას, ფორმით უფრო, ვიდრე აზრით. ერთი სიტყვით, ყველაფერი რაც წმინდა ქართულად გულუხვ ბუნებას განუზომელათ. შეუნანებლათ შეიძლებოდა მიეცა მწერლისათვის. მას მიუცია აკაკი წერეთლისათვის იმ ზომით, რომელზედაც არცერთ თანამედროვე კავკასიელ პოეტს ოცნების უფლებაც არა აქვს“¹².

ნიკო ნიკოლაძე მართებულად აღნიშნავს, რომ აკაკი წერეთლის პოპულარობის მიზეზი მისი პოეზიის ხალხურობაშია და ხალხურობის ცნების ქვეშ კი გულისხმობს არა მხოლოდ ენის სიახლოვეს ხალხურ მეტყველებასთან, არამედ იმას, რომ აკაკის პოეზია ქართველი ხალხის აზრის, მისი გულისნადების გამოხატველია. კრიტიკოსი ადარებს აკაკის როლს ქართულ პოეზიაში იმ როლთან, რომელიც შეასრულა პუშკინმა რუსული ლიტერატურის წინაშე: „საერთოდ,

¹² „ნოვოე ობოზრენიე“, 1889, № 1865.

ლიტერატურული მოღვაწეობის პირველი დღიდან დღემდე აკაკი წერეთელმა ქართულ სიტყვიერებაში დაიკავა და მთლიანად შეინარჩუნა სწორედ ის მნიშვნელობა, რომელიც აქვს პუშკინს რუსული ლიტერატურის ისტორიაში თავისი ნაწარმოებების ენისა და ფორმის მხრივ. მან პირველმა და შემდეგ ყველაზე მეტად თავის თანამოძმეებში, ძლიერ დაუახლოვა ლიტერატურის ენა ხალხურს. მისცა მას გასაოცარი მოქნილობა და გრაცია, გამომეტყველების უნარი, კოლორიტულობა“¹³.

აკვევს რა აკაკი წერეთლის ადგილს ქართულ ლიტერატურაში, ნ. ნიკოლაძე განიხილავს აკაკის შემოქმედებას ქართული პოეზიის განვითარების ასპექტში. მას მიაჩნია, რომ მხატვრული ფორმის სრულყოფის, პოეტურ სახეთა შექმნის თვალსაზრისით აკაკი წერეთელი დგას მეორე, აგრეთვე ქეშმარიტი ქართველი პოეტის ნ. ბარათაშვილის გვერდით. კრიტიკოსის აზრით, მხოლოდ მათ შეიტანეს ამ პოეზიაში ცხოველი, უკვდავი სახეები ფორმის სიმსუბუქესა და უბრალოებასთან ერთად და მხოლოდ მათი ქმნილებები, რომლებიც უკვე შეაქრნენ ხალხის მეხსიერებასა და შეგნებაში, დატოვებენ წარუშლელ კვალს...

სტატიის „ქართული ლიტერატურა 1879 წელს“ ნ. ნიკოლაძე ზანჯასმით აღნიშნავს ა. წერეთლის პოეზიის მეორე ღირსებას, რაც მისი ლექსების ღრმა ხალხურ შინაარსშია. 70-იან წლებში ნ. ნიკოლაძის ინიციატივით მოხდა აკაკი წერეთლის მიზიდვა გაზეთ „დროების“ თანამშრომლად. რამაც ინტენსიური გახდა პოეტის შემოქმედება. „60-იანი წლების დასასრულისათვის ქართული ლიტერატურა კვლავ დამაჯერებლად აქლერდა. მან მოახერხა აღედრა ინტერესი მასებში... ქართული ლიტერატურის მაშინდელი წარმომადგენლები გ. წერეთელი და აკაკი წერეთელი მთელი რიგი გაბედული და საქმიანი ნაწარმოებებით ეხებოდნენ ჩვენი ცხოვრების მანამდე ხელშეუხებელ საკითხებს და გულისხმიერი ქართველი საზოგადოება მაშინ კიდევ უფრო მეტი ხალისით აღევნებდა თვალყურს თავის ლიტერატურას, ვიდრე 60-იანი წლების დასაწყისში. ამ ხნის განმავლობაში ქართული ლიტერატურა გამდიდრდა მრავალი ნაწარმოებით, ნარკვევითა და სტატიით, რომელთაც ლიტერატურული თვალსაზრისით ბევრად უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ, ვიდრე ადრინდელი ნაწარმოებების უდიდეს ნაწილს“¹⁴.

¹³ „ნოვოე ობოზრენიე“, 1889, № 1865.

¹⁴ „ობოზორი“, 1880, № 381.

ნიკო ნიკოლაძე ქართული კრიტიკული რეალიზმის განვითარებაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა გ. წერეთლის შემოქმედებას. 70-იანი წლების ქართული ლიტერატურის გამოცოცხლების ერთ-ერთ მიზეზად კრიტიკოსს გ. წერეთლის შემოქმედება მიაჩნდა. იგი ხაზს უსვამდა გ. წერეთლის ნაწარმოებთა კრიტიკულ პათოსს, ცხოვრებაზე დაკვირვებისა და რეალისტური ტიპების შექმნის უნარს.

სტატიაში „გიორგი წერეთლის პირველი შრომა“, რომელიც უკრნალ „მოამბის“ 1894 წლის მესამე ნომერში დაიბეჭდა, ნ. ნიკოლაძემ გ. წერეთლის „მგზავრის წიგნები“ მკითხველ საზოგადოებაზე მოხდენილი ეფექტის მიხედვით ი. ჰავჭავაძის „კაცია ადამიანს“ შეადარა.

„მისი ცხოველი სურათები, მისი იუმორი, მისი ტიპები ყველას მოსწონდა და თვალწინ უდგა, უცნობი რამ გაგვაცნო ამ კაცმაო ამბობდა თუ გრძნობდა მკითხველი. დიდი იმედებიც დაბადა ყველაში ამ ბედნიერმა დასაწყისმა. ყველა ელოდა, აი ახალი ბელეტრისტი გაუჩნდა ჩვენს მწერლობასო, ფხიზლათ და ცხოვლად მხატველი ჩვენი ქვეყნის და ცხოვრების უცნობ მხარეებისაო“¹⁵. — იგონებს ნ. ნიკოლაძე.

გ. წერეთლის „მგზავრის წიგნებმა“ კრიტიკოსის ყურადღება იმით მიიქცია, რომ მასში თხრობის ორიგინალური მანერა, ადამიანთა ყოფისა თუ ბუნების სურათების ხილვის უნარი ის ახალი რამ იყო, რომელიც იმ ხანებში იკიდებდა ფეხს ქართულ ლიტერატურაში. ამავე დროს კრიტიკოსი შენიშნავს. რომ მართალია, შიგ, აქა-იქ, ენა სუსტობს... მაგრამ ამ ოცდახუთი წლის წინათ ამისთანა წვრილმანი შენიშვნისათვის ვის ეცალაო, ამავე დროს კრიტიკოსი ობიექტური რჩება ნაწარმოების ნაკლოვანი მხარეების მიმართ. მას მოაქვს აღონაწერები, რომლებშიაც მოცემულია ბუნების სურათების აღწერა თუ ცალკეული სცენები და შენიშნავს, რომ ყველაფერი ეს შესანიშნავია, მაგრამ ეს ხომ ფოტოგრაფიული სურათია, მწერლის ნიჭი კი საგნის ამორჩევაში გამოჩნდება, ტიპის შერჩევაშიო.

ნ. ნიკოლაძე აქვე აღნიშნავს იმ მდიდარ შესაძლებლობებს, რომელსაც ქართველი ხალხის ცხოვრება, თუ საქართველოს ბუნება აძლევს მწერალს: „ჩვენი ქვეყანა სავსეა სრულიად უცნობი ხასიათებით... ვერც ერთ დიკენსის ან ტეკერეისთანა მწერალთა თხზულებაში ვერ ნახავს კაცი იმ საკვირველი ტიპების მსგავსს, როგორიც ასობით და ათასობით ფუთფუთებენ საქართველოს სხვადასხვა ხე-

¹⁵ „მოამბე“, 1894, № 3, გვ. 143.

ობებში და კუნძულებში. ზოგიერთს გაშლილ ქვეყნებსავე ერთგვარი და ერთფეროვანი კი არ ყოფილა ჩვენი ქვეყნის ბუნება და ცხოვრება, რომ მთელ ხალხს ერთნაირი ხასიათი, ერთნაირი ზნე, ჩვეულება, თვისება და მისწრაფება ჰქონოდა. ჩვენში თვითეული ხეობა თავისი განცალკევებული, მიტოვებული ცხოვრებით ატარებდა თავის სიცოცხლეს მთელი საუკუნეების განმავლობაში. ამის გამო ზემო-იმერელის ხასიათი ვაკელისას არ ჩამოგავს, და ზღვისპირელისა — მთიულისას. ზოგი ამ ბუნების წყალობით, ზოგი სხვა ისტორიული მიზეზებით, ჩვენში არასოდეს ხანგრძლივით არ დაჰყარებულა ნამდვილი და ძლიერი საერთო მთავრობა, რომელიც შესძლებდა გაეწვრთნა, შეეერთებინა, შეეფერებინა და საზოგადო მიზნისაკენ წარემართა ამოდენა დაცალ-ცალკევებული ხალხი. ამას გამო თვითეული ქართველი უწინ უფრო თავის იმედით იყო. ვინემ მთავრობისა. როგორც ადამიანი — ისე თვითეული სოფელი ან ხეობა, ან სამთავრო ცალ-ცალკე ცდილობდა თავისი გონება და ვითარება რამენაირათ დაეცვა. აი ამ გარემოებამ დაბადა ჩვენში მეტისმეტი მრავალფერობა ხასიათებისა, ზნისა, მიდრეკილებისა, ჩვეულებისა და თვით ენისაც. ასრე გასინჯეთ, ყველაფერი ეს უნდა შეისწავლოს მწერლობამ, თუ გვინდა, რომ ჩვენში მკვიდრი და სახიერო ძმობა და ერთობა დაარსდეს“. ამ მდიდარი მასალისაგან უნდა შექმნას მწერალმა ტიპი და გიორგი წერეთლის დამსახურებაც იმაშია, რომ მან შესძლო უკვდავი ტიპის შექმნა.

კრიტიკოსის აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კუდაბზიკას სახე. „მთელ ამ თხზულებაში სრულად რომ არაფერი ყოფილიყო, გარდა მართო ერთი კუდაბზიკას აწერისა, მაშინაც ჩვენ მწერლობაში უკვდავი დარჩებოდა „მგზავრის წიგნები“, ამიტომ რომ ეს კუდაბზიკა — ნამდვილი ტიპია“.

კუდაბზიკას ხასიათს ავტორი ქმნის მთელი ნაწარმოების სიგრძეზე. იგი „მოქმედებს და ლაპარაკობს სწორედ ისე, როგორც იმდროინდელი წვრილფეხი იმერელი აზნაურები. ეს მხარე ბ-ნ გ. წერეთლის „მგზავრის წიგნებისა“ სწორედ რომ უნაკლულად არის დაწერილი, ნამდვილი, წარჩინებული ხელოვნებით და უექვოა, რომ ეს დიდ ხანს, დიდ ხანს დარჩება სამაგალითო ნაწარმოებად ჩვენს ბელეტრისტიკაში... ავტორს ამ ტიპის შედგენაში არც ერთი მხარე არ დავიწყებია იმ ხასიათისა, რომლის გადმოღება უნდოდა ჩვენი ცხოვრებისაგან“.

ნ. ნიკოლაძის აზრით. ამით ამოიწურება ნაწარმოების მნიშვნელობაც, რადგან ავტორმა ვერ შესძლო სხვა ტიპების შექმნა. სათა-

ური გვიჩვენებს, რომ კულაბზიკას გვერდით მას უნდოდა კიკოლიკისა და ჩიკოლიკის ტიპებიც შეექმნა. მაგრამ „ჩიკოლიკის სურათი ერთობ ნკრთალა“. რაც შეეხება კიკოლიკის სახეს, იგი სრულებით არაა დახატული. რით უნდა აიხსნას ეს მდგომარეობა? — კითხულობს კრიტიკოსი და თვითონვე პასუხობს: — გ. წერეთლის ნიჭის თავისებურებო. რაც იმაში მდგომარეობს, რომ იგი შეუცდომლად ხატავს მხოლოდ იმ სურათებს, „რომელიც ბავშვობაში თვალწინ ჰქონია“. ხოლო სხვა სურათების ხატვის დროს, მხატვრის ადგილს იჭერს მქადაგებელი, ჩამგონებელი, რომელიც „კი აღარ ხატავს, თვითონ კი არ გიფენს ცხოვრების ხასიათს თუ ბუნებას, შენ კი არ გაფიქრებს ამ ცხოვრებაზე, ხასიათზე თუ ბუნებაზე, თვითონ შენ წინ ხმამალა ფიქრობს ან ბაასობს მათზე. მხატვარი თან და თან თავის ადგილს მოწინავე წერილების დამწერს უთმობს და ხელოვნური ბელეტრისტიკა უბრალო და უფრო პუბლიცისტიკად იქცევა“.

მწერალმა სახე თუ ხასიათი მოქმედებაში უნდა უჩვენოს, „ბელეტრისტი სურათებით უნდა სჯიდეს ცხოვრებას, და არა სიტყვებით, ის მხატვარი უნდა იყოს, და არა რეზონერი... ბელეტრისტი, პოეტი მარტო სურათებით უნდა შემოქმედებდეს მკითხველზე. მისი გრძნობა დარიგებისათვის პირდაპირ კი არ უნდა გამოიჯიშოდეს. თავისთავად უნდა იბადებოდეს მკითხველის გულში, მისგან დახატული სურათის წარმოდგენის დროს“.

კიდევ უფრო უაჩყოფითი შეხედულებისაა კრიტიკოსი ნაწარმოების მეორე ნაწილზე, რომელსაც სათაურად „კიკოლიკის ცხოვრება“ აქვს. კრიტიკოსს იმაშიც კი ეპარება ექვი, რომ ეს ბელეტრისტიკის ნაწარმოებია და კატეგორიულად აცხადებს: ამ თხზულებაზე გვიანდა დამწყებ მწერლებს ვუჩვენოთ, თუ როგორ არ უნდა წერდეს ქართველი ბელეტრისტიო.

ხელოვნებას, ნ. ნიკოლაძის სამართლიანი შენიშვნით, ხალხზე შემოქმედების უფრო მეტი საშუალებანი გააჩნია, ვიდრე მეცნიერებას. იგი უფრო ძლიერად მოქმედებს ხალხზე და როდესაც მწერალი ტიპიური სახის შექმნის ნაცვლად მსჯელობას იწყებს, იგი შეგნებულად უარს ამბობს შემოქმედების საშუალებებზე: „როცა ბელეტრისტი მქადაგებელია, როცა ის ხელს იღებს თავის პოეტურ უფლებებზე. შეთხზვის, სურათის შექმნის უფლებაზე და, პუბლიცისტიკით, აზრით მოქმედებას იწყებს, ის როდი უნდა ივიწყებდეს იმ კანონებს, რომელნიც პუბლიცისტიკისათვის ან ისტორიკოსისათვის ქვეყანას დაუწესებია. მაშინ იმას, უპირველეს ყოვლისა, სიმართლე უნდა ჰქონდეს სახეში. ბ-ნი გ. წერეთელი ამ

ორ სხვადასხვაგვარ ხელობას ერთმანეთში ურევს ხოლმე, და ესეც მისი უშველებელი ნაკლოვანებაა. წელან შეენიშნეთ, ამ თხზულების მეორე ნაწილის აშკარა საგანი გამოსახვა იყო ბრძოლისა ორ თაობას შუა-მეთქი. ამ ბრძოლის პატიოსნად გამოსახატავად აუცილებელ საჭიროებას შეადგენდა ორივე ხასიათის, მიმართულების, რწმუნების ნათლად გამოკვლევა და ჩვენება. ხომ ასეა. წარმოიდგინეთ ახლა, რომ ბევრ ადგილას ერთი თაობის ან მიმართულების რწმუნება და ხასიათი ავტორს მეორისათვის დაუკისრებია... ზოგიერთ ადგილს ავტორს მოწინააღმდეგისათვის მთელი დიალოგი გამოუტლია ფეხ-ქვეშიდან. მაგალითად, ავილოთ თუნდ გრძელი დავა კიკოლიკსა და ხ....სკის შუა გარბალდისაგან ნეაპოლის ალების თაობაზე¹⁶.

საერთო დასკვნა, რომელსაც ამ ნაწარმოების განხილვიდან აკეთებს კრიტიკოსი, იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენს ქვეყანაში უამრავი ხასიათები, ტიპები, სურათები და საგნები არის დახატვის ღირსი და ელოდება თავის ნიჭიერ მხატვარს. ვინც შესძლებს შექმნას ნამდვილი ლიტერატურული ტიპები, მხოლოდ ის დაიმსახურებს მწერლის სახელს.

ქართული რეალისტური დრამატურგიის განვითარებაში ნ. ნიკოლაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა გ. წერეთლის პიესას „ჯიბრი“. ამ ნაწარმოების დაბეჭდვა „კრებულში“ მას საკუთარ დამსახურებად მიაჩნდა და „დროების“ ფურცლებზეც ს. მესხთან ერთად რამდენჯერმე გამოთქვა დადებითი აზრი ამ კომედიის შესახებ. 1872 წელს ან. ფურცელაძესთან პოლემიკის მსვლელობაში ნ. ნიკოლაძე კვლავ დაუბრუნდა გ. წერეთლის კომედიის დახასიათებას და კვლავ ხაზგასმით აღნიშნა მისი დადებითი მხარეები. კრიტიკოსის აზრით, ქართულ დრამატურგიას გ. წერეთლის აღნიშნული კომედიის დაწერამდე ის ნაკლი გააჩნდა, რომ „ყველაში ერთი და იგივე აზრი, ერთი და იგივე ინტრიგა, ერთი და იგივე მოქმედება და მოქმედი პირები გამოჰყავდათ მწერლებს: ვისაც ერთი კომედია ენახა, ნანახი ჰქონდა ყველა დანარჩენები. ყოველ კომედიაში უნდა ყოფილიყო გასუქებული სომეხი, მოლაპარაკე დამტვრეული ქართული ენით, ისეთი ენით, რომელსაც არათუ ჩვენი სომხები, გუშინდელი მოსული ყიზილბაშიც არ ხმარობს. ყოველ კომედიაში მეორე პირათ უნდა ყოფილიყო „ჩმერელი“, დაგრეხილი, დამახინჯებული ლაპარაკით, რომლითაც სრულიად არც ერთი ხალხი და არც ერთი კაცი არ ლაპარაკობს კავ-

ასიაში. უნდა ყოფილიყო „რუსეთუმე“ აფიცერი, ან ჩინოვნიკი, ახალგაზრდა ქალი — მისი მთარშიყე გოგო, დედა და მამა. ახალგაზრდა კაცს ქალი უნდა ყვარებოდა, იმერელს — გოგო, და ორი ან სამი მოქმედების ბოლოს მცქერალს ორი ქორწილი ერთად მიერთებოდა“¹⁷.

კრიტიკოსის აზრით, ასეთი კომედიების ნაკლი იმაში მდგომარეობდა, რომ მათში არ იყო მოცემული ხალხის ცხოვრება, საზოგადოების ქირი და ლხინი, მათში არ იყო მოცემული ცხოვრებისეული მხატვრული ტიპები. გ. წერეთლის „ჯიბრის“ დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მას არც ერთი ზემოაღნიშნულ ნაკლთაგანი არ ახასიათებს. მწერალს ჩვენ ერთბაშად გადაყვავართ სრულიად უცნობ წრეში, იმ წრეში, რომელშიაც გამოზარდილია თითქმის მთელი ჩვენი ახალგაზრდობა, მაგრამ რომელიც არ გამოხატულა ჯერ მწერლობაში. ოქ ჩვენ ნამდვილ შეუფერავ, ცოცხალ ნაცნობებს ვხედავთ თითქმის დაგვირგობილი სიმაართლით გადმოხატულებს, ჩვენ გვესმის მათი ნამდვილი ლაპარაკი და ენა — ეს არაფერია, მაგრამ ძალა იმაშია, რომ ჩვენ თვალს წინ დგება მათი ნამდვილი ხასიათი, მათი მოაზრება, მათი ტვინი და გული. რამდენს უთქვამს, „ჯიბრის“ წაკითხვის შემდეგ „რა საკვირველათ ჩამოგავს „ჯიბრის“ გამდელი ჩემსასო“. საზოგადოთ „ჯიბრის“ სურათების სინამდვილე ყველამ აღიარა, ყველამ იცნო და გამოთქვა“¹⁸.

გ. წერეთლის დამსახურებად ნ. ნიკოლაძეს ტიპიური ხასიათების ტიპიურ გარემოცვაში შექმნა მიაჩნია და ამიტომ „ჯიბრის“ ახალი ტიპის კომედიების დასაწყისად აღიარებს.

მსგავსად რუსი რევოლუციური-დემოკრატიების ლიტერატურული კრიტიკისა, ნ. ნიკოლაძე კომედიის შინაარსის ცხოვრებასთან შეჭერების გზით მიუთითებს საზოგადოებრივი ყოფის ისეთ ნაკლოვანებებზე, რომელთა აღმოფხვრა მწერლობის დანიშნულებად მიაჩნია. „ჩვენდა საუბედუროთ, — წერს ნ. ნიკოლაძე, — ჩვენს ცხოვრებაში სიყვარულს — ქალის იყოს, გინდ მამულის — თითქმის არასოდეს ადგილი არ უკავია. იმას არც არავინ გრძნობს, არც არავინ ეძებს, ან, თუ ეძებს, მისთვის არავინ იბრძვის. ჩვენში, როგორც ყოველ ღარიბ და ბინძურ საზოგადოებაში, ბრძოლა, ხასიათი, ვაჟ-კაცობა, დრო და ძალა ლუკმა პურის და მიწის ნაგლეჯისათვის იხარჯება, რადგან ჩვენი ცხოვრება თითქმის არც ერთ თავის შემთხ-

17 ნ. ნიკოლაძე, ტ. 3, გვ. 55—56.

18 იქვე, გვ. 56.

ვევას არ წარმოგვიდგენს, რომ კაცს ებრძოლოს და თავისი სიცოცხლე და ბედი შეეწიროს ან ქალის ან მამულის სიყვარულისათვის. რანაირათ, ან რისთვის უნდა ვწერდეთ ჩვენ ისეთ კომედიებს, რომელშიაც მოძრავ ძალათ სიყვარული და გრძნობა ჩნდება და რომელშიაც მოქმედება სიყვარულზეა დაფუძნებული“¹⁹.

კრიტიკული რეალიზმისათვის ბრძოლის გზაზე ნ. ნიკოლაძეს არაერთი მნიშვნელოვანი მოსაზრების გამოთქმა მოუხდა სხვა ქართველ მწერალთა შემოქმედებისა თუ მწერლობის განვითარების ტენდენციების შესახებ. მისი შენიშვნები და დაკვირვებანი იმდენად საფუძვლიანი იყო, რომ ბევრი მათგანი დღესაც ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას.



თეიმურაზ ფირალიშვილი

ნიკო ნიკოლაძე და XIX საუკუნის 70-იანი წლების რუსული პრესა

(ზოგიერთი საკითხი)

XIX საუკუნის 70-იანმა წლებმა ახალი ამოცანები დააყენა ქართველ სამოციანელთა წინაშე. ეს იყო რუსეთის ცარიზმის და რუსეთის დიდმპყრობელური ბურჟუაზიის მიერ კოლონიურ განაპირა რაიონებზე შეტევის, გადამწყვეტი „ეკონომიური დაპყრობის“ პერიოდი¹. ამ ხანებში შექმნილი „მეორე რევოლუციური სიტუაციით“ დაშინებული ცარიზმი და რუსეთის ბურჟუაზია ამ ეკონომიური ექსპანსიის პირობებში მძულვარედ უტევდა მათი „ცივილიზატორული მისიის“ წინააღმდეგ აღმდგარ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და მის სათავეში მდგომ ინტელიგენციას. ცარიზმი ყოველნაირად ცდილობდა მოეთოკა ამ დროის საერთო-სახალხო ოპოზიციის, რევოლუციური ძალების მძლავრი შენაკადის — ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობით მოცული განაპირა რაიონების ყოველგვარი ინიციატივა, როგორც პრაქტიკულ ცხოვრებაში, ისე კულტურის სფეროშიც. თავის მოქმედებას იგი ამაგრებდა დამსჯელი ბიუროკრატიული აპარატის გაძლიერებით. მიუხედავად ამისა, გაერთიანებულმა რეაქციულმა ძალებმა ვერ შეძლეს ქვეყანა გამოეყვანათ პოლიტიკური და ეკონომიური კრიზისიდან, ვერ შეანელეს რევოლუციური სიტუაცია. სამოციანი წლებით დაშინებული სახელმწიფო მმართველი კონსერვატიული ზედაფენა ყოველ ღონეს ხმარობდა გაეთიშა გაერთიანების გზაზე დამდგარი ოპოზიციური ძალები.

პოლიტიკურად და ისტორიულად ჩამორჩენილმა ცარიზმმა ვერ შეძლო თავისი არსებობის ისტორიული პრინციპების შენარჩუნება და ახალი ეკონომიური ცხოვრების მესვეურ ბურჟუაზიაზე მოძალა-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ. (გამოც. მე-4), ტ. 3, გვ. 471—477.

დე მეურვეობით ქვეყნის ეკონომიკის წარმართვა თავისი ინტერესების სასარგებლოდ. ფორმაციათა გარდამავლობის პროცესების თავმოყრამ მეტად გაართულა საზოგადოებრივი ცხოვრება. ერთბაშად გამოაჩინა არა მარტო მოძველებული სახელმწიფოს უზარმაზარი სისტემის მტკივნეული ადგილები, არამედ საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების, საზოგადოებრივი აზრის სრული მოუშზადებლობა ახალი ისტორიული პირობებისათვის. ასეთი სიტუაციისათვის, ბევრ შემთხვევაში, მოუშზადებელი აღმოჩნდა მოწინავე რუსული საზოგადოებრივი ცხოვრების გამომხატველი, ოპოზიციურად განწყობილი ინტელიგენციის დიდი ნაწილი. ფორმაციათა შორის გარდამავლობის რთულმა პირობებმა თავისი კვალი დააჩნია მათ შეხედულებებს, რომლებიც, ძლიერ ხშირად, ურთიერთსაწინააღმდეგო შინაარსის ეკონომიურ და პოლიტიკურ პრინციპებს გამოხატავდნენ. „იდეურ სიჭრელეს“ ხშირად თან სდევდა რევოლუციური ძალების მოქმედების შეფერხება. მიუხედავად ამისა, რუსეთის და განაპირა ეროვნული რაიონების რაზნოჩინულმა ინტელიგენციამ, რიგ შემთხვევაში, „უფრო გმირული შემართებით, ვიდრე სწორი რევოლუციური თეორიით“ (ენგელსი) ზეგავლენა მოახდინა მასების პოლიტიკურ გააქტივებაზე. თუმცა ცარიზმი შემდგომ რეფორმებს უფრო პოლიტიკური ბალანსირების შენარჩუნებისათვის ატარებს, სწორედ ეს უკანასკნელი იქცა ლეგალური, საკანონმდებლო ბრძოლების მიზეზად. ხელისუფლებამ დაუთმო ოპოზიციურ ბურჟუაზიას და მას, 1865 წელს, მისცა ბეჭდვითი სიტყვის „თავისუფლების“ კანონი. მმართველობის ხელიდან გამოტაცებულ ამ მცირე დათმობას ჩაეკიდნენ დემოკრატიული ძალები. 70-იან წლებში მეტად გაზრდილმა ლეგალურმა ბეჭდვითმა სიტყვამ ბევრი „საშიში“ ლიტერატორი მოიზიდა იატაკქვეშეთიდან. ლეგალური ასპარეზი თანდათან იდეური ბრძოლის მოედნად იქცა. რაზნოჩინული ლეგალური პრესა ეზოპური მეტყველებით ხშირად ძირითად პოლიტიკურ საკითხებს უახლოვდება. ლეგალური ბეჭდვითი სიტყვა მასების პოლიტიკური ორიენტირებისათვის იბრძვის.

ვ. ი. ლენინი არაერთხელ შეეხო XIX საუკუნის 70—80 წლების რაზნოჩინული, რევოლუციურ-დემოკრატიული პრესის ისტორიულ დამსახურებას. პროლეტარული რევოლუციის ბელადი წერდა:

„მუშათა ბეჭდვით სიტყვას რუსეთში თითქმის ერთი საუკუნის ისტორია აქვს — ჯერ მოსამზადებელი, არა მუშური, არა პროლეტა-

რული. არამედ საერთო დემოკრატიული“². „ბატონყმობის გადავარდნამ გამოაჩინა ჩაზნოჩინული, გამათავისუფლებელი მოძრაობისა, საერთოდ. და, კერძოდ, ცენზურის გარეშე მყოფი პრესის მასობრივი მოღვაწე“³. ლენინის მიერ მითითებული ისტორიული მონაკვეთის მანძილზე, მის რთულ პირობებში რევოლუციურად განწყობილმა ინტელიგენციამ შეძლო ეფექტურად გამოეყენებინა 70-იანი წლების ლეგალური პერიოდული ბექდვითი სიტყვა. მებრძოლმა პუბლიცისტებმა თვით რეაქციის მოძალების პირობებშიც კი გაუცაფეს გზა რევოლუციურ აზრს. ამ პერიოდში რეაქციული ძალები ცდილობდნენ სამოქალაქო რეფორმებით შეენელებინათ ოპოზიციის ზრდა. რეფორმებმა გაიტაცეს და მოადუნეს რიგ ძველ მებრძოლთა ყურადღება, მაგრამ იგივე რეფორმები შესანიშნავად გამოიყენეს მოწინავე ძალებმა თავისი პოლიტიკური მიზნებისათვის. მშრომელთა მასებმა ცხადად დაინახეს რეფორმების ანტიხალხური არსი. ლენინი წერდა: „რევოლუციონერები, რა თქმა უნდა, არასოდეს უარს არ იტყვიან რეფორმებისათვის ბრძოლაზე, ამ გზით მტრისათვის თუნდაც უმნიშვნელო და კერძო პოზიციების წასართმევად, თუ ეს პოზიცია გააძლიერებს მათს შეტევას და შეამსუბუქებს გამარჯვებას“⁴. თუ გავითვალისწინებთ, რომ ცხოვრების ობიექტურ-ისტორიული პირობების სწრაფმა ცვლილებებმა რუსეთში ფეხზე დააყენა როგორც მშრომელი მოსახლეობა, ისე ოპოზიციურად განწყობილი ინტელიგენცია, უთუოდ გასაგები გახდება განაპირა რაიონების მოსახლეობის და რევოლუციურად განწყობილი ინტელიგენციის უაღრესად მძაფრი რეაგირების მიზეზიც. რევოლუციური სიტუაციის ზრდით შეშინებული ცარიზმი, მისი გამომწვევი მთავარი მიზეზის — ქვეყნის ეკონომიური ჩამორჩენილობის კომპენსაციას ლამობდა კოლონიური განაპირა რაიონების ექსპლოატაციის სწრაფი რეორგანიზებით, რომელიც უნდა უზრუნველყოფილიყო ქვეყნის ამ კუთხეებში დამსჯელი ბიუროკრატიული აპარატის გაძლიერებით.

ზემოხსენებულის გამო, გასაგები უნდა იყოს, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლები ამ დროს უფრო ახლო დგებდა უკიდურეს რადიკალურ ძალებთან, რევოლუციურ იატაკქვეშეთთან, ვიდრე ლეგალურ პარტიებთან, რომელთა ოპოზიციური საქმიანობა

2 ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 20, გვ. 301.

3 იქვე, გვ. 224.

4 ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 12, გვ. 331.

არსებითად ხელს უწყობდა დიდმპყრობელური ბურჟუაზიის ბრძოლას პოლიტიკური ჰეგემონიისათვის. ცხადია, ეროვნულ თავისუფლებას მოკლებული რევოლუციურად განწყობილი ინტელიგენცია ლეგალური ბრძოლის პირობების გამოყენებისას რევოლუციურ პარტიებს უახლოვდება. გასაგებია ისიც, რომ სწორედ ამ ისტორიულ პერიოდში იატაკქვეშეთი მეტად იზრდება მცირე ერთა წარმომადგენლებისაგან. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა იქცევა საერთო რევოლუციური მოძრაობის მძლავრ შენაკადად.

მეორე რევოლუციური სიტუაციის პირობებში ლეგალური პრესის ოპოზიციურ ავანგარდს უერთდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი რაიონების მებრძოლი ბეჭდვითი ორგანოები. განსაკუთრებით გამრავლდა გამოცემები რუსულ ენაზე. რომლებიც, ერთგვარად, „ეპოქის შეკვეთას“ ასრულებდნენ. ამ ორგანოებში ისახებოდა არა მარტო მძაფრი რეაგირება არსებული რეჟიმის წინააღმდეგ. არამედ, უმეტესად, ეპოქის იმ მამოძრავებელი ისტორიული ტენდენციის მოქმედება, რომელიც რეალური მოვლენების სახით იჩენდა თავს ეროვნული რაიონების ცხოვრებაში და განსაზღვრავდა რევოლუციურად განწყობილი ინტელიგენციის შეხედულებებს. სწორედ ეს ედება საფუძვლად იმ წვლილს, რაც შექჟონდა მებრძოლ ეროვნულ ინტელიგენციას დემოკრატიზმის იდეის გამდიდრების საქმეში.

სსრკ-ს მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცემულ „მსოფლიო ისტორიის“ ქვეთავში, რომელიც აღნიშნულ საკითხს ეხება, ვკითხულობთ:

„ცარიზმის მიერ გატარებული ეროვნებათა ჩაგვრის პოლიტიკა ძალმომრეობით აბრკოლებდა იმპერიაში შემავალ ყველა ხალხის ეკონომიურ და კულტურულ განვითარებას. მაგრამ დათრგუნვის მიუხედავად და მის საწინააღმდეგოდ, ველიკორუსულ ცენტრთან დაახლოებას (განაპირა რაიონებისა—თ. ფ.) ჰქონდა საგანგებო პროგრესული შედეგები. მათ შორის განსაკუთრებით — რუსეთის ხალხთა შორის კავშირების ზრდა და ეროვნულ კულტურათა ურთიერთ-გამდიდრება., პროლეტარებისა და განაპირა რაიონების მშრომელთა ხელით ერთიანი რევოლუციური მოქმედების დანერგვა“⁵.

ახალმა სპეციფიკურმა ისტორიულმა პირობებმა საერთოდ, და, კერძოდ, მძიმე სარეჟიმო პირობებმა თავისი ღრმა კვალი დააჩნია ქართველ რევოლუციონერ-დემოკრატთა შეხედულებებს, მათ ლიტე-

⁵ „მსოფლიო ისტორია“, ტ. VII, თავი: — 70-იანი წლების საზოგადოებრივი მოძრაობა“ (სსრკ მეცნ. აკად., რუს. ენაზე), მოსკოვი, გვ. 144.

რატურულ და სხვა საზოგადოებრივ საქმიანობას. ქართველი ხალხის გამათავისუფლებელი მოძრაობის მოწინავე რაზმი კიდევ უფრო ახლო დგება რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის მოწინავე სადროშოსთან. სამოციანი წლების შემდეგ ეს სიახლოვე პრაქტიკულად კვლავ გამოხატა გამოჩენილმა ქართველმა პუბლიცისტმა ნიკო ნიკოლაძემ.

1875 წელს, უცხოეთიდან დაბრუნებული, ამ დროისათვის უკვე სახელმძღვანელო ქართველი პუბლიცისტი სათავეში ჩაუდგა საქართველოში რუსულ ენაზე გამოცემულ გაზეთს — „ტიფლისკი ვესტნიკს“. უმოკლეს ხანაში მან ეს გაზეთი აქცია მებრძოლ დემოკრატიულ ორგანოდ და მის გარშემო შემოიკრიბა ქართველ ლიტერატორთა ჯგუფი (ა. წერეთელი, გ. წერეთელი, დ. ერისთავი და სხვ.).

ქართველ ლიტერატორთა აღნიშნულმა ჯგუფმა და თვით ნიკო ნიკოლაძემ დიდი წვლილი შეიტანეს ამ პერიოდის მებრძოლ-დემოკრატიული პრესის ისტორიაში. მათ საქმიანობას არაერთხელ გამოეხმაურნენ როგორც ლეგალური, ისე არალეგალური გამოცემები, იმ დროის რევოლუციური ბექდვითი სიტყვის მემკვიდრეები, ემიგრანტული გამოცემები და, ბოლოს, ცნობილი პოლიტიკური და ლიტერატურული მოღვაწეები თავიანთი მემუარებით.

ქართველ პუბლიცისტთა ამ ჯგუფს შესწევდა ძალა დაეცვა არა მარტო ქართველი ერის სამოქალაქო და კულტურული უფლებები, არამედ გაბედულად შეხებოდა ძირითად პოლიტიკურ პრობლემებს, ახლო დამდგარიყო ყველაზე უფრო პროგრესულ რევოლუციურ თვალსაზრისთან.

ქართველ სამოციანელთა ამ ჯგუფის დამსახურება განსაკუთრებით ნათლად გამოვლინდა იმ პოლემიკაში მონაწილეობისას, რომელმაც 1875—1876 წლებში თითქმის რუსული პრესა მოიცვა. პოლემიკა ორ მტკივნეულ საკითხს შეეხო: მცირე ერთა კულტურის, სამოქალაქო უფლებების საკითხს და რეაქციის ცდას — გამთიშველი ეროვნული შუღლი გამოეწვია გაერთიანების გზაზე დამდგარ საერთო-სახალხო მოძრაობის მოწინავე რაზმებში. ეს იყო თურქეთთან ომის დასაწყისში, როდესაც ხელისუფლება და ბურჟუაზიული პრესა ძველი სკივრებიდან კვლავ იღებდა შოვინისტურ პანსლავიზმის დროშას. ცარიზმი თურქეთის სასულთნოს მიერ შებოკილ სლავთა მოძრაობის მიმართ საკუთარი ხალხის თანაგრძნობის პროვოცირებას ცდილობდა. ეს შეურაცხყოფას აყენებდა არარუს ერებს, რომლებიც რუს ხალხთან ერთად ბალკანეთში სამართლიანობისათვის ბრძოლაში გზავნიდნენ თავის საუკეთესო შვილებს. ცხადია,

ხელისუფლება მალაედა ნამდვილ ზრახვებს თურქეთის მიმართ, მას ისევე სძულდა ბალკანელ ხალხთა „თავგასულობა“, როგორც საკუთარი ხალხისა, რომელიც სწორედ ამისათვის თანაუგრძნობდა შორეულ ბალკანეთს.

ნ. ნიკოლაძე ეკუთვნის მეტროპოლი რაზნოჩინული პუბლიცისტების იმ რაზმს, რომელმაც რეაქციის ძალებთან ბრძოლის რთულ პირობებში თავისი მოღვაწეობით საფუძველი მოამზადა პროლეტარული ბეჭდვითი სიტყვის მეტროპოლი ტრადიციების შექმნისათვის. ქართველი პუბლიცისტის მიერ თამამად გამოთქმული აზრები არაერთხელ გადაბეჭდილია იატაკქვეშეთის გამოცემებში. მაშინაც, როდესაც ნ. ნიკოლაძე რუსეთის სამოციანი წლების მოძრაობის ცენტრში ტრიალებდა, და, იმის შემდეგაც, როცა საშუალება მიეცა რევოლუციური დასავლეთის ცხოვრებას დაჰკვირვებოდა, — მისთვის ყოველთვის ნათელი იყო „გალიბერალებული“ ხელისუფლების მიერ ჩატარებული აგრარული, ხოლო შემდგომ — სამოქალაქო (ბურჟუაზიული) რეფორმების ანტიხალხური არსი. პოლემიკები, რომელშიც ნ. ნიკოლაძე მონაწილეობდა, სწორედ ამ საკითხებს ეხებოდა. რეფორმებზე მსჯელობა მას საშუალებას აძლევდა დიდად დაშორებოდა „მშვიდობიან“ პრობლემებს. ამ პოლემიკათა ფართო რეზონანსმა როგორც მტრისთვის, ისე მოყვრისათვის ცხადი გახადა ქართველი პუბლიცისტის ღრმა პოლიტიკური, ეკონომიური და სოციოლოგიური განათლება, რაც იმდროინდელ ბევრ პუბლიცისტს აკლდა. მეტროპოლითა რიგებიდან ნ. ნიკოლაძე გამოირჩა რთულად ნახლართი „თეორიების“ გაშიფვრის უებრო ნიჭით, მათში ძირითადისა და არსებითის ზუსტად ამოკითხვის იშვიათი უნარით. სწორედ ამის გამო ნ. ნიკოლაძემ ზემოხსენებულ პოლემიკებში არა მარტო შეძლო შებღალისაგან დაეცვა გამოჩენილ რუს სამოციანელთა საერთო ტრადიციები, არამედ, აგრეთვე, არაჩვეულებრივი გონებამანვილობით ამხილა თავის დიდ მასწავლებელთა ცნობილი შეხედულებების ტრანსფორმირების ცდები, — ახალი რევოლუციური თვალსაზრისის პოზიციებიდან. ნ. ნიკოლაძე რაზნოჩინელ პუბლიცისტთა იმ წრეს ეკუთვნოდა, რომელმაც სამოციანი წლების შემდეგ ევროპას მიაშურა სწავლის გასაგრძელებლად. მაგრამ ეს არ იყო გამოწვეული მარტოოდენ სწავლის სურვილით. როგორც ცნობილია, აშდროს შეეცარია გახდა რუსეთიდან ჩასული რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდობის თავშესაყარი. ნ. ნიკოლაძე მკიდრო კავშირში იყო რუსეთის პოლიტიკურ ემიგრაციასთან. იგი პარიზში

ატარებს მეტად ნაყოფიერ წელს. მისი ტიტანური შრომისუნარიანობა გერცენს აკვირვებს.

კაპიტალიზმის კლასიკურ სამყაროში ყოფნამ, მის ცხოვრებაზე დაკვირვებამ კიდევ უფრო გააღრმავა ქართველ ახალგაზრდობაში სოციალური ბრძოლისადმი ყურადღება და მისადმი რწმენა. ნ. ნიკოლაძეს, გიორგი წერეთელს, სერგეი მესხს და სხვებს უცხოეთში იმ დროს მოუხდათ ყოფნა, როდესაც ჯერ კიდევ ცხოველმყოფელი იყო პარიზის კომუნის განწყობილებები. ქართველ ლიტერატორებზე დიდი ზეგავლენა მოახდინა პირველი ინტერნაციონალის მოღვაწეობამ. ამან თავისი გამოხატულება პპოეა მათ მიერ ჩამოყალიბებულ კულტურულ-პოლიტიკური საზოგადოების „უღლის“ ცხოვრების წესა და გაზეთ „დროშის“ ხასიათსა და მიმართულებაში. ეს ფაქტი, რომელიც, ცხადია. საგულისხმო და ყურადსაღებია ქართველი მკვლევარებისათვის, ასახულია უკანასკნელი ხანების რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაშიც. საზოგადოება „უღლის“ წევრთა შორის პირველად გავრცელდა მარქსის „კაპიტალის“ რუსული თარგმანის ზელნაწერი. ნ. ნიკოლაძე ჩვეული ინტერესით „ჩაუჭდა“ ინტერნაციონალის ბელადის წიგნს. თუ რა გავლენა მოახდინა „დიდი ეკონომისტი“ (ნ. ნიკოლაძის სიტყვებით) ნაწერებმა, ამაზე ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე საკმაოდ ითქვა. კარლ მარქსის ცნობილ დებულებათა შეუქი ნათლად მოჩანს ნ. ნიკოლაძის ამდროინდელ სტატიებში, რომლებიც „კოლოკოლსა“ და „სოვრემენოსტში“ დაისტამბა.

ქართველ მოაზროვნეებს ჯერ კიდევ ბევრი რამ უშლიდა ხელს იმაში, რომ გაერღვიათ იდეური სამყაროს „ბურჟუისი“, გამეფებული აქ დროს რუსეთის იმპერიის ცხოვრებაში. და მაინც შეუწყნარებელ შეცდომას დავუშვებდით, არ დაგვენახა, რომ ქართველ სამოციანელებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ახალი სოციალური ძალა, გაცილებით უფრო რეაქციული მათ სამშობლოში, ვიდრე რუსეთის მეტროპოლიურ ცენტრში. ქართველ ემიგრანტთა წრეში ნ. ნიკოლაძე საკმაოდ საფუძვლიანად გაეცნო კაპიტალიზმის „ფიზიოლოგიას“, ბურჟუაზიული სამყაროს მოქმედებას დაქვემდებარებულ სამყაროზე და, ბოლოს, ახალ რევოლუციურ ძალასაც. ნ. ნიკოლაძემ ექვის თვლით შეხედა იმ რუს თეორეტიკოსთა შეხედულებებს, რომლებიც თემში ხედავდნენ მომავალი სოციალისტური წყობალების თესლს. რომ

6 Ш. М. Левин, Общественное движение в России в 60—70-ые годы XIX века, М., 1958, стр. 347.

რუსეთს საკუთარი ისტორიული გზა ედო წინ, ეს აზრი მან ნათლად გამოთქვა სტატიაში — „გლენთა განთავისუფლება საქართველოში“, — ჟურნალის გამომცემელთაგან დაუფარავად და პირდაპირ.

იმისათვის, რომ ნათელი გახდეს აღნიშნულ პერიოდში რუსულ პრესაში ნიკოლაძის მოღვაწეობის ზოგიერთი თავისებურება, ორი-ოდე სიტყვით შევეხებით რუსული ბექდვითი სიტყვის პირობებს.

აგრარული რეფორმების შემდგომმა პირობებმა მეტად ცივილური განადა რუსეთის ცხოვრება. ცარიზმი იძულებული იყო დროისათვის ანგარიში გაეწია და გამოეცა ბექდვითი სიტყვის შეღავათის მიმკემი კანონი. ოფიციალურად და თითოეულ კერძო გამოცემას არ შეეძლო სამსახური გაეწია მერკანტილური ცხოვრების გარდუვალი მოთხოვნალებებისათვის, და, ამასთან, კონკურენცია გაეწია ნამდვილი საზოგადოებრივი აზრის შემქმნელი „კრამოლური“ ლიტერატურისათვის. ახალი პრესა უნდა ყოფილიყო ორ ბატონს — მონარქიასა და მოაპოზიციო ეროვნულ ბურჟუაზიას შორის შუამავალი და მათი მომრიგებელი. ასეთი ეესტი „დიად რეფორმატორს“ — ალექსანდრე შეორეს საშუალებას აძლევდა გაეთამაშა ხალხისა და ხელისუფლების შერიგება. ეს მეტად სასარგებლო იყო რუსეთის საერთაშორისო რეპუტაციისათვისაც.

ყველაფერ ამას ისიც მოსდევდა, რომ ხელისუფლება „თავისუფალი პოლიტიკური პრესით“ ხაფანგს უგებდა „იაკობინურ“ ლიტერატურულ ძალებს.

როგორც აგრარულმა რეფორმამ, ასევე „ბექდვითი სიტყვის კანონმა“, ერთბაშად გახსნეს რაბი და მოწოლილმა ისტორიულმა ძალებმა მალე ჩებირი გადალახეს. თავისუფლების პატარა ღრიკო უმოკლეს დროში მთელ ხეობად იქცა. 70-იანი წლები რუსული ჟურნალიზმის აყვავების დრო დადგა, დადგა მეორე რევოლუციური სიტუაციის ხანა. რაოდენ შეკვეცილი არ იყო ახალი თავისუფლება. იგი იმ ბზარს ჰგავდა, სადაც შეიძლებოდა ნაღმის ჩადება. საერთო-სახალხო ოპოზიციამ სწორედ აქ გამოამჟღავნა თავისი ძალმოსილება. რაზნოჩინულმა, რევოლუციურ-დემოკრატიულმა ძალებმა ხელთ იგდეს მასობრივი პროპაგანდის საშუალება და ოპოზიციის უკიდურესმა ძალებმაც ლეგალურ ასპარეზზე გადმონაცლეს. სამოცდაათიან წლებში მათ ახალი და მზარდი მოკავშირეთა გუნდი გაუჩნდათ. ეს იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურთა ნაწილი, რომელიც რუსულ ენაზე დაბეჭდილ ორგანოებს სცემდა საკუთარ სამშობლოში.

სამოცდაათიანი წლების საერთო-სახალხო ოპოზიცია იქმნებოდა საგლეხო აჯანყებების, სტუდენტთა მღელვარების პირობებში. რევოლუციონერთა იატაკქვეშეთის აფეთქებები აძლიერებდნენ სარევიმო პირობებს. ხელისუფლებამ შესძლო ხალხოსანთა ძირითადი კერების მოსპობა. მაგრამ მას არ შეეძლო ადვილად გამკლავებოდა „სულიერ კირს“ — პრესას. ოპოზიციურად განწყობილი საზოგადოების „საერობრთა“ საკრებულოების და ბექდვითი სიტყვის მოთვინიერება ახალ ფრთხილ ღონისძიებებს მიენდო. სამოციანი წლებით გაღიზიანებული კონსერვატული ზედაფენები აშკარა უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ხელისუფლების „ლიბერალობის“ გამო. „მითქმა-მოთქმა ადასტურებს, რომ მთავრობა ვითომდა ვერ ამჩნევდა რევოლუციური პროპაგანდისა და რუსულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებულ სხვადასხვა ჯურის ლიბერალთა შორის კავშირს“⁷. — წერდა ერთი ცნობილი მონარქისტი.

ხელისუფლება გარეგნულად არ იმჩნევდა ლეგალური პრესის ადვირახსნილობას. მას არ შეეძლო ანგარიში არ გაეწია იმისათვის, რომ ყოველი საგრძნობი, გახმაურებული რეპრესია საერთო-სახალხო პროტესტს იწვევდა და რევოლუციის ქურას აღვივებდა. მას არ შეეძლო მხედველობაში არ მიეღო ისიც, რომ ე. წ. „თავისუფალი“ (ცენზურის გარეშე) პრესა ძირითადად ბურჟუაზიის ხელში იყო და რაც უფრო ღიზიანდებოდა ეს სოციალური ფენა ყოველი ახალი წინააღმდეგობის გამო, მით მეტად მიიწვედა წინ, რევოლუციური ძალების გამოყენებით, პოლიტიკური ჰეგემონიის ხელში ჩასაგდებად. მცირე უტაქტობა ასეთ დროს ბალანსირებას შეჩვეულ პოლიტიკურ მმართველობას საყრდენს აცდიდა. მონარქიზმი ამ დროს თვითონ იღებდა ბურჟუაზიისთან შეთანხმების, შერიგების ინიციატივას. ხელისუფლებამ მმართველი აპარატის კარიც კი გაუღო ბურჟუაზიას, ქვეყნის მართვაში მონაწილედ გაიხადა გუშინდელი „საზიზღარი ზამოსკვორჩიელი უზრდელი“. ეს იყო იმ დროს, როდესაც „იმპერატორი ანტიპათიურად იყო განწყობილი პოლიტიკის ასპარეზზე მიწვეული ლიბერალებისადმი, მათი ლიბერალური წესებისა და ინსტიტუტების მიმართ. მაგრამ მას მაინც ეამაყებოდა „ღიადი რეფორმატორის როლი“⁸.

ოპოზიცია არ სთმობდა თავისას. ლიბერალები იბრძოდნენ ახალი რეფორმებისათვის და ბურჟუაზიული კონსტიტუციისათვისაც

7 ე. პ. მეუჩერსკი, მოგონებანი (რუსულ ენაზე), სპბ, 1908, გვ. 241.

8 იქვე, გვ. 161.

კი. ამ ბრძოლაში ისინი ეყრდნობოდნენ რევოლუციურ-დემოკრატიულ ძალებს, მათ ლიტერატორებს. ბურჟუაზიულ ოპოზიციას ხელს უწყობდა „საგაზეთო რევოლუცია“. იდეური სპეკულანტები თავიანთ ორგანოებში ერთდროულად ბეჭდავენ როგორც ოფიციალური კურსის გამომხატველ, ისე „ექვემიტანილთა აზრებს“. ბევრისათვის გაზეთი მხოლოდ მოგების საშუალებად იქცა. ზოგი საქმოსანი ჯერნალისტი მილიონერიც კი გახდა (სუვორინი, კორში და სხვ.). ბოლოს ამ საქმეში ცნობილი მრეწველებიც კი ჩაებნენ (ბაიმაკოვი, ტრუბნიკოვი, პოლტიკა). ასეთი პრესა „ზომიერიდან“ თანდათან გამყიდველობისაკენ დაეშვა. ხელისუფლება ფიქრობდა, რომ „კრამილს“ ძლიერი მოწინააღმდეგე გაუჩნდა და ამიტომ ადვილი გახდა „სამიში ორგანოს“ თამამი „გაუფერულება“. ამ აზრს უკარნახებენ ბეჭდვითი დეპარტამენტი მონარქისტულ მმართველობას:

„ოტჩინესტვენიე ზაპისკი“ მავნებელია, მაგრამ გაცილებით უფრო მეტ მავნებლობას მოიტანდა ის, რომ ლიტერატურული ძალები, რომლებიც ახლა დაუფარავად მიეკედლენ „ოტჩინესტვენიე ზაპისკის“, დამალულიყვნენ იატაკქვეშეთში. „ოტჩინესტვენიე ზაპისკის“ კეთილგონიერების საზღვრებში მოქცევა ჯერ კიდევ შესაძლებელია. რედაქცია ჯერ კიდევ ეძორჩილება რჩევასა და მითითებებს... მაგრამ მისი სრულიად გაუფერულება შეუძლებელია. უფრო მეტიც შეიძლება ითქვას, რომ ასეთი რამ პოლიტიკურადაც არ იქნება გამართლებული ზემოხსენებული მიზეზების გამო“⁹.

როგორც ვთქვით, 70-იანი წლებიდან იზრდება ე. წ. „პროვინციული პრესა“. გაიზარდა ქართული ბეჭდვითი ორგანოებიც. ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერების შიშით ბეჭდვითი სიტყვის კავკასიელი მზრუნველმაც ანალოგიურ რჩევას აძლევდა ხელისუფლებას. იგი წერდა: რადგან კავკასიის „პრესა განსაკუთრებული მთარველობითა და მნიშვნელოვანი შედეგათებით სარგებლობდა, ეს გარემოება იწვევდა მოსახლეობის დიდი უმრავლესობის ნდობას მთავრობის კეთილგანზრახვებისადმი... ამიტომ კავკასიაში დღემდე არ აღმოჩენილა არც საიდუმლო საზოგადოებანი, არც იატაკქვეშეთის ბეჭდური სიტყვა, არც სოციალისტური პროპაგანდა“¹⁰.

9 ბ. პ. კ ო ზ მ ი ნ ი, XIX ს. 70—80-იანი წლების ჟერნალისტიკა (რუს. ენაზე), მოსკოვი, 1948, გვ. 7—8.

10 მოძოლევსკის მოხსენებიდან ამონაწერი მოგვაწოდა პროფ. ა. კენკოშვილმა, რისთვისაც მადლობას მოუახსენებთ. მოძოლევსკის მოხსენება დაცულია საქ. ც. ო. ა., ფონდი № 480, აღწ. 1.

მოდოლევსკი სოციალისტურ პროპაგანდას კარგად ამჩნევდა კავკასიის პრესაში, მაგრამ ამაზე ოფიციალურ მოხსენებაში ლაპარაკი საკუთარი დანაშაულის აღიარებას უდრიდა.

„რბილმა პოლიტიკამ“ საქართველოში გამოიწვია ის, რომ სწორედ თბილისში დაარსდა გაზეთი „ობზორი“, რომელმაც ქვეყანა აალაპარაკა. მისმა გამომცემელმა ნ. ნიკოლაძემ თავის ორგანოში ცნობილი რევოლუციონერი დემოკრატები მოიწვია თანამშრომლებად. ასეთები იყვნენ: მ. ანტონოვიჩი, გ. უსპენსკი, პოეტი-რევოლუციონერი პ. სიმბორსკი, დარი ბაგნიცი და კანონგარეშედ გამოცხადებული ფრანგი რევოლუციონერი რომუგორიკი.

1873—1878 წლებში შეუძლებელი გახდა საერთო-სახალხო ოპოზიციის მიერ მოპოვებული ლეგალური პრესის უზარმაზარი ტალღის შეჩერება. როგორც ზევეთაც აღვნიშნეთ, პროლეტარული რევოლუციის ბელადი დიდ ისტორიულ მნიშვნელობას ანიჭებდა პროლეტარული ბექდვითი სიტყვის წინამორბედს. იგი წერდა:

„60-იანი და 70-იანი წლების ეპოქამ იცის საბრძოლო დემოკრატიული და უტოპიურ-სოციალისტური შინაარსის მთელი რიგი უცენზუროდ გამოსული ბექდვითი ნაწარმოებები, რომლებმაც უკვე „მასებში“ იწყეს გავრცელება“¹¹.

პროფ. კოზმინი, ადრე დასახელებულ წიგნში, მარტო ე. წ. „პროვინციული პრესის“ ორგანოების ზრდის ასეთ სურათს იძლევა: 1865 წელს — 17, ხოლო 1876 წელს — 27.

„პროვინციულ პრესას“, „ცენტრალურისაგან“ განსხვავებით, ცენზურა უნდა გაეელო. ეს კეთდებოდა ასეთ გამოცემათა მაჩანალობის მდგომარეობაში ჩასაყენებლად. მაგრამ, მარჯვე ხელში ცენზურა გაცილებით ადვილი დასაძლევია იყო, ვიდრე „ცენტრალურ პრესას“ დადარაჯებული „დამოკლეს მახვილი“. „პროვინციული პრესის“ ლიტერატორები ეზოპური მეტყველებით თუ სხვა რთული ზერხებით იკაფავდნენ გზას მკითხველისაკენ, მაშინ როცა დედაქალაქის კერძო ორგანოები ზშირად იძულებულნი იყვნენ საკუთარი თავის უმკაცრეს ცენზორებად ქცეულიყვნენ, ვინაიდან სამი ჯარმის შემდეგ ორგანო მექანიკურად უქმდებოდა, — გაუფრთხილებლად და შეცდომებზე წინასწარ მიუთითებლად.

¹¹ ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ოხზულებანი, ტ. 20, გვ. 292—302.

ამ ეპოქის ცნობილი პუბლიცისტი გ. კ. გრადოვსკი ასე გადმოგვცემს განაპირა რაიონების პრესის ბრძოლების შესახებ:

„ჩვენ გამუდმებით ვუტევდით ცენზურას. ასეთი შეტევასას ის იძულებული იყო დაეთმო დღეს ის, რისი დათმობაც შეუძლებლად მოჩანდა გუშინ, მაშინ, როცა „თავისუფალი“ ბეჭდვითი სიტყვის საქმე პირუკუ მიდიოდა“¹².

ეს, მართლაც, „მცირე პრესის“ — „პროვინციული“ ბეჭდვითი სიტყვის გამორული პერიოდი იყო. განაპირა რაიონების ზოგი ორგანო ამ დროს, მკითხველთა უფაროთეს წრეებში მოპოვებული ნდობისა და ყურადღების თვალსაზრისით, მისი რეპუტაციის ზენიტს მიღწეულ „ოტჩესტვენიე ზაპისკისაც“ კი უტოლდებოდა.

ბოლოს, პროვინციული გამოცემები თავისკენ იზიდავენ ქვეყნის საუკეთესო ლიტერატურულ ძალებს. ცხადია, ასეთი კონკურენცია ძლიერ მოქმედებდა ისედაც სახელგატეხილ, ორმხრივ მოვაკრე ლიბერალურ გამოცემებზე. მათ შესახებ ნიკოლაძე წერდა: „როცა ჩიბეს ველარ მისწვდებთან, ყელში გეცემიანო“. ეს ასეც მოხდა: დაიწყო დაბეზლებები, განაპირა ეროვნული გამოცემების ლიტერატორთა ნამაღვეი აზრის შიფვრა. ამაში ძლიერ „ისახელა“ თავი ცნობილმა რენეგატმა სუვორინმა. იგი ფეხდაფეხ სდევდა თბილისურ გაზეთს — „ტიფლისკი ვესტნიკს“, — ვიდრე ნ. ნიკოლაძე სამარცხვინო ბოძზე გააყარავდა ყოველგვარი სიბინძურით მოვაკრე ლიბერალური პრესის ამ „ორაკულს“. გამოჩენილი საპოციანელი — ანტონოვიჩი აღშფოთებული იყო რუსული პრესის ასეთი უკადრისი საქციელით. სუვორინი ფეხქვეშ თელავდა ლიტერატურული ეთიკის ელემენტარულ კანონებს. ნ. ნიკოლაძის კეთილისშყოფელი სამოციანელი საკმაოდ მკვახე წერილს სწერს სუვორინს:

„დაეხსენით, თუ შეიძლება. ამ გაზეთს (ტიფლისკი ვესტნიკს“ — თ. ფ.); თუ არა და მასთან დაბეჭდილი ფაქტების მიხედვით მაინც იკამათეთ. იმგვარად, რომ ამ გაზეთზე თქვენი მამხილებლობით და ბეზლებით ყურადღება არ მიაქცევინოთ მას, ვისაც ჯერ არს“¹³.

ბოლოს ამ ბინძურ საქმიანობას თვით ნიკოლაძემაც საკადრისად უპასუხა. სუვორინის ბანაკის ლიტერატორებისათვის აშკარა

12 გ. კ. გ რ ა დ ო ვ ს კ ი, შედეგები (რუსულ ენაზე), კიევი, 1908, გვ. 265.

13 იხ. ნიკოლაძის არქივი საქარო ბიბლიოთეკაში, განყ. III, № 285 (სუვორინი მთავრობას ასმენდა ნიკოლაძის „საეკვო წარსულის“ გამო. ქართული პუბლიცისტი ამ დროს პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ იყო.).

გახდა, რომ ამის შემდეგ უკვე ვეღარ შესძლებდნენ მსგავსი საქმეებით თავის გატანას. მათ ახალ ხეჩხს მიმართეს: დაიწყეს ანონინური ბროშურებისა და წიგნების გამოქვეყნება. გაზეთში ბეჭდვას ეს სჯობდა, რადგან, როგორც ვაქებით, თითოეულ ქრელ-ქრულით მოვალე ორგანოსთან „რადიკალებიც“ იყვნენ დაკავშირებულნი. წიგნი და ბროშურა ერთგვარ „ანტიპროკლამაციას“ წარმოადგენდა, „არალეგალურად“ იბეჭდებოდა. ერთი ამგვარი „ანტიპროკლამაცია“ წთავრობას შეგონებას აძლევდა:

„თავისუფალი სიტყვა განვითარებული უმცირესობის კუთვნილებაა. ამიტომ პროვინციული ბეჭდვითი სიტყვისათვის თავისუფლება მცემს — ნაადრევია. ის, რაც დაეთმო ასეთ პრესას, შანტაჟს გამოადგა“¹⁴.

ვის როგორ და, მებრძოლ პუბლიცისტებს არ შეეძლოთ სიხარული არ გამოეთქვათ ასპარეზზე იმ ახალი და ჭანსალი ფალაენის — ნ. ნიკოლაძის — გამოჩენის გამო, რომელმაც სასტიკად შეაშფოთა და დააფრთხო დედაქალაქის ლიტერატურული ფანფარონები. იმ დროს სიკვდილის სარეცელზე მიჩაქვეული ცნობილი რუსი პუბლიცისტი ელისეევი „დღიურში“ იწერდა:

„ჩემი აზრით, ჩვენი ჟურნალისტიკა თავისი განვითარების ერთ-ერთ მთავარ ფაზაშია და მომავალი ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, როგორ გამოიყენებს იგი თანამედროვე საშუალებებს“¹⁵.

ეს „საშუალებები“ შემდგომში მეტისმეტად მარჯვედაც გამოიყენეს... პროვინციული პრესის წინააღმდეგ გამოხდომებს დედაქალაქის პროგრესულმა ძალებმა გადამწყვეტად შეუტრეს. „კოლეგებმა“ ითაკილეს „სეპარატისტებისადმი“ დედაქალაქელთა მიმხრობა, „ტუზემცების“ მხარის დაქვრა. — თავი გამოჰყვეს და კაპათი დაიწყეს. ადგილებიდან წამოიშალნენ ყოველი ჭურის ლიბერალები და ფილისტერები. ეს დიდი ბიძგი გახდა რუსეთის ისტორიაში „კრამოლური“ ძალების ჭერ კიდევ არნახული ვაერთიანებისა და ერთსულოვნებისათვის. ორად გაიყო ოპოზიციური პრესა“. ბევრი რამ ნათელი გახდა: ვის სურდა ნამდვილად რადიკალური შედეგები და ვინ ეწეოდა რუსეთს „მცირე საქმეებისაკენ“, „უვენებელი ბრძოლისაკენ“. 1871 წელს დაწყებული კამათის სპორადული აფეთქებები 1875—1877 წლებში არნახულ „საგაზეთო ომად“ იქცა. ხელისუფ-

¹⁴ „თანამედროვე რუსეთი“ (რუსულ ენაზე), სპბ, 1889, გვ. 469.

¹⁵ გ. ზ. ე ლ ი ს ე ე ვ ი, თხზულებანი (რუსულ ენაზე), ტ. II, სპბ., 1898, გვ. 359.

ლება ამაზე ამჟამადაც „თვალს ხუქავდა“. სააშკარაოზე გამოდიოდნენ ნამღვილი რუსი „ნიკობინელები“. პოლემიკა ძირითად და მტკივნეულ პოლიტიკურ პრობლემებს შეეხო.

პროვინციული ბექდვითი სიტყვის მოლაშქრეთა საქმეებმა უცხოეთს მიაღწია. პაექრობას გამოეხმაურა ბერლინში გამოცემული წიგნი — „ხელისუფლება და ბექდვითი სიტყვა“. რუსული პრესის მემბატანე ბურცევი, მოგვიანებით, ლონდონში გამოცემულ წიგნში — „ასი წლის მანძილზე“, საგანგებოდ იხსენებს ზემოხსენებულ კამათს და მასში გამორჩეულ ნიკო ნიკოლაძეს. ამდროინდელი გამათავისუფლებელი ბრძოლების მესვეური რუსული ინტელიგენცია კარკად ხედავდა, რომ მცირე ერების ჩაგვრა არა მარტო თიშავდა საერთო ძალებს, არამედ აკნინებდა კიდევ თვით რუსული ინტელიგენციის მაღალ თვისებებს. მაღალი ჰუმანისტური ლიტერატურის შექმნა შეუძლებელია მონის, ახ დამშონებლის სულსკვეთების მქონე ადამიანისათვის. ის ადამიანები, რომლებიც ოდესღაც არ ფარავდნენ თავიანთ სიმპათიას თავისუფლებისათვის მებრძოლი კავკასიელი ზაილებებისადმი, საკუთარი ეროვნული ღირსების დამცირებად თვლიდნენ, რომ მათ ერს უნდარმის როლი ეთამაშა მაღალი კულტურის მქონე ხალხების მიმართ. პროგრესული რუსი ინტელიგენცია ვერ შეუტრაცხყოფდა ამით მას, რაც მისთვის მუდამ საამაყო იყო — განათლებული გონებით მოპოვებული კემშარტი ჰუმანიზმი, ანუ ძლიერად და ნათლად გამოვლენილი ეროვნულ რუსულ ლიტერატურაში.

ეროვნული სამართლიანობის საკითხების ფართო მასშტაბით დამუშავების ინიციატივა აიღო ჩერნიშევსკის „სოვრემენიკმა“. მის კვათილშობილურ საქმეს მიჰყვნენ სხვებიც. მოვიტანთ ზოგად ბიბლიოგრაფიულ მონაცემებს. სურათი ასეთია: „სოვრემენიკი“ ეროვნულ საკითხებს შეეხო — 1857, № 5; 1860, № 11, 1862, № 6 და სხვ.; „ოტჩესტვენეე ზაპისკი“ — 1859, № 3; 1863, № 8, № 11—12; 1864, № 2, № 4; 1869, № 5 და სხვ.

სამოცდაათიანი წლების დასაწყისიდან „ოტჩესტვენეე ზაპისკის“ მიემატა „დელოც“. მან უფრო თამამად დასვა სოციალური საკითხი და ქალთა მდგომარეობა (სტატია — „ქალთა თანასწორობა“, „დელო“, 1872, № 6). რეაქციის პირობებში, სოციალური სამართლიანობის საკითხის განვითარებაში, ქალთა მდგომარეობა პირველ საფეხურად მოჩანს. 70-იან წლებში იგი თანდათან „ფუძისეული“ საქმეებისაკენ გადაიხარა. ასეთია, მაგალითად, „რუსსკი არხივში“

დაბეჭდილი წერილი — „გლეხთა საკითხი მალოროსიაში“ („რუს. არხივი“, 1875. № 9). „რუსსკი ვესტნიკი“. ეთნოგრაფიულ მასალებთან ერთად, ადგილს უთმობს მცირე ერების კულტურის საკითხებს (1876. № 6); საქმეში ჩაერია ბურჟუაზიულ-ლიბერალური „ვესტნიკ ევროპიკი“; იგი ბეჭდავს წერილს განაპირა ეროვნული კუთხეების პრესის შესახებ (1872, № 11).

სამოცდაათიან წლებში მცირე ერთა უფლებების და პრესის შესახებ კამათში გამოირჩეოდნენ: კ. ლავრსკი, ა. გაცისკი, ა. კოსტომაროვი, ორ. მილერი, ა. როზოვი, კ. პოპოვი, გ. გრადოვსკი და სხვ. პროფესორ გრადოვსკის წერილები — „სახელმწიფო და მცირე ეროვნებანი“ („ბესედა“, 1872, № 12), „თანამედროვე თვალსაზრისი სახელმწიფოსა და მცირე ერების შესახებ“ („ბესედა“, 1872, № 29) ძვირად დაუჭრა ჟურნალ „ბესედას“. 1871 წელს ქვეყნად მოვლენილმა ლიბერალ-ბურჟუაზიულმა ჟურნალმა 1872 წელს შეწყვიტა არსებობა.

ეროვნებათა საკითხებზე წერდნენ ა. კოსტომაროვი, ორ. მილერი, ა. როზოვი. დასახელებულ ავტორთაგან ერთი — კ. პოპოვი არ დაერიდა საშიშროებას და მიწების კოლონიზაციასა და მოსახლეობის ძალდატანებით გარუსებასაც შეეხო („ბესედა“ 1872, № 2, 3).

„ბესედას“ ბედი სხვა ორგანოებმაც გაიზიარეს. ასეთები იყვნენ: „თერგი“ („ტერეკი“) და „სტეპნოი კრაი“. ორივე გამოცემა სამკვლრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაება და შეეწირა კიდევ მას. „სტეპნოი კრაიმ“ „გარდაცვალების“ შემდეგაც არ დატოვა ბრძოლის ველი. გაზეთის რედაქციამ ასეთი განცხადება გამოაქვეყნა:

„გაზეთ „სტეპნოი კრაის“ რედაქციის სრული შემადგენლობა სტოვებს გაზეთს იმის გამო, რომ მას არა აქვს არსებულ პირობებში მუშაობის საშუალება. სხვა გაზეთებს ვთხოვთ გადაბეჭდონ ეს განცხადება“.

განცხადებას ხელს აწერდნენ: „ანტიდ-ოტო“, მ. ა. ბერნი, გ. გერმან-სიბირიაკი, „იგლა“, კოტოვიჩი და სხვა მრავალი.

სამოცდაათიან წლებში ეროვნული სამართლიანობის საკითხს განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდა გაზეთი „ნედელია“. იგი თავის ფურცლებზე 1872 წლიდან 1890 წლამდე აქვეყნებს წერილებს — „პროვინცია და პეტერბურგი“ (1872, № 21—22), „პროვინციის საკითხის მონოპოლისტები“ (1876, № 87), „მოლჩალინური პრეტენზიები“ (№ 14, 1890).

განსაკუთრებით მძაფრი იყო ამ გაზეთში 1872—1876 წლებში

დაბეჭდილი წერილები: „ნაციონალიზმი და პროგრესი“ (1872, № 6), „უკანასკნელი კობზარი“ (1873, № 17), „უკრაინელი კობზარი პეტერბურგელი საზოგადოების წინაშე“ და სხვ. „დღელო“ დიდი სიყვარულით მოეყიდა ტარას შევჩენკოს, კრიკაში ჩაუდგა მათ, ვინც უკრაინულ ენას ჟარგონი უწოდა (კატკოვმა). ერთი სიტყვით, ამ გაზეთში ორი წლის განმავლობაში არ შეწყვეტილა სამართლიანობისათვის ბრძოლა.

მცირე ერთა სამოქალაქო უფლებებს, ბეკდვითი სიტყვის განვითარებას არაერთხელ გამოექმდებოდა სხვა ცნობილი სამოციანელები: სალტიკოვ-შჩედრინი, შელგუნოვი, ანტონოვიჩი და სხვები. მათ კარგად ესმოდათ, თუ რა ზიანი მოჰქონდა საზოგადოებრივი პროგრესისათვის ეროვნული შუღლის გამოიშველ მოქმედებას ყველა დარკში.

მოუხედავად კლასობრივი შეზღუდულობისა, რუსი სამოციანელების ნაპირვეში ეროვნული საკითხის დასა უბრალოდ ჰუმანიზმთან არ არის დაკავშირებული: მარქსი და ენგელსი არაერთხელ მიუთითებდნენ იმაზე, რომ რუსეთში ეკონომიური ცხოვრების დაბალ ფორმებს სწრაფად ცვლიდნენ უახლესი და მაღალი ფორმები. ეს ადგილს არ უტოვებდა იდეოლოგიის დარგში მანხინი დანამატების დარჩენას. ხალხოსნების და სხვათა ეროვნულ განსაკუთრებულობაზე ზრუნვას დისპარმონია შეჰქონდა გამეერთიანებელ კულტურულ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში. რუსეთის საზოგადოებრივი განვითარება არ მიდიოდა „უნივერსალური ცენტრში“ მიმართულებით. მასში თავისი წვლილი შეჰქონდა მცირე ხალხების რევოლუციური მოქმედების თავისებურებებსაც. იზრდებოდა წინააღმდეგობათა მორალური და ინტელექტუალური დაძლევის შესაძლებლობები. ამას კარგად ხედავდნენ პროგრესული რუსული ძალები, სწორედ მათ წრეში დაისვა საკითხი: უნდა ჰქონოდა თუ არა მცირე ერებს საკუთარი პრესა.

ზემოსენებულ საკითხზე პირველად შიდარუსეთის გუბერნიებში გაისმა ზმა. ეს იყო 1871 წელს. ნიევეგოროდში ა. ს. გაცისკიმ დაბეჭდა თავისი პირველი წერილი ამ საკითხზე¹⁶, მოგვიანებით კ გამოაქვეყნა სპეციალური ბროშურა პროვინციული პრესის შესახებ.

გაცისკის წერილმა მიიქმამოთქმა გამოიწვია. პოლემიკაში ჩაებნენ უკრაინის („კიევსკი ტელეგრაფი“), საქართველოს („ტიფლისკი

16 ამის შესახებ დაწერილებით იხ. ალექსანდროვი, „გ. გაცისკი“, მოსკოვი, 1939.

ვესტნიკ“) ბალტიისპირეთის („ათენაიუმი“) და სხვ. ბეჭდვითი ორგანოები. ხანგრძლივად მიმდინარე პოლემიკამ რუსეთის მონარქიის ძირითადი დავადებანი ამოატივტივა, — მეორე მხრივ, დახვეწა დემოკრატიზმის ცნება.

როგორც აღვნიშნეთ, კამათში განსაკუთრებით გამოირჩეოდა „ნედელია“ და „დელოს“ შეტაკებები. „დელოში“ — 1875 წლის № 9-ში, — ისტორიკოსმა და რომანისტმა დ. ნ. მორდოვცევმა დაბეჭდა წერილი — „პროვინციის ბეჭდვითი საქმე“. აქ იგი აყალიბებდა „ცენტრიზმის“ რეაქციულ თეორიას.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ცარისტული ხელისუფლება მომენტს ეძებდა თავდასხმისათვის და აი, აღმოჩნდა კაცი, რომელმაც განახორციელა ხელისუფლების სურვილი. პროვოკატორმა თავისი თეორიის ჩამოყალიბების წინ სავსებით მოიხადა ნიღაბი და დაბეჭდა წერილი — „სამხრეთის აპათია“ („დელო“, 1876, № 8, გვ. 251—312). იგი აქ თავისი „ცენტრიზმის“ ასეთ პრაქტიკულ განხორციელებას სთავაზობს ხელისუფლებას: „კავკასიის დასახლება (კოლონიზება — თ. ფ.) ქვეყნის ხსნის ერთადერთი გზაა, ეს არის ერთადერთი საშუალება იმ მილიონობით გლეხის გაპროლეტარებისაგან გადასარჩენად, რომელიც თავისი მათხოვრული მდგომარეობით დღეს ტვირთად აწევს სახელმწიფოსო“. გაპროლეტარებისაგან რუსეთის გლეხობის გადარჩენის ხალხოსნური თეორიის კოლონიზაციასთან ასეთი შერწყმის კომბინაცია ძლიერ „ორიგინალური“ იყო.

მორდოვცევი არ დაკმაყოფილებულა ჟურნალ „დელოში“ სიბილწის შეტანით. ახლა მან „ოტეჩესტვენეე ზაპისკის“ მიაკითხა. მან აქ დაბეჭდა წერილი „ნა ვსემირნეიუ სვეჩუ“ (1876, № 7), რომელშიც კატკოვს გადააჭარბა. იგი თავს დაესხა ყველა არარუს ხალხს. სალტიკოვ-შჩედრინი ამ დროს ავად იყო. მორდოვცევის ამ ხრიკის გამო აღშფოთებულმა მწერალმა პროტესტი განუცხადა ჟურნალის რედაქციის ხალხოსნურ ნაწილს და „ოტეჩესტვენეე ზაპისკის“ დატოვებით დაემუქრა¹⁷.

„ცენტრიზმის“ თეორეტიკოსებს თავი ისე მოჰქონდათ, თითქოს ეს საქმე რაღაც აბსტრაქტულ სამყაროს, „სუფთა თეორიებს“ ეხებოდა. გაზეთში „ნედელიამ“ სამართლიანად უპასუხა ასეთ „მიამიტობას“, „საქმე ეხება არა რაიმე თეორიებს, არამედ რუსი ხალხის ცხოვრებასო“ („ნედელია“, 1876, № 1).

17 ბ. პ. კოზმინი, რუსული ჟურნალისტიკა XIX საუკუნის 70—80-იან წლებში (რუსულ ენაზე), მოსკოვი, 1948, გვ. 14.

მორდოვეცივის ქადაგებას „დერიმორდას წესი“ უწოდა სალტიკოვ-შიჩედრინმა თავის „კრელ წერილებში“¹⁸, შელგუნოვმა კი დელიკატურად აუხსნა ისტორიკოსს, რომ „ამერიკის ასეთი დახურვა შეუძლებელია“, — რომ პროვინციული პრესა ჩვენი სურვილების მიუხედავად არსებობს და იარსებებსო. ბოლოს ირონიით შენიშნა: განა დედაქალაქმა იმიტომ უნდა გაუწიოს ხელმძღვანელობა პროვინციას, რომ „მარტო დედაქალაქში, და მაინცდამაინც აქ იყრიან თავს „ქვეყნის გონებრივი ძალები“ და ამის გამო „დედაქალაქი პროვინციასზე უფრო ჭკვიანია“¹⁹. ასეთი პრიმიტიული სოფისტიკის დაზუსტებით შელგუნოვი ნათელყოფდა დედაქალაქის გონებრივ „ტუზთა“ ნამდვილი შესაძლებლობების სივალალეს, რაც არავის გამოადგებოდა გონების გასამდიდრებლად.

ცხადია, „ცენტრიზმი“ იყო შანტაჟის თეორია. იგი მიზნად ისახავდა ეროვნული განსაკუთრებულობის მტკიცებით ერთმანეთისაგან გაეთიშა გაერთიანების გზაზე დამდგარი რევოლუციური ძალები.

როგორც აღვნიშნეთ, რევოლუციურად განწყობილი რაზნოჩინული ინტელიგენცია ამ დროს ბრძოლის მთავარ იარაღად ლეგალურ ბეჭდვით სიტყვას იყენებდა. მას არ შეეძლო არ ეზრუნა მოკავშირეებზე. უკანასკნელ დროს „მცირე პრესას“ შესაძლებლობა აღმოაჩნდა შორიდან უფრო მარჯვედ გაერჩია მთავარი: ხმათა ბაბილონურ აღრევაში ჩამარბული გადამწყვეტი პოლიტიკური პრობლემები. ლიბერალები და ხელისუფლება კი კვლავ ამჯობინებდა სიმართლე ფუჭი კონსტიტუციური ყაყანით დაეფარათ, ან მოეთხოვათ „სეპარატისტთა“ დასჯა.

ტერორისტთა ყუმბარების აფეთქებებმა იმპერატორი დააშინა და გვირგვინოსანმა პრესის საშუალებით მიმართა ხალხს — დაეცვათ მათი „მამა“. მაგრამ „მამისაგან“ განაწყენებულმა ჩერნიგოველი ერობის ლიდერებმა იმპერატორს შეჰკადრეს და უთხრეს: პირზე ხელაფარებულებს შეეღას ნუ ვთხოვთო.

ყველა იმას მოითხოვდა, რომ მხოლოდ მისთვის მიეცათ ლაპარაკის უფლება.

არაფერი ისე არ იწვევს „ბრძენმეტყველურ“ ყაყანს და თეორეტიკოსთა მეტისმეტ მომრავლებას, როგორც ხვალინდელი დღის შეუცნობლობა. პრესის ასპარეზზე ყველა გზას ეძებდა, ყველა რჩე-

¹⁸ სალტიკოვ-შიჩედრინი, თხზულებათა სრული კრებული (რუს.), მოსკოვი; 1951, ტ. III, გვ. 226.

¹⁹ ვ. შელგუნოვი, თხზულებანი (რუს.), სპბ, 1898, ტ. III, გვ. 17—18.

გას იძლეოდა. სალტიკოვ-შჩედრინი გონებამახვილურად ამბობდა ამაზე: „ლაპარაკი ყველაფერზე, რომ აქედან არაფერი გამოვიდესო“. ენგელსმა კი, როგორც ცნობილია, „იდეური სიჭრელის“ კლასიკური ფორმულა მოგვცა. ასეთ სიჭრელეს და იდეათა უცნაურ შეთანხმებებს იწვევდა როგორც ფართო ისტორიული მასშტაბის მოვლენები, ისე ხელისუფლების მიერ ამ დროს შექმნილი უმძიმესი პირობები. ისინი თრგუნავდნენ ადამიანის პიროვნებას — მის ინტელექტს, ნებისყოფას, უზომოდ თელავდნენ ადამიანის მოქალაქეობრივ ღირსებებს.

ნიკო ნიკოლაძემ ჯერ კიდევ უცხოეთში წასვლამდე მიიღო მებრძოლი სიტყვის შენიღბვის საკმაო გამოცდილება. იგი სრულიად ახალგაზრდა ჩაუდგა სათავეში „ნაროდნოე ბოგატსტვოს“. მაგრამ მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. ქართული გამოცემები მძიმე უღელს ეწეოდნენ და მიუხედავად დიდი ენთუზიაზმისა, ქართული პრესის მესვეურები ვერ ახერხებდნენ მკითხველთან სასურველი კონტაქტის დამყარებას.

ქართული ჟურნალისტიკის განვითარებაში ერთ-ერთ უდიდეს დაბრკოლებას წარმოადგენდა ცენზორთა გაუნათლებლობა, რაც ერთიორად ზრდიდა ყოველგვარ წერილმანზე დავას.

ეს დაბრკოლება განსაკუთრებით მძიმედ მოქმედებდა ეროვნული პრესის განვითარებაზე. ცენზურისაგან გაწამებული ქართველი პუბლიცისტი სერგეი მესხი კირილე ლორთქიფანიძეს სწერდა:

„...პლეშჩეევის ლექსები არ გაუშვა ცენზორმა. თქვა, — ეს „მარსელიოზააო“. შენ ვერ წარმოიღგენ, როგორ გკავიწროვებს ცენზურა. რაც რუსულად იბეჭდება იმის მეოთხედსაც არ ბეჭდავენ, და ჩვენ, ჩვენდა საუბედუროდ, ისეთი წერა არ ვიცით ჯერ, რომ მკითხველმა სტრიქონებს შუა გაიგოს ჩვენი აზრები“²⁰.

კ. მარქსი სარკასტულად შენიშნავდა, რომ ცენზურის ერთადერთი ნიჭი — ნიჭიერებისა და განათლებიან ჩახშობის გონებაბნელი უნარიანობააო²¹.

დამონების წესთან ბრძოლა მაკიაველისებურ ნიქს მოითხოვდა. ვერაგობის პასუხად არ ვარგა დელიკატობა. ეს კარგად იცოდა ქართველმა პუბლიცისტმა ნიკო ნიკოლაძემ, რომელსაც აკაკიმ „ჭკუისმეისტრი“ უწოდა, ნიჭიერი პუბლიცისტის სწრაფად შენიღბვის

²⁰ იხ. „მნათობი“, 1932, № 6 (ს. მესხის წერილები ს. ხუნდაძის პუბლიკაციით).

²¹ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ. (რუსულ ენაზე), ტ. I, გვ. 21.

უნარის გამო. ნ. ნიკოლაძე მართლაც სწორუპოვარი იყო ასეთ საქმეში. საერთოდ დინჯი, ღრმა ანალიტური გონების მქონე, ნ. ნიკოლაძე, ამავე დროს, დაჯილდოებული იყო სწრაფადცვალებად ფაქტებში მთავარის და არსებითის არაჩვეულებრივი გონებამახვილობით აღმოჩენის ნიჭით, და ამ მთავარი და არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტორების შეფასების იშვიათი უნარით. ამიტომაც ნიკო ნიკოლაძე დიდოსტატურად უძღვებოდა ისეთ „ტურნირებსაც“, რაც პრაქტიკოსის განსაკუთრებულ ჭკუას, მოქნილობასა და გაწაფულობას მოითხოვდა.

ამჟამად მკვლევარს უკვე აქვს საშუალება მთლიანი წარმოდგენა შეიმუშაოს ნ. ნიკოლაძის პუბლიცისტური მემკვიდრეობის ხასიათის შესახებ.

ნ. ნიკოლაძის თხზულებათა გამოცემა და უახლესი ხანის გამოკვლევები საშუალებას იძლევა, აგრეთვე, თვალი გავადევნოთ იმ განსხვავებასაც, რომელიც შეინიშნება ნ. ნიკოლაძის მიერ 1875 წლის წინა პერიოდსა და მის შემდგომ წლებში დაწერილ პუბლიცისტურ წერილებს შორის.

აქ მხედველობაში გვაქვს არა ის პრინციპული და დიდი ცვლილებები, რაც, როგორც ცნობილია, ნ. ნიკოლაძის საზოგადოებრივ შეხედულებებში 80-იან წლებში მოხდა, არამედ ის, რაც საკმაოდ მკაფიოდ გამოჩნდა მებრძოლი პუბლიცისტის ახალ ტაქტიკაში. თუ ემიგრაციაში მყოფს, „უცხოელს“ შედარებით თავისუფლად შეეძლო გამოეთქვა საკუთარი შეხედულებები ცხოვრების ახალ წესზე, — რუსეთის იმპერიის კოლონიური რეჟიმის სამყაროში მას მკაცრი ანგარიშები წაუყენეს...

1875 წელს, სამშობლოში დაბრუნებული ნ. ნიკოლაძე, პატიმრობას გადაჩრა, მაგრამ ამ დროიდან პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. ნ. ნიკოლაძე სათავეში უდგება „ტიფლისკი ვესტნიკს“, იმ პოლიტიკურ და ლიტერატურულ ორგანოს, რომელზეც ნ. ნიკოლაძე დიდ იმედებს ამყარებდა, რომლის საშუალებითაც ფიქრობდა იგი ფართოდ გამოხმაურებოდა საქართველოს და რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებს. ასეთი თამამი მიზნები, ცხადია, დიდ სიფრთხილეს მოითხოვდა იმ ადამიანისაგან, რომელსაც არაერთხელ მოსთხოვა ანგარიშგები ჟანდარმერია²².

²² ი თ ე ი ძ ე, აკაკი წერეთელი, მასალები, „საისტორიო მოამბე“, 1953, № 7.

ნ. ნიკოლაძემ უცხოეთში გამოქვეყნებულ წერილებში ძირითადად უკვე ჩამოაყალიბა თავისი თვალსაზრისი სამშობლოს სასურველი მომავლის შესახებ. უცხოეთის ცხოვრებას პუბლიცისტი თავისი სამშობლოს ინტერესების კუთხით უყურებდა. ბეჭითად სწავლობდა ახალი ეპოქის წესსა და თავისებურებებს. გულმხურვალე პატრიოტმა მტკივნეულად განიცადა ფრანგი ხალხის რევოლუციური შემართების დაკნინება, ოდესღაც ბრწყინვალე ფრანგული პრესის დამდაბლება. ამ საკითხს მიუძღვნა მან გულისტკივილით აღსაყვამი მძაფრი პამფლეტური ხასიათის წიგნი — „ფრანგული პრესის დეკადანსი“²³. ეს წიგნი თავისი იდეური შინაარსით უკავშირდება ნ. ნიკოლაძის მიერ შემდგომში, 1875—1876 წლებში დაწერილ წერილებს.

დასახელებულ წიგნში ნიკოლაძე მასების რევოლუციური აღზრდის საქმეში პრესას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს: „რევოლუციამ ხალხის მასები... მპართველობას თუ ვერ დაუკავშირა..., ჯერ ცნობისმოყვარეობა, შემდეგ ინტერესი აღუძრა ეროვნულ ცხოვრებას, საქმიანობასა და მოძრაობას... მხოლოდ ყოველდღიური გაზეთი შეეფერებოდა მუშა კაცს... და გაზეთიც ამ პირობის გარეშე ვერ იარსებებდა“²⁴.

ნ. ნიკოლაძეს სამართლიანად მიაჩნია, რომ პრესამ, საფრანგეთის რევოლუციის პერიოდში ახალი მნიშვნელობა შეიძინა. იგი მასების კუთვნილება გახდა, მან „მილიონობით თუ არა, ასეულ ათასობით ადამიანებში გაიღვა ფეხი“²⁵. ნ. ნიკოლაძე აქ პირდაპირ გამოთქვამს თავის ცნობილ მოსაზრებას იმაზე, რომ რევოლუციური მოძრაობა სკოლაა მასების თვითმოქმედების აღძვრისათვის. მას სჯერა შრომელი ხალხის შემოქმედებითი ძალებისა, რომელთა აღზრდაში დიდი როლი შეუძლია შეასრულოს რევოლუციურმა პრესამ. წიგნის ავტორი აქვე აღნიშნავს, რომ შეუძლებელია პრესამ მოიპოვოს ავტორიტეტი მაღალმორალური და ინტელექტუალური თვისებების გარეშე²⁶. ასეთი შესავლის შემდეგ ქართველი პუბლიცისტი რევოლუციის ნაკვალევზე გამარჯვებული „შრომის მიმტაცებელი საზოგადოების“ მიერ პრესაზე გამრყვნელი ზემოქმედების სურათს იძლევა. იგი აღწერს რევოლუციის შემდგომი პერიოდის, მოსყიდული პრესის სურათს. რევოლუციის უკან დახევამ გარყვნა პრესა. მას აფი-

23 ნ. ნიკოლაძე, ფრანგული პრესის დეკადანსი, თბ., ტ. 4, გვ. 81—127.

24 იქვე, გვ. 81.

25 იქვე.

26 იქვე, გვ. 83.

ნანსებენ, ეხმარებიან მუნიციპალური არჩევნების კანდიდატები, მაგრამ „აღნიშნულმა არჩევნებმა გვიჩვენა, რომ შვიდი თუ რვა გაზეთის მიერ მხარდაჭერილმა ერთმანეთზე უფრო სერიოზულმა კანდიდატებმა ხუთი-ექვსი ხმა ძლივს მიიღეს... რამდენიც გნებავთ, იმდენი შეგვიძლია დავასახელოთ ყოველნაირი ფაქტები, რომლებიც უაღრესი სიცხადით გვიჩვენებენ პრესის ყოველგვარი ავტორიტეტის და საზოგადოებრივ აზრზე მისი გავლენის სულ უფრო და უფრო გაქრობას“²⁷.

ფართო ილუსტრირების შემდგომ ნ. ნიკოლაძე დაასკვნის, რომ ბურჟუაზიულ პრესაში ასახულ „ბრძოლას“ ხალხი არ თანაუგრძნობს. ასეთი ბრძოლის პროგრესულობისა არ სჯერა იმ ხალხს, რომელმაც რევოლუციით მოპოვებული თავისუფლებების თუნდაც მცირე, მაგრამ სანუკვარი დღეები განიცადა. ზედაპირის იქით „ოპოზიცია მხოლოდ ფარულ მდგომარეობაში არსებობს... გაფანტული, არეულ-ღარეული... აქ თითქმის ყველა ოპოზიციაშია, მაგრამ ყველა ცალ-ცალკე“²⁸. მაგრამ თუ საერთო-სახალხო ოპოზიციის ასეთ მდგომარეობას არ შეუძლია გადაწყვეტი როლი ითამაშოს, „ეს ნაწილობრივ: ოპოზიცია შეიძლება საუცხოოც კი იყოს ზოგიერთი პოლიტიკური შეგირდისათვის, ვინაიდან ის ხელს უწყობს ინიციატივის გაღვივებას, მაგრამ მას აშკარად არ შესწევს უნარი პრაქტიკული გადაწყვეტილების მისაღებად...“. აქ ნათლად არის გამოსახული ნიკოლაძისავე აზრი წინა რევოლუციურ პერიოდში „პოლიტიკურ შეგირდთა“ აღზრდის საქმეში პრესის როლის შესახებ.

ზემოთ მოტანილი ადგილებიდან ნათლად ჩანს ნიკოლაძის აზრი მშრომელი მასების ისტორიის გარდამქმნელი ძალის შესახებ: რომ მას თავისი პოლიტიკური მიზნები აქვს და რომ მშრომელ მასებს თვალს ვერ აუხვევს მოსყიდული პრესა. პრესა უნდა იყოს დაფანტული ოპოზიციური ძალების გამაერთიანებელი, წარმმართველი და ორგანიზატორი.

ამის შემდეგ ნ. ნიკოლაძე ეხება კალმის ოსტატობას. იგი დასკვნის ზედაპირული თეორიების მოყვარულ კალმონებს და მათ მეტიჩარა მრჩევლებად მიიჩნევს. „ჟურნალისტ-მრჩევლის გვერდით ვხედავთ ჟურნალისტ-ტაქტიკოსს. იგი განსაკუთრებით თუ არა, ზოგადად მაინც მიმოიხილავს თანამედროვე პოლიტიკას. ეს იმგვარი ვაჟბატონებია, რომლებსაც არაფერში ექვი არ ეპარებათ, ჰგონიათ

27 ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, 1964, ტ. 4, გვ. 84—85.

28 იქვე, გვ. 89.

ყველაფერი იციან²⁹; დღეს ისინი ერთს ამტკიცებენ, ხვალ — სხვას. მათთვის და მათი პრესისათვის არ არსებობს საზოგადოების ისტორიული განვითარება, მისი კანონზომიერებანი, ასეთი პრესა მხოლოდ პოლიტიკური ცხოვრების ზედაპირულ ფაქტებსა და მოვლენებს ეხება. ასეთ პრესას ნ. ნიკოლაძე ბურჟუაზიული ცხოვრების „ბუშ“ უწოდებს. ასეთი პრესის კლასიკურ ქვეყნად მას კაპიტალიზმის იმდროინდელი მესვეურის, ინგლისის პრესა მიაჩნია, რომელიც, ნ. ნიკოლაძის დახასიათებით, „უკიდურესათ მერკანტილისტური ხასიათისაა“³⁰.

ქართველი პუბლიცისტი ზიზლით უყურობს ბურჟუაზიული პარტიების ბრძოლას რეფორმებისათვის. მისი აზრით, „ცივილიზებულნი სამყარონ ინტელექტუალური და მატერიალური ცხოვრება სრულებითაც არ გამოიხატება ამა თუ იმ რეფორმების გამო გამართულ დებატებში“³¹. მაგრამ, მეორე მხრივ, ეს საკანონმდებლო ბრძოლა პროვრუსული პუბლიცისტიკისათვის შესანიშნავი საშუალებაა თვით „მიმთავისებელი, მომხვეჭელი“ საზოგადოების წინააღმდეგ საბრძოლველად: „თუ პრესა შემთხვევით აქცევს ყურადღებას ამა თუ იმ რეფორმებს, მხოლოდ მაშინ, როდესაც მას იყენებს არსებული მთავრობის საწინააღმდეგოდ“³².

აქ მკაფიოდ გამოთქმული აზრი მებრძოლი რევოლუციური პრესის შესახებ ნათლად მიუთითებდა თვით ნიკოლაძის მომავალ გეგმებზეც.

ასეთი იყო ქართველი პუბლიცისტის განწყობილებები სამშობლოში დაბრუნების წინა წელს.

როგორც ვთქვით, სამშობლოში ნ. ნიკოლაძის პუბლიცისტურ მოღვაწეობას მკაცრი საცენზურო პირობები ელობებოდა. ამიტომაც იყო, რომ მან გაცილებით უფრო მეტი გაბედა ეთქვა უცხოეთში, — როგორც რუსულ ემიგრანტულ, ისე ფრანგულ პრესაში, — ვადრე საქართველოში დაბრუნების შემდეგ. სამშობლოში იგი ხშირად იძულებული იყო ნიღაბი აეფარებინა და სათქმელი ეზოპურად გამოეხატა.

სამშობლოში ნ. ნიკოლაძეს ბურჟუაზიულ-ოპოზიციური სიტუაცია დაუხვდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ნ. ნიკოლაძეს მუშაობა მოუხ-

²⁹ ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, 1964, ტ. 4, გვ. 95.

³⁰ იქვე, გვ. 101.

³¹ იქვე, გვ. 103.

³² იქვე, გვ. 104.

დებოდა ისეთ პირობებში, სადაც მსჯავრდებელი — „გვართ, თუ ქონებით დაწინაურებული“ საზოგადოებაა და არა ხალხი. ასეთ დროს, წერდა ნ. ნიკოლაძე „კეთილგანზრახულ ფელეტონში“, „აუცილებელია ჰქონდეთ ეშმაკის იღბალი და ვირის მოთმინება... რა აზრიც არ უნდა გამოთქვას (ფელეტონისტმა — თ. ფ.), რაზეც არ უნდა გადაკრას სიტყვა, — ყველგან, ყველაფერში აუარებელ დაბრკოლებას და საფრთხეს ხვდება“³³... ამის შემდეგ ნ. ნიკოლაძე ენება გაზეთის უმთავრეს მკითხველს — ფილისტერს, რომელიც პარაზიტულ ცხოვრებას ეწევა, უცხო ხილივით უყვარს სუსხიანი ფელეტონები, მაგრამ მზად არის აღიმართოს, აყაყანდეს, როგორც კი მას თვითონ შეეხებოდნენ.

„ქვემარტად, განათლება დამლუპველია“, წერს ნიკოლაძე და პირველ ისარს ისერის მონარქიისაკენ. ამ სიტყვებში კატკოვის ცნობილი ფრაზის პაროდირებაა მოცემული. რეაქციის მესიტყვე კატკოვმა საშოკდაათიანი წლების მიჯნაზე ასე განაცხადა: „ჩვენი იდეები, ჩვენი აზრები — დამლუპველია ჩვენი“³⁴.

ნ. ნიკოლაძის საყვარელი თემა აღმოსავლეთის ორი პოლიტიკურად ჩამორჩენილი სახელმწიფოს — რუსეთისა და თურქეთის ცხოვრება, და ქართველი პუბლიცისტის ბრწყინვალე ფელეტონების — „კალმის კაპრიზების“ შესანიშნავი სერია, სწორედ თურქეთის ცხოვრებას ეხება. „არავისათვის არასოდეს საიდუმლოებას არ წარმოადგენდა ბრწყინვალე პორტას არა მარტო ქრისტიანულ, არამედ მუსულმანურ ქვეშევრდომთა გაჭირვებული და აუტანელი მდგომარეობა. — წერდა ნ. ნიკოლაძე. — ყველა წიგნიერმა ადამიანმა უხსოვარი დროიდან იცის, რომ ამ უბედურ ქვეშევრდომთ არა აქვთ არავითარი ადამიანური უფლება, რომ მათ განაგებს არა მარტო გაუჰამღარი და უსინდისო, არამედ უვიცი დესპოტიზმიც“³⁵.

მართალია, ნ. ნიკოლაძის მითითებული სტატია თურქეთის პოლიტიკის კონკრეტულ ვითარებას შეეხება, მაგრამ აქ არ შეიძლება არ იგრძნოთ კრილოვის, ნოვიკოვის ცნობილი ანალოგიები და, ამასთან ერთად, ახალი რუსული ლიტერატურისა და ამ წლების დემოკრატიული პრესის განწყობილებები თურქეთის ქვეშევრდომი ხალხებისადმი. რუსეთის იმპერიის ხალხები თავისი ცხოვრების ასლს ხედავდნენ თურქეთში და თანაუგრძნობდნენ პორტას მოსახლეობას.

³³ „ტიფლისკი ვესტნიკი“, 1875, 26. VIII № 88, (იხ. ნ. ნიკოლაძე, თხზ. ტ. 4, გვ. 128).

³⁴ „მოსკოვსკიე ვედომოსტი“, 1863, № 115.

³⁵ „ტიფლისკი ვესტნიკი“, 1875, № 88,

ბუნებრივია, რომ ნიკო ნიკოლაძეს, როგორც ქართველ პატრიოტს. ძლიერ აინტერესებდა თურქეთის სასულთნოს მიერ მიტაცებული ქართული ტომების ბედ-იღბალი (ადრე გამოქვეყნებულ სტატიაში ამ საკითხს ჩვენ სპეციალურად შევეხეთ³⁶). მაგრამ, ამ შემთხვევაში, რევოლუციონერ-დემოკრატ პუბლიცისტს არ შეუძლია არ გამოიყენოს შემთხვევა, — რუსეთის ხელისუფლების „პლატონური ზრახვები“ თურქეთის არათურქი მოსახლეობის მიმართ, — რათა ირიბულად ნასროლმა მიზანს მარჯვედ მიაღწიოს.

ნ. ნიკოლაძის დასახელებულ სტატიას მოსდევს ანალოგიურ თემაზე დაწერილი შესანიშნავი — „ქარიშხლის წინ“. აქ პუბლიცისტი თავის მოქალაქეობრივ ხმიანობას არაჩვეულებრივ სითამამეს სძენს.

ბალკანეთში სლავთა აჯანყების ალი ავარდა. პარიზის სისხლიანი დრამა ია-ია იყო ძლივს მოინელეს რევოლუციის მოდარაჯე დასავლეთისა და აღმოსავლეთის რეაქციულმა ძალებმა, რომ მსოფლიოს დაპარისპირებული ძალები ფეხზე წამოდგნენ. პოლიტიკური სამყარო ყურადღებას დაბავს. აღმოსავლეთში იწყება ხანძარი, რომელმაც შეიძლება მსოფლიო რევოლუციის კერა გააღვივოს:

„ღიახ, აინთო ბალკანეთში ნაპერწკალი, რომელმაც შეიძლება ხანძარი გაუჩინოს ევროპის სამ მეოთხედსა და აზიის არამცირე ნაწილს. — წერს ნ. ნიკოლაძე, — მთელი ევროპის ექსტინქტორებმა³⁷ სწორედ მისკენ მიმართეს თავიანთი ძველი „ყუმბარების“ ჯერი, რათა მანამ ჩააქრონ იგი, სანამ ძლიერ ხანძარად გადაიქცევა. შესძლებს კი ცეცხლი, შეინარჩუნოს ძალა, მიუახლოვდეს დენთის საწყობებს, რომლებზედაც დაყრდნობილია თანამედროვე წესრიგი, და ააფეთქოს მანამდე, სანამ ექსტინქტორები მას ტალახით ჩააქრობენ? ეს საკითხავაა, მაგრამ კიდევ რომ მოახერხონ მათ ამ პირველი ნაპერწკლის მოსპობა, თოფის წამლის კასრები მაინც დარჩებიან თავიანთ აუგილებზე“³⁸.

ნ. ნიკოლაძე არ ეკუთვნოდა ისეთ ეურნალისტთა რიცხვს, რომლებსაც ბრძოლის რომანტიკა წამიერად იტაცებდა. ნ. ნიკოლაძემ ჯერ კიდევ უცხოეთში ყოფნისას, „სოვრემენიკში“ გამოთქვა აზრი, რომ სენი, რომლითაც დაავადებულია თანამედროვე საზოგადოებ-

36 იხ. კრებული: „ახალი ქართული ლიტერატურის საკითხები“, III, 1973 (ტატია — „აკაკი და აპარა“).

37 ექსტინქტორი — მეხანძრე. ივულისხმებიან კონტრარევოლუციური სახელმწიფო ძალები.

38 „ტიფლისკი ვესტნიკი“, 1875, № 90 (ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 4, გვ. 126).

რევი ცხოვრება, არ განიკურნება რევოლუციური გადატრიალების გარეშე; მშრომელი ხალხი ვერ მიაღწევს უკეთეს მომავალს, ვიდრე შეიარაღებული ძალით არ დასძლევს მტერს, რომლის ხელშიაცაა ძალმომრეობის აპარატი — არმია და დამსჯელი ორგანოები³⁹.

„დღეს თუ არა ხვალ დაუბერავს ქარი, გაჩნდება ახალი ნაპერწკალი და თოფისწაპლის სარდაფი მაინც აფეთქდება. შეიძლება ერთი დღით ადრე ან გვიან, მაგრამ რაც მოსახდენია — უნდა მოხდეს“⁴⁰. ასეთი იყო ნ. ნიკოლაძის რწმენა, — ჰემმარიტად წინასწარმეტყველური სიტყვა იმ ადამიანისა, რომელსაც არასდროს არ ავიწყდებოდა დენტის ის სარდაფები, რომლებიც დაჰბადა „მშრომელთა ბრძოლამ შთამომავლობისა და კაპიტალის პრივილეგიების წინააღმდეგ“. ამ „ბოროტების ძირი არის არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიო“, — წერდა ნიკოლაძე ჯერ კიდევ 1865 წელს, გერცენის „კოლოკოლში“.

ცხადია, ბრძოლის პათოსით აღსავსე პუბლიცისტს არ შეეძლო არ ეგრძნო ზიზღი „მსოფლიო უანდარმისადმი“ — რუსეთის ცარიზმისადმი. მისი შესანიშნავი წერილი — „ქარიშხლის წინ“ ძლიერ ახლოს დგას მარქსისა და ენგელსის მიერ ბალკანეთის ხალხების აჯანყების პერიოდში დაწერილ წერილებთან.

5. ნიკოლაძე უცხოეთში გამოქვეყნებულ წერილებში აკრიტიკებდა ლაეროვს. თბილისში ყოფნისას იგი კვლავ შეეხო ამ პიროვნებას, ამჯამად მისი გაზეთის „ვეპერიოდის“ და „რუსსკი ვესტნიკის“ კამათს, მათ ორთაბრძოლაში ჩაბმულ ლიბერალურ-ბურჟუაზიულ გამოცემებს.

„შეხედეთ მათ „ბრძოლას“, მათს შრომასა და ღონისძიებებს. — წერდა ნ. ნიკოლაძე, — განა ეს არის მოღვაწეობა იმ პუბლიცისტისა, რომელიც სარგებლობს პრესის ნაყოფიერების უმთავრესი ელემენტით — სიტყვის თავისუფლებით?“

რა არის მიზეზი რუსი ხალხის მონური მდგომარეობისა? — მოძველებული სახელმწიფო სისტემა. იგი ძველ მატარებელს ჰგავს, მასში მოთავსებული რუსული საზოგადოებრივი ცხოვრება კი ძილს მისცემია. დაუსრულებელი და დანგრეული გზით მიდის ეს დაძველებული მატარებელი და თან მიჰყავს მთვლემარე საზოგადოება, — ის

39 ამას შესახებ დაწერილებით იხ. მ. მეგრელიშვილი, XIX ს. მეორე ნახევრის ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრი (რუს. ენაზე), თბ., 1960, 85- 340.

40 „ტიფლისკი ვესტნიკი“, 1875, № 90.

საზოგადოება, რომელიც ოდესღაც მღელვარე, დაძაბული და მაძიებელი გონებრივი ცხოვრებით ცხოვრობდა — უკეთესი ხვალინდელი დღის მოლოდინით.

„იყო დრო, — იხსენებს ამ არცთუ შორეულ წარსულს ნ. ნიკოლაძე, — როდესაც მიუხედავად გარე პირობებისა, ჩვენი ლიტერატურა მკითხველთა გონებაზე მოქმედებდა და ეს პირობები ათასჯერ ხელისშემშლელი და მძიმე იყო, ვიდრე დღევანდელ ბეჭდვით სიტყვას აქვს. მან (სამოციანელთა სიტყვამ — თ. ფ.), ყოველგვარი დაბრკოლებების მიუხედავად, მაინც შეძლო გონებრივ მოძრაობას ჩადგომოდა სათავეში... იმდროინდელი ლიტერატურა იყო არა უბრალოდ ხელმძღვანელი როლის შემსრულებელი, არამედ ნამდვილი მეგობარი“⁴¹... ამის შემდეგ ნ. ნიკოლაძე იხსენებს ბელინსკის პერიოდიდან მოყოლებულ სამოციანებამდელ ლიტერატურას და მიუთითებს მისი კეშმარიტი მეგობრობის არსზე. ქართველი პუბლიცისტი აქ სვამს მრავალწერტილს და მკითხველს მთავარზე მიანიშნებს: ხალხს სურს შეხედოს იმ დამმონებელ მიზეზს, რომელმაც იგი მიაჯაქვა სახელმწიფოს.

რუსეთის დამონებული მატარებელი კი მიდის მოძველებულ ლიანდაგზე, ყველას სძინავს გარდა „იერემიასი“ (ბიბლიურ იერემიას განგებ იხსენიებს ნიკოლაძე. იგი აქ გულისხმობს როგორც კონსერვატორებს, ისე ძველის ახალ რესტავრატორებს). ხოლო მატარებლის ტალანებში მიყუჩული კორიკანა პოლიტიკოსები უმტკივნეულო პაექრობით ირთობენ თავს: „და ჩვენც, ლაქიები, ვიქორავებთ, ცოტასაც წავილიბერალებთ, და დაუზბრუნდებით ჩვენს ვაქსს, კვლავ შევეუდგებით ბატონთა ჩექმების წმენდას“. ასეთ მძაფრ ირონიულ სურათს ნიკოლაძე უეცრად მიაყოლებს ყველაზე მტკივნეულ საკითხს: ყოველგვარი (რუს თუ სხვა) „იერემიებისათვის“ არსებობს მხოლოდ ერთი პატრიოტიზმი, რაც ნიველირებულია ოფიციალური პოლიტიკით, მაშინ, როდესაც სახელმწიფოში მცირე ერთა და. საერთოდ, წასების სოციალური ჩაგვრა დიდმპყრობელური „სახელმწიფო პატრიოტიზმით“ ინათლება, — როგორც რუსი, ისე არარუსი დაინტერესებულია თავისი ერის ბედ-იღბლით და კეშმარიტი პატრიოტიზმის აღორძინებით. „იერემიათა“ საზოგადოება პატრიოტიზმს საუუძველად უდებს სოციალურ ეგოიზმს. მას არ სურს დაინახოს, რომ არსებობს როგორც რუსული, ისე სხვა ერების წანსალი პატრიოტიზმი, რომლის არსება ამ ეგოიზმისადმი შეუურიგებელ დამოკიდებულებათაა.

⁴¹ „ტიფლისკი ვესტნიკი“, 1875, № 103.

ნ. ნიკოლაძის სიტყვით, „ჩვენი ჟურნალის იერემიები აცხადებენ, რომ ჩვენს საზოგადოებაში არ არსებობს ეროვნულ მისწრაფებათა სიმები; რომ, თითქოს, საზოგადოების ყოველი წევრისათვის დარჩა მხოლოდ პირადი ინტერესები“⁴². ყველაფერი ეს კი იქიდან მოდის, რომ ის, ვისაც რაიმე უნდა ეკითხებოდეს, ვისგანაც ხალხი სწორ პასუხს ელის, ინდიფერენტულობას მისცემია. იგი თვალს ხუჭავს საზოგადოების იმ ძირითად დაავადებაზე, რაც ყველა ერისათვის საყოველთაოა და რაც აერთიანებს სხვადასხვა ხალხების ეროვნულ ინტერესებს: „დიახ, პოლიტიკურმა ინდიფერენტობამ თავისი გაიტანა. — მიუთითებდა ნ. ნიკოლაძე, — მისი მავნებლობა ჯერ კიდევ მკაფიოდ არ ჩანს, ვიდრე ცხოვრება უკან და უკან იხევს ერთგვაროვნად, მდორედ, შეუმჩნევლად, ერთხელ და სამუდამოდ დაგებულ ლიანდაგზე“⁴³, და თუ ვინმე წამოიკვივლებს ძილში, მას ჟურნალისტი, თუ სხვა ერემია ჩააჩუმებს და „წამსვე გააქრობენ გრძნობის და გონების ნაპერწკლებს“.

სტატიის დასასრულს ნ. ნიკოლაძე მიმართავს საქურნალო იერემიებს: „თქვენ, ბატონებო, ხელი აღმართეთ აღამიანის აზროვნებაზე, საზოგადოების უგუნურ მანქანად ქცევა განიზრახეთ. თქვენ ამათრახებლად აზრს... ახლა კი დატკბით ხელთა თქვენთა ნამოკმედარით, თქვენ ზარზვიმით მეფობთ მძინარე სამყაროზე“.

ასეთია იმ დროისათვის უღარესად თამამი, ქეშმარიტად ვაჟაკური ხმა ქართველი პუბლიცისტისა, რომელმაც ერთბაშად მიიქცია ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება. იმ დროს, როდესაც ძველი „რადიკალი“ დაემხო ევროპის ძველი ჟანდარმის წინაშე, თბილისურმა პატარა გაზეთმა აშკარად და დაუბრუნებლად დაიწყო ლაპარაკი ცარიტული სახელმწიფოს დრომოკმეულობაზე. ამხილა ის სამარცხვინო „წესრიგი“, რომელშიც „საერთო-სახალხო“ შინაარსი შეიტანეს „ოპოზიციონერებმა“.

ასეთი იყო მეტად საგულისხმო პირველთქმა.

ნ. ნიკოლაძე გეგმაზომიერად მიიწვევს წინ. დასვა მთავარი კითხვა: შეიძლება თუ არა სახელმწიფოს იმგვარად „შეკეთება“, რაც კონსტიტუციურ მონარქიასთან შეაჩერებს საქმეს? ნიკოლაძე გადაჭრით უარყოფით პასუხს იძლევა. ხოლო სად ჩერდება მისი „რადიკალობა“, ამას „რადიკალებთან“ კამათში დავინახავთ.

⁴² „ტიფლისკი ვესტნიკი“, 1875, № 103.

⁴³ იქვე.

ნ. ნიკოლაძემ პირველ საკითხად დასვა მთავარი — სახელმწიფოს უვარგისობა. ნათელია, რომ მას „შემკეთებლობის“ არავითარი კომბინაციის არ სჭერა. ყოველგვარი „შემკეთებლობა“ სოციალური ეგოიზმისაკენ მიდის და ეწინააღმდეგება როგორც რუსი, ისე სხვა ხალხების ინტერესებს. საკითხის ნათელყოფა მოითხოვს პოლიტიკური პრინციპების ნათელყოფას, რადგან ყოველ ქვეყანაში, სადაც ცხოვრება ქმედითია, ყოველდღიურად იჩენს თავს ახალი პირობები და ცხოვრების ის ფორმები, რაც თხოულობს მის მიერ ნაკარნახევ ამოცანათა გადაწყვეტას. ეს იწვევს პოლიტიკურ პარტიათა წარმოშობას. მიუხედავად გარეგნული სიმშვიდისა, მათ საქამათო საგანზე მაინც მოქმედებს ძირეული სოციალური პრობლემები. რამდენადმე მაინც ასეთია მდგომარეობა რუსეთში.

ამ აზრებს ნ. ნიკოლაძე ანვითარებს პოლემიკაში უშუალოდ ჩაბმამდე. იმ სტატიებში, სადაც ჭერ კიდევ ზოგად საკითხებს ეხება. ნ. ნიკოლაძე აღნიშნავს, რომ რაკი ყველაფრის ძირი მაინც ერთია, რაკი მაინც მკლავნდებიან ძირეული სნეულებანი, რატომ უნდა მიჩუმდეს „პროვინცია“, სადაც ყველა სნეულება ჰარბადაა დაგროვილი? ნიკოლაძემ აქვე გადაჰკრა იმ ავტორიტეტებს, რომელთა „თეორიები“ პროვინციას უტევდნენ „ნოვოე ერემიას“, „გრაჟდანიანის“ და „ვესტნიკ ეეროპის“ ფურცლებიდან.

საგაზეთო ტურნირის მეთვალყურე ხელისუფლება იმედიანად უყურებს თავის ფალავნებს. „ვთქვათ, გაციისკის და ლავრსკის მსგავსნი დამარცხდნენ, — რომელ თავისუფალ აზროვნებას, რომელ „თეორიებს“ შეუძლიათ ისე ავნიონ რუს ხალხს, როგორც ვნებს მას პრესის გამყიდველობა“⁴⁴, — კითხულობს ნიკოლაძე. აქ კითხვა ისმება იმის შესახებ კი არა, რომელი პრესაა „დიდი“ და რომელი — „პატარა“, არამედ იმის შესახებ, თუ რომელია ძალმოსილი ხალხთა საერთო ინტერესებს ემსახუროს. ასეთია ახლა „პროვინციული პრესა“. თუკი იგი გამოხატავს ნამდვილ პროგრესულ აზრებს და არა მხოლოდ იჩემებს „პროგრესულობას“⁴⁵. ბრძოლა პროვინციული პრესის წინააღმდეგ ფარავს მთავარს — დიდვაჰრულ და სპეკულაციურ ჟურნალისტურ ინტერესებს. მათი კლასობრივი ინტერესები ერთია: „ვაჭრული თვალთახედვა კარნახობს მათ დააბრკოლონ პროვინციულ-

⁴⁴ იხ. „ტიფლისკი ვესტნიკი“, 1875, № 103.

⁴⁵ იქვე № 83.

ლი ბექდვითი სიტყვა⁴⁶... დაუშვით, აღნიშნავს ნ. ნიკოლაძე, „პროცინციული პრესის“ წინააღმდეგ მებრძოლებმა მიაღწიეს თავის საწადელს. მაგრამ განა გამოადგება თუნდაც „რადიკალური“ ბურჟუეზების პრესა ხალხს: „ვეჭვობ, რომ მან რამენაირად მაინც დააკმაყოფილოს ის ადამიანები, რომლებიც მიეჩვივნენ — ცხოვრებას სხვისი თვალთ უყურონ, — წერს ქართველი პუბლიცისტი.

„ღვთაებრივი ნაპერწკალი“ განა აკლიათ ეხლანდელ რუს მწერლებს, — შენიშნავს ნ. ნიკოლაძე, — ისინი „სხვის თვალსაზრისს ემსახურებიან. მათ მოაკლდათ იდეური ხელმძღვანელი — დობროლიუბოვი და თორმეტი წლის წინ სახალხო ტრიბუნას მოცილებული ადამიანი (ჩერნიშევსკი — თ. ფ.)“⁴⁷.

არაჩვეულებრივ სითამამეს და პირდაპირობას აღწევს ნიკოლაძე, როცა დაურიდებლად მიახლის რუსული საზოგადოებრივი აზრის ყოველგვარ ეხლანდელ იმ „გამომსახველებს“, რომლებსაც ოდესდაც თითო-ოროლა, გრეჩის და ბულგანინის მსგავსი, წინაპარი ჰყავდათ „თქვენ გიყვართ რუსეთი, ავი ბებრუხანა. სახელდობრ, დღისით-შეზაით, ლომნიან ამ „დედა-რუსეთს“, მას უთბზავენ უერთგულესობის გამომხატველ ჰიმნებს და ყოველ დღე მოაქვთ მასთან ტარიგო ხან დიუჟინი პოლონელებისა, ხან აწილი ყალპუხელებისა... გასაჯება ყველა ის ცილისწამება, დაბეზლებები ამ ისკარიოტებისა“. მაგრამ ვინ არიან ამ დედა-რუსეთის ყველაზე უფრო ერთგული მსახურნი, — ესენი ყოფილი მეწარმეებია, ეხლანდელი ჟურნალისტები. და „შეუზღუდველი თვალყურის მადევრობა და ძალდატანება იმგვართა ხელშია, როგორებიც ბრძანდებიან მაიმაკოვი. ტრუბნიკოვი, პოლეტიკა... მათ ხელში ლიტერატურა იქცა საწარმოო საქმიანობად... რომელ მათგანს გააჩნია უნარი განაზოგადოს მასების მისწრაფებები... უჩვენოს მასებს გამოსავალი.. აგერ უკვე თორმეტი წელია ასეთ მწერალს ველით (თორმეტი წლის წინათ ჩაახშეს ჩერნიშევსკის ხმა — თ. ფ.)“⁴⁸ — წერს ნ. ნიკოლაძე.

სენი საყოველთაოა, საკაცობრიო. არაერთი ცივილიზებული ერი იტანჯება საზოგადოებრივ-ეკონომიური უთანასწორობით. მათ შეიგნეს, რომ თანამედროვე საზოგადოებრივი ურთიერთობანი არ შეიძლება იყოს სამარადჟამო... როიალისტური ინგლისი, რესპუბლიკური საფრანგეთი, საიმპერატორო გერმანია, ფედერაციული ამე-

46 იხ. „ტიფლისკი ვესტნიკი“, 1875. № 103.

47 ი ქ ვ ე.

48 ი ქ ვ ე.

რკა ერთნაირად არიან დაავადებულნი „მომავლის ავადმყოფობით“ (სოციალური რევოლუციით). დაავადების ხარისხი და ფორმები გამოწვეულია არა მმართველობის ფორმებით, არამედ იმ პირობებითა, რომელთაც ქმნის საზოგადოებრივ-ეკონომიური წესი და მდგომარეობა.

„...მეცნიერების ერთგული, კეთილსინდისიერი ადამიანები, რომლებიც გულწრფელად იზიარებენ მასების ტანჯვას, არიან ამ ტანჯვათა ძირეულ მიზეზთა მამხილებლები“⁴⁹, შენიშნავდა ნ. ნიკოლაძე და, პირველ ყოვლისა, თვითვე ეკუთვნოდა იმ პროგრესულ მოღვაწეთა რიცხვს, რომელთა უმთავრეს სატიკვარს „მასების ტანჯვა“ შეადგენდა, ხოლო უმთავრეს მიზანს — „ამ ტანჯვათა ძირეულ მიზეზთა“ მოძიება და ამ მიზეზთა მოსპობისათვის ბრძოლა.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, სასურველი მომავლის მისაღწევად რა მეთოდები ესახებოდა ნ. ნიკოლაძეს. ეს არის არსებული სოციალური და პოლიტიკური სისტემის დამხობა.

დღეს თუ არა, ხვალ დაუბერავს ქარი და ახალი ნაპერწკლები ააღდებიან. გაჩაღდება ხანძარი და დენთის სარდაფები აცვივდებიან ჰაერში. ერთი დღით ადრე, თუ გვიან — სულერთია. მოსახდენი მოხდება. რაც არ უნდა დააკავონ ევროპის, თუ რუსეთის რეაქციონერებმა. ეს უნდა იცოდეს ყველამ, მათ შორის იმათაც, ვისაც არაფრის გაგება არ სურს და ცდილობს მოვლენებს წაუყრუოს. იმ დროს, როცა კატკოვის მსგავსნი თავისუფლად ბოგინობენ, განა შეიძლება ბეკლდითი სიტყვის სინდისიერებასა და „თავისუფლებაზე“ ლაპარაკი? — კითხვას სვამდა მებრძოლი პუბლიცისტი და უფრო შორსაც მიდიოდა: „ძალა მედაფდაფეებში კი არ არის, არა, განა ისინი იბრძვიან, განა ისინი ურტყამენ მტერს“. — ამბობდა იგი და იქვე დასძენდა: ბოლოს დადგება დრო, როცა ეს რეაქციონერი და ბურჟუაზიული პრესის სხვადასხვა ჯურის მედაფდაფეები, რომლებიც არსებითად ერთმანეთს შველიან, „იქამდე მიიყვანენ იმ (რევოლუციის — თ. ფ.) ჯარისკაცს, ვისაც მტერთან ახლოს მისვლაში ხელს უშლიან, ვიდრე იგი მათ (ხიშტზე) წამოაგებს“⁵⁰.

ბეკლდით სიტყვას მხოლოდ რევოლუცია გაათავისუფლებს. ასეთია ნიკოლაძის დასკვნა. უადრესად საყურადღებოა ის გარემოება, რომ ნიკოლაძე თავისი აზრების განვითარებისას მიუთითებს იმ

⁴⁹ „ტიფლისკი ვესტნიკი“, 1875, № 25.

⁵⁰ „ტიფლისკი ვესტნიკი“, 1876, № 3.

„ახალ ეკონომიურ სკოლაზე“⁵¹, რომლის ფუძემდებლის — კარლ მარქსის შრომა მან სულ ორიოდ წლის წინ დედანში წაიკითხა.

ნ. ნიკოლაძემ თავის წერილებში არა მარტო შეახსენა მკითხველს სამოციანი წლების ეპოქის პროგრესული წარმომადგენლები, არამედ ბრწყინვალედ დაიცვა მათი საბრძოლო პრინციპები და მათი თვალსაზრისით ამხილა „ბირჟის“ და კომერციული დაწესებულებების მიერ მოსყიდული პრესა. ბელინსკის და ჩერნიშევსკის იდეებზე აღზრდილმა პუბლიცისტმა დაუნდობლად გაამასხრა „ცენტრისტული“ თეორიის ავტორები, რომელნიც ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ „პროვინცია“, თავისი შეზღუდულობის გამო, ვერ ამაღლდება საკაცობრიო მნიშვნელობის დონემდე, პროვინცია ცენტრის ნასუფრალით უნდა იკვებებოდეს, და განაპირა რაიონების პრესის მიზანი და დანიშნულება „დიდი პრესისათვის“ თავისი კუთხის ცხოვრების შესახებ მასალის მიწოდებით უნდა შემოიფარგლოს.

გაჰყიდველი პრესის დახასიათებისას ნ. ნიკოლაძე თამამად აყენებს საკითხს იმის შესახებ, თუ რა ისტორიულ საფუძველს ეყრდნობა ეროვნული ბეჭდვითი სიტყვის სიცოცხლისუნარიანობა. იგი აწვდიდა არსს ასეთ აზრს: განაპირა რაიონების ხალხების ეროვნული ცხოვრების ნიველირება საერთო წესის მიხედვით — აბსურდია; განაპირა რაიონების საზოგადოებრივი ცხოვრება იქმნება ორი სრულიად სხვადასხვაგვარი ელემენტისაგან: რუსულისა და ადგილობრივისაგან. ყველა განაპირა რაიონებში ჩვენ ვხვდებით ორ ცივილიზაციას, ორგვარ ეროვნულობას, ორგვარი წარსულით. ამ ორი ელემენტის ურთიერთშემოქმედება ხშირად დამოკიდებულია შემთხვევითობასა და გაუგებრობაზე.

სტატიაში ნათლად იგრძნობა ბელინსკისეული დებულება: ერთი რომელიმე ხალხის პროგრესი არ ხორციელდება სხვისი კულტურული მონაპოვრისადმი ბრმა დამორჩილებით, ასეთი რამ ღუპავს ერს. კულტურის გაზიარება ხდება ეროვნულად. ეს იმას ნიშნავს, რომ ეს „სხვა“ შენს არსებაში გარდაქმნა და აითვისო შენებურად, ეროვნულად⁵².

ნიკოლაძე მორდოვცევის საზოგადოებას მიუთითებდა იმაზე, რომ ეროვნულ კულტურათა დაახლოების საფუძველს ქმნის ძირითადი საარსებო ეკონომიური პირობები. ხალხებს შორის ურთიერთობა, უპირველესად ყოვლისა, „სასიცოცხლო“ პირობებისათვის საერთო

⁵¹ „ტიფლისკი ვესტნიკი“, 1876, № 135.

⁵² ბ. ბ. ე. ლ. ი. ს. კ. ი. თხზულებათა კრებული (რუსულ ენაზე), ტ. III, გვ. 663.

ბრძოლით ხორციელდება. თითოეული ერი საკუთარ ბუნებას ავლენს ამ ბრძოლაში. ამას საფუძველს უდებს ქვეყნის ცხოვრების თავისებურება. ამიტომ ერი, რომელიც „ქმედითი ცხოვრებით ცხოვრობს“, არ შეიძლება არ დაინტერესდეს თავისი საკუთარი საბრძოლო იარაღით, საკუთარი ეროვნული პრესით. რაც შეეხება „მოპუბლიცისტო პროფესორებსა და მოლაქიო პუბლიცისტებს“ და მათ ორგანოებს, მათი საქმიანობა — ბავშვური გულუბრყვილობაა, მაგრამ ამავე დროს — ისეთი ბოროტება, რომელიც არსებითად თვითონ ემსახურება სეპარატიზმს⁵³.

ნიკო ნიკოლაძემ და მებრძოლი, დემოკრატიულ პუბლიცისტიკის მოწინავე ფრთამ შესძლო ჩიხში ჩაეყენებინა კონსერვატორთა ახალი თანამებრძოლები, რომლებმაც თავიანთი თეორიებით გამოაშკარავეს საკუთარი ანტიხალხური ბუნება. „პროვინციელთა“ ბრძოლამ ნ. ვ. შელგუნოვს კალამი ააღებინა, რათა სათანადო მიეზლო „ცენტრისტების“ საზოგადოებისათვის, რომელიც ხელმძღვანელის როლს ჩემულობდა. „არ შეიძლება ითქვას, რომ სწორედ დედაქალაქში მოიყარეს თავი საუკეთესო ძალებმა. — წერდა შელგუნოვი. — თუშკა გონებრივი ცხოვრების წარსამართავად მათ ხელთ დიდი საშუალებები აქვთ... პროვინციაში ახლა არიან ყურნაღისტები, რომლებიც არაფრით არ ჩამორჩებიან დედაქალაქელ კოლეგებს. მაშინ როდესაც პროვინციული პრესა ყოველთვის ცენსურირებულია“⁵⁴...

ნ. ნიკოლაძის პუბლიცისტური ნიჭი და მებრძოლი პაიოსი ერთბაშად გახდა თვალსაჩინო. აღსანიშნავია, რომ ქართველი პუბლიცისტი თავის წერილებში ფართოდ იყენებდა „ინგლისის გამოჩენილი ეკონომისტის“ (ნ. ნიკოლაძის გამოთქმით) დებულებებს საზოგადოებრივი ცნობიერებისა და ყოფიერების ურთიერთობათა შესახებ, საკვებით იზიარებდა, აგრეთვე, მარქსის შეხედულებას კულტურის, როგორც ზედნაშენური კატეგორიის შესახებ.

მოროდვეცევის კომპანიამ შეძლო მსტოვრული წესით თავისი გაეტანა: ზედიზედ იხურებოდა ბეჭდვითი ორგანოები. მაგრამ ნიკოლაძემ ცხადყო „ცენტრისტთა“ ნამდვილი ზრახვანი, რომელთა დაფარვას ისინი რალაც ძველმანებიდან შეთითხნილი თეორიებით ცდილობდნენ. ნ. ნიკოლაძეს ხანგრძლივი ბრძოლა მოუხდა ცენტრიზმთან.

⁵³ „ტიფლისკი ვესტნიკი“, 1876, № 104.

⁵⁴ ნ. ვ. შელგუნოვი, თხზულებანი (რუსულ ენაზე), სპბ., 1878, გვ. 17—

ნიკოლაძის არქივში დაცულია ბევრი იმდროინდელი გამოუქვეყნებელი სტატია. მაგრამ შეუსვენებლად მებრძოლმა პუბლიცისტმა მანც შეძლო ეთქვა ის, რისი თქმაც ბევრმა ვერ გაბედა.

ნ. ნიკოლაძის სახელი კიდით-კიდეს მოედო. მას შორეული პოლონეთიდან მოუვიდა წერილი — არტურ ლაისტისაგან, თანამებრძოლთაგან კი არაერთი მოწინავე ქართველი მოღვაწე იყო აღფრთოვანებული ნ. ნიკოლაძის საქმიანობით. აკაკი ასე სწერდა მას: „დიდი ხანია ველოდი შენს ცხოვრებაში იმ პერიოდს, რომელსაც უნდა ჰკუთნებოდა ჩემი საქმე, გრძნობა და სრული იმედი... ალტაცებული ვარ შენი აწმყოს გამო. აგერ ათი წელია უსიამოვნოდ და უგულოდ ვკითხულობ ხოლმე რუსულ გაზეთებს, მაგრამ ეხლა კი შენმა სტატიებმა ძველებურად ამიძგერეს გული და მომაგონეს ის ნეტარი დრო, როდესაც „თანამედროვე“ („სოვრემენიკი“ — თ. ფ.) ჩუხჩუხებდა“⁵⁵...

დავით ერისთავი სწერდა:

„შენი წერილები იკითხება პათოსით. საერთოდ ყველა სფეროებში სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს... სწერე უფრო მეტი.“⁵⁶...

„ღეგენტრისტთა“ ბანაკის ყველაზე ცნობილი ფალავანი — გაცისკი ქართველ პუბლიცისტს სწერდა:

„ნება მიბოძეთ, მოგახსენოთ ჩემი ღრმა განწყობილება პროვინციული ბეჭდვითი სიტყვის შესახებ დაწერილ თქვენს სტატიებზე. ეხლა, როცა შეწყდა „კიევისკი ტელეგრაფის“ არსებობა (უმალღესი ნებით), თქვენ უფრო მეტი ვალდებულება გაწევთ დაიცვათ ჩვენი საქმე“⁵⁷...

ნიკო ნიკოლაძის მებრძოლ წერილებზე წერდა გაზეთი „ნედელია“: დიდი ხანია არ წაგვიკითხავს ისეთი მშვენიერი, ისეთი პატიოსანი, ვიტყვით — ვაჟკაცური სტატიები, როგორც ამ დღეებში გამოქვეყნდა „თბილისის მოამბეში“.

55 ა. წ ე რ თ ე ლ ი, თხზ., სრული კრებული, ტ. XV, გვ. 60.

56 ნიკოლაძის არქივი, საჩარო ბიბლიოთეკა, № 31.

57 ი ქ ვ ე .

გიორგი წერეთელი და ბაზეთი „კვალი“

მეცხრამეტე საუკუნის 60—70-იანი წლების ქართული პერიოდული პრესის აღორძინება, სხვა მოწინავე ქართველ მწერლებთან ერთად გიორგი წერეთლის სახელთანაცაა დაკავშირებული. 90-იან წლებში გ. წერეთელი კვლავ სათავეში ჩაუდგა ახალი ჟურნალის გამოცემას. ცნობილ ქართველ მოღვაწეთა (აკაკი წერეთელი, ივანე მაჩაბელი, ალექსი კიჭინაძე, ანასტასია თუმანიშვილი-წერეთელი) მხარდაპერით 1893 წლის 3 იანვარს საყმაწვილო ჟურნალ „ჭეჭილის“ დამატებად გამოვიდა სალიტერატურო და სამეცნიერო ყოველკვირეული ილუსტრირებული გაზეთი „კვალი“¹, რომლის ოფიციალური რედაქტორ-გამომცემელი ანასტასია თუმანიშვილი იყო, ხოლო ფაქტიური — გ. წერეთელი.

გ. წერეთლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უკანასკნელი ათწლეული (90-იანი წლები) მჭიდროდაა დაკავშირებული „კვალის“ საქმიანობასთან. ეს წლები ყველაზე ნაყოფიერი პერიოდია გ. წერეთლის შემოქმედებაში. ამ პერიოდში ყველაზე უფრო ნათლად გამოჩნდა მწერლის რადიკალიზმი და სწრაფვა სიახლისაკენ. ამიტომ, მწერლის პოზიციას „კვალში“ დიდი მნიშვნელობა აქვს გ. წერეთლის მხატვრული მემკვიდრეობის ანალიზისა და ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებების გარკვევისათვის.

„კვალის“ ფურცლებზე გ. წერეთელი სისტემატურად ათავსებდა სხვადასხვა ხასიათის პუბლიცისტურ წერილებს, ნარკვევებს, პატარა-პატარა მოთხრობებს, პოლიტიკურ მიმოხილვებს; განსაკუთრებულ ადგილს უთმობდა საქართველოს ისტორიული ცხოვრების გაშუქებას, ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლებისა და ზნე-ჩვეულებების

¹ მართალია „კვალი“ გაზეთად იწოდებოდა, მაგრამ ფაქტიურად ჟურნალს წრმოადგენდა. მისი მოცულობა 3-4 თაბახი იყო და სპეციალურ ლიტერატურაშიც იგი ხშირად ჟურნალად მოიხსენიება.

მიმოხილვას, ეროვნულ გმირთა პორტრეტებს. აქვე დაიბეჭდა მისი თეორიული ხასიათის წერილები რეალიზმზე, ტიპიურობაზე, ხელოვნებაზე და სხვ. ამ პერიოდში დაამთავრა მან თავისი დიდი მხატვრული ტილო — „პირველი ნაბიჯი“ (1890). 90-იან წლებში გამოაქვეყნა აგრეთვე მოთხრობები „ღვთის წყალობა“ (1891 წ.), „თოფის სროლა“ (1898 წ.), დაასრულა რომანი „გულქანი“, რომლის დაბეჭდვის უფლება ცენზურამ არ მისცა, და მისი ცალკეული თავები შეცვლილი სათაურებით გამოაქვეყნა „კვალში“.

„კვალის“ მოწინავე წერილში — „ჩვენი გულის პასუხი“² გ. წერეთელმა ძირითადად დემოკრატიულ-განმათავისუფლებლურ იდეებზე აგებული პროგრამა ჩამოაყალიბა, რომელიც თითქმის არ განსხვავდება „ღროებისა“ და „კვალის“ პროგრამისაგან: „...დღეს ცხოვრება გამრავალფერადა, — ვკითხულობთ აწინაშეულ მოწინავეში, — სწავლის უქონლობა ცალკე გვაწუხებს, ქონების შემცირება ცალკე და ამ ორივე ნაკლოვანებას უნდა შეძლებისამებრ შევლა... ჩვენ ვეცდებით ჩვენსა და ჩვენს მკითხველს შორის მგრძობიარე სიმები გავაბათ. იმის სიხარულით გავიხაროთ, იმის მწუხარებით შევწუხდეთ ჩვენ ვეცდებით ყოველსავე მოვლენაზე უტყუარი და საფუძვლიანი სიტყვა წარმოვთქვათ, სამართლიანი აზრი დავადგინოთ. ცხოვრებას მეცნიერება გვერდში ამოვუყენოთ და მეცნიერების ყურით ვისმინოთ, მეცნიერების თვალი ვადევნოთ ქვეყნის ჩარხის წაღმა-უკუღმა ტრიალს“³.

გ. წერეთელი, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მესაქე, „კვალის“ ფურცლებზე დაუღალავად ეწეოდა ჩვენი წარსულის ისტორიულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის პროპაგანდას, რისთვისაც ოსტატურად იყენებდა ქართველი კლასიკოსების, მათ შორის შოთა რუსთაველის და დავით გურამიშვილის ძარღვიან ენასა და რჩეულ აზრებს. ამით მწერალი მიზნად ისახავდა, თავისუფლებისათვის ბრძოლაში, ქართველი ხალხის ყველა წოდების ერთსულოვნებისა და მისი ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებას. „სანამღი ერს ეს საერთო ლტოლვილების საგანი არ დაკარგვია, — წერდა გ. წერეთელი, მას კიდევ არა უჭირს რა და ბევრს მწუხარებასაც გადაიტანს, მაგრამ თუ ეს განმასხვავებელი ცხოვრების ნაპერწკალიც გაუქრა, მაშინ კი მშვიდობით“⁴. „კვალში“

² „კვალი“, 1893, № 1, გვ. 3.

³ იქვე.

⁴ „კვალი“, 1897, № 1.

გამოქვეყნებულ წერილებში გ. წერეთელი ანვითარებდა შეხედულებას, რომ ერის მესვეური, მისი კეთილდღეობის მშენებელი შეიძლება იყოს არა მარტო ხალხის დაბალი ფენების, არამედ ყველა წოდების წარმომადგენელი. საქართველოს მომავალი ერის ყველა წოდების ძალთა გაერთიანებულ და შეთანხმებულ მოქმედებაში ესახებოდა. 1893 წლის მიმოხილვაში გ. წერეთელი წერდა:

„ხოლორამ დიდი უბედურება დაატეხა თავს ქართველ ხალხს... მაგრამ ნათქვამია, ერთი ქირი მარგებელია. ხოლორის გამო თავად-აზნაურობა და გლებობა, რომელნიც თითქმის დაშორებულნი იყვნენ. ისევ ერთმანეთს დაუახლოვდნენ. პირველად ამ ხოლორამ აგრძნობინა ორივე წოდებას, რომ ისინი უერთიერთმანეთთ არ ვარგიან. იმათ პირველად იგრძნეს ამ სიკვდილის მოციქულის წინაშე, თუ რა კარგი ყოფილა ერთიმეორის ზურგის მიცემა საერთო მტრის მოსაგერიებლად. განათლებულმა ახალგაზრდობამაც იკადრა ქალაქიდან სოფლად გასვლა, რომ დახმარებოდა თავის უმცროს ძმას... ჩვენ, რასაკვირველია, არა ვართ წოდებრივის განკერძოების მადიდებელნი და არც კასტური წესწყობილების მომხრენი; მაგრამ ანსაც ვერ ვიტყვი, რომ ყოველს ერში არ იყოს სხვადასხვა ღირსების საზოგადოება. ამ საზოგადოებათა წყობაში ერის თაოსნობა და წინამძღვრობა შეუძლია მხოლოდ იმ ნაწილს ერისას, რომელშიაც უფრო ბევრი გონებით განვითარებული და ზნეობრივი მხნეობით აღჭურვილი კაცები გამოდიან საქველმოქმედო ასპარეზზე. აი, ასეთს საზოგადოებას შეადგენდა ძველად საქართველოს თავადაზნაურობა, რომლის ისტორიულმა ღვაწლმა საქართველოს ერს დღემდის თავისი ფერი და ხასიათი შეარჩინა. დღეს ახალმა დრომ... გამოიყვანა ასპარეზზე ევროპის განაალებით აღჭურვილი წრე, რომელიც ჩემობს ხალხის წინამძღვრობას და რომელსაც ეკუთვნის მომავალიცა. ამ წრეს არავითარი დამოკიდებულება არა აქვს არც შთამომავლობასთან, არც გვართან. დღეს საზოგადო სარბიელზე გამოსული კაცი, თუ განათლებით, გონიერებით და ნიჭით აღჭურვილია, აი, ის არის ნამდვილი მოთავე ერისა. ის არის ნამდვილი თავიცი და თავადიც“⁵...

ქართული ეროვნული თვითშეგნების იდეალების ქადაგებაში გ. წერეთელი ფართოდ ეხმაურებოდა სხვა ხალხების კულტურისა და გამოჩენილი ადამიანების ცხოვრების აღწერას, როგორცაა მიცკევიჩი, ლუდვიგ კოშუტი, ჯუზეპე გარიბალდი, ვაშინგტონი, მაკიაველი და სხვ. თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა გ. წერეთელი ამ თემაზე გამოქვეყნებულ სტატიებს, მოვიტანთ პატარა ამონაწერს

⁵ „კვალი“, 1893, № 1.

უნგრელი ხალხის ეროვნული გმირის ლუდვიგ კოშუტისადმი მიძღვნილი წერილიდან:

„გარეშე ერთა ცხოვრება, რომელიც ისტორიული გარემოების ძალით წინ წასულა ჩვენზე და ბევრათ უფრო განათლებულად ითვლება, ჩვენთვის ისე სამაგალითოა, როგორც მოწაფისათვის მისი მასწავლებლის თავგადასავალი. განათლებულ ერთა ცხოვრების შესწავლა ჩვენთვის სკოლაა, რომელმაც უნდა გეასწავლოს მისი წარსული, მისი ისტორიული მოძრაობა, აგვაცილოს მისი შეცდომა და შეგვათავისოს ყოველი გამოცდილება, რომლის საშუალებითაც იგი მიღწეულია ბედნიერების კარამდის. ამ მხრივ განხილვა უნგრეთის ეროვნული წარმატებისა და კოშუტის მნიშვნელობისა დიდი საინტერესო და კვუის მასწავლებელია“⁶.

გ. წერეთელი ფსიხლად ეხმაურებოდა თავის დროის საერთაშორისო ურთიერთობის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს: კუნძულ კუბისა და კრეტას ხალხების ბრძოლას ეროვნული თავისუფლებისათვის, საბერძნეთ-ოსმალეთისა და ჩინეთ-იაპონიის ომებს, რომლებმაც თავის ორბიტში ჩაითრია ევროპისა და აზიის მილიტარისტული სახელმწიფოები. გ. წერეთელი იძლეოდა კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის გაჩაღებული ბრძოლის უტყუარ სურათს, ჩინეთის ბაზრისა და მისი სიმდიდრეების განაწილებისათვის. ამ წლებში დაიბეჭდა აგრეთვე გ. წერეთლის მიმოხილვები მსოფლიო პოლიტიკური მოვლენების ცენტრში მყოფი ქვეყნების — ჩინეთს, იაპონიის, ამერიკის, აზიის, თურქეთის, საბერძნეთის და სხვათა შესახებ.

მწერალი თანაუგრძობდა კუბელი ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობას, მიმართულს ესპანელი კოლონიზატორების წინააღმდეგ. იგი ეპვის თვალთ უყურებდა ამერიკელთა „დახმარებას“ კუბელებისადმი და ესპანეთ-ამერიკის ომი კუბის გამო ძალადობის აქტად მიაჩნდა. „კვალმა“ ფართოდ გააშუქა აფრიკისა და, კერძოდ, ტრანსილვანიის გმირი ხალხის — ბურების ბრძოლის ეპიზოდები ინგლისელ კოლონიზატორებთან.

90-იანი წლების არცერთი ქართული თეატრალური დადგმა არ დარჩენილა, რომელზეც გ. წერეთელს თავისი მოსაზრება არ გამოეთქვას „კვალში“. მისი წერილები და რეცენზიები თეატრსა და დრამატურგიაზე არა მარტო პიესისა და ცალკეული დადგმების კონკრეტულ მხარეებს შეეხებოდა, არამედ აშუქებდა ზოგადი თეორიული ღასიათის საკითხებსაც. გ. წერეთელი ყოველთვის გულთბილად ეხმაურებოდა ქართული თეატრის ბედს, მის წარმატებას თუ მარცხს.

⁶ „კვალი“, 1894, № 13.

„ჩვენი სათეატრო ამხანაგობის მოქმედებიდან, — აღნიშნავდა მწერალი, — მოველით უფრო სხვას, უფრო გონიერულს პროგრამას, რეპერტუარს უნდა აამაღლოს ჩვენი სამშობლო სცენა. გვეყო ამდენი გადმოკეთებული და უცხო ხალხების ცხოვრებიდან აღებული დრამა-კომედიების ტყერა... ქართულ სცენას ეკარგება თავისი უმაღლესი მნიშვნელობა; ის აღარ ხდება ერის ზნეჩვეულების საწვრთნელ სკოლათ“. გ. წერეთელი დაბეჭდვით მოითხოვდა ქართული ნაციონალური რეპერტუარის შედგენას, ყველა ქართული პიესების შეკრებასა და დაბეჭდვას. ეს საშვილიშვილო საქმე პრაქტიკულად განხორციელდა ქართული კულტურისა და თეატრის გამოჩენილმა მოღვაწემ ი. იმედაშვილმა. რომელმაც 1910 წელს პირველმა გამოსცა ქართული პიესების კრებული.

გ. წერეთელი პირადად იცნობდა ქართული სცენის დამამშვენებელთ. იგი წერდა გულწრფელ რეცენზიებს გამოჩენილი მსახიობების შესახებ, კოტე ყიფიანის, ალექსი-მესხიშვილის და სხვათა შესახებ.

გ. წერეთლის ფხიზელმა თვალმა პირველმა შენიშნა თანამედროვეობის უდიდესი თეატრალური მოღვაწისა და რეჟისორის, ახალგაზრდა კოტე მარჯანიშვილის ნიჭი, როცა მწერალი, 1895 წლის 11 იანვარს. მესხიშვილის საბენეფისოდ წარმოდგენილ, გერმანულიდან გადმოკეთებული დრამის („ვისი ბრალია“) ინსცენირებას დაესწრო. „არ შეგვიძლია სიამოვნებით არ აღვნიშნოთ, — წერდა გ. წერეთელი, — ქართველ მსახიობთა დასში ერთი ახალი ნიჭის შემატება. ეს არის ბატონი კ. მარჯანიშვილი. მიუცილებლად მას ეტყობა დრამატული ნიჭი“.

1894 წ. 12 იანვარს ქართულმა თეატრმა წარმოდგინა მეველის ოთხ მოქმედებიანი დრამა „ხაფანგი“, რომელიც ეხება იმერეთის წარსულ ცხოვრებას. ამ წარმოდგენისადმი მიძღვნილ რეცენზიაში გ. წერეთელი აღნიშნავდა, რომ ეს დრამა არ გამოხატავს ჩვენი ცხოვრების ნამდვილ, „კოცხალ“ სურათს და უფრო გამოგონილსა უკვთავს: „ხელოვნება და ლიტერატურა მხოლოდ მაშინ არის საზოგადოების გონების განმავითარებელი, — შენიშნავდა გ. წერეთელი, — როცა იგი თვით ცხოვრებაზე დაკავშირებული, როდესაც იგი აღმოხატავს ნამდვილად, ზედმიწევნით სიმართლით, ცხოვრების ვითარებას, მის გულის ტკივილს, მის გულის ჰრილობას, რომ საზოგადოებამ და მთელმა ერმაც სამართლიანად იძიოს წამალი თავის სატკივრისა და დამაუძღურებლის სენისაგან თავი განიკურნოს. როდესაც ხელოვნება ამ ზომამდე დაკავშირებულია ცხოვრებასთან, აი,

მაშინ ჰქვია მას ნამდვილი ხელოვნება, ესე იგი რეალური ხელოვნება. მხოლოდ რეალურს ხელოვნებას აქვს ძალა... ცხოვრების გაუმჯობესებისათვის. რად მინდა შენი იდეალური, გალამაზებული ცხოვრების სურათი, თუ იქ ჩემს დაგრეხილს უზნეო სახეს ვერ შევხვდავ. რომ შევიგნო ჩემი სისაძაგლე და მოვიშალო. ეს არის მიზეზი, რომ ჩვენ უარს ვყოფთ ხელოვნებაში მოქარბებულს ტენდენციას, რადგან იგია ჩვენის წარმატების მავნებელი და შემაჩრებელიო⁷. ასე წერდა გ. წერეთელი დ. მიქელაძის საპასუხოდ, რომელსაც მხატვრული ლიტერატურის დანიშნულებად მიაჩნდა სინამდვილის გაიდვალებული წარმოსახვა, არსებული ტიპის გალამაზება და იდეალურ ფერებში დახატვა. გ. წერეთლის აზრით, მხატვრული ნაწარმოების ტიპი უნდა იყოს ცხოვრების სინამდვილიდან აღებული „შეუფერავი“ ადამიანი. როცა ხელოვანი ცდილობს ტენდენცია შეიტანოს ტიპის წარმოსახვაში, იგი შორდება ობიექტურ სინამდვილესო.

გ. წერეთლის ამ რეცენზიის საპასუხოდ „ივერიაში“ დაიბეჭდა „კრიტიკის კრიტიკა“ (თეატრის მატრიანე) მანუოლიძის ხელმოწერით. რეცენზენტი საყვედურობდა გ. წერეთელს ტიპიზაციის შიშველ, ნატურალიზტურ გაგებას⁸.

„ივერიის“ საპასუხოდ გ. წერეთლმა მალე დაბეჭდა „პასუხის პასუხი“, სადაც დაიცვა და განავითარა თავისი შეხედულება ტიპის, ტიპიური ხასიათების შექმნის პრინციპების შესახებ. იგი აღნიშნავდა, რომ „ხელოვნების რომელსამე ნაწარმოებისაგან ჩვენ ვითხოვთ ტიპს (საზოგადო შემკრებლობითს მოვლენის ნაყოფს) და არა განკერძოებულს პირს (შემთხვევითს მოვლინებას)“. „ჩემს კრიტიკოსს. — წერდა გ. წერეთელი, — კერძო შემთხვევა დრამის საგნათ მიაჩნია და დრამას, როგორც ხელოვნურს ნაწარმოებს მნიშვნელობას უკარგავს.. იმერეთში ერთმა თავადიშვილმა თავის მოახლე შეირთო ცოლად, მაგრამ აქედან ნუთუ ის უნდა გამოვიყვანოთ, რომ იგი უნდა გახდეს დრამის საგნათ და ამით დავრწმუნდეთ, რომ ჩვენში წოდებათა გარჩევა არ ყოფილა? 1875 წელს ქენევაში სამეურნეო გამოფენაზე მე ვნახე ექვს ფეხიანი ხარი, მაგრამ ნუთუ აქედან ის უნდა გამომეყვანა, რომ ქენევაში ყველა ხარები ექვს ფეხიანებიო“⁹

7 „კვალი“, 1894, № 5.

8 „ივერია“, 1894, № 4.

9 „კვალი“, 1894, № 11.

გ. წერეთლის ზემოთ დასახელებულ წერილებში განვითარებულ თეორიულ შეხედულებებს დრამისა და ტიპიურობის საკითხებზე, მის სხვა წერილებთან ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვთ მწერლის ესთეტიკური და ლიტერატურული შეხედულებების გარკვევისათვის. ამავე თვალსაზრისით, ძალზე საინტერესოა გ. წერეთლის გვიანდელი სტატია გ. გაბაშვილის მხატვრობაზე, სადაც მწერალმა კიდევ ერთხელ გარკვეულად გამოთქვა საკუთარი თვალსაზრისი რეალისტურ ხელოვნებაზე, იდეისა და ტენდენციის როლზე მხატვრულ ნაწარმოებში: ეკამათებოდა რა გაბაშვილის გამოფენის კრიტიკოსებს, რომლებიც მხატვარს იდეის უქონლობას უსაყვედურებდნენ, გ. წერეთელი აღნიშნავდა, რომ თუ შემოქმედი შეუფერავად, რეალურად ასახავს ბუნებას და ცხოვრებაში მომხდარ ამბებს, ასეთი ნაწარმოებები თავისთავად გარკვეული იდეის შემცველია და ტენდენციურობას არ საჭიროებენო. უფრო მეტიც: გ. წერეთელს ტენდენციურობა მხატვრულ ნაწარმოებში არა მარტო უარყოფით მოვლენად მიაჩნია, არამედ, მისი აზრით. ტენდენცია ხელს უშლის მხატვარს რეალისტური ხასიათის ნაწარმოების შექმნაში.

აღსანიშნავია, რომ ვ. წერეთლის ეს თეორიულად მცდარი მსჯელობა რეალისტურ ხელოვნებაზე, მხოლოდ მისი პუბლიცისტური წერილების ჩარჩოებში რჩებოდა და იგი ობიექტურად ირღვეოდა მწერლის მხატვრულ შემოქმედებაში, რაც ბუნებრივ მოვლენად მიგვაჩნია. გ. წერეთლის ასეთი დაჟინებითი მტკიცება 90-იან წლებში, მხატვრულ ნაწარმოებში ტენდენციურობის უარყოფით მნიშვნელობაზე, ობიექტური მდგომარეობით იყო გაპირობებული, — იგი პარტიათა შორის ბრძოლის ხასიათს და პირადულ განწყობილებას უფრო გამოხატავდა, ვიდრე საქმის ნამდვილ ვითარებას. ამიტომ გ. წერეთლის მთელი რიგი დებულებები თვითონაა ტენდენციური და ზოგ შემთხვევაში არამართებულიც. ასეთია, მაგალითად, გ. წერეთლის მიერ ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა პერსონაჟების შეფასება წერილში: „კიტა აბაშიძე და ჩვენი ახალგაზრდობა“. მიუხედავად ასეთი მსჯელობისა, გ. წერეთლის, როგორც რეალისტი მხატვრის შემოქმედებაში მართებულად აისახა მისი დროის საზოგადოებრივი ცხოვრების ობიექტური სინამდვილე. ფეოდალიზმის კვდომისა და კაპიტალიზმის ჩასახვა-განვითარების ისტორიული პროცესი. მოვლენების ასეთი აღქმა, მისი ასახვა მწერლობაში, წინგადადგმული ნაბიჯი იყო მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ლიტერატურაში. იგი შემოქმედებითად აგრძელებდა და ანვითარებდა ლიტერატურისა და ხელოვნების იმ ესთეტიკურ რეალისტურ იდეალებს,

რომელიც მან „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილ წერილში „ცისკარს რა აკაცანებდა?“¹⁰ ჩამოაყალიბა.

ქართულ თეატრში 1898 წლის ზამთრის სეზონის დაწყების შესახებ დაბეჭდილ წერილში, გ. წერეთელი მართებულ მოსაზრებას გამოთქვამდა თეატრის ეროვნულ ხასიათზე. ქართული ორიგინალური პიესების პარალელურად გ. წერეთელი მოითხოვდა გარკვეული დოზით დადგმულიყო უცხო ქვეყნების კლასიკოსთა ნაწარმოებებიც, ამიტომ იგი დიდ შეფასებას აძლევდა გოგოლის კომედიის „რევიზორის“, შექსპირის დრამის „მეფე ლირის“ და კლასიკური მემკვიდრეობის სხვა ნიმუშების დადგმას ქართულ სცენაზე. გ. წერეთელი დადებით მოვლენად თვლიდა, რომ ქართული სცენა დატოვა კომედია-ვოდვეილების ენარის ნაწარმოებებმა, რომლებმაც 80-იან წლებში „კინალამ წალეკეს ჩვენი თეატრიო“¹¹.

წერილში „ჩვენი სახიობა“, გ. წერეთელი მაღალ შეფასებას აძლევდა „მეფე ლირის“ დადგმას, რომელიც კოტე ყიფიანის საბუნეფისოდ იქნა წარმოდგენილი. გ. წერეთლის თქმით, მეფე ლირის რთული ხასიათი შესანიშნავად გამოუკვეთია იუბილარს და სპექტაკლს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მაყურებელზე.

გ. წერეთელი „კვალის“ ფურცლებზე სისტემატურად აშუქებდა ქართველი ხალხის ისტორიული წარსულის მნიშვნელოვან თარიღებს. ფართოდ აღინიშნა კრწანისის გმირული ბრძოლების 100 წლისთავიც. გ. წერეთელი და „კვალის“ მწერლები ამ თარიღისადმი მიძღვნილი ლექსებით და წერილებით მოაგონებდნენ ქართველ მკითხველებს კრწანისის ტრაგედიას და წარსულის მძიმე მდგომარეობის მართებულ ასახვით ამხელდნენ მისი აწმყო ცხოვრების უსამართლობას, ძალადობას, ეროვნულ ჩაგვრას.

გ. წერეთელი მხურვალედ გამოეხმაურა ნ. ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებას (1893 წ.). რაფ. ერისთავის იუბილეს (1895 წ.), ილია ჭავჭავაძის იუბილეს სამხადისს (1897-98 წწ.) და სხვ., — როგორც ხალხის გამოფხიზლების, მათი შეკავშირებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ხელის შემწყობ საზოგადოებრივ მოვლენებს.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტთან ილიასა და აკაკის შემდეგ შესანიშნავი სიტყვა წარმოსთქვა გ. წერეთელმა: „გიხაროდენ დიდე-

¹⁰ იხ. „საქართველოს მოამბე“, 1863, № 5.

¹¹ „კვალი“, 1895, № 4.

ბულო პოეტო. სახელო ივერიისა, რამეთუ ძვალთა შენთა ბოლოს განისვენეს!... სამშობლო მიწამ გაგიხსნა თავისი მკერდი და შეგიტყბო მშობლიურად. შენ ხარ, როგორც პოეტი ზეცისაგან აღნიშნული და მოევლინე ერს წინასწარმეტყველად... ჩვენ უნდა შევმოსოთ ზეცით აღბეჭდილი მისი შუბლი შარავანდელით, ჩვენ უნდა დავადგათ მას ნათლის გვირგვინი და ეს მოხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენ განვახორციელებთ საქმით მის აზრებს“.

რაფიელ ერისთავის ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლის იუბილე დიდი ზეიმით აღნიშნა ქართველმა ხალხმა. ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მსგავსად, გ. წერეთელს რაფიელ ერისთავი მიაჩნდა საკუთარი ხმის პოეტად, 60-იანი წლების მოღვაწეთა სახელოვან წინამორბედად, — კერძოდ, რაფ. ერისთავი მას ესახებოდა ბარათაშვილისა და გ. ერისთავის რეალისტური ტენდენციების გამაგრძელებლად და მას შემაერთებელ ხიდს უწოდებდა 60-იანელებისა და ბარათაშვილ-გ. ერისთავის ეპოქას შორის“¹².

გ. წერეთლის მიერ თავის შემოქმედებით მეთოდად „შეუფერავი რეალიზმის გამოცხადება“¹³, ობიექტურად არ აღასტრუებს მის განსაკუთრებულ და განსხვავებულ მეთოდს. მისი გამიჯვნა ქართული კრიტიკული რეალიზმისაგან შეცდომაა. მაგრამ გ. წერეთლის ტენდენციამ 60-იანი წლების რეალიზმისაგან და განსაკუთრებით ილია ჭავჭავაძის რეალიზმისაგან გამიჯვნისა, საბაბი მისცა მის მოწინააღმდეგეებს, რომ გ. წერეთლის შემოქმედება ნატურალიზმად მოენათლათ, ხოლო მისი ბელეტრისტიკა ხელოვნების მდარე ნიმუშად გამოეცხადებინათ.

შეხედულება გ. წერეთლის ნატურალიზმის სკოლის მწერლად მიჩნევის შესახებ, სათანადოდ უარყოფილი და დაგმობილია თანამედროვე ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში. მაგრამ ბევრ შრომებში გ. წერეთლის რეალიზმის ადგილის განსაზღვრისათვის კვლავ ძალაშია დატოვებული მისი „შეუფერავი რეალიზმი“, როგორც მწერლის ინდივიდუალობის დამადასტურებელი საბუთი.

გ. წერეთლის „შეუფერავი“ და „შეფერილი“ რეალიზმის შესახებ ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში ადრეც ბევრი დაწერილა და თქმულა, მაგრამ ეს საკითხი ყველაზე უფრო მკაფიოდ გაიკრვა ქართველ მკვლევართა უკანასკნელ ხანებში დაწერილ ნაშრომებში.

¹² „საერთო დღესასწაული თ. რაფ. ერისთავის იუბილის გამო“, 1899, გვ. 28.

¹³ გ. წერეთელი „კიტა აბაშიძე და ჩვენი ახალგაზრდობა“, „კვალი“. 1897, № 46.

ჩვენ მხედველობაში გვაქვს პროფესორ გ. ჯიბლაძის, დ. გამეზარდა-
შვილის, გ. აბზიანიძის, მ. გაფრინდაშვილის, ვ. ვახანიას ნაშრომები,
სადაც კრიტიკული რეალიზმის საკითხების თეორიულად გაგების
შუქზე ახსნილია „შეუფერავი“ და „შეფერილი“ რეალიზმის დამკვი-
დრების ისტორია ქართულ ლიტერატურაში.

კრიტიკული რეალიზმის დაკონკრეტებული ახსნა („შეფერილი“
და „შეუფერავი“) რუსული ლიტერატურის მაგალითზე პირველად
ნ. ჩერნიშევსკიმ მოგვცა („სოვრემენიკი“, 1861 წ. № 11). ნ. ჩერნი-
შევსკის დებულება „შეფერილი“ და „შეუფერავი“ რეალიზმის შე-
სახებ განავრცო და ახალი დასაბუთება მოუნახა მისმა სახელოვანმა
მოწაფემ ნ. ნიკოლაძემ, რომელმაც პირველმა შემოიტანა ქართულ
სალიტერატურო კრიტიკაში „შეფერილი“ და „შეუფერავი“ რეა-
ლიზმის ცნება¹⁴.

1873 წლის „კრებულში“ გამოქვეყნებულ წერილში — „ჩვენი
მწერლობა“ ნ. ნიკოლაძე რუსული და ქართული მწერლობის და,
კერძოდ, ილ. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობის“ და „კაცია-ადამიან-
ის?!“ ანალიზის შუქზე იძლევა „შეფერილი“ და „შეუფერავი“ რეა-
ლიზმის არსის ახსნას.

გ. წერეთელმა „შეუფერავი რეალიზმის“ საკითხი 24 წლის შემ-
დეგ კვლავ გააცოცხლა და მისი განმარტება მოგვცა 1897 წელს
„კვალი“ დაბეჭდილ სტატიაში „კ. აბაშიძე და ჩვენი ახალგაზრდო-
ბა“. ამ წერილში გ. წერეთელი შეეხო, აგრეთვე, თერგდალეულთა
შორის „ახალი ახალგაზრდობის“ ჯგუფის ჩამოყალიბებას, რომელ-
საც მან მეორე დასი უწოდა. პირველ და მეორე დასს შორის განსხვავ-
ებათა მოძებნის მიზნით, გ. წერეთელი ერთ-ერთ ფაქტორად ასახე-
ლებდა „შეუფერავ რეალიზმს“; „პირველმა დასმა ხელოვნურ ლი-
ტერატურაში დაამკვიდრა სანტიმენტალურ-ტენდენციური მიმართუ-
ლება, — წერდა გ. წერეთელი, — ხოლო მეორე დასმა სიტყვაკაზ-
მულ ლიტერატურაში დააარსა ნამდვილი შეუფერავი, შეუკეთებელი
რეალიზმიო“¹⁵.

გ. წერეთლის „შეუფერავი რეალიზმის“ გაგებამ იმიტომაც გა-
მოიწვია დავა, რომ თვითონ მწერალმა არ მოგვცა მისი განმარტება.
მაგრამ ერთი ცხადია, რომ გ. წერეთელმა „შეუფერავი რეალიზმის“
ცნება გააიგივა „ნამდვილ რეალიზმთან“ და „შეუკეთებელი რეალიზ-
მის“ სინონიმად იყენებდა მას. იგი თავის „შეუფერავ რეალიზმს“

¹⁴ ნ. ნიკოლაძე. ჩვენი მწერლობა, „კრებული“, 1873, № 5—6.

¹⁵ „კვალი“, 1897, № 46.

(ნამდვილ რეალიზმს) შემდეგნაირი სინონიმებით აღნიშნავდა: შეუფერავი, ნამდვილი, შეუკეთებელი. ნ. ნიკოლაძე და გ. წერეთელი, „შეუფერავ“ რეალიზმსა და ამ მეთოდისადმი მწერლის დამოკიდებულებას განიხილავდნენ რევოლუციურ-დემოკრატიული კრიტიკის, მატერიალისტური ესთეტიკის პოზიციებიდან, სადაც იგულისხმებოდა ლიტერატურული კრიტიკის იდეურობაც, მისი საზოგადოებრივი დანიშნულება და ხალხის უკეთესი იდეალებისათვის ბრძოლის პრინციპები. „ახალი ახალგაზრდობა“, როგორც ბურჟუაზიულ-პროგრესული მიმდინარეობა, „საქართველოს მოამბის“ ჩგუფს ემიჯნებოდა ეკონომიურ-საბანკო, საკრედიტო პროგრამის საკითხებში. ამ მიმართულებით „დროება“ — „კრებულის“ ჩგუფი უფრო რადიკალურია და აშკარად ბურჟუაზიული განვითარების პროპაგანდისტად გვევლინება. ძირითად განმასხვავებელ ნიშნად ამ ორ მიმდინარეობას შორის მხოლოდ ბურჟუაზიული ტენდენცია გვესახება. მაგრამ ლიტერატურისა და ხელოვნების ძირითადი პრინციპების გარკვევისა და მათი ხალხის სამსახურში დაყენების საკითხში მათ ერთნაირი გაგება ჰქონდათ. თერგდალეულთა საერთო საბრძოლო პრინციპი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ეტაპზე იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეალები, რომელიც სოციალურ პრობლემატიკასთან ერთად განსაზღვრავდა ქართული რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის ხასიათს.

როგორც ჩანს, „ახალი ახალგაზრდობის ჩგუფის“ სახით, ობიექტურად ერთმანეთს დაუპირისპირდა არა მსოფლმხედველობით განსხვავებული, არამედ ერთი მიზნის მქონე, ბრძოლის სსვადასხვა მეთოდებით აღჭურვილი ორი ჩგუფი ქართველი დემოკრატიულ-რევოლუციური ინტელიგენციისა. ვფიქრობთ, სამოციანი წლების მოღვაწეთა საერთო აზრი გამოთქვა აკაკი წერეთელმა გვიან წლებში, როცა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლი ყველა მიმდინარეობის შეერთებას და ერთიანი ბრძოლის საჭიროებას მოითხოვდა. „მიუხედავად იმისა, — აღნიშნავდა აკაკი, — რომ ახლა ბევრი პარტიები და სხვადასხვა მიმართულებებია, მიზანი მაინც ერთია. „ყველა გზა რომისაკენ მიდის“, — „ეს გზა სამშობლოს გათავისუფლებას“. ამიტომ სხვადასხვა გზით მიმავალნი ერთი მეორეს ხელს არ უნდა უშლიდნენ... პირიქით, ხელსაც უნდა უწყობდნენ“.

როცა გ. წერეთელი თავისთავს „შეუფერავი რეალიზმის“ წარმომადგენლად მიიჩნევდა, ამით იგი გულისხმობდა არა რეალიზმის მთავარი მაგისტრალური ხაზისაგან გადახვევას და ცალკე მეთოდად „შეუფერავი რეალიზმის“ გამოცხადებას, არამედ პირიქით. მისი

„შეუფერავი“ და „შეფერილი“ რეალიზმი ფაქტიურად ნიშნავდა კრიტიკული რეალიზმის განვითარებას, ცხოვრებასთან ახლოს მისვლას და მის თავისებურ წარმოსახვას.

ამრიგად, გ. წერეთლის მიერ საკუთარ შემოქმედებით მეთოდად აღიარებული „შეუფერავი რეალიზმი“ არსებითად ემთხვევა კრიტიკული რეალიზმის ძირითად მიმართულებას. გ. წერეთლის როგორც მხატვრული შემოქმედება, ასევე ლიტერატურული შეხედულებები თავსდება კრიტიკული რეალიზმის ფარგლებში. ამიტომ ჩვენ ვსჯელობა გვინდება არა გ. წერეთლის ახალ, განსხვავებულ შემოქმედებით მეთოდზე, არამედ მის მხატვრულ ინდივიდუალობაზე და მის წვლილზე ქართული კრიტიკული რეალიზმის განვითარებაში.

90-იანი წლები ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში უაღრესად მნიშვნელოვანია ახალი იდეების — მარქსიზმის დამკვიდრებით. მარქსიზმი გზას იკაფავდა შეუპოვარი ბრძოლით ფარულ და აშკარა მტრების, მიტმასნილი თანამგზავრებისა და ოპორტუნისტების წინააღმდეგ. 60-იანი წლების ქართველ მოღვაწეთაგან ყველაზე ახლოს მარქსიზმთან გ. წერეთელი მივიდა. მაგრამ ეს გარემოება ობიექტურად, არ აცილებდა მას თერგდალეულთა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული იდეებისაგან.

გ. წერეთლის „ღალატი“ მისი თაობისადმი, რასაც გ. წერეთელს უკვირებდნენ, საბაბი გახდა დიდი პოლემიკისა. ამიტომ გ. წერეთლის ამ პრინციპულ პოლემიკას თავის თაობასთან პოლიტიკური ბრძოლების კვალი აზის და იგი კრიტიკულად უნდა იქნას განხილული.

წერილში — „კვალის“ ორი წლის ნალვაწი“ გ. წერეთელი ეხება მის პირველ შეხვედრას მარქსიზმით გატაცებულ ახალგაზრდობასთან და წერს: „შარშან, ე. ნინოშვილის საფლაგზე, „კვალის“ წარმომადგენელი პირველად შეხვდა ახალ გუნდს ჩვენი ქვეყნის მოღვაწეებისას... ამ ახალ გუნდს ჩვენი ერის მუშაკებისას „კვალმა“ დაარქვა „მესამე დასი“. ამ დასს შეუტიეს „მომამბისა“ და „ივერიის“ ნესევეურებმა: „ვინ ბედავს ჩვენზე უფრო ახალგაზრდობასო... ნუთუ შესაძლებელია „ბებრების“ ახალგაზრდობაო და სხვ.“ „კვალმა“ მათ სჯადრისი პასუხი გასცა: „ახალი გუნდობა წლოვანებაზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ მიმართულებაზე და მისწრაფებაზე... მესამე დასი წლოვანებით კი არ განსაზღვრავს თავის პროგრამის მოქმედებას, არამედ იდეით, პრინციპითო“. შეიძლება ძველი გამოცდილი მუშაკი ბრძოლაში გუნდს წინ უდგასო, როგორც „მომამბე“ — „ივერიის“ მაგალითი გვაქვსო“.

გ. წერეთლის მიერ 1894 წ. ეგნატე ნინოშვილის დასაფლავებაზე წარმოთქმული სიტყვა ეროვნულ-განმანათლებელი იდეებითა და მშრომელი ხალხის უსაზღვრო სიყვარულითაა გამსჭვალული. მან პირველმა მიუთითა ეგნატე ნინოშვილის ნიჭზე და დიდ დამსახურებაზე ქართულ ლიტერატურაში. ე. ნინოშვილმა „გაუკვალა გეშმარიტი გზა მესამე დასს ახალთაობისას ხალხში მოქმედებისათვის“¹⁶.

გ. წერეთლის მიერ წარმოთქმული ამ სიტყვის შემდეგ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში გამოჩნდა ტერმინი „მესამე დასი“, რომლის ბელმძღვანელად გ. წერეთელს აღიარებდნენ. მაგრამ გ. წერეთელი თავის თავს ამ დასის მხოლოდ რიგით წევრად თვლიდა. სტატიაში — „ღია წერილი ბ.-ნ დიმ. ერისთავს“ გ. წერეთელი აღნიშნავდა: „დააჭრეთ თქვენი თავი, რომ მე არც „მესამე დასის“ მეთაური ვაზღვარ, არც მქონია თავის დღეში სურვილი ვისმე მეთაურობისა. თქვენ რომ ისტორიულად გქონდეთ გაცნობილი ჩვენი ახალი ლიტერატურის ხანა, დარწმუნდებით, რომ მე სერელში ლენერალი არასოდეს არ ვხლებივარ და ყოველთვის მეჭირა მეზობელი სალდათის ადგილი“.

1894 წელს, იაკობ გოგებაშვილთან კამათში, გ. წერეთელმა გარკვევით ჩამოაყალიბა თავისი შეხედულება ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებულ თაობათა შორის ბრძოლის საკითხებზე 60—70-იან წლებში („კვალი“, 1894, წ., № 37).

გ. წერეთლისებური დასებად დაყოფა ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობებისა ძალზე მოხერხებული გამოდგა და ამიტომ იგი დამკვიდრდა კიდევ ჩვენს გაგებაში. ჩვეულებრივად, „დასების“ საკითხს, ე. ნინოშვილის დასაფლავებაზე გ. წერეთლის მიერ წარმოთქმულ სიტყვას უკავშირებენ, რაც სწორია. მაგრამ გ. წერეთელმა ჩვენი საზოგადოებრივი ძალების დასებად დაყოფის ცდა ცოტა უფრო ადრეც მოგვცა წერილში — „ერთი წლის კვალი“ (1894 წ. № 1), რომელსაც ზემოთაც შევხვით. ამ სტატიაში გ. წერეთელი „ივერიისა“ და „მომამბის“ მოღვაწეებს ერთიმეორის მოწინააღმდეგე „დასებს უწოდებს“. „ამ ორ დასს, — აღნიშნავდა გ. წერეთელი, — ერთი მეორის საწინააღმდეგო პოზიცია უჭირავს... ერთი მეორის მეტოქეობაში კარგავენ თავის ძალღონეს. „კვალი“ მალე დაუღა თავის საკუთარ გზაზე და ორივე დასს კრიტიკული თვალით შესცქეროდა“.

¹⁶ „კვალი“, 1894, № 21.

ერთი წლის შემდეგ გ. წერეთელმა სხვანაირად გაიზარა ქართული საზოგადოებრივი მოძრაობის დასებად დაყოფის საკითხი. მაშინ გ. წერეთელმა პირველი დასის სახელი მეოთხმოცე წლებში ჩამოყალიბებულ „იმედის“ ჯგუფს მიაკუთვნა. გ. წერეთელი წერდა: „მცოროზმოცე წლებში გაჩნდა ჩვენში ერთი პაწია დასი განათლებული თაობისა, რომელმაც დააარსა თავისი საკუთარი გამოცემა „იმედი“ და აღიარა, რომ საქართველოს ხსნა გლეხკაცობიდან უნდა წარმოდგესო... ამ სახით დაარსდა რუსეთის მიბაძვით ჩვენშიც ე. წ. „ნაროდნიკობის“ დასი“ (დასი ტეტიაობის მოტრფიალეთა, როგორც „კვალში“ ხომლელმა უწოდა). ამ ცალკე მიმართულებამ, — აღნიშნავდა გ. წერეთელი, — ვერ ჰპოვა თანაგრძნობა ქართულის საზოგადოებრიობის და მალე დაკარგა ნიადაგი მოქმედებისა. ის დაინთქა ცხოვრების ახალი მიმართულების მორევში და ზოგიერთ გადარჩენილთა მალე შეაფარეს თავი „ივერიის“ რედაქციას.

მეორე დასია „ივერია“, რომელმაც წინააღმდეგ გლეხკაცობისა, წამოაყენა წინ თავდაზნაურობა, როგორც წარსული საქართველოს ისტორიული კულტურის ნაყოფი, უპირატესი წოდება. ჩვენ დღეს, — აღნიშნავდა გ. წერეთელი, — ვაჭრობის კაპიტალისაგან დაჩაგრვას ვტყობთ, „ივერიის“ და „მოამბის“ პუბლიცისტები კი ქართველი ერის საკეთილდღეოდ მეორე გვარის კაპიტალსაც ზედ გვიმატებენო¹⁷.

„კვალის“ მეთაურები, — განაგრძობს გ. წერეთელი, — უარყოფენ პირველი და მეორე დასის შეხედულებას, რადგან ორივე იყო ცალკეობი და უსრული... ამისათვის „კვალი“ დიდი სიხარულითა და აღტაცებით მიეგება იმ ახალ გზაზე მოსიარულე „მესამე დასს“, რომელმაც უარყო წოდებათა განკერძოება და მათზე მზრუნველობა... საქართველოს ერი მარტო გლეხკაცობა, ან მარტო თავდაზნაურობა კი არ არის, არამედ ეს არის შემკრებლობითი არსება, რომელიც იც გლეხიც არის, თავადაზნაურიც, ღვდელიც, ვაჭარიც, მოხელეც და მოქირავეც ყმაც, ამ შექრებულობითს არსებას ეწოდება საქართველოს ნაცია, ისტორიული კულტურით ზრდილი და გამაგრებული თავისი ენითა, თავისი ნაციონალური სარწმუნოებით და თავისი ნაციონალური თვით არსებობით“ (ხაზი ჩვენია შ. ვ.)... ამიტომ „ყოველი კაპიტალი, წარმოება, რანაირი და რა ფორმადაც

¹⁷ „კვალი“, 1894, № 1.

უნდა იყოს ის, მაგალითად, ბანკები, თუ საურთიერთო გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა და სამრეწველო კრედიტი, უნდა იყოს გამართული ყველასათვის, წოდების განურჩევლად“¹⁸...

გ. წერეთლის ამ სტატიის საპასუხოდ „ივერიაში“ დაიბეჭდა წერილი „ლალის“ (გ. ლასხიშვილი) ხელმოწერით, რომელიც უსაყვედურებდა „კვალს“, რომ „ქურნალი“ „კვალი“ ისევ თავის მიმართულების კვლევა-ძიებაშიაო“. „ძირითადში ჩვენც („ივერია“ — შ. ვ.) უარყოფთ „კვალის“ პრინციპს, მაგრამ საქმე მის შესრულებაზე არისო“. „ლალი“ მართებულად აკრიტიკებდა გ. წერეთელს ქართველი ინტელიგენციის „დასებად“ დაყოფას. მას ხელოვნურ დანაწილებად თვლიდა და მიუთითებდა, რომ გ. წერეთელს სრულებით არ მიუღია მხედველობაში 60-იანი წლების პერიოდით და სხვა¹⁹. ანდა: „ახირებული კაცია ბ-ნი გ. წერეთელი, თითო სასაცილო რომ არაფერი გამოიგონოს არ შეიძლება... ერთი ვკითხოთ, სად მოძებნა ეს მესამე დასი“. კიტა აბაშიძე ქურნალ „მოამბეში“ (1897 წ. № 10) ამტკიცებდა, რომ გ. წერეთელი „მესამე დასელებს“ მიემხრო, „მათი მეთაურობა აკისრებინეს და მისი ქურნალიც მათ დაუსაკუთრა“²⁰.

ასეთ ცხარე პოლემიკაში გ. წერეთელმა კვლავ შეცვალა ქართველი ინტელიგენციის დასებად დაყოფის ადრინდელი გეგმა და საბოლოოდ ჩამოაყალიბა იგი სტატიაში — „კიტა აბაშიძე და ჩვენი ახალგაზრდობა“, სადაც დასებად დაყოფის საკითხი შენდევნაირად გააშუქა: „პირველი დასი ყალიბდება 1861 წელს და ამით იწყება ახალი ხანა ქართულ ლიტერატურაში, ეს არის „საქართველოს მოამბის“ გარშემო შემოკრებილი ქართველ მოღვაწეთა დასი „ლუმენატარული მიმართულებისა“.

„1866 წლიდან გამოჩნდა ახალი, უფრო პროგრესული მოძრაობა, ქართულ ლიტერატურულ-პუბლიცისტურ სფეროში. ამ დროს გამოჩნდა მეორე დასი. განსაკუთრებით თავი იჩინა ამ მეორე დასმა 1869 წლიდან 1877-დე. ეს დასი შეჯგუფდა და შეკავშირდა „დროება“-„კრებულის“ რედაქციაში. ამ დასის ნამდვილი წარმომადგენლები იყვნენ: ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ს. მესხი, კირილე ლორთქიფანიძე და პეტრე უმიკაშვილი. ამათ შემოუერთდნენ განკერძოებულად მოღვაწე პოეტი აკაკი წერეთელი. ეს მეორე დასი იყო პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულების მიმდევარი... 1890 წლიდან დაპბერა კვლავ ახალმა პროგრესულმა სიომ, ქართულ ლიტერა-

¹⁸ „კვალი“, 1895, № 5.

¹⁹ „ივერია“, 1895, № 14.

²⁰ „მოამბე“, 1897, № 10.

ტურაში გამოჩნდა არაჩვეულებრივი მიმართულების თითო-ორი ახალგაზრდა, რომელმაც თავი იჩინა „კვალში“ 1893 წ. თავისებური პროგრამით. ესენი არიან ეკონომიური მატერიალიზმის თეორიის მიმდევარნი. ამ დასის (მესამე დასის — შ. ვ.) მეთაურებად სიტყვა-კაზმულ ლიტერატურაში უნდა ჩაითვალოს ე. ნინოშვილი, ხოლო პუბლიცისტიკაში — ნოე ჟორდანიას²¹.

ასეთია ქართული საზოგადოებრივი მიმდინარეობების დასებად დაყოფის გ. წერეთლისებური გაგება და ისტორია.

გ. წერეთელმა ფართოდ გაუღო კარები „მესამე დასელებს“ „კვალში“ სამოღვაწეოდ. იგი სიხარულით ეგებებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველგვარ სიახლეს. ამით აიხსნება მისი პოლიტიკური რადიკალიზმი საერთოდ და კერძოდ — ახალი მოქრაობის მეთაურებისათვის („მესამე დასისათვის“) „კვალის“ გადაცემა. ამით „კვალში“ დადებითი როლი ითამაშა საქართველოში მარქსიზმის გავრცელებისათვის. მის ფურცლებზე იბეჭდებოდა ე. ნინოშვილის, ალ. წულუკიძის, სილ. ჭიბლაძის, ი. ლუზინის და სხვა ცნობილი რევოლუციონერ-მარქსისტების სტატეიბა: 1898 წელს ი. ლუზინმა „კვალში“ დაბეჭდა სტატია „რუსეთი 1897 წელს“. ერთი წლის შემდეგ კვლავ დაიბეჭდა ი. ლუზინის რეცენზია ვ. ი. ლენინის ახლად დაწერილ შრომაზე — „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“. „კვალი“ ურჩევდა ქართველ მკითხველებს წაეკითხათ ლენინის ნაშრომი, სადაც კავკასიაში კაპიტალიზმის განვითარების თავისებურებაზეც არის ლაპარაკიო. ნიჭიერი ახალგაზრდა მარქსისტის ალ. წულუკიძის ნაშრომები „საუბარი მკითხველთან“, „ოცნება და სინამდვილე“. „ღია წერილი ბატონ გ. წერეთელს“ და სხვ., რომლებიც „კვალში“ იბეჭდებოდა. გარკვეულად გამოხატავდა მარქსისტული პარტიის მიზნებსა და მისწრაფებებს. მაგრამ ასეთი ხასიათის წერილები „კვალში“ შედარებით იშვიათი იყო. გ. წერეთელმა „კვალი“ გაუღო რა ყველა ახალგაზრდა „მიმდინარეობას“, მასში თავი მოიყარა 90-იანი წლების თიაქმის ყველა პოლიტიკური პარტიების თუ მიმდინარეობის წარმომადგენლებმა: თვითონ გ. წერეთლის გარშემო შემოკრებილი ჯგუფი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მიმდინარეობისა, „მესამე დასის“ მემარჯვენე ფრთა, ნოე ჟორდანიას მეთაურობით და სხვა მრავალ თანამგზავრთა თუ მიტმასნილთა ჯგუფები წარმომადგენდა მეტად რთულ ორგანიზმს, რომელთა არსში გარკვევა, როგორც ჩანს, უძნელდებოდა ჩვენს სახელოვან მოღვაწე გ. წე-

21 „კვალი“, 1897, № 46.

რეთელს. ამიტომ გ. წერეთლის სიახლისაკენ მისწრაფება მუდმივი კამათის საგანი იყო, აკაკი წერეთელს იგი პირველ ხანებში „გადაბირებულ“ პიროვნებად ესახებოდა²².

გ. წერეთლის ახალმა პოლიტიკურმა კურსმა 90-იან წლებში მისი თაობის ერთი ნაწილის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. მათ გულწრფელად დაიჯერეს გ. წერეთლის „ლალტი“ და სასტიკი ბრძოლა გააჩაღეს „კვალის“ და გ. წერეთლის წინააღმდეგ. საზოგადოების ერთი ნაწილის საყვედური გ. წერეთლის ამ ახალი ნაბიჯის გამო არ არის სავსებით საფუძველმოკლებული. ის ახალი ჯგუფი, რომელსაც გ. წერეთელი ეგ. ნინოშვილის დაკრძალვის დღეებში ოფიციალურად დაუკავშირდა და რომელსაც მან „მესამე დასი“ უწოდა, არ იყო ერთფეროვანი. მისი უმრავლესობა განასახიერებდა ლეგალური მარქსიზმის მემარჯვენე ფრთას. მარქსიზმის ეს ნაირსახეობა კი, როგორც ცნობილია, წარმოადგენდა ოპორტუნისტულ მიმდინარეობას სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში, რომელიც მარქსიზმის საფართო ცდილობდა მოქცეოდა ხალხის რევოლუციური ხელმძღვანელობის სათავეში. ისნი უარყოფდნენ ძველი კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობას, ეროვნული ცხოვრების ტრადიციებს, სამოციანი წლების სახელოვანი თაობის ღვაწლს. მესამე დასის მემარჯვენე ფრთას წინა პლანზე გადმოჰქონდა ეროვნული ბრძოლის ინტერესები. ამ ბრძოლაში პროლეტარიატს და ბურჟუაზიას ერთნაირად უნდა ებრძოლათ ხელისუფლების მოპოვებისათვის. სოლო გ. წერეთელი 90-იან წლებში განსაკუთრებით ხაზს უსვამდა ერის ყველა საბრძოლო ძალების გაერთიანებას. ამიტომ, მისგან დამოუკიდებლად, მხცოვანი მწერალი ლეგალური მარქსიზმის გარემოცვაში აღმოჩნდა. როგორც ახალი მოძრაობის პროგრესისტი თანამგზავრი გ. წერეთელი ცდილობდა ყოველი ახალი მოძრაობა და ამ შემთხვევაში მარქსიზმი თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. მარქსიზმი მას გულწრფელად მიაჩნდა თავისი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პროგრამის განხორციელების საშუალებად, ნაციონალური ბურჟუაზიის ინტერესების მფარველად. ერთი ცხადია, გ. წერეთელს ღრმად სწამდა, რომ ამ ახალ მოძრაობას, საქართველოს ეროვნული და სოციალური პროგრესი მოჰყვებოდა, შრომის, ერთობის, ძმობის და თავისუფლების ხანა დაიწყებოდა.

1898 წელს ქუთაისის საადგილმამულო ბანკის მმართველობის არჩევნების დროს სასტიკი „პარტიობა“ გაიმართა. ამ არჩევნებში

²² „კვალი“, 1893, № 17, (აკაკის ლექსი).

დამარცხდა კირილე ლორთქიფანიძე და გაიმარჯვა კალისტრატე ჩიკვაიძემ. პოლემიკა ქუთაისის ბანკის არჩევნების დამთავრების შემდეგაც არ შეწყვეტილა (ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ალ. წულუკიძე და სხვ.). „კვალში“ დაბეჭდილ წერილში „ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკი და ინტელიგენტთა პარტიები“ („კვალი“, 1899 წ. № 10—12, 15), გ. წერეთელმა თანაგრძნობა გამოუცხადა კალისტრატე ჩიკვაიძის ბანკის სათავეში არჩევას და მისი გამარჯვება „ვაჰარ-მრეწველთა კლასის გამარჯვებად“ და ფეოდალურ-თავადაზნაურული წყობის დამარცხებად მიიჩნია. გ. წერეთელი აღნიშნავდა ორი დასის დაპირისპირებას ამ არჩევნებში: „ერთ დასში — წერდა იგი, — მოხვდნენ წერილი აზნაურები, ვაჰრები (მეგრელები, იმერლები, გურულები, აფხაზები, ურიები, სომხები). ესენი, სოფლის მრეწველთა და მოქალაქეთა კლასი, დადგომოდა შრომისა და მოგების გზას. მეორე დასში მოექცა ძველი მებატონეთა გუნდი, დიდებული გვარის ფეოდალები, დიდი ადგილ-მამულის თავადაზნაურობა“.

გ. წერეთლის ამ წერილის გამო „კვალში“ დაიბეჭდა რევოლუციონერ მარქსისტის ალ. წულუკიძის ღრმა შინაარსიანი სტატია — „ღია წერილი ბ-ნ გიორგი წერეთელს“²³. წერილის ავტორი ფარდას ხდის ქუთაისის ბანკის არჩევნების გამო გაჩაღებულ მითქმამოთქმას და იძლევა მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობის სურათს. კერძოდ, მას კ. ჩიკვაიძის არჩევა არ მიაჩნდა ვაჰარ მრეწველთა კლასის ბუნებრივ გამარჯვებად. „კ. ჩიკვაიძის არჩევა სრულიად გონივრული ტაქტიკის, კლასიკური ინტერესების შეჯახების პირდაპირი შედეგი არ ყოფილა. ჩვენში კლასიკური ინტერესები, ვიმეორებ, ისეთი გამოურკვეველი და გაუსინჯავი რამ არის ახლათ აღორძინებული კლასის წარმომადგენელთათვის, რომ ყოვლად შეუძლებელია ევროპის სრულიად გამორკვეულ, კრიტიკულად მოაზროვნე და მოქმედ კლასთა წარმომადგენელთ შევადაროთ“... „ბატონო გიორგი, — განაგრძობს ალ. წულუკიძე, — როგორ მოვათავსოთ ერთად, ერთის მხრით, ცნობილი, მეცნიერის (კ. მარქსის — შ. ვ.) სწავლა კლასიკურ ანტაგონიზმზე, რომლის მომხრეთ თქვენ თავს სახავეთ და, მეორე მხრით, თქვენივე მფარველობითი კილო „ახლათ აღორძინებულ ვაჰარ-მრეწველის კლასის“ შესახებ“²⁴.

გ. წერეთელმა ალ. წულუკიძის აღნიშნულ სტატიას დაუერთო 7 შენიშვნა, სადაც იგი შეეცადა ალ. წულუკიძის მოსაზრების გაბა-

23 „კვალი“, 1899, № 16.

24 იქვე.

თილებას, მაგრამ მან ვერ მოახერხა თავისი მოსაზრების დაცვა და მთელი მსჯელობა „თავის მართლების“ ამო ცდად გამოიყურებოდა. ამაზე უფრო ნათლად გ. წერეთელს არსად არ გამოუთქვამს თავისი დამოკიდებულება როგორც ეპოქის ახალი იდეებისადმი — მარქსიზმისადმი. ისე ბურჟუაზიული წყობილებისადმი, მაგრამ გ. წერეთლის ბურჟუაზიული დემოკრატიზმი ხშირ შემთხვევაში უტოპიური სოციალიზმის იდეოლოგიით სუნთქავს, ხოლო „90-იან წლებში გ. წერეთლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული შეხედულებები მარქსისტულ სამოსელს იცვამენ და მისი მოძრაობის შორიახლო დგება“²⁵.

გ. წერეთლის მესამე დასელებთან დამოკიდებულების თვალსაზრისით საინტერესოა მისი თანამებრძოლის სიმონ ჭვარიანის მოგონება: „ეს ექვსიოდე წელია, აუტყდნენ განსვენებულ გიორგის. უკეივინებენ ნახტომის შეშლას, თავის წინარე იდეების და მიზნების ლალატს... აურაცხელი პამფლეტები, ქირდვა და ცილისწამება, დაცივნა და სხვ. ამგვარი სურნელოვანი თაიგულები ხშირ-ხშირად მიდიოდა განსვენებულის ნობათად“. თვითონ სიმონ ჭვარიანიც განცვიფრებულა მესამე დასის „მარქსისტობით“, უკვირს, რატომ დაუჯავშირა გ. წერეთელმა თავისი ბედი მათ და რისთვის დაუთმო „კვალი“ ისეთ მიმდინარეობას, რომელიც ჩვენს მწერლობას და კულტურას უარყოფსო. ს. ჭვარიანი ასეთი სასაყვედურო შეკითხვებით მისულა გ. წერეთელთან. სიმონ ჭვარიანის კითხვაზე გ. წერეთელს უპასუხნია: „ისინი (მესამე დასელები“—შ. ვ) ჯერ ბავშვებია. ჩემო სიმონ, მოვლენ ჩვენს ჭკუაზედ... და მომართავენ ისევ ეროვნულ ჩანგს“. ამიტომ, განაგრძობს ს. ჭვარიანი, „სრულებით უსამართლოა ის ხმები, თითქოს გიორგის ელალატოს თავისი პირველი მოძღვრებისათვის, თავის მიზნისათვის... მას უყვარდა თავისი ტანჯული სამშობლო, უყვარდა წმინდის გულით, იღწვოდა, შრომობდა მხოლოდ ერის საბედნიეროდ. უკანასკნელი სულის ამოხდომამდე მისი ფიქრი, მისი ზრუნვა იყო თავისი ქვეყანა“²⁶. მსგავს მოსაზრებას გამოსთქვამდა აგრეთვე აკ. წერეთელი: „გაფანტიკოსებულ გიორგის.. იმ თავიდან ამ ბოლომდე დედაბოძი თავისი მცნებისა არ შეურყევეია. შეიძლება რომ საზოგადოებისადმი მისწრაფების დროს ოდესმე გზას გადაცდენოდეს შეცდომით, ფეხი წამოეკრას და წაეფორთხილებიოს. ეს მის პირდაპირობას ვერ დაჩრდილავს, რადგა-

25 ლ. გ. ო. რ. გ. ო. ლ. ა. ძ. ე, „მარქსიზმის ისტორიისათვის საქართველოში“, 1959, გვ. 105.

26 „კრებული“, 1900, № 1.

ნაც, ვიმეორებ, თუ კი მართლაც ოდესმე გზას გაცდენია, ეს გადაცდენაც წმინდა განზრახვისა და სურვილების გამო ყოფილა გამოწვეული და არა საპირადო რამ გამოანგარიშებით“²⁷.

გ. წერეთელს ძირითადად მართლაც არც 90-იან წლებში შეუცვლია თავისი „მცნების დედაბოძი“. ამის დადასტურებას ეპოულობთ გ. წერეთლის ნაკლებად ცნობილ წერილში — „ახალი ხანა ჩვენი ქვეყნის წარმოებისა“. აღნიშნულ სტატიაში მართებულადაა დახასიათებული კაპიტალისტური მეურნეობის კრიზისის შედეგად მუშის მძიმე მდგომარეობა. გარდა ამისა წერილი შეიცავს უტოპიური სოციალიზმით შეღამაზებულ განმანათლებლურ იდეებს, როგორც, მისივე აღიარებით, ჯერ კიდევ 70-იან წლებში წამოაყენა „დროებაში“. გ. წერეთლის თქმით, დაიწყო ახალი ხანა, ამოაქვთ შავი ქვა, ნახშირი, სპილენძი და სხვ., მაგრამ ჩვენს ერს აქედან არაფერი რჩება. გლეხი ფულის საშოვნელად ბინიდან აიყარა და კაპიტალისტთან გროშისთვის მივიდა. მაგრამ იქაც კრიზისმა მოუტყრო. წარმოება იხურება. მუშა რჩება ქუჩაში გამოგდებული, მშვიერი. ჩვენში, განაგრძობს მწერალი, არ არის საკუთარი კაპიტალი და სულ უცხოელების ხელშია ყველა ჩვენი სიმდიდრეების დამუშავება; „დროებაში“ ჯერ კიდევ 70-იან წლებში მოითხოვა ისეთი ბანკების დაარსება, რომელიც წარმოებასაც მიაქცევდა ყურადღებას და ახლა უცხოელების ხელში არ ვიქნებოდით, მაგრამ მაშინ ჩვენ არ გავვიგონეს. ახლა კი უკვე ვხედავთ, თუ რა მოგვიტანა უცხო კაპიტალის გაბატონებამ. მაშინდელი „დროების“ წარმომადგენელს ახლაც არ შეგვიწყვეტია ამაზე ზრუნვა. ჩვენი ერთ-ერთი წევრი, ნ. ნიკოლაძე პრაქტიკულად ჩაუდგა სათავეში ფოთის ქალაქისა და აღებ-მიცემის საქმიანობას, რაც დადებითად იმოქმედებს ქვაგუნდის წარმოებაზე და იქ მომუშავე მუშების ხელფასზე და სხვ.

გ. წერეთელმა „კვალის“ ფურცლებზე დაბეჭდილ წერილებში და მხატვრულ ქმნილებებში მართებულად ასახა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების სინამდვილე, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობისა და კლასთა შორის გამწვავებული ბრძოლის სიმძაფრე. გ. წერეთელი სიხარულით ეგებებოდა ყოველგვარ სიახლეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მკვიდროდ უკავშირებდა მას თავის განმანათლებლურ იდეალებს.

როგორც ჩანს, გ. წერეთელმა გულწრფელად გაიზიარა მარქსიზმი, რომელშიც მან თავისი პრინციპების განხორციელების შესაძ-

ლებლობა ამოიკითხა. თუ გიორგი წერეთელმა ვერ გაიგო ამ ახალი პოპულრების არსი, ეს არ ამცირებს მას, როგორც მოაზროვნესა და მხატვარს; სამაგიეროდ მის შემოქმედებაში ნათლად აისახა ფეოდალიზმის ნგრევისა და კაპიტალიზმის დამკვიდრების უტყუარი სურათი.

გ. წერეთლის გულწრფელი მგზნებარე ხმა, დიდი ილიას სახელოვან თაობასთან ერთად, დღენიდაგ ხალხის ფართო მასების გათვითცნობიერებას, ეროვნული და სოციალური ტკივილების მხილებას ემსახურებოდა. ამ კარდინალური საკითხების მართებული გადაწყვეტისათვის გ. წერეთელს უხდებოდა სოციალურ და ეროვნულ პრობლემათა ბრძოლის მეთოდების კოორდინირება, მათი ურთიერთდაკავშირება, ხოლო ამ პროგრამის განხორციელებისათვის. მისი აზრით, საქართველოს ყველა წოდებისა და კლასის წარმომადგენლები უნდა გაერთიანებულიყვნენ, ყველა პარტიასა და მიმდინარეობას უნდა მიეღო მონაწილეობა ამ ეროვნულ საქმეში.

სწერლის ასეთი შეხედულებანი ეწინააღმდეგებოდა ცხოვრების რეალურ ვითარებას. 90-იან წლებში გაჩაღებულ კლასთა ბრძოლის რთულ პირობებში, მხოლოდ მუშათა კლასს შეეძლო მნიშვნელოვანი რევოლუციური აქციების მოხდენა. ეს ახალი ძალა პროლეტარიატს სახით, მართალია, გ. წერეთელმა დაინახა, მაგრამ მასში ვერ ამოიკითხა რევოლუციური იდეალების სიძლიერე. ამაში იყო გ. წერეთლის პოლიტიკური თვალსაზრისის სისუსტე. მაგრამ მას გულწრფელად სწამდა, რომ მის დემოკრატიულ-განმანათლებლურ პროგრამას, ახალ დასებსა და პარტიებთან კავშირით განახორციელებდა. ამითაა გაპირობებული გ. წერეთლის პოლიტიკური რადიკალიზმი 90-იან წლებში და მისი მისვლა ჯერ მესამე დასთან, ხოლო შემდეგ მარქსიზმთან.

გიორგი აბაშიძე

„მამულიზვილური გულისტკივილი“ ალ. ჭავჭავაძის პოეზიაში და XIX საუკუნის ქართული სალიტერატურო კრიტიკა

თანამედროვე ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ფართოდ აღიარებული თვალსაზრისის თანახმად, ალექსანდრე ჭავჭავაძის მდიდარ და მრავალფეროვან პოეტურ მემკვიდრეობაში ღრმად და ნათლად არის ასახული XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს მწვევე სოციალურ-პოლიტიკური და ეროვნულ-პატრიოტული პრობლემები, გამოთქმულია ქართველი ხალხის სწრაფვა სოციალური და ეროვნული თავისუფლებისაკენ, გამოხატულია ეპოქის მოწინავე იდეები.

ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში, ამ თვალსაზრისის მიხედვით, ცენტრალური ადგილი მალაღი მოქალაქეობრივი იდეალებით განმსკვალულ ლირიკას უკავია. აღიარებულია, რომ ალ. ჭავჭავაძე თავის ლექსებში „მთელი ხმით გამოთქვამს ეროვნულ-სოციალურ სატკივარს და გაუნელებელ პატრიოტულ სევდას“¹; რომ „უმთავრესი გრძნობა, რაც მის პოეზიას ათბობს, არის პატრიოტიზმი, რომელიც ხშირად ცალკეული ლექსის თემაა, ხოლო საერთოდ — მთელი მისი ლირიკის მაცოცხლებელი ატმოსფერო“².

მაგრამ ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობა ერთბაშად არ მისულა ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების ასეთ შეფასებამდე.

ალ. ჭავჭავაძის პოეზიის ხასიათის გარკვევამ რთული და წინააღმდეგობრივი გზა განვლო. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ქართული სალიტერატურო კრიტიკის განვითარებას მანძილზე, გასული საუკუნის ქართველ პოეტთაგან არავის არ ხვდომია წილად ისეთი ურთიერთსაპირისპირო და ურთიერთგამომრიცხველი შეფასებანი,

¹ ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თსუ, 1972, გვ. 72.

² ქართული ლიტერატურის ისტორია ექვს ტომად, ტომი III, 1969, გვ. 78.

როგორც ალ. ქავჭავაძის მხატვრულ მემკვიდრეობას. ასეთ ვითარებას ბუნებრივია, გარკვეული მიზეზები განაპირობებდა და ლიტერატურული კრიტიკის ისტორიის ამოცანებში ამ მიზეზების ნათელყოფაც შედის.

ჩვენი წერილის მიზანია ვაჩვენოთ, თუ როგორ განიხილებოდა გასული საუკუნის ქართული კრიტიკის მიერ ეროვნულ სინამდვილესთან ალ. ქავჭავაძის პოეზიის მიმართების საკითხი, — როგორ ვითარდებოდა აზრი პოეტის „მამულიშვილური გულისტკივილის“ შესახებ და, შესაბამისად, როგორ იცვლებოდა ალ. ქავჭავაძის პოეტური მემკვიდრეობის საზოგადოებრივი ღირებულების შეფასება.

საკითხის დასმა არაა ახალი. ალ. ქავჭავაძის შემოქმედების ანალიზის დროს მკვლევარები, გაკვირვებით, ამ საკითხსაც ეხებიან, ხოლო პროფ. ი. ბოცვაძის ნაშრომში — „ალექსანდრე ქავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში“³ აღნიშნული საკითხის შესწავლის ისტორიაც საკმაოდ ვრცლად არის წარმოდგენილი. მიუხედავად ამისა, საკითხის ცალკე გამოყოფა და სპეციალური დამუშავება ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, მით უფრო, რომ რიგი, დასმული საკითხის ირგვლივ გამოთქმულ შეხედულებათაგან, ჩვენი აზრით, გარკვეულ კორექტივს და დაზუსტებას საჭიროებს.



არსებობს შეხედულება, რომ ალ. ქავჭავაძის თანამედროვენი მის პოეზიას „უყურებდნენ როგორც უშუალო გამოძახილს იმ სევდა-მკვმუნვარებისას, რომელიც ქართველ საზოგადოებრიობას დაეცო ეროვნული თავისუფლების დაკარგვასთან დაკავშირებით. მისი ლექსები, ეხებოდნენ ისინი უშუალოდ საზოგადოებრივ საკითხებს თუ არა, ეროვნული ბედით მწარედ განაწამები ადამიანის განცდებს გადმოცემდნენ; მის, ერთი შეხედვით სალალობო-სატრფიალო, პატარა ლექსშიც ადვილად იგრძნობოდა საზოგადოებრივი ტკივილებით შებოქილი გულის ფეთქვა; მის ე. წ. დარდიმანდულ განწყობილების მქადაგებელ ლექსებშიც, თანამედროვენი აწმყოსადმი პოეტის შეურიგებლობასა და მწარე ირონიას ხედავდნენ“⁴.

მაგრამ თუ ეს მართლაც ასე იყო (რაც, ჩვენი აზრით, ძალზე

³ ი. ბოცვაძე, ალ. ქავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, 1965.

⁴ დ. გამეზარდაშვილი, ქართული კრიტიკა და ქართველი კრიტიკოსები, 1965, გვ. 178.

საეკვოა) და თანამედროვენი სწორედ ამგვარად აღიქვამდნენ ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებას, სჩანს, პოეტის გარდაცვალების შემდეგ ქართველ საზოგადოებას — ყოველ შემთხვევაში, მათ, ვისა შეხედულულებმაც ჩვენამდე მოაღწია, — დიამეტრალურად შეუცვლია პოეზია მისი პოეტური მემკვიდრეობის მიმართ; ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების ირგვლივ არსებული კრიტიკული ლიტერატურა აშკარა დამადასტურებელია იმისა, რომ ქართული კრიტიკა XIX საუკუნის მიწურულამდე ვერ ახერხებს გარკვევას, თუ რა ზემოქმედება მოახდინა ალ. ჭავჭავაძის პოეტურ სამყაროზე „საყოველთაო უნუგეშ-ყოფამ მაშინდელი დროისამ“, ვერ ამჩნევს მის პოეზიაში „საზოგადო ყოფისაგან აღმოკვნესილ სიტყვას“, ვერ ხედავს მასში მცირე ნაკადსაც კი სამშობლოს ძნელბედობით გამოწვეული „მამულიშვილური გულისტკივილისა“⁵.

ერთადერთ გამონაკლისს ამ მხრივ, აღნიშნულ პერიოდში, ალ. ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი, მისდამი წრფელი სიყვარულითა და პატივისცემით განმსჯეალული, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ლექსები წარმოადგენდა, რომლებშიც ცხადად იყო მინიშნებული ეროვნულ სინამდვილესთან ალ. ჭავჭავაძის პოეზიის მჭიდრო კავშირის შესახებ.

კერძოდ, 1861 წელს ჟურ. „ცისკარი“ გამოქვეყნებულ ლექსში — „ალექსანდრე ჭავჭავაძე“, რომელიც 1860 წელსაა დაწერილი და გამომხატველია იმ საერთო შთაბეჭდილებისა, რომელიც ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებას ახალგაზრდა ილიაზე მოუხდენია, — ალ. ჭავჭავაძის პოეზიის არა მხოლოდ სატრფიალო-სალაღობო მოტივებზეა გამახვილებული ყურადღება. არამედ აღნიშნულია, აგრეთვე, რომ თავის ლექსებში, დაფიქრებული და „ღრუბლიანი“ მგოსანი „ყარიბ ზღერით დაუნდობელ დროთ ბრუნვას“ ემდურისო⁶. ხოლო აკაკი წერეთელი, 1882 წელს, შუამთის მონასტერში პოეტის ნეშტის „საუკუნო განსასვენებელი სავანის“ ხილვით შთაგონებულ და რომანტიკოსთა სტილით ამეტყველებულ ლექსში — „ალექსანდრე ჭავჭავაძის საფლავზედ“, — „სულით ზეცამდე ამალღებული“ პოეტის ეროვნულ გრძნობებზე მიუთითებდა, როცა მას ტკბილმომღერალ

⁵ ი. ჭავჭავაძე, თხ. სრული კრებული ათ ტომად, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, ტ. III, 1953, გვ. 207.

⁶ იხ. ილია¹ ჭავჭავაძე, თ. ალექსანდრე ჭავჭავაძე, ჟურ. „ცისკარი“, 1881, № 4.

მამულიშვილს უწოდებდა და მიმართავდა: „შენგან ქებული, დავიწყებული, დღეს მაგონდება ჩვენი წარსულიო“⁷.

მაგრამ ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის აღნიშნულმა ლექსებმა ვერ შეუშალა ხელი ალ. ჭავჭავაძის პოეზიის ხასიათის შესახებ ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში ზემოაღნიშნული მცდარი წარმოდგენის დაკვიდრებას: გასული საუკუნის დასასრულამდე გამოქვეყნებულ უკლებლივ ყველა იმ ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილსა თუ სტატიაში, სადაც საზოგადოებრივ ვითარებასთან ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების მიმართებისა და მისი საზოგადოებრივი ღირებულების საკითხია დასმული, ალ. ჭავჭავაძის პოეზიის ნიშანდობლივ თვისებად (და, ამავე დროს, მის უდიდეს ნაკლად) „სამოქალაქო სევდის“, „მამულიშვილური გულისტიკვილის“ უქონლობა და სატრფიალო-სალაღობო თემატიკით შემოფარგლულობაა მიჩნეული; ალ. ჭავჭავაძე, აღნიშნულ წერილებში, ჩათვლილია უდარდელ და მხიარულ მგოსნად, რომელსაც, თითქოს, სრულიადაც არ ეხებოდა და არ აღელვებდა მშობელი ერის ავი თუ კარგი, ქართველობის საწუხარი და სატკივარი, „ხალხის დარდი არა ჰქონია“, „თავის ქეიფს უნდებოდა“⁸ და „საფარბუღბულო“ „სააშვიკო“ თუ „სალხინო“ ლექსთა თხზვით იქცევდა თავს.

რა შეიძლება ყოფილიყო მიზეზი ალ. ჭავჭავაძის პოეტური მემკვიდრეობისადმი გასული საუკუნის ქართული კრიტიკის ასეთი დამოკიდებულებისა?

ერთ-ერთ მიზეზს, როგორც სამართლიანად მიუთითებენ, ალ. ჭავჭავაძის ლექსების პუბლიკაციის სავალალო მდგომარეობა წარმოადგენდა.

ჯერ კიდევ 1873 წელს, გრიგოლ ორბელიანის ლექსების კრებულის გამოცემასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ წერილში, ნიკო ნიკოლაძე შენიშნავდა: „ჩვენი მწერლობის უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ მკითხველი საზოგადოება ვერ იცნობს ჩვენი პოეტების სრულ შრომას. იმას თვალწინ არ უდგია თითოეულის მათგანის სრული სახე და ხასიათი. ჩვენი პოეტების თხზულებები აქა-იქ, სხვადასხვა გამოცემაშია დაფანტული, ზოგჯერ დამახინჯებულიც, და მკითხველს არავითარი საშუალება არ აქვს შეკრიბოს, შეაერთოს და შეაფსოს თავისი საყვარელი

7 იხ. აკაკი წერეთელი, აღქსანდრე ჭავჭავაძის საფლავზედ გაზ. „დროება“, 1882, № 11.

8 თ. აკ. წერეთელი, რაოდენიმე სიტყვა „ჩანგურის“ შესახებ, ჟურ. „ცისკარი“, 1865, № 8. გვ. 16.

მწერლის ლექსები, მათგან ერთბაში და სრული შთაბეჭდილების მისაღებად. არათუ მკითხველი, ჩვენი კრიტიკაც სწორეთ ამავე სამწუხარო მდგომარეობაშია: მისი დასაფასებელი მასალა ნამეტნათ დაბნეული და გაცალკალებულია და ის ვერ იდგენს ყოველმხროვან აზრს მწერლის წარსულ ნაწერზე და ნაწერის ნამდვილ ხასიათზე. ჩვენ მწერლობას ბევრი იმისთანა ღირსოვანი პოეტები ჰყავს, რომლების შრომა უფრო აყვავებულ მწერლობასაც დააჩნდებოდა, არა თუ ჩვენსას, მაგრამ იმათი ღვაწლი თითქოს არც კი არსებობდეს, ისე უმნიშვნელო და უგაველია, მართო იმ მიზეზით, რომ მკითხველ საზოგადოებას მათი მართო ორიოდ-სამი ლექსი წაუკიანხავს, იგეც დროგამოშვებით, როცა უწინდელი ლექსის შთაბეჭდილება დავიწყებულა ყოფილა. ალ. ჰავკავაძის, ნ. ბარათაშვილის, ილ. ჰავკავაძის, აკ. წერეთლის და სხვების შრომას ამითი ძლიერ ბევრი აკლდება; უფრო მეტი ვნება ჩვენ მწერლობას ეძლევა, და ბედნიერი იქნება ის დღე, როცა ჩვენს მკითხველ საზოგადოებას ამ მწერლების თხზულების კრება მიეცემა“.

ნ. ნიკოლაძე სამართლიანად მიუთითებდა იმის შესახებ, რომ გრიგოლ ორბელიანის ლექსთა კრებულის გამოცემამდე, მკითხველი საზოგადოებაც და სალიტერატურო კრიტიკაც მოკლებული იყო შესაძლებლობას მთლიანი წარმოდგენა შეეშუშაებინა პოეტის შემოქმედების „საზოგადო ხასიათზე და ერთიან მიმართულებაზე“. „აქაიკ დაბეჭდილი მისი ლექსებიდან მკითხველმა მართო ის იცოდა, რომ ეს მწერალი ნიჭიერი პოეტია, და, მეტი არაფერი. რანაირია მისი ნიჭი. რა გზით გახსნილა ის, რა შთაბეჭდილებებს ჰქონია მასზე გავლენა, რა თვისებები აქვს მის მუზას და რა გავლენა ექნება მის ნაწერს, რა ნაირათ იხატება მის თხზულებებში მისი დროის საზოგადო მდგომარეობა, რა დასკვნა უნდა გამოიყვანოს შემდეგმა შთამომავლობამ, — ჰქონდა ამაზე ვისმე გავება? თითქმის არავის“⁹. — წერდა კრიტიკოსი, და ეს სამართლიანი მოსაზრება თანაბრად ეხებოდა როგორც საკუთრივ გრ. ორბელიანს, ასევე ალ. ჰავკავაძესა და სხვა ქართველ მწერლებსაც, რომელთა ნაწარმოებების პუბლიკაციის აღნიშნული მდგომარეობა მკითხველს თუ კრიტიკოსს უაღრესად უძნელებდა მათი შემოქმედების „სრული სახის და ხასიათის“ შესახებ მართებული თვალსაზრისის შემუშავებას.

⁹ ნ. სკანდელი [ნიკო ნიკოლაძე]. ჩვენი მწერლობა. გრიგოლ ორბელიანი (თვალის გრ. ორბელიანის ლექსები, გამოცემა პეტრე უმიკაშვილისა, თბილისი, 1873.), ურ. „კრებული“, 1873, № 3. გვ. 146—148.

როგორც ცნობილია, ალ. ჭავჭავაძის სიცოცხლეში, მის ნაწარ-
მოებთან მხოლოდ ერთი თარგმანი დაიბეჭდა (პუშკინის ლექსის
„Продухание“-ს თარგმანი, სათაურით — „ლექსად თქმული პუშ-
კინის ძილი“¹⁰), მისი ლექსების მეტ-ნაკლებად სისტემატური პუბ-
ლიკაცია კი მხოლოდ 1852 წელს დაიწყო. ამ დროიდან — ვიდრე
1891 წლამდე. ალ. ჭავჭავაძის ლექსების პირველი კრებულის გა-
მოცემაზე (რომელშიც პოეტის შემოქმედების მხოლოდ ნაწილი
შევიდა)¹¹. — ალ. ჭავჭავაძის ლექსები, სამი ათეული წლის მანძილ-
ზე. მრავალ სხვადასხვა გამოცემაში იბეჭდებოდა („ცისკარი“, „სა-
ქართველოს მოაზრება“, დ. ჩუბინიშვილის „ქრესტომათია“, „ივერია“,
„სალხინო საზანდრის“ გამოცემები, „ალმანახი“ და სხვ.), რაც, რაღა
თქმა უნდა, ძალზე ართულებდა ერთ მთლიანობაში მათ აღქმასა და
ობიექტურ შეფასებას. სავსებით სწორი იყო იონა მეუნარგია, როცა
წერდა: „ალექსანდრე ჭავჭავაძეზე საბოლოო აზრის შედგენა ლიტე-
რატურაში, სანამ მისი ნაწერი ყველა არ დაბეჭდილა და მკითხველ
საზოგადოებას არ გაუცვნიდა, უცნობ კაცზე ლაპარაკსა ჰგავსო“¹².

მეორე მიზეზი, რომელმაც, უთუოდ, დიდად შეუწყო ხელი XIX
საუკუნის ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში ალ. ჭავჭავაძის პოე-
ზიის ხასიათის ზემოაღნიშნული ინტერპრეტაციის გაბატონებას, პოე-
ტის „სანადიმო“ და „სააშოკო“ ლექსების უდიდესი პოპულარობა
იყო, რის შესახებ ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობას არაერთი სავ-
სებით სანდო ცნობა მოეპოვება.

ი. მეუნარგიას სიტყვით, ალ. ჭავჭავაძის — „დაბალ ხალხში სა-
ყვარელი და განთქმული პოეტის“ ლექსები, „თუმცა ბეჭდვა არ იყო
მაშინ გახშირებული, ქუჩა-ქუჩა და სოფელ-სოფელ იმღერებოდა“¹³,
ხოლო დიმიტრი ყიფიანი ალ. ჭავჭავაძის ნეკროლოგში¹⁴ წერდა:
„როგორც პოეტი, ალექსანდრე ჭავჭავაძე უდიდესი სახალხო აღი-
არებით სარგებლობდა. იმ სიმღერათაგან, რომლებიც მეტ-ნაკლებად,
ყოველი ქართველისათვის არის ცნობილი, სულ ცოტა, ორი მესამე-
დი მაინც, და თანაც ამალღებულ გრძნობათა და აზრთა მხრივ საუ-
კეთესონი — ალექსანდრე ჭავჭავაძის სიმღერებია“. (აღსანიშნავია,

¹⁰ იხ. გაზ. „ტფილისის უწყებანი“, 1830, № 2, გვ. 10.

¹¹ იხ. ალ. ჭავჭავაძის ლექსები, ნაწილი პირველი, ტფილისი, 1881.

¹² იონა მეუნარგია, ალექსანდრე ჭავჭავაძე, — წიგნში: „ქართველი
მწერლები“, I, სოლომონ ცაიშვილის რედაქციით, წინასიტყვიითა და შენიშვნე-
ებით, 1954, გვ. 25.

¹³ იქვე, გვ. 24.

¹⁴ იხ. გაზ. „კავკაზი“, 1846, № 45, გვ. 178.

რომ პროფ. გ. აბზიანიძე, მითითებულ სტრიქონებზე დაყრდნობით, დაასკვნის: „როდესაც 1832 წლის შეთქმულების მონაწილე მწერალი ღიმიტრი ყიფიანი 40-იან წლებში ალ. ჭავჭავაძის საუკეთესო ლექსებს „ამაღლებული გრძნობის და ფიქრის“ ნაყოფს უწოდებდა, ექვს გარეშეა, ამაში უპირატესად გულისხმობდა პოეტის ეროვნულ სულისკვეთებას“¹⁵. მაგრამ თუკი დ. ყიფიანს, ციტირებულ სიტყვებში. მართლაც ალ. ჭავჭავაძის ეროვნული სულისკვეთება აქვს ნაგულისხმევი, მკითხველი, საფიქრებელია, ვერ მიუხვდებათ სათქმელს. დ. ყიფიანის ზემოაღნიშნული სტრიქონებიდან ვერც ჩვენ გამოვკავქვს ის დასკვნა, რომელსაც პატივცემული მკვლევარი გვთავაზობს).

თანამედროვეთა შორის ალ. ჭავჭავაძის საღალღობო-სატრფიალო ლექსების უდიდეს პოპულარობაზე მიუთითებდა ზ. ჭიქინაძეც (რომელიც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, საერთოდ უკიდურესად უარყოფითი შეხედულებისა იყო ალ. ჭავჭავაძეზე): „გადმოგვეცემენ, ... — წიგნს ზ. ჭიქინაძე 1886 წელს, — იმ დროში ისე წვეულება არ იქნებოდა სადმე, რომ იქ ალექსანდრე ჭავჭავაძის საღლეგრძელო არ დაეღლიათ. ნამეტნავად თბილისში — ბაზაზებში, ვაქრებში და სხვა-განა ისე წვეულება არ გათავდებოდა, ქორწილი, ნიშნობა და სხვანი, რა იქ მექიანურე-მესაზნადრეებს ჭავჭავაძის ლექსები არ ემღერადო. ვანსაკუთრებით „ლოთებო“ („მუხამაზი ლათაიური“ — გ. ა.) და სხვა ამგვარი სიმღერები. ერთი სიტყვით, ჭავჭავაძეს ბესიკის სრული მემკვიდრეობა დაუქვრია“¹⁶...

1902 წელს, გაზ. „ივერიაში“ გამოქვეყნებულ წერილში, ი. ფანცხავა წერდა, რომ ალ. ჭავჭავაძის „ლექსებს ხალხი დღემდე... პირსა და ვარამში, მზიარულებისა და ლხინის დროს მღერის, ხალხს დღემდე და მარად ეამს იგი და მისი ლექსები ახსოვს“¹⁷.

ქ. ბოროზდინის ცნობით, ქართველი ქალები მღეროდნენ ალ. ჭავჭავაძის მიერ ქართულად ნათარგმნ პუშკინის რომანსებს; ცნობილია ისიც, რომ ძალზე პოპულარული იყო ალ. ჭავჭავაძის მიერ თარგმნილი ალ. ოდოევსკის „ვარდი და ბუღბულიც“, რომელიც, ი. მეუნარგიას სიტყვით, „მაზურკათ გადაკეთებული იყო და მაზურ-

15 გ. აბზიანიძე, ალექსანდრე ჭავჭავაძე, — წიგნში: ქართველი კლასიკოსები, 1950, გვ. 19.

16 ზ. მთაწმინდელი [ზაქარია ჭიქინაძე], ბესიკი, თ. ალექსანდრე ჭავჭავაძე, თ. გრიგოლ ორბელიანი, თბილისი, 1886, გვ. 36.

17 ი. ფანცხავა, თხზულებანი, თოფი, 1903, გვ. 236.

კის ხმით მღეროდნენ¹⁸; ხოლო როგორც ი. გრიშაშვილი წერს, ალ. ქავჭავაძეს „ზოგიერთი უცხო მოგზაური, რიგი ანაქრეონს ადარებდა. რიგი ჰაფიზს... ერთი ფრანგი მწერალი, ე. ორსოლი „კავკასიის ბერანეესაც“ კი უწოდებს“¹⁹.

ალ. ქავჭავაძის „სააშოკო“ და „სალხინო“ ლექსების პოპულარობას XIX საუკუნის ქართული მხატვრული ლიტერატურაც გვიდასტურებს. ასე, მაგალითად: ნიკოლოზ ბარათაშვილს (ლექსში — „ღამე ყაბახედ“) აღწერილი აქვს, თუ მთვარიან ღამით როგორ მღერის ყაფლან ორბელიანი ალ. ქავჭავაძის ცნობილ სატრფიალო ლექსს — „თავსა უფლად“ („ვის არ სმენია ლექსი ესე, რომ მყის პევდები არა აშლოდეს, ჩვენს ქალებსა — ტრფობის კირები“. — დასძენს ნ. ბარათაშვილი), ხოლო დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხეში“ მოქეიფე ყმაწვილ-კაცებს, კახურ ღვინოსთან ერთად, თავშესაქცევად, „ცხოვებული ალექსანდრე ქავჭავაძის“ ლექსებისთვისაც მიუძარტავთ. ლექსს — „მუხამბაზი ლათაიური“ („ლოაებო ნეტავი ჩვენა“) მღერიან ლავრენტი არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჭღანუაშვილშიც“, ზურაბ ანტონოვის პიესაშიც — „ტივით მოგზაურობა საქართველოში“, ალექსანდრე სუმბათაშვილის „ღალატშიც“; ცნობილია, რომ ამ ლექსს მღეროდა განთქმული მომღერალი იარალი შანშიაშვილი, უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა თბილისელ ყარაჩოხელებშიც და ისევე, როგორც „სიყვარულო ძალსა შენსა“, „მე შენ არ გეტყვი“, „თავსა უფლად“, „შენთან არს გული, ზნათობო“, „როს არშიყი“ და ალ. ქავჭავაძის არაერთი სხვა სატრფიალო ლექსი, დიდხანს შემორჩა ქართულ სალხინო სუფრას, — ქართული ლხინის აუცილებელ სამკაულად. — როგორც ივ. მაჩაბელი იტყობა²⁰.

ამდენად მოულოდნელი არ იყო, რომ ამ ლექსთა ავტორი ანა-

¹⁸ იხ. ი. მ. ე. უ. ნ. ა. გ. ი. ა. უბის წიგნი (ს. ცაიშვილის პუბლიკაციით), „ლიტერატურული მატრიანე“, 1—2, 1940.

¹⁹ ივ. ულ. ხ. ნ. ე. ბ. 1885 წელს პარიზში გამოცემული წიგნი — „L' Cause et la Perse“ par E. Or. olle, რომლის შინაარსი გადმოცემული იყო ვაზ. „ღრობის“ ერთ-ერთ „ბიბლიოგრაფიაში“ (მე-12 საუკუნიდან, რომელიც შესანიშნავია რუსთაველის ეპოპით — „ვეფხის ტყაოსნით“ და მათი ლიტერატურის ოქროს ხანით, — წერდა ორსოლი, — პოეზია საქართველოში ყოველთვის დიდ პატივში ყოფილა, არ არის არც ერთი ქართველი, თუნდაც წიგნის უმეცარი, რომელმაც ზეპირად არ იცოდეს ორბელიანის, წერეთლის, ბარათაშვილის და მეტადრე თავის ქავჭავაძის (ამ კავკასიის ბერანეეს) რომელიმე ლექსი“... იხ. დ. კ. შ. ე. ი. ო. ბ. ბიბლიოგრაფია, ვაზ. „ღრობა“, 1885, № 84, გვ. 2).

²⁰ [ივ. ა. ნ. ე. მ. ა. ხ. ა. ბ. ე. ლ. ი.], ახალი წიგნები. ალექსანდრე ქავჭავაძის ლექსები... ივერია, 1881, № 8, გვ. 120.

კრეონტელად თუ ეპიკურელად იქნა მიჩნეული, და უნებლიედ მიიჩქმალა მისი პოეზიის ის არსებითი მხარეები, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ პოეტის მთელი მხატვრული მემკვიდრეობის პართებული შეფასებისათვის.

ჩვენს მიერ ზემოთ მითითებული თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც, ალექსანდრე ჭავჭავაძის თანამედროვე საზოგადოებრიობამ იმთავითვე შესძლო სავსებით შეეგრძნო პოეტის შემოქმედების ეროვნულ-პატრიოტული პათოსი, — ალექსანდრე ჭავჭავაძის საღაღობო-სატრაგიკო ლექსების პოპულარობის მიზეზს თანამედროვეთა მიერ ამ ლექსებში გამოვლენილი მამულიშვილური გრძნობების ამოცნობაში ხედავს: „ამიტომ იყო, რომ ეს ლექსები მაშინვე სიმღერებად გავრცელდა, თორემ სიმღერისათვის არც თუ ისე განწყობილი იყვნენ და რაც მთავარია, სასიმღერო ლექსები სხვაც ბევრი იყო, რომელთაც არაფერი კვალი დაუტოვებიათ“. — წერს პროფ. დ. გავეზარდაშვილი²¹.

მაგრამ ასეთი თვალსაზრისი, ჩვენი აზრით, მოკლებულია რეალურ საფუძველს.

აღ. ჭავჭავაძის სააშოკო და სალხინო ლექსების პოპულარობა ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი მიზეზი იყო როგორც პოეტის თანამედროვეთა შორის, ასევე შემდგომში, ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში, ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედების ხასიათზე ზემოაღნიშნული არასწორი წარმოდგენის შემუშავებისა, რაც თავის მხრივ, საფუძვლად დაედო ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიის საზოგადოებრივი ღირებულების შესახებ ნეგატიური შეხედულების დამკვიდრებას.

XIX საუკუნის ქართული საზოგადოების მიერ ეპიკურელ თუ ანაკრეონტელ პოეტად აღ. ჭავჭავაძის მიჩნევისა და მის შემოქმედებაში „მამულიშვილური, მოქალაქური გულისტკივილის“ შეუმჩნევლობის მიზეზებზე მსჯელობისას, ზემოთ დასახელებულ მიზეზებს გარდა, ზოგიერთი სხვა — ჩვენი აზრით, მეტად მნიშვნელოვანი — მომენტის გათვალისწინებაცაა აუცილებელი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, მაინც უცნაურ გაუგებრობად უნდა ჩავვეთვალა, რომ აღ. ჭავჭავაძის ლექსთა კრებულის გამოცემის შემდეგაც კი (1881 წ.), რომელშიც აღ. ჭავჭავაძის ორიგინალური ლექსების დიდი უმეტესობაა თავმოყრილი, ქართულ კრიტიკას, როგორც ამას ქვემოთაც დავინახავთ, არ შეუცვლია თავ-

²¹ იხ. დ. გავეზარდაშვილი, ქართული კრიტიკა და ქართველი კრიტიკოსები, 1965, გვ. 178.

დაპირველი აზრი ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების ხასიათის შესახებ და ავტორი ისეთი ლექსებისა, როგორცაა „ვაჰ, დრონი დრონი“, „ოჰ, ვით გვემტყუენა“, „ვაჰ, სოფელსა ამას“, „ვისაც გსურთ“, „მსურდა ოხვრა“, „პყრობილისაგან თანაპყრობილთა მიმართ“, „ის-ჩინეთ მსმენსო“, „გოგჩა“ და სხვ., კვლავ ვარდ-ბულბულის, ქალის, ღვინისა და ლხინის მეხოტბედ იყო მიჩნეული.

აქ, ჩვენი აზრით, აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს ის ფაქტიც, რომ ალ. ჭავჭავაძის სატრფიალო-საალალო ლექსები, — რომელთა მაღალპოეტურობა ქართული კრიტიკის მიერ იმთავითვე სათანადოდ იყო აღქმული, — რაოდენობრივად, ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების უდიდეს ნაწილს (ორ მესამედზე მეტს) შეადგენს, და, აგრეთვე, ის გარემოებაც, რომ — როგორც სამართლიანად მიუთითებენ, — თავის ლექსებში „ალ. ჭავჭავაძე მხოლოდ გვანიშნებს იმდროინდელი საზოგადოებისათვის მტკივნეულ სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებზე... იგი მათ გვიდგენს უზოგადესი სახით და მისი გაშიფვრაა საჭირო, რათა კონკრეტული ვითარება დავინახოთ“. ასეთი გაშიფვრა კი, ქართული სალიტერატურო კრიტიკის განვითარების გარკვეულ ეტაპზე, ადვილად შესაძლებელია, დაუძლეველი ამოცანა ყოფილიყო. უთუოდ ამითაც აიხსნება, რომ „თავის დროზე ვერც კი შეამჩნიეს ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების დიდი სოციალურ-პოლიტიკური სიმწვავე“²².

მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ მხრივ, ჩვენი აზრით, შესაძლოა შემდეგ გარემოებას ჰქონოდა:

როგორც ცნობილია, ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ამჟამად ფართოდ აღიარებული შეხედულების მიხედვით, ალ. ჭავჭავაძე 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო ფიგურად ითვლება (ზოგჯერ იგი შეთქმულების ფაქტიურ ხელმძღვანელადაც კი შიხსენიება²³). მაგრამ XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ საზოგადოებაში, აღნიშნულ შეთქმულებასთან ალ. ჭავჭავაძის მიმართების შესახებ არსებითად განსხვავებული აზრი იყო დამკვიდრებული: და თუკი ერთნი რამდენადმე მაინც აღიარებდნენ შეთქმულებასთან ალ. ჭავჭავაძის კავშირს, — თუმც თვლიდნენ, რომ მას „დიდი მონაწილეობა არა ჰქონია რა ამ შეთქ-

²² გრ. კიკნაძე, რომანტიკოსებიდან რეალისტებისაკენ, — იხ. „ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია“, I, 1956, გვ. 285.

²³ იხ. ქართული ლიტერატურის ისტორია ექვს ტომად, ტ. III, (XIX საუკუნის პირველი ნახევარი), 1969, გვ. 47.

მუღებაშიო“²⁴, — მეორენი შეთქმულების თანამზრახველად და თანამგრძნობლადაც კი არ სცნობდნენ მას, ხოლო შეთქმულების გამოაშკარავების შემდეგ პოეტის დაპატიმრებასა და გადასახლებას შემთხვევით გაუგებრობას მიაწერდნენ.

აი, მაგ., როგორ ესახება 1832 წლის შეთქმულებასთან ალ. ჭავჭავაძის დამოკიდებულება იონა მეუნარგიას, როდესაც, გასული საუკუნის 90-იან წლებში, აპირებს დაწეროს ვრცელი ნაშრომი ალ. ჭავჭავაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე:

„...ალექსანდრე ჭავჭავაძე არც ხნით და არც აზრით არ იყო იმათი (შეთქმულების მონაწილეთა — გ. ა.) თანამოაზრე, თუმცა ყველა ეს ყმაწვილკაცობა იკრიბებოდა მის უპირველეს თბილისის სალონში, მაგრამ ვერავინ მათგანი ვერ ჰხედავდა კრინტი ამოელო მათ პოლიტიკურ პროექტზე“. შეთქმულების გამოაშკარავებისა და შეთქმულთა დაპატიმრების შემდეგ, „როცა ამ ყმაწვილკაცებს ჩამოართვეს ჩვენება და საქმიდან აღმოჩნდა, რომ ისინი ბშირად დადიოდნენ ალექსანდრე ჭავჭავაძესთან, იმათ ეპვი აიღეს ჩვენს პოეტზე. ერთი მათგანის... ჩვენებამ სულ დაარწმუნა მთავარმართებელი ბარონი, რომ ალექსანდრეც რუსეთის წინააღმდეგი იყო. ამ ყმაწვილის ჩვენებიდან აღმოჩნდა, რომ ერთხელ, როდესაც შეთქმულნი შეკრებილნი იყვნენ ჩვენს პოეტთან და ვახშმის ჭამა დაეწყოთ, ალექსანდრეს ბალისიან გულზე სიტყვები ეთქვა:

ეს ეპვი და ეს ჩვენება საკმაო შეიქნა ბარონ როზენისათვის, რომ იმას ბრძანება გაეცა დაეპირათ ალ. ჭავჭავაძეც... ის (ალ. ჭავჭავაძე — გ. ა.) ღრმად შეწუხებული იყო, რომ ასეთი შეურაცხყოფით მოექცნენ მას, თუმცა კი არ ჰკარგავდა იმედს, რომ, ადრე თუ გვიან, მმართველობა მიხვდებოდა თავის შეცდომას და დაპერილები ისევ მზეს იხილავდნენ...

ალექსანდრე გაიგზავნა ქ. ტამბოვის ოთხი წლის ვადით“, მაგრამ „მთავრობა ჩქარა მიხვდა თავის შეცდომას, ალექსანდრე ხელახლა განაწესეს სამსახურში“²⁵... (ათეცილებელია აღინიშნოს, რომ 1832 წლის შეთქმულების შესანიშნავი მცოდნე, პროფ. გ. გოზალიშვილი შეთქმულებასთან ალ. ჭავჭავაძის დამოკიდებულების შესახებ იონა მეუნარგიას ზემოთ მითითებულ შეხედულებას არ მიიჩნევს

24 იხ. „თავ. ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძე“, გაზ. „თეატრი“, 1885, № 11.

25 იხ. იონა მეუნარგია, ქართველი მწერლები, I, სოლომონ ცაიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, 1954, გვ. 22—23.

ავტორის შინაგანი რწმენის გამომხატველად და თვლის, რომ ასეთი შეხედულების გამოთქმა იმდროინდელი მძიმე საცენზურო პირობებით აიხსნება, რადგან „ისეთ ფაქტებზე ლაპარაკი, როგორც არის ალ. ჭავჭავაძის ცხოვრების არაერთი მოქმეტი და რომელიც თვით საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებასთან უშუალოდ არის დაკავშირებული, სახიფათო და აკრძალული იყო. ბიოგრაფმა ისიც კი ვერ გახედა, ალ. ჭავჭავაძე 1832 წლის შეთქმულების მონაწილედ დაეტოვებინა და სცადა მისი „რეაბილიტირება“. პროფ. გ. გოზალიშვილის დასკვნით, სწორედ „ამ გარემოებით აიხსნება მეუხარჯიას ცდა ალ. ჭავჭავაძეს აპხადოს „ბრალდება“ 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისა, რაც როგორც მწერლის ბიოგრაფიაში, ისე საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში ღირსშესანიშნავ მოვლენას წარმოადგენს“²⁶.

მაგრამ აღსანიშნავია, რომ იმავე საცენზურო პირობებში, როცა ალ. ჭავჭავაძის ბიოგრაფიაზე მეუბოძდა, იონა მეუხარჯია სხვა შრომებში საკმაოდ ვრცლად და თამამად მსჯელობდა როგორც 1832 წლის შეთქმულების, ასევე აღნიშნულ შეთქმულებაში სავადასხვა გამოჩენილ ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა მონაწილეობის შესახებ²⁷).

„1832 წელს თბილისში რომ კრებები ყოფილა მთავრობის საწინააღმდეგო, — წერდა ზ. ჭიჭინაძე 1886 წელს, — იძახიან, რომ ამ კრებებში ალ. ჭავჭავაძემაც მიიღო მონაწილეობაო, ზოგიერთნი იძახიან, რომ პირველს კრებაზე ჭავჭავაძემ უარი განაცხადაო და ხელიც არ მოაწერაო, ალ. ორბელიანი ერთობ გასჯავრებია ამასე და უკან ასდევნებია, რომ მოდიო, თანხმობაზე ხელი მოაწერეო. ზოგნი იძახიან, რომ ხელიც მოაწერაო, ზოგნი კი იმასაც უწყიან, რომ არაო. ჭავჭავაძემ განსთქვა იგინიო, როდესაც მოწინააღმდეგეები დაიპირეს, ამათში ჭავჭავაძეც განგებ ერიაო“²⁸. ზ. ჭიჭინაძე წერს, აგრეთვე (როგორც ამ ამბის დამსწრისაგან მისთვის მონათხრობს), რომ შეთქმულების მოთავეებსა და ალ. ჭავჭავაძეს „საშინელი ჩხუბი მოს-

²⁶ იხ. გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. II, 1970, გვ. 45—47.

²⁷ იხ. მაგ. ი. მეუნარჯია, თ. გიორგი დავითის ძე ერისთავი (1811—1846, წიგნში: თ. გიორგი დავითის ძე ერისთავის თხზულება, მეორე გამოცემა, 1864; ი. მეუნარჯია, ცხოვრება და ღვაწლი გრიგოლ ორბელიანისა, ეურ. „მოკაბე“, 1904, № 3—12, 1905 № 2—3.

²⁸ იხ. ზ. მთაწმინდელი [ზ. ჭიჭინაძე], ბესიკი, თ. ალექსანდრე ჭავჭავაძე, თ. გრიგოლ ორბელიანი, 1886, გვ. 26.

ვლიათ“ და აღ. ჰავკავაძემ მთავარმართებელთან დააპირაო წასვლა, რათა ეცნობებინა შეთქმულების შესახებ. და თუკი ეს განზრახვა მას სისრულეში არ მოუყვანია, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მისი ცოლისძმა (ლუარსაბ ორბელიანი) და მეუღლის სხვა ნათესავეები იყვნენო ჩაბმულნი ამ შეთქმულებაში²⁹.

კიტა აბაშიძე, კრიტიკულ ეტიუდებში — „თ-ღი ალექსანდრე ჰავკავაძე და „თ-ღი გრიგოლ ორბელიანი“, რომლებიც 1898 წელს გამოქვეყნდა ჟურ. „მოამბეში“, წერდა: „კარგად ვიცი, რომ თ. ალექსანდრე ჰავკავაძე სრულიად გულგრილად ეკიდებოდა ამ საქმეს (1832 წლის შეთქმულებას — გ. ა.) და თითქმის არავითარი მონაწილეობა არ უკისრია ამ შეთქმულებაში. ვიცი, რომ იგიც დაპატიმრებული იყო, რაიცა, რასაკვირველია, შეცდომით მოხდა. ზოგი იმასაც კი სწამებს, შეთქმულთა დასმენა უნდოდა მთავრობასთან, რომ ცოლი არ ჩარეულიყო საქმეშიო. „აქტივიდან“ ვიცი, რომ ალექსანდრე ჰავკავაძე ურჩევდა ყმაწვილკაცებს, ნუ შვრებით მაგ სისულელესო“³⁰, — „უმტკიცებდა, რომ საქართველოს არა თუ ძალი არ შესწევს რუსეთის მთავრობის განდევნისათვის, არც სიმართლე აქვსო“³¹; „ისიც ვიცი, რომ ამ საქმის გამო ისიც კი გაგზავნეს სამშობლოდან, მაგრამ ეს ხომ იმიტომ, რომ, როგორც „აქტივიში“ მოხსენებული, ამ საქმის მოსამართლეთა შეხედულებით, „მისი დაუსჯელად დატოვება ხალხს აფიქრებინებდა, რომ ტყუილ-უბრალოდ ჰყავდათ დაპატიმრებულიო“, და რათა ამგვარი სამდურავის საფუძველი არ მიეცათ საზოგადოებისათვის. საჭიროდა სცნეს ასტრახანში მისი გადასაწლება“³². ყოველს შემთხვევაში, უეჭველ ფაქტად ის უნ-

29 იხ. ზ. მთაწმინდელი [ზ. კიკინაძე], ბესიკი, თ. ალექსანდრე ჰავკავაძე, თ. გრიგოლ ორბელიანი, 1886, გვ. 27.

30 კიტა აბაშიძე, ეტიუდები ქართულის ლიტერატურიდან. თ-ღი ალექსანდრე ჰავკავაძე, ჟურ. „მოამბე“, 1898, № 4, გვ. 68.

31 კიტა აბაშიძე, ეტიუდები ქართულის ლიტერატურიდან. თ-ღი გრიგოლ ორბელიანი, ჟურ. „მოამბე“, 1898, № 5, გვ. 43.

32 შესაძლოა ამ შემთხვევაში კიტა აბაშიძე ეყრდნობოდეს შემდეგ ადგილს საქართველოს იმპერატორის მთავარმართებლის, ბარონ როზენის ერთი ოფიციალური მიმართვიდან: „ბედი გენერალ-მაიორ თავ. ჰავკავაძისა გადაეცემა გარდასაწყვეტად მისს იმპერატორების უდიდებულესობასა, მაგრამ სრულიად დაუსჯელობა მისი... მხოლოდ მიზეზს მისცემს მთავრობა გაამტყუნონ, რომ დააპატიმრეს. აზისდა თავიდან ასაცილებლად, სასარგებლოდ მიმანი აშიტომ დროებით ასტრახანს იქნეს გაგზავნილი საცხოვრებლად, ანდა სამართალში იქნეს მიცემული, მერე კი, სამავალითო სამსახურისათვის წარსულში, მონარქის წყალობა ებოძოს“ (ციტირებული დოკუმენტი დამოწმებული იყო 1905 წლის ჟურ. „მოამბის“ ავეისტოს ნომერში დაბეჭდილ კიტა აბაშიძის წერილში — „პოლიტიკური რომანტიზმი“).

და იქმნეს აღიარებული, რომ აღ. ჰავკავაძე ისე მხურვალედ არ მოჰქილებია ამ საქმეს, როგორც საუკეთესო ნაწილი მაშინდელის ახალგაზრდობისა: თ-ღი ორბელიანები, ყიფიანი, ერისთავები და სხვ.³³ (აღსანიშნავია, რომ შემდგომში კიტა აბაშიძე არსებითად იცვლის შეხედულებას 1832 წლის შეთქმულებასთან აღ. ჰავკავაძის დამოკიდებულების შესახებ და აღ. ჰავკავაძეს აღნიშნული შეთქმულების მონაწილეთა პირველ რიგებში ასახელებს³⁴).

1832 წლის შეთქმულებისადმი აღ. ჰავკავაძის დამოკიდებულების შესახებ გასული საუკუნის ქართულ საზოგადოებაში ზემოაღნიშნული შეხედულების გავრცელებას გარკვეული მიზეზები განაპირობებდა:

თანამედროვე ქართულ ლიტერატურათმცოდნეობას მიაჩნია, რომ მთავრობის მიერ შეთქმულების გამოძიების პროცესში, შეთქმულებს მონაწილენი „ფრთხილად იქცეოდნენ და როგორც დეკაბრისტები პუშკინის ნიჟს ვერ იმეტებდნენ, ისე ჰავკავაძესაც წარამარად არ ასახელებენ თავიანთ ჩვენების დროს“³⁵; შეთქმულთ „ისიც კარგად ესმოდათ, თუ რამდენად გაართულებდა მათ საქმეს აღ. ჰავკავაძის მონაწილეობის დადასტურება, რის გამოც ყოველმხრივ ცდილობდნენ მის ბრალდებისაგან განთავისუფლებას“. სწორედ ამ მიზნით ამტკიცებდნენ შეთქმულები, „ვითომც აღ. ჰავკავაძემ შეთქმულების ამბავი უკანასკნელ დღემდე არ იცოდა და როდესაც მას აცნობეს, სასტიკი პროტესტი განაცხადა და ურჩია ამ განზრახვაზე ხელის აღება, რამაც ვითომც მართლაც აიძულა შეთქმულნი უარი ეთქვათ თავის განზრახვის სისრულეში მოყვანასე“³⁶.

მაგრამ ბუნებრივია, რომ შეთქმულების მონაწილეთა ამ თავგამოდებულ მტკიცებას, მეტ-ნაკლებად. არა მხოლოდ ოფიციალური წრეები დაერწმუნებინა აღ. ჰავკავაძის უდანაშაულობაში, არამედ, აგრეთვე — ქართული საზოგადოებრიობის დიდი ნაწილიც; ხოლო ტამბოვის გადასახლებიდან, მისჯილი ოთხი წლის ნაცვლად. აღ. ჰავ-

33 კ ი ტ ა ა ბ ა შ ი ძ ე, ეტიუდები ქართულის ლიტერატურიდან, თ-ღი ალექსანდრე ჰავკავაძე, ჟურ. „მოამბე“ 1898, № 4, გვ. 69.

34 იხ. მაგ., კ ი ტ ა ა ბ ა შ ი ძ ე, პოლიტიკური რომანტიზმი, ჟურ. „მოამბე“, 1905, № 8.

35 ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, ალექსანდრე ჰავკავაძე (ნარკვევი)—წიგნში: ალექსანდრე ჰავკავაძე, თხზულებანი ი. გრიშაშვილის რედაქციით, წინათქმით, შენიშვნებითა და ლექსიკონით, 1940, გვ. 48.

36 გ. გ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, 1832 წლის შეთქმულება, ტომი I, 1935, გვ. 41—42.

კავაძის რამდენიმე თვის შემდეგ განთავისუფლებამ კიდევ უფრო განამტკიცა ასეთი აზრი³⁷, რადგანაც ეს ფაქტი — რქამინდელი ერთი ოფიციალური დოკუმენტის სიტყვები რომ გამოიყენოთ, — საზოგადოებამ „მიაწერა არა წყალობას ხელმწიფე-იმპერატორისას, არამედ სიმართლეს უდანაშაულოდ გადასახლებულისას, რომელიც ადგილობრივი მთავრობის უსაფუძვლო დასჯენის შედეგად იქნა დასჯილი“³⁸.

ცხადია, რომ როგორც დღეს 1832 წლის შეთქმულებაში ალ. ჰავკავაძის აქტიური მონაწილეობა „საქართველოში ცარიზმის ბატონობისადმი ალ. ჰავკავაძის დამოკიდებულების მკვეთარ და მეტყველ გამოხატულებად“ არის მიჩნეული³⁹, — აღნიშნულ შეთქმულებაში ალ. ჰავკავაძის გაურევლობა, XIX საუკუნის მოწინავე ქართული საზოგადოების აზრით, მამულიშვილის შეუწყნარებელ ცოდვად ჩაითვლებოდა.

სავსებით ბუნებრივია ისიც, რომ ასეთი შეხედულება ალ. ჰავკავაძის შესახებ მისი შემოქმედების აღქმა-შეფასებაზეც გავრცელებულიყო და მამულის ბედისადმი „ყურის მიყრუება“ ალ. ჰავკავაძის — გენერლისა და პოეტის, — ნიშანდობლივ თვისებად და, ასევე. მის მრეტვეებელ ნაკლად ყოფილიყო აღიარებული.

აღსანიშნავია, რომ ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედების შეფასებისას „მამულის ბედისადმი“ მათი დამოკიდებულებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მინიჭება დამახასიათებელი იყო ქართული სალიტერატურო კრიტიკისათვის XIX საუკუნის მთელ მანძილზე, რაც სავსებით შეესაბამებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის იდეალებსა და მიზანდასახულობას, სწრაფვას ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისა და განმტკიცებისათვის. ამიტომაც, თუკი, ერთ მხრივ, სამშობლოს სიყვარული და „მამულიშვილური გულისტივილი“ — გასული საუკუნის ქართველ კრიტიკოსთათვის უპირველესი ნიშანი იყო მწერლის შემოქმედების მაღალი ღირებულებისა, მეორე მხრივ, ამა თუ იმ მწერლის მიერ „მამუ-

³⁷ შავ. 1869 წლის აპრილის „რუსსკი ვესტნიკში“ (ტ. 80) გამოქვეყნებულ ბარონ ტორნაუს მოგონებებში საქართველოზე („Воспоминания о Кавказе и Грузии“) ვკითხულობთ: „ალექსანდრე ჰავკავაძე სრულიად უდანაშაულო იყო. რგი ტყუილბრალად გახვიეს ამ ტუტუტურ საქმეში“ (ციტირებულია ი. გრიშაშვილის გამოკლევიდან — „ალექსანდრე ჰავკავაძე“. იხ. ალექსანდრე ჰავკავაძე, თხზულებანი, ი. გრიშაშვილის რედაქციით..., 1940, გვ. 48).

³⁸ ციტირებულია მთავარმართებელ როზენის მიმართიდან სამხედრო მინისტრის ჩერნიშოვისადმი.

³⁹ იხ. ქართული ლიტერატურის ისტორია ექვს ტომად, ტ. III, 1969, გვ. 47.

ლის ბედზე ყურის მიყრუება“, საკმარის მიზეზს წარმოადგენდა მისი მხატვრული მემკვიდრეობის ღირებულების უარყოფითი შეფასებისათვის.

ამ დებულების სამართლიანობას მეტ-ნაკლებად თითოეული ქართველი რომანტიკოსი პოეტის შემოქმედების კვლევის ისტორიის გათვალისწინება დაგვიდასტურებს. განსაკუთრებით ნათლად კი ეს პრინციპი ალ. ჭავჭავაძის პოეტური მემკვიდრეობისადმი გასული საუკუნის ქართული კრიტიკის დამოკიდებულებაშია გამოვლენილი: XIX საუკუნის ქართული კრიტიკა უყოყმანოდ აღიარებდა ალ. ჭავჭავაძის შალალ პოეტურ ნიჭს და მისი ლექსების უდავო მხატვრულ ღირსებებს, მაგრამ, ამავე დროს, პოეტის შემოქმედებას, — ზემოთ მითითებული ინტერპრეტაციის გამო. — მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობის თვალსაზრისით, როგორც წესი, ნეგატიური შეფასება ეძლეოდა.

* * *

პირველი კრიტიკული წერილი, სადაც ალ. ჭავჭავაძის პოეტური მემკვიდრეობა და, ასევე, ეროვნულ სინამდვილესთან პოეტის მიმართების ხასიათი სპეციალური განხილვისა და შეფასების საგანს წარმოადგენდა, პროფ. ალ. ცაგარლის სტატია იყო, — „ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში“, — რომელიც 1870 წელს გაზეთ „ღრუბის“ ნომრებში დაიბეჭდა⁴⁰.

დასახელებულ წერილში ალ. ჭავჭავაძე „ანაკრეონული ანუ პეროტიკული“ მიმართულების წარმომადგენლად მიიჩნეული და განვითარებულია თვალსაზრისი, რომ მისი ლექსები „ცოტათაც არ შეეხებინან და არ გამოხატავენ იმ ხალხის ბედ-იღბალს, სადაც დაბადებულნი არიან“.

ალ. ცაგარლის სიტყვით, „ალ. ჭავჭავაძის პერიოდს აქვს სამიჯნურო (ეროტიული), „სავარდულბულო“ მიმართულება. ალ. ჭავჭავაძე და იმის მბაძველნი ამ საუკუნეში, რომლებიც ჩვენი ლიტერატურის პირველ პერიოდს შეადგენენ, გამოხატავენ თავიანთ პოეზიის იმგვარ ხასიათს, ანუ მიმართულებას, რომელსაც ანაკრეონული ან პეროტიკული ჰქვიათ ლიტერატურაში და რომელიც უმეტესად სამღერ-სამხიარულო და სატრფო საგნებზე ლექსაობს“.

⁴⁰ ალ. ცაგარელი, ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში, გაზ. „ღრუბი“, 1870, № 2—4, 6—7.

ალ. ცაგარლის აზრით, „სიყვარულია ამ პერიოდის მოლექსე-
ების პირველი და უკანასკნელი საგანი სიმღერისა: სულ ერთად რომ
შეიკრიბოს იმათი თხზულება, შეიძლება დაერქვას მეორე „ქალ-ვა-
ჟიანი“, ან მეორე „ვარდ-ბულბულიანი“.

ალ. ჭავჭავაძე ალ. ცაგარლისათვის, მხოლოდ და მხოლოდ სიყ-
ვარულის, „ვარდ-ბულბულის“, ქალისა და ღვინის მომღერალია.
იგი „გულისთქმათ და ვნებათ სირინოზებრივ ესალმუნება“, მუდამ
„სიყვარულზედ და „საკეკლუცებდაა მიმართული“. და თუცა
ალ. ცაგარელი არ იფიქრებს იმის აღნიშვნასაც, რომ ალ. ჭავჭავაძის
ლექსებში სჩანს „ულრმესი, ნამდვილი ადამიანური, მსუსხავ მგზნე-
ბარე გრძნობა“, რომელიც პირდაპირ „გულიდანაა ამოხვერილი“;
რომ ამ ლექსებს ახასიათებს „უმანკო ქალწულოვანი, ნაზი და კე-
თილშობილური კილო“. რომ „ალ. ჭავჭავაძე, როგორც მაღალ ნიჭი-
ერი პოეტი, თავის პოეზიის კილოში... ისეთივე ზნეობრივი, მაღალი
და მამაცია, როგორც სხვა გამოჩენილი მოლექსენი სხვაგვარ პოეზი-
აში“: რომ ალ. ჭავჭავაძემ „თავის უკვდავ ლექსებში მაღალი ტრფი-
ალებითა და პოეტური მკვევრმეტყველებით გაძოსტქვა სიყვარუ-
ლის — ამ კეთილშობილი, ნამდვილი კაცობრიული გრძნობის ხასიათი
და ძალა“, და რომ პოეტის ლექსებში საკვირველის ცოდნითა და ხე-
ლოვნებით არიან სიტყვები შერჩეული, შეწონილი გრძნობის სხვა-
დასხვა მდგომარეობასთან და საკვირველი ძალით ხატავენ ისინი ხან
მგზნებარე გრძნობათა და მხურვალე გულის თქმათა, ხან ვნებათ
ღელვასა“, — მაგრამ ალ. ჭავჭავაძის ლექსების ამ მაღალ ღირსება-
თა აღნიშვნის მიუხედავად, ალ. ცაგარელი, საერთოდ, უაჩუფით
შეფასებას აძლევს ალ. ჭავჭავაძის პოეტურ მემკვიდრეობას.

კრიტიკოსის თქმით, ალ. ჭავჭავაძემ „გრძნობა ამჯობინა ყველა-
ფერსა და იმას უმსხვერპლა სულ ყველაფერი. ისიც, რის მსხვერ-
პლად შეწირვის რიგი არ იყო.. ეს არის მამულიის ბედზედ
ყურის მიყრუება, რომლის მდგომარეობასაც
არც ერთი იმისი ლექსი არ მოაგონებს კაცსა“
(ხაზი ჩემია — გ. ა.), და სწორედ ეს იყო ალ. ცაგარლის აზრით,
ალ. ჭავჭავაძის პოეზიის უდიდესი ნაკლი — თემატიკური შეზღუ-
დულობა და ეროვნული პატრიოტული მოტივების უქონლობა.

„ალ. ჭავჭავაძეს კალმით ამ გვარმა ლექსებმა უმაღლეს ხელოვნე-
ბას მიაღწიეს. — წერს ალ. ცაგარელი, — მაგრამ დრო იყო თუ
არა ტურფა სირინოზულ მოთქმისა, ამას მკითხველს მივანდობო“.

ალ. ცაგარლის აზრით, XIX საუკუნის პირველი ნახევრის სა-
ქართველოში, მაშინ როდესაც ქართველთა ბედის ჩარხი უკულმა

დატრიალდა, სატრფიალო ლექსების წერა — ქართველი კაცისათვის დამახასიათებელი დარდიმანდული და ფუქსავატური ბუნების გამოვლანებას წარმოადგენდა და არსებული ვითარებისადმი შეუსაბამობით ქელეხში სიმღერას თუ შეედრებოდა. „ძალიან ძნელი დასაჭერიაო, — წერს ალ. ცაგარელი, — რომ კაცს, ან ხალხს, რომელსაც ბედმა უშუბთლა და სიცოცხლემ დასჩაგრა და შეავიწროვა, იმათ სამიჯნურო ლექსების სიმღერამ უშეელოს რამე. ნამდვილ ქირში კაცს არა ემღერება რა; — მაგრამ ქირის სიძნელის და სიმძიმის შესატყობათ კი (რაც უფრო საჭიროა სნეულის საკურნებლად) ღრმად მგრძნობელი. მაღალნიჭიერი და შორს გამკვრეტი კაცი უნდა იყოს“, — დასძენს ალ. ცაგარელი და, როგორც ვხედავთ, ალ. ჭავჭავაძის — თავის მიერვე აღიარებულ, — „ღრმად მგრძნობელობისა“ და მაღალნიჭიერების უარყოფამდეც მიდის.

ალ. ცაგარლის დასახელებულ კრიტიკულ წერილში აშკარად იგრძნობა ავტორის საყვედურიც ალ. ჭავჭავაძის მიმართ და გარკვეული გულსტიკივილიცა და წყრომაც, რაც იმითაა გამოწვეული, რომ ალ. ჭავჭავაძის პოეზიაში ალ. ცაგარელმა ვერ შენიშნა პატრიოტული გრძნობა, პოეტის დაფიქრება სამშობლო ქვეყნისა და ერის ბედზე, რაც გასული საუკუნის 60—70-იანი წლების ქართველი მოღვაწისათვის, როგორც უკვე ითქვა, უადრესად მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა პოეტის შემოქმედების ღირებულების შეფასებისათვის.

თუ რატომაა ალ. ცაგარლის დასახელებულ სტატიაში ალ. ჭავჭავაძის შემოქმედება ასე შეზღუდულად და ცალმხრივად დანახული თუ წარმოდგენილი, ამის მიზეზებზე ნაწილობრივ უკვე ითქვა, როცა ალ. ჭავჭავაძის ნაწარმოებთა პუბლიკაციის მდგომარეობასა და მისი სატრფიალო-სალაღობო ლექსების პოპულარობაზე მივეუთითებდით და ა. შ. აქ აღსანიშნავია ისიც, რომ ეს წერილი უცხოეთშია (მიუნჰენში) დაწერილი, სადაც ავტორს ალ. ჭავჭავაძის შესახებ არავითარი მასალები არ გააჩნდა და ამიტომ პოეტის შემოქმედების განხილვისას იძულებული იყო მეხსიერებას დაყრდნობოდა და იმ ზოგადი შთაბეჭდილებით ეხელმძღვანელა, რომელიც მას ალ. ჭავჭავაძის ლექსების გაცნობით ადრე ჰქონდა მიღებული (ალ. ცაგარელი სტატიაში თვითვე შენიშნავს „ქართული წიგნი „კაცია-ადამიანის“ მეტი არა მაქვს რა თანა. ამიტომ თუ როგორმე მეხსიერებამ მიმტყუნა და ლექსების ავტორების დასახელებაში, ან თითონ დედანში შეცდომა შეშვებარა, შენდობას ვითხოვ მკითხველებისგანო“). მაგრამ

არსებითი მნიშვნელობის მქონე მაინც ის უნდა იყოს, რომ, როგორც სავარაუდოა, ალ. ცაგარლისათვის, ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების მხოლოდ მცირე ნაწილი იყო ცნობილი, რამდენადაც, აღნიშნული კრიტიკული სტატიის დაწერის დროისათვის ალ. ჭავჭავაძის რიგინალურ თუ თარგმნილ ლექსთაგან დაახლოებით მხოლოდ ერთი მესამედი იყო გამოქვეყნებული სხვადასხვა ეურნალ-გაზეთებში და ჯერ არ იყო დაბეჭდილი „ოპ, ვით გვემტყუენა“, „ეპ, სოფელსა ამას“, „მსურდა ოხვრა“, „პურობილისაგან თანაპურობილთა მიმართ“, „ისმინეთ მსმენო“ და მრავალი სხვა ლექსი. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ალ. ჭავჭავაძის არც იმეამდ დაბეჭდილი ლექსები იძლევიან საფუძველს ალ. ცაგარლის კრიტიკულ წერილში გაკეთებული ზემოაღნიშნული დასკვნებისათვის, რამდენადაც ამ დროისათვის უკვე გამოქვეყნებულია ალ. ჭავჭავაძის ისეთი ლექსები, როგორცაა „გოგჩა“, „ეპ დრონი, დრონი“, „ეპა, ჩემო ოცნებავ“, „სხვადასხვა დროისათვის კაცისა“⁴¹ და სხვა.

რა თქმა უნდა, ალ. ცაგარლის შეხედულება ალ. ჭავჭავაძის პოეტური შემკვიდრობის ხასიათის შესახებ არ იყო ნაკარნახევი პოეტის ნიქისა და ღვაწლის დაკნინებისა თუ გაუფასურების სურვილით, მაგრამ, ცხადია, იგი არც ობიექტური მსჯავრი იყო ალ. ჭავჭავაძის პოეზიისა, რამდენადაც წარმოდგენდა პოეტის შემოქმედების მხოლოდ ერთი ნაწილის გაცნობის შედეგად მიღებული შთაბეჭდილების განზოგადების შედეგს და არ იყო გამომდინარე ალ. ჭავჭავაძის ლექსების საფუძვლიანი შესწავლისაგან.

„სააშიკო“ — სატრფიალო მოტივი ალ. ჭავჭავაძის პოეზიის ერთადერთ „ძარღვად“ არის მიჩნეული ალ. ჭავჭავაძის ლექსების პირველი კრებულის გამოცემასთან დაკავშირებით 1881 წლის გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ რეცენზიაში⁴², სადაც თქმც ალ. ჭავ-

41 ლექსი „სხვადასხვა დროისათვის კაცისა“ დაბეჭდილი იყო სათაურით: „ამაოება“ (იხ. ე. „ცისკარი“, 1863, № 10).

42 [ივ. მაჩაბელი]. ახალი წიგნები, ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსები, ნაწილი პირველი, თბილისი, 1881, „ივერია“, 1881, № 8, გვ. 118—122. მითითებული რეცენზიის ავტორობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა შეხედულებაა გამოთქმული: პოეტ-აკადემიკოს ი. გრიშაშვილის აზრით, რეცენზია „შესიძლოა ეკუთვნოდეს ივ. მაჩაბელს (იხ. ალექსანდრე ჭავჭავაძე, თხზულებანი, ი. გრიშაშვილის რედაქციით, წინათქმით, შენიშვნებითა და ლექსიკონით, 1940, გვ. 75); პროფ. ი. ბოცვაძეს აღნიშნული რეცენზიის ავტორად დ. ბაქრაძე ჰყავს მოხსენიებული (იხ. ი. ბოცვაძე, ალექსანდრე ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, 1956, გვ. 29—36); პროფ. ს. ხუციშვილის აზრით, დასახელებული რეცენზია ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის (იხ. ქართული

კავაძე მოიხსენიება, როგორც „ჩინებული პოეტი“, რომელსაც „ჩვენს პოეტებთ შორის პირველ ადგილთაგანი უჭირავს“, მაგრამ, ამავე დროს, თემატიკური ერთფეროვნება — მხოლოდ და მხოლოდ „სააშოკო“ ლექსებით გატაცება, — მისი შემოქმედების არსებით ნაკლოვანებად არის ჩათვლილი. „ალ. ჰავჭავაძის წუნი ეს არის, — ვკითხულობთ დასახელებულ რეცენზიაში, — რომ ყველა თავის ორიგინალურს ლექსებში ერთსა და იმავე საგანზედ მღერის და ერთი და იგივე კილო გვიბუყის ყურებში“. და რეცენზენტი ცდილობს გაარკვიოს, თუ „რისგან მოხდა, რომ ამისთანა ნიჭიერი პოეტი დაემორჩილა ეამთა სვლას და თითქმის იგივე დარჩა „მარად და მარად“, — იმავე კილოზედ და იმავე გრძნობით ამბობდა ხანში შესული პოეტი სააშოკო ლექსებს, როგორც ოცდაერთისა და ოცდაორის წლის ყმაწვილი კაცი“. მიზეზი ამისა ის არისო, განმარტავს რეცენზენტი, რომ „ალ. ჰავჭავაძეს გარშემო განსხვავებული ხალხი და განსხვავებული საზოგადოება ეხვია, იმისთანა საზოგადოება და ხალხი, რომელიც თანაუგრძნობდა და აქეზებდა მხოლოდ ამ გვარ ლექსებს და ამ გვარ ლექსების მოქმელთ“.

ის გარემოება, რომ გასული საუკუნის ქართველი კრიტიკოსები ალ. ჰავჭავაძეს „ვარდბულბულიანის“, სიყვარულის, ღვინისა და ლხინის მეხოტბედ თვლიდნენ, ვერ ამჩნევდნენ ეროვნულ მოტივს მისი პოეზიისას და პოეტს ეროვნული საკითხის უგულბებელყოფას საყვედურობდნენ, თანამედროვე ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაშიც არაერთხელ ყოფილა მითითებული (ოლონდ, გავრცელებული თვალსაზრისის მიხედვით, ალ. ჰავჭავაძის პოეზიის ხასიათის ასეთ გაგებას გასული საუკუნის კრიტიკოსთა მხოლოდ ერთი ნაწილი იზიარებდა). აღინიშნება ხოლმე ისიც, რომ სრულიად სხვაგვარ — და, სავსებით სამართლიან, — შეფასებას აძლევდნენ ალ. ჰავჭავაძის პოეტურ მემკვიდრეობას XIX საუკუნის 60-იანი წლების მოწინავე თაობის წარმომადგენელნი, რომელთაც „სხვა, უფრო ღრმა, უფრო მნიშვნელოვანი აზრი და შინაარსი ჰპოვეს ალ. ჰავჭავაძის შემოქმედებაში, ვიდრე ეს შესძლეს მისმა თანამედროვეებმა. თვალსაჩინო გახადეს, წინ წამოსწიეს იდეურ-პოლიტიკური ტენდენცია ალ. ჰავჭავაძის პოეზიაში, რაც სავსებით ეხმაურებოდა სამოციანელ-

ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, ქრესტომათია, II, ს. ხუციშვილის წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, გვ. 553); პროფ. დ. გამეზარდაშვილის დასკვნით ამ რეცენზიის ავტორი ივ. მაჩაბელია (იხ. ეურ. „მნათობი“, 1971, № 4). — აღნიშნული შეხედულება სარწმუნოდ მიგვაჩნია.

თა ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობის მიზანდასახულობას“⁴³.

XIX საუკუნის პროგრესულად მოაზროვნე მწერლებისა და მოღვაწეების მიერ ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებისათვის მიცემული მართებული შეფასების საილუსტრაციოდ თანამედროვე ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში, როგორც წესი, ილია ჭავჭავაძის ზემოთ დასახელებულ ლექსთან ერთად („თ. ალ. ჭავჭავაძე“), დამოწმებულია ხოლმე აკაკი წერეთლის — „ალ. ჭავჭავაძის საფლავზედ“, რომელიც 1882 წელს დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“.

პროფ. აპ. მახარაძე, წიგნში — „ქართული რომანტიზმი“ წერს: „ალექსანდრე ჭავჭავაძის ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი მომდევნო თაობის დამოკიდებულების თვალსაზრისით საინტერესო მასალას იძლევა აკაკი წერეთლის ლექსი „ალექსანდრე ჭავჭავაძის საფლავზედ“. აკაკიმ ჩვენს რომანტიკოსს უწოდა „ტკბილი პოეტი“, „ტკბილად მღერალი მამულიშვილი“.

აკაკი ალექსანდრე ჭავჭავაძეს მიმართავს: მეც შენსავით გულზე მძიმე ლოდი მადევსო.

თვალცრემლიანსა, გულსევლიანსა
ენა მებმება, ვერრის ვარ მთქმელი,
და ან-კი რა ესთქვა? გულზედ ბაღევს ქვა
მეცა შენსავით გულის დაწველი.

ილია ჭავჭავაძისა (ზემოთ მკვლევარი განიხილავს ილიას ლექსს — „ალექსანდრე ჭავჭავაძე“ — გ. ა.) და აკაკი წერეთლის მიერ მოცემული ეს შეფასება უდავოდ ბევრის მთქმელია ალექსანდრე ჭავჭავაძის სასარგებლოდ“⁴⁴.

პროფ. დ. გამეზარდაშვილი. ნაშრომში — „ალექსანდრე ჭავჭავაძე და ქართული რომანტიზმი“. წერს: „ალ. ჭავჭავაძის შესახებ ერთი გარკვეული შეხედულება არასოდეს არ არსებობდა. მკვლევართა ერთი ჯგუფი პოეტს პატრიოტიზმის, ეროვნული გრძნობის სიმკირეს უსაყვედურებდა... სამაგიეროდ განსხვავებული შეხედულებისა იყვნენ ალ. ჭავჭავაძეზე პროგრესულად მოაზროვნე დიდი ქართველი მოღვაწეები. კერძოდ ის მწერლები, რომლებიც თვინათ შემოქმედებაში ეროვნულ პოტივს ანვითარებდნენ. აკაკი წერეთელ-

⁴³ ლე ვ ა ნ ა ს ა თ ი ა ნ ი, ქართული მწერლობა. ალექსანდრე ჭავჭავაძე, 1944, გვ. 75.

⁴⁴ აპ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, ქართული რომანტიზმი, 1948, გვ. 61

მა ალ. ჭავჭავაძეს „მწერალი ტკბილი. მამულიშვილი“ უწოდა და კარგად შენიშნა ალ. ჭავჭავაძის სათაყვანებელი სავანი, როდესაც აღნიშნა:

შენგან ქებული, დავიწყებული
დღეს მაგონდება ჩვენი წარსული 45.

პროფ. ი. ბოცვაძე, ნაშრომში — „ალექსანდრე ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში“, ეხება რა აკაკის აღნიშნულ ლექსს, შენიშნავს: „ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში აკ. წერეთელს რომ არ შეემჩნია ეროვნული მოტივის არსებობა, მაშინ იგი არ მიუძღვნოდა პოეტს მგზნებარე სტრიქონებს:

მღერალო ტკბილო, მამულის შვილო
ამაღლებულო სულით ზეცამღე.
იყავ კურთხეულ. არდავწყებულ
ამიერიდან უკუნისამღე 46.

ჩვენი აზრით, ღრმა პატრიოტული გრძნობით გამთბარი ეს მწვენიერი ლექსი, უთუოდ, ალ. ჭავჭავაძისადმი აკაკის მოწიწებისა და სიყვარულის დანადასტურებელია; მასში მინიშნებულია, აგრეთვე. ალ. ჭავჭავაძის მიერ საქართველოს დიდებული წარსულის დაფასებაზე („შენგან ქებული, დავიწყებული დღეს მაგონდება ჩვენი წარსული“, წერს აკაკი), და ბოლოს, ამ ლექსზე დაყრდნობით შეგვიძლია ალ. ჭავჭავაძის შესახებ აკაკი წერეთლის შეხედულებათა ევოლუციაც გავითვალისწინოთ: თუკი ახალგაზრდა აკაკი, ალ. ჭავჭავაძეს იმ მწერალთა რიგებში მოიხსენიებდა, რომელთაც „ხალხის დარდი არა ჰქონიათ და თავის ქეიფს უნდებოდნენ“, ხოლო ალ. ჭავჭავაძის ცნობილი მუხაჩბაზის („ლოთებო, ნეტავი ჩვენა“) სტრიქონები — „დავეხსნათ ცოდნის ძებნასა. ღვინო სჯობს ყოველ ცოდნასა“ — ალ. ჭავჭავაძის მორალურ კრედიტს მიანიჭდა⁴⁷, — 1882 წელს დაწერილი ზემოაღნიშნული ლექსი გამორიცხავს იმის დაშვების შესაძლებლობას, რომ აკაკი რამდენადმე მაინც იზიარებდა თა-

45 დ. გაშეზარდაშვილი, ალ. ჭავჭავაძე და ქართული რომანტიზმი, 1948, გვ. 109—111

46 ი. ბოცვაძე. ალ. ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში 1956, გვ. 54.

47 იხ. თ. აკ. წერეთელი, რაოდენიმე სიტყვა „ჩანგურის შესახებ“, უერ. „ცისკარი“, 1865, № 9, გვ. 16.

ვის ახალგაზრდულ შეხედულებას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენი აზრით, საფუძველმოკლებულია მსჯელობა ამ ლექსზე, როგორც ისეთ ნაწარმოებზე, რომელიც ალ. ჭავჭავაძის პოეზიის ძირითად მოტივად აკაკი წერეთლის მიერ ეროვნული მოტივია მიჩნეული.

ჩვენი აზრით, აღნიშნული ლექსიდან სრულიად საწინააღმდეგო დასკვნა გამომდინარეობს.

აკაკი ასე მიმართავს ალ. ჭავჭავაძეს:

„ტკბილო პოეტო, ნათლისა სვეტო!
შენ არ დაგწვია ჩვენსაჲთ გული.
რომ ჩვენი ერი, დღეს სხვის ფეხთ მტვერი,
შენ არ გინახავს ასე ჩავრული!
თორემ სხვაგვარად, მწარედ და მარად
ეგ შენი გული იწყებდა ძვრას...
და შენ ჩვენსაჲთ, სიტყვებით ავით
გესლით და ნაღლით იწყებდი მღერას,
და მაშინ შენს გულს ჩვენთვის აღგზნებულს
სხვა ფასს დასდებდა უმეტესობა,
და ის ისარი, სასტიკად მწარი
შენც მოგხედებოდა ჩვენ რომ გვესობა.“

შემთხვევითი არ იყო, რომ ალ. ჭავჭავაძის იმ კრიტიკოსებში, რომელნიც მამულის ბედისადმი „ყურის მიყრუებას“ პოეტის მიუტევებელ ცოდვად სთვლიდნენ, ამ საკითხისადმი აკაკის აღნიშნულ ლექსში გამოხატულმა შემწყნარებლურმა დამოკიდებულებამ დაუფარავი გაგულისება გამოიწვია. „აკაკიმ — წერდა ზ. კიკინაძე, — ტყუილად დახარჯა და დააფრქვია ცრემლები ჭავჭავაძის საფლავზედ. რომ შენ, პოეტო, ვარდებსა და ბულბულებს მიტომ უმღეროდ, რომ შენი დრო სხვა დრო იყოვო. ამაზე უნდა მოვახსენოთ აკაკის. რომ ჭავჭავაძის დრო უფრო საგრძნობარი გულის გასახეთქი დრო იყო, ვიდრე დღეს“.

ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების ღირებულების შესახებ ზ. კიკინაძე მკვეთრად უარყოფითი შეხედულების იყო. 1886 წელს გამოქვეყნებულ წიგნში — „ბესიკი თ. ალექსანდრე ჭავჭავაძე, თ. გრიგოლ ორბელიანი“⁴⁸ იგი, უზომოდ მწვავე და დაუნდობელი ტონით, მძაფრად აკრიტიკებდა ალ. ჭავჭავაძის მთელ პოეტურ მემკვიდრეობას და არა მხოლოდ ყოველგვარ ღირსებებსა და მნიშვნელობას

⁴⁸ ზ. მთაწმინდელი [ზ. კიკინაძე], ბესიკი, თ. ალექსანდრე ჭავჭავაძე, თ. გრიგოლ ორბელიანი, თბილისი, 1886.

პოკლებულ. უსაგნო და უზარო „მეშიარეობად“ და „შაშვის სტვენად“ მიაჩნდა იგი, არაჰედ ქართულ საზოგადოებაზე მავნე გავლენის მოხდენაშიც კი სდებდა მას ბრალს.

ზ. ჭიჭინაძე სთვლიდა, რომ ალ. ჭავჭავაძემ ფუჰად გაფლანგა თავისი პოეტური ნიჭი, „თავის თანამოძმედ ცხოვრებაში მხოლოდ არშეყული ლექსები გახადა სანატრელად და საქებაარადა, მხოლოდ ამაზე დიწყო ქადაგება“ და „თითქმის ისე გაატარა თავისი სიცოცხლე და ცხოვრება, რომ მარტო სიმკვდრით სავსე ნაწარმოებთ ლექსებს გარდა ჩვენ სხვა არა დაგვიტოვა რა, სადაც იოტის ოდენი ღირსებანი არაფერია და საიდამაც ვერც ჩვენ ვსარგებლობთ და გამოგვაქვს რამე ქართულის ლიტერატურისათვის და რომელიც ვერავითარ ჰაზრს და მიმართულებას ვერ მისცემს ქართველი ახალგაზრდობის გონებითი და ჰაზროვნებითი ლტოლვილების აღორძინებასა“.

ალ. ჭავჭავაძის ლექსებში ზ. ჭიჭინაძე ხედავდა მხოლოდ „ვარლის ბუჩქებს, ბულბულების სტვენას, წყაროს ჩქრიას, საფლავის ქვებს, და სხვათ ისეთ რამ უსულო საგნებსაც, რომლებსაც ჩვენს ცხოვრებასთან არაფერი კავშირი აქვთ“. ალ. ჭავჭავაძე და მისი ღროის სხვა მწერლები, ზ. ჭიჭინაძის დახასიათებით, „გატაცებულნი იყვნენ მუსიკალური რითმების გრეხისაგან და შავთვალთ, ლოთებთა და წითელ ლოყებთ აღწერებისაგან“, — ნაცვლად იმისა, რომ „თავისი კალმით და გრძნობებით ბევრს ხეირიან მხარეებსაც შეჰხებოდნენ“. მაგრამ მათთვის „ძველებური ჭამა, სმა, პურმარინი და ქეიფობა კმაროდა“, ხოლო „ყოველისფერი საკეთილო საქმეები მათ ფეხებზე ეკიდათ“. ალ. ჭავჭავაძის პოეზიას, ზ. ჭიჭინაძის თქმით, „კუჰ-მაძღრული უმიმართულემო ესტეტიკური კილო“ ახასიათებდა, და კრიტიკოსი აღშფოთებას გამოთქვამდა: „ესთეტიკას რა ეშმაკად ვაქნევთო“ იმ ღროს, როდესაც „მთელ საქართველოში ერთი სახალხო სკოლა არ იყო“ და ქართველების „განათლების წინსვლის საქმეები ბეწვის ხიდზე იყვნენ დაყენებულნი... აქეთკენ უმეტრებისაგან დევნილთა ხმა გამოისმოდა, იქით მონობისაგან შეწუხებულ მონათა და ყმათა, და ამ ღროის ჩვენი ესტეტიკოსი მწერლები კი გაზაფხულის შაშვებივით მღეროდნენ და უსტვენდნენ, რომელთა სტვენას და მღერას არავითარი სარგებლობა არ მოჰქონდა იმ ღროს საქართველოს განათლების წინმსვლელობისათვის“.

ზ. ჭიჭინაძის დასკვნით, ალ. ჭავჭავაძე და მისი პერიოდის სხვა მწერლები „მხოლოდ იმ საკიცხავ ღირსებებით დაფასდებიან და ესე-

ნი ისეთ კუქ-მაძღრულ მიმართულებას ადგენ და მათმა მიმართულებამაც ისეთივე შთაშოშავლობა დაბადა, რომლებშიაც მელექსეობის და მეშაირეობის მეტი არა ვრცელდებოდა რა“.

ანალოგიური შეხედულებაა განვითარებული ზ. ჭიჭინაძის 1888 წელს გამოცემულ მეორე წიგნშიც — „წერილები ქართულს მწერლობაზე“, სადაც კრიტიკოსი კვლავ დაბეჭივებით აცხადებდა: ალ. ჭავჭავაძეს „ჩვენის ერის გონებითი განვითარების აღორძინებისათვის ერთი ჩაღის ან იოტის ოდენი რამეც არ გაუკეთებიაო“⁴⁹.

ზ. ჭიჭინაძის დასახელებულმა წიგნებმა, რომლებშიც დამცირებული და შეურაცხყოფილი იყო როგორც ალ. ჭავჭავაძე, ასევე საერთოდ XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული მწერლობა, ქართული საზოგადოებრიობის მხრივ, საესებით სამართლიანად, უდიდესი გულისწყრომა დაიმსახურა⁵⁰. („ივერიაში“ გამოქვეყნებულ წერილში — „სანდალას წიგნის გამო“ ილია ჭავჭავაძემ ასეთი გამანადგურებელი შეფასება მისცა სარეცენზიო წიგნსა და მის ავტორს: „ასე გაუპატიურებული, ასე შეგინებული, ასე უშვერად და ურცხვად ავად ხსენებული ჯერ არაეისგან არ ყოფილან ჩვენი წინაპარნი, ჩვენი წარსული, ჩვენი „წმინდათა-წმინდა“. ამ სახით, შეგვაგინა მთელი ერი, მთელი ქვეყანა და ნეტავი ერთი იოტის ოდენა მანაც ლოლიკა, ცოდნა, გაგება ჰქონდეს ან მისი, რასაც ლანძღავს და ათრევს, ან მისი, რასაც უწმინდურის ხელით საქებრად ეპოტინება. მთელი წიგნი ერთი თავმოდგმული ჭუჭყია, ერთი რაღაც მურტალი ტალახია, ყოვლად უმეცრების, ყოვლად უვიცობის და უჭკუობის ფურთხით ურცხვად ახელილი“⁵¹. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ალ. ჭავჭავაძის პოეტური მემკვიდრეობის ზ. ჭიჭინაძისეული უარყოფითი შეფასებაც, არსებითად, იმავე წანამძღვრებს გულისხმობდა, რომელსაც ემყარებოდნენ სხვა კრიტიკოსებიც ალ. ჭავჭავაძის პოეზიის საზოგადოებრივ მნიშვნელობაზე მსჯელობის დროს და რომლის თანახმად, როგორც ზემოთ ითქვა, ალ. ჭავჭავაძე მხოლოდ და მხოლოდ „ვარდ-ბულბულის“ მომღერლად იყო აღიარებული, მგოსნად, რომელმაც უბადლოდ „ჰვალობდა ღვინო და სიყვარული“⁵²,

49 ს ა ნ დ ა ლ ა [ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე], წერილები ქართულს მწერლობაზე..., ე. ხელაძის სტ., 1888.

50 ი ბ. ო ლ. ხ ო ნ ე ლ ი [ი ლ ი ა ბ ა ხ ტ ა ძ ე], სახელდახლო (ცხად-სააღბლი-წყალწაღებული ამბები), გაზ. „ივერია“, 1886, № 105; [ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე], ტფ. 15 სექტემბერი, გაზ. „ივერია“, 1888, № 193.

51 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. II, 1941, გვ. 499.

52 თაე. ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძე, გაზ. „თეატრი“, 1885, № 11.

მაგრამ რომლისთვისაც „ერის წყლულებს“, მის ტანჯვას და უბედობას არასოდეს მიუყენებია დარდი და ტკივილი. ალ. ჭავჭავაძის პოეზიის საზოგადოებრივი ღირებულების შესახებ უარყოფითი შეხედულების გაბატონება, როგორც აღვნიშნეთ, პოეტის შემოქმედების ხასიათის სწორედ ამ ფართოდ გავრცელებულმა მცდარმა გაგებამ განაპირობა.

ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების შესახებ XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოების თვალსაზრისზე მსჯელობისას უთუოდ აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს მისი იდეური ბელადის — ილია ჭავჭავაძის ცნობილი „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“, სადაც ავტორი იკვლევს XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის განვითარების გზებს და გრივოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის და სხვა ქართველ ნწერალთა შემოქმედების განხილვასთან ერთად, სპეციალურად მსჯელობს ალ. ჭავჭავაძის პოეზიაზეც.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში, ალ. ჭავჭავაძის პოეზიის ხასიათის შესახებ ილია ჭავჭავაძის შეხედულების მოხსენიებისას, მკვლევარები, როგორც წესი, იმოწმებენ ილიას ჩვენს მიერ ზემოთ მითითებულ სტუდენტობისდროინდელ ლექსს — „თ. ალექსანდრე ჭავჭავაძე“, რომელშიც, როგორც სამართლიანად მიუთითებენ, „მოხდენილად არის შენიშნული ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების ძირითადი მომენტები“. (დასახელებულ ლექსში ილია „ალ. ჭავჭავაძის ლირიკას ოთხ ნაწილად ჰყოფს: — წერს პროფ. დ. გამეზარდაშვილი, — 1. ლექსები, რომლებიც „სუფრაზე დაჰფრინავენ“ 2. ლექსები, რომლებშიც „ტრფობით ისრის განაწონი“ პოეტი „შეჰყეფს სატრფოს გულსაკლავად“; 3. ლექსები, რომლებშიც ქვეყნისათვის ანატირი მგოსანი „შეჰკვნესს შავბედს ქვეყნისასა“⁵³; 4. უფრო ზოგადი შინაარსის და მნიშვნელობის ლექსები, რომლებშიც პოეტი „დაუდგრომელ დროთ ბრუნვას“ ემღერის“)⁵⁴.

მართალია, ჩვენ ვერ გავიზიარებთ იმ თვალსაზრისს, რომ ილია ჭავჭავაძის აღნიშნულ ლექსში ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების რამ-

⁵³ აღსანიშნავია, რომ ალ. ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ ცნობილ სტრიქონებს — „შეჰკვნესს შავბედს ქვეყნისასა, ქვეყნისათვის ანატირი“, არ ვხვდებით ილია ჭავჭავაძის დასახელებული ლექსის პირველ ნაბეჭდ ვარიანტში. — იხ. ილია ჭავჭავაძე, თ. ალექსანდრე ჭავჭავაძე, ჟურ. „ციცქარი“ 1861, № 4.

⁵⁴ იხ. „ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია“, ტ. I, თსუ, 1972, გვ. 11.

დენადმე სრული შეფასება იყოს მოცემული, მაგრამ უდავოა, რომ მასში სწორად არის შენიშნული და აღნუსხული ალ. ჭავჭავაძის პოეზიის თემატიკური მრავალფეროვნება, რაც, როგორც ვნახეთ, ქართული კრიტიკის მიერ დიდი ხნის განმავლობაში სრულიად შეუმჩნეველი თუ იგნორირებული რჩებოდა.

ალ. ჭავჭავაძის პოეტური მემკვიდრეობის ხასიათის, თავისებურებისა და ღირებულების დახასიათება და შეფასება ილია ჭავჭავაძის მიერ 90-იან წლებში დაწერილ ზემოაღნიშნულ „წერილებშია“ წარმოდგენილი.

მართალია, „წერილების“ ის ნაწილი, რომელშიც ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაა დახასიათებული, ილია ჭავჭავაძის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა⁵⁵ და ამიტომ იგი, ცხადია, ვერაფრითარ გავლენას ვერ მოახდენდა ვერც ქართული ლიტერატურული კრიტიკის შემდგომ განვითარებაზე და ვერც საზოგადოებრივ აზრზე ალ. ჭავჭავაძის შესახებ, მაგრამ ილია ჭავჭავაძის აღნიშნული წერილი მაინც უაღრესად საყურადღებოა ჩვენთვის, რამდენადაც იგი ნათლად გვიჩვენებს, თუ რა დამოკიდებულებაში იყო ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში იმხანად საყოველთაოდ გავრცელებულ და აღიარებულ შეხედულებასთან, რომელიც, როგორც ვნახეთ, ალ. ჭავჭავაძის მხოლოდ და მხოლოდ „სააშვიკო“, სალხინო თუ „საჯარდბუღბულო“ ლექსების ავტორად სცნობდა.

წერილის დასაწყისში, ახასიათებდა რა იმ პერიოდის ქართულ მწერლობას, რომლის წარმომადგენელიც იყო ალ. ჭავჭავაძე, ილია წერდა: „მწერლობა ჩვენი, ოცდაათიან წლებში ხელახლად ფეხადგმული, პირველ ხანს უფრო შინაური საქმე იყო, ვიდრე გარჯით მკვლევარი. შინაურს ვამბობთ, რადგან შინაურობაში იზადებოდა და ისევე შინაურობის ვიწრო წრეში ჰტრიალებდა, იმიტომ, რომ მაშინ არც ჟურნალ-გაზეთები იყო, არც ჩვეულება ცალკე წიგნად ბეჭდვისა, და სწორედ მოგახსენოთ, არც სათქმელი ჰქონდა საყოველთაო, რადგან საყოველთაო საგანი ახლად ახილებულ მწერლობის თვალისათვის მიუწვდომელი იყო, თუნდა თვით ცხოვრებაში ყოფილიყო მაგისტანა საგანი. ყველა ასაკს თავისი შემძლეობა აქვს და ახლად ფეხადგმულს ვერ მოვთხოვთ ნაბადზე გადანტომას“...

⁵⁵ ილია ჭავჭავაძის „წერილების“ შესახებ იხ. ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, III, პ. ენგოროყვას სარედაქციო შენიშვნები, გვ. 192.

ამ სიტყვებით ნათლადა გამოთქმული ილია ჭავჭავაძის შეხედულება XIX საუკუნის 30-იანი წლების ქართული მწერლობის საერთო მიმართულებისა და ხასიათის შესახებ; ილია ჭავჭავაძეს მიაჩნია, რომ აღნიშნული პერიოდის მწერლობის საგანი არ იყო საზოგადოებრივი — „საყოველთაო“ ხასიათისა და მნიშვნელობის, იგი შედარებით ვიწრო იყო, — მწერლობა იმჟამად „უფრო შინაური საქმე იყო... უფრო შესაქცევარი“, რაც ილიას აზრით, „ახლად ფეხადგმულ“ და „ახალთვალახელილ მწერლობისათვის“ სავსებით ბუნებრივია და კანონზომიერი.

„შესაქცევრად იმიტომა ვხდით იმ პირველ-დაწყებითს მწერლობას. — განაგრძობს ილია ჭავჭავაძე, — რომ იგი მარტო ერთს, თუმცა დიდგავლენიანს შტოს ლიტერატურისას ემსახურებოდა, სახელდობრ, — პოეზიას, ისიც იმ ფარგლებში, რომელსაც „ლირიკას“ ეძახიან და რომელიც უფრო თითონ მწერლის გულთა წვა-დაგვას, ჭირსა და ლხინს გვიგალობს, ვიდრე მოაზრე ცხოვრების აზრთა სვლას და წარმატებას“. და თუმცა, როგორც ვხედავთ, ილია ჭავჭავაძის აზრით, აღნიშნული პერიოდის ქართულ მწერლობას საკმაოდ ვიწროდ შემოფარგლული თემატიკური ჩარჩოები ჰქონდა, მაგრამ ასეთი შეხედულების მიუხედავად, ილია დადებით შეფასებას აძლევს მას და მიუთითებს მისი ღირსების შესახებ. „ჩვენ არ ვიტყვი, რომ ამისთანა მგალობელი მწერლობა მეტი იყოს ადამიანის ერთობ მოწყენილ ცხოვრებისათვის: — ქანცაწყვეტილი მუშაკი საკურობას ჰხედავს დაიტკბოს სიმწარე თავისი ცხოვრებისა სიმღერით და გაიქარვოს თავისი ჭირ-ბოროტი, — და ერისათვის რატომ აღარ უნდა იყოს საკურო, თვისთა მწერალთა ტკბილ გალობით ასე თუ ისე გაიქარვოს კაეშანი“. — წერს ილია და ასახელებს იმ ობიექტურ მიზეზებს, რომელთაც განაპირობებს XIX საუკუნის 30-იანი წლების ქართული მწერლობის ზემოაღნიშნული „მგალობელი“ და „შესაქცევარი“ ხასიათი. კერძოდ, ილია ლაპარაკობს საქართველოს რუსეთთან შეერთების შედეგად შექმნილი ვითარების შესახებ, როცა საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიური ცხოვრება ფაქტიურად ქართველობის ნებ-სურვილის და მონაწილეობის გარეშე მიმდინარეობდა, და „რაკი საზოგადო ცხოვრება ჩვენს კაცს ხელიდამ გამოეცალა, — აღნიშნავს ილია ჭავჭავაძე, — რაკი კაცს ხელთ შერჩა მარტო თავის-თავიდა, სხვა რა ექმნა, რომ უსაგნო გარეშემოსაგან ლტოლვილი თვალი — თავის საკუთარს სულში არ ჩაეხედებინა და იქ არ მოეკლა წყურვილი გულისთქმისა და ჭკუა-გონების ხედვისა.

ამისთანა იყო მწერლობა თ. ალ. ჭავჭავაძისა, თუ მარტო მის უმთავრესს ძარღვს მწერლობისას მივიღებთ სახეშიო“, — დასძენს ილია და შემდგომაც იმეორებს, რომ ალ. ჭავჭავაძის პოეზია „უფრო სიყვარულის კირი და ლხინი, და მაშასადამე, სიყვარულის და ტრფიალების პოეზიაა“.

ამრიგად, ილია ჭავჭავაძე, არსებითად, იზიარებს ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში იმ ხანად ფართოდ გავრცელებულ შეხედულებას ალ. ჭავჭავაძის პოეზიის ხასიათის შესახებ, თუმცა გაბატონებულ მოსაზრებათაგან განსხვავებით, როგორც დავინახეთ, სატრფიალო ლირიკას პოეტის ნაკლად თუ ეოდვად კი არ სთვლის, არამედ ამართლებს მის არსებობას და მის დადებით მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას. ამასთანავე — რაც ამჟამად ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, — ილ. ჭავჭავაძე არ კმაყოფილდება ალ. ჭავჭავაძის პოეზიის მხოლოდ „უმთავრესი ძარღვის“ აღნიშვნით და მიუთითებს პოეტის შემოქმედებაში „მოქალაქური“, „მამულისშვილური გულისტკივილის“ არსებობის შესახებაც.

ალ. ჭავჭავაძის პოეზია, ილია ჭავჭავაძის აზრით, „სიყვარულსა და ტრფიალების პოეზიაა“ — „თუ მარტო მის უმთავრესს ძარღვს მწერლობისას მივიღებთ სახეში, თორემ ამ ტკბილ მტკმელსაც საყოველთაო უნუგეშ-ყოფამ მაშინდელის დროისამ წარმოათქმევინა ერთგან თავისი სამძიმარი, საცა ისმის ეგრეთ-წოდებული „მოქალაქური გულისტკივილი“ მის გამო, რასაც გულში იმაღავდა მაშინდელი ცხოვრება“. ილია ჭავჭავაძეს ციტატა მოაქვს ალ. ჭავჭავაძის ლექსიდან „ვაპ. სოფელსა ამას“ („ძალი დავალს ღამით ნაქცევთა ზედა“... და ა. შ.) და განაგრძობს: „ეს ძალი, რომ ღმერთს დადიოდა ნაქცევთა ზედა და ფეხით ჰლახავდა გზადაგზა სიმაართლის ყვავილსა, რომელნიცა სქენებოდნენ მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეკით, — ნათელი სურათია მაშინდელის ყოფა-ცხოვრებისა. პოეტი უჩივის ამ ყოფას და უქადის, რომ დრო მოვა და სხვა იქნებაო, და ამბობს გაფრთხილდითო...“ აქ ილია კვლავ ახდენს ალ. ჭავჭავაძის ლექსის ციტირებას („რომელნიც აწწარებთ ღარიბთ ცხოვრებას“... და ა. შ.) და დასძენს: „ამ სხვა დროთა მოსვლის იმედი გულიდამ ამოღებული არა ჰქონია ჩვენს პოეტს. პირიქით, იგი ამბობს: „რადგან იქნება. სულგრძელობა იხმართ რად არ, ნუთუ კვლავ ღმერთმან გკურნოთ ერთმან..“ და თუ სწუხს, მარტო იმას, რომ ვაი, თუ მე ვეღარ მოვესწროო, იმას ვსტირიო, ამბობს იგი: „...ვაპ, თუ ვესწრა ვერ, თვარაღა ეამი, გულთ მაამი, კვლავაცა იქნების“.

ამრიგად. როგორც ვხედავთ, ილია ჭავჭავაძე, ალ. ჭავჭავაძის ორი ლექსის („ვაჰ, სოფელსა ამას“ და „პყრობილისაგან თანაპრობილთა მიმართ“) მაგალითზე მსჯელობს პოეტის „მოქალაქურის გულისტივილისა“ და უკეთეს, „სხვა დროთა“ მოსვლის იმედის შესახებ. მაგრამ უთუოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ილია „მამულის-შვილურ გულისტივილს“ ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში მხოლოდ „მცირე ნაკადულად გამონაწურად“ სთვლიდა და საგანგებოდ მიუთითებდა: „...ხოლო ამისთანა საზოგადო ყოფისაგან ამოკვნესილი სიტყვა და ნუგემ-მცემელი იმედი უმთავრესი ძარღვი არ არის ალ. ჭავჭავაძის პოეზიაში, რომელიც უფრო სიყვარულის ჭირი და ლბინი, და მასასადამე, სიყვარულის და ტრფიალების პოეზიაა. და თუ ეს ცალკე მაგალითები მოვიყვანეთ მამულის-შვილურ გულის-ტივილისა, მარტო იმისათვის, რომ ვნახოთ, — მაგისთანა გულის-ტივილის. მერე სამოციან წლებში ეგრე გაძლიერებულს ჩვენს მწერლობაში, სათავე სადა ჰქონია და მცირე ნაკადულად გამონაწერი მერე როგორ გაზრდილა და უმატნია“. „ხოლო სამოციან წლებამდე — ალ. ჭავჭავაძემ დაწყებული, — ჩვენი პოეზია, თითოოროლა მაგალითებს გარდა, ისიც ორმოცდაათიან წლების ბოლო ხანებში, დაჰუფუნებდა ჩვენის დიდ-კაცობის გულთა-თქმას, თითქო უკადრისობს ამათ გარე რაიწე საგანი უპოვოს პოეზიასო. სამოციან წლებმა ამ ვიწროდ შემოღობილს სარბიელს ჩვენის პოეზიისას თავისი ტალღა გაჰკრეს და შემოამტკრიეს ღობეები“...

როგორც ვხედავთ, ილია ჭავჭავაძის „წერილებში ქართულ ლიტერატურაზე“, ალ. ჭავჭავაძის პოეზიის ძირითად მოტივად — სატრფიალო მოტივია მიჩნეული და არა ეროვნული. მაგრამ მიუხედავად ამისა, აღნიშნული კრიტიკული წერილი ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების შესწავლის ისტორიისათვის უდიდესი მნიშვნელობის მქონეა, რადგან იმ პერიოდში, როცა ქართული ლიტერატურული კრიტიკა, როგორც ზემოთ დავინახეთ, ალ. ჭავჭავაძეს მხოლოდ და მხოლოდ „სააზიკო“, „სალბინო“, თუ „სავარდებულბულო“ ლექსების ავტორად სცნობდა, პირველად ილია ჭავჭავაძის დასახელებულ წერილშია მითითებული ალ. ჭავჭავაძის პოეზიის ეროვნული მოტივის შესახებ. სწორედ ამაშია დიდი ღირსება ილიას ამ კრიტიკული წერილისა, რომელიც ახალი სიტყვა იქნებოდა XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, იმ ხანად რომ ღირსებოდა ქართულ პრესაში გამოქვეყნება.

ასეთი იყო ვითარება ეროვნულ პრობლემასთან ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების მიმართების შესწავლისა და შეფასების მხრივ, როცა

1898 წ. ჟურნალ „მოამბეში“ გამოქვეყნდა კიტა აბაშიძის კრიტიკული ეტიუდი — „თ. ალექსანდრე ჭავჭავაძე“⁵⁶, რომელიც ახალგაზრდა კრიტიკოსისათვის XIX საუკუნის ქართული მწერლობის შესწავლისადმი მიძღვნილ პირველ ნაშრომს წარმოადგენდა.

კიტა აბაშიძის აღნიშნული კრიტიკული ეტიუდი უაღრესად მნიშვნელოვანი ნაბიჯია ალ. ჭავჭავაძის მხატვრული შემოქმედების „ნამდვილი ხასიათისა“ და მისი ქეშმარიტი ღირებულების შეცნობის გზაზე, აღპავალი ეტაპი როგორც ქართული ლიტერატურის ისტორიაში ალ. ჭავჭავაძის ადგილის გარკვევის ცდითა და პოეტის შემოქმედების რომანტიკული ბუნების აღიარებით (რაც სრულიად ორიგინალური შეხედულება იყო ალ. ჭავჭავაძის პოეტური შემოქმედების შესახებ), ასევე — მისი პოეზიის ძირითადი განწყობილებებისა და მათი განმაპირობებელი მიზეზების შესახებ ახლებური, ძირითადად მართებული თვალსაზრისის წამოყენებითა და დასაბუთებით.

ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების ირგვლივ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში, კიტა აბაშიძის კრიტიკული ეტიუდი ალ. ჭავჭავაძეზე, მეტწილად, დამოწმებულია როგორც ნიმუში (ზოგჯერ — როგორც ერთადერთი ნიმუშიც კი) ალ. ჭავჭავაძის პოეზიის ხასიათის შესახებ — საკუთრივ, ეროვნულ სინამდვილესთან პოეტის შემოქმედების მიმართებაზე, — XIX საუკუნის ქართველ კრიტიკოსთა ერთი ნაწილის მცდარი შეხედულებისა, რომელიც მკვეთრად უპირისპირდებოდა პროგრესულად მოაზროვნე ქართული საზოგადოებებს მოწინავე წარმომადგენლების, კერძოდ, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მიერ ამ საკითხის მართებულ გააზრებას.

მაგრამ ასეთი შეხედულება არასწორ წარმოდგენას გვიქმნის როგორც კიტა აბაშიძის როლზე ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების კვლევის ისტორიაში, ასევე, საერთოდ, გასულ საუკუნეში ალ. ჭავჭავაძის პოეტური მემკვიდრეობის შესწავლის ფაქტიურ მდგომარეობაზე.

ალ. ჭავჭავაძის პოეზიის ხასიათსა და თავისებურებებზე კიტა აბაშიძის მიერ გამოთქმულ შეხედულებათა მართებული გაგებისა და შეფასებისათვის აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს კიტა აბაშიძის რამდენიმე ამოსავალი დებულება, რომელიც საფუძვლად დაედო კრიტიკოსის თვალსაზრისს ეროვნულ სინამდვილესთან როგორც საკუთრივ ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების, ასევე, საზოგადოდ.

⁵⁶ იხ. კიტა აბაშიძე, ეტიუდები ქართული ლიტერატურიდან, თ. ალექსანდრე ჭავჭავაძე, ჟურნ. „მოამბე“, 1898, № 4, გვ. 56—78.

XIX საუკუნის ქართული რომანტიკული პოეზიის მიმართების შესახებ.

პირველ ყოვლისა, გასათვალისწინებელია, რომ კიტა აბაშიძის თეალსაზრისის თანახმად, „რომანტიკული ლირიზმის აღყვავებას ჩვენსა ნიადაგს აძლევდა ის ანარქია, რომელიც სუფევდა ჩვენს საზოგადო აზრის მიმართულებაში“⁵⁷, და რომ ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაშიც აისახა ეს „განურკვეველობა“ ქართული საზოგადოებრივი აზრისა. მაგრამ რას გულისხმობს ან რას ემყარება კიტა აბაშიძის აღნიშნული თვალსაზრისი?

ვასტული საუკუნის ქართული მოწინავე საზოგადოება ნათლად ხედავდა, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთების შედეგად — იღია ქვეყანის სიტყვით რომ ვთქვათ, — „დამშვიდდა დიდი ხნის დუმილებელი. დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აობრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დადუმდა ყლერა ხმლისა და ნახვილისა, მტრისა ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლ-შვილებზე. გაქტრა ცეცხლი, რომელიც სწვავდა და ჰბუგავდა ჩვენს შაჰა-შაჰათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს. გათავდა რბევა და აკლბა. მიეცა წარსულს და მართო საშინელ და შემადრწუნებელ საბზოვრადლა დაგვრჩა“⁵⁸; ჩვენს ქვეყანას „დაუდგა ახალი ხანა, ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა“, ეს კი აუცილებელი იყო მისთვის — „ილაჯგაწყვეტილისათვის შინაურ ამბოხებისაგან ცალკე, და ცალკე გარეულ მტერთა ზედმოსევისა, ხოცვისა და რბევა-აკლენისაგან... ბანგრძლივ შფოთებს შემდეგ სვენება უპრიანი, როგორც ცალკე კაცისათვის, ისე მთელი ერისათვის. ამას ბუნება მოითხოვს“⁵⁹.

მაგრამ, მეორე მხრივ, იმთავითვე თანდათან აშკარად გახდა მეფის თვითმპყრობელობის პოლიტიკური. გეზი — ჩვენს ქვეყანაში „ეროვნულ-ქართულის“ აღმოფხვრისა და „რუსულ-სახელმწიფოებრივი“ წესის დამკვიდრებისა. „რუსეთის მთავრობამ, — კიტა აბაშიძის სიტყვით, — აქაო და ძალა აღმართსა ხნავსო, საერთაშორისო პირობაც კი დაარღვია“, — გააქარწყლა გიორგიევსკის ტრაქტატი, — „თავისი ტლანქი ქუსლებით გასთელა წამებული საქართველოს დი-

57 იხ. კიტა აბაშიძე, ეტიუდები ქართულის ლიტერატურიდან, ჟურ. „მოამბე“, 1898, № 5, გვ. 52.

58 ილია ქავეკავაძე, თხზულებათა სრული კრებული... ტ. IV, 1955, გვ. 215.

59 ილია ქავეკავაძე, თხზულებათა სრული კრებული... ტ. III, გვ. 203.

დებული წარსულის ანდერძი, ნაფლეთ ქაღალდად აქცია ერის ცრემლითა და სისხლით ნაწერი საბუთი, ერის მომავლის განმამტკიცებელი“... საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილად იქცა და სასტიკი ეროვნულ-კოლონიური ჩაგვრის პოლიტიკა, რომელსაც ცარიზმი ანხორციელებდა რუსეთის იმპერიის არარუს ხალხთა მიმართ, უმძიმეს უღელად დააწვა ქართველ ხალხს: „დაქრილი, დაკოდილი და სისხლისაგან დაწრეტილი საქართველო რუსეთის ორთავიანი არწივის კლანკებში იყო ჩავარდნილი და იქ ფართხალებდა, მისი შემწე და მფარველი არსადა სჩანდა“⁶⁰.

დღეს, როდესაც საქართველოს რუსეთთან შეერთების ფაქტს ისტორიული თვალსაზრისით განვიხილავთ, ჩვენთვის აშკარაა, რომ „საქართველო თანდათან გაერთიანდა მეფის რუსეთის მფლობელობაში და მშვიდობიანი განვითარების გზაზე გამოვიდა. ქართველი ხალხი დაუახლოვდა დიდ რუს ხალხს. მან განიცადა არა მარტო მძიმე ეროვნულ-კოლონიური ჩაგვრა თვითმპყრობელობის მხრივ, არამედ რუსი ხალხის კულტურულ-ეკონომიური ცხოვრების დიდი პროგრესული გავლენაც. მას შემდეგ ქართველები და რუსები თანდათან გაერთიანდნენ როგორც საერთო საგარეო მტრების, ისე შინაური მჯავრელების — ცარიზმის და ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

შემდგომმა ისტორიულმა განვითარებამ ნათლად დაადასტურა, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთებას ჩვენი ქვეყნისათვის უდიდესი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა.

დიდ რუს ხალხთან კავშირში და მისი დახმარებით ქართველმა ხალხმა დიდი ოქტომბრის რევოლუციის შედეგად, მოიპოვა შეუზღუდველი თავისუფლება და საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში თავისი ბედნიერი მომავალი სამარადისოდ უზრუნველყო“⁶¹. — ასე აფასებს თანამედროვე ისტორიოგრაფია საქართველოს რუსეთთან შეერთების უდიდეს მნიშვნელობას ქართველი ერის ცხოვრებაში.

მაგრამ საქართველოს რუსეთთან შეერთების პირველ ხანებში, მათთვის, ვინც საკუთარ თავზე იწვნია ქართველი ერის ცხოვრებაში მომხდარი ამ უდიდესი გარდატეხის არა მარტო დადებითი, არამედ უარყოფითი შედეგებიც. ბუნებრივია, შეუძლებელი იყო იმავეითვე ერთიანი, მართებული თვალსაზრისის შემუშავება შექმნილი ვი-

⁶⁰ კ ი ტ ა ა ბ ა შ ი ძ ე, პოლიტიკური რომანტიზმი, ჟურ. „მომავლ“, 1905. № 1, ნაწ. 11, გვ. 13.

⁶¹ საქართველოს ისტორია, I, 1956, გვ. 368—369.

თარებისა და, მით უმეტეს, ქართველი ერის ბედნიერი მომავლის შესახებ, ბუნებრივია თანაარსებული განსხვავებული შეხედულებები ეწობელი ქვეყნის აწმყოსა და მისი მომავლის პერსპექტივებზე.

ქართული რომანტიკული პოეზიის ხასიათისა და განწყობილებათა განსაზღვრაში კიტა აბაშიძეს უაღრესად მნიშვნელოვან ფაქტორად მიაჩნდა 1832 წლის შეთქმულების დამარცხება და ის სულიერი ატმოსფერო, რომელმაც მოიცვა „საქართველოს იმ დროის დამამშვენებელი გონების არისტოკრატია“ ამ „რომანტიკული პოლიტიკური ამბავის“ სავალალო დასასრულის შემდეგ.

აღსანიშნავია, რომ 1832 წლის შეთქმულების გამომწვევ მიზეზად კიტა აბაშიძე რუსეთის მონარქების მიერ საქართველოსა და რუსეთს შორის დადებული ტრაქტატით გათვალისწინებული პირობების თვიანებურ დარღვევას მიიჩნევდა — ტრაქტატისა, რომლის ჩელშეუხებლობა თვით რუსეთის გვირგვინოსანთა „ხელის მოწერითა და სიტყვით: უავგუსტოესი ფიცითი აღთქმით იყო დადასტურებული“. მაგრამ თუ „ერთი ხელით პაეღე I ამ აღთქმასა და ტრაქტატს აწერდა იმპერატორებითის დიდებულების ხელს, — შენიშნავს კიტა აბაშიძე, — მეორეთი „უქაზებს“ წერდა საქართველოს რუსეთის გუბერნიად გარდაქმნის შესახებ. და რაღა თქმა უნდა, რომ ასეთი უეცარი დარღვევა სიტყვისა, ყინულზედ დასმა მთელის სამეფო გვარეულობისა [რომელიც სამეფოს დამოუკიდებლობის იურიდიული სიმბოლო იყო]⁶² და ქვეყნის გაბიაბრუება გულში ლახვარივით მოხვდა ყოველ შეგნებულ ქართველს და რუსეთის მთავრობის წინააღმდეგობამ იმთავითვე დაიბუღა გულში: ძმობისა და მზარველობის მაგიერ მათ წაართვეს ქართველებს ის, რის დასაცველადაც წყდებოდა და თავსა სდებდა ხალხი საუკუნეების განმავლობაში; ნახევრად გასწირა თავისუფლება, ქრისტეს ჯვარი წინდად დასდვა მეგობრობისა და ეგონა, რომ ეს ჯვარი იქნებოდა საუკეთესო მოწამე და ბეჭედი საიმპერატორო პირობისა. მაგრამ მოტყუებული დარჩა. სამშობლოც დაჰკარგა და ის ჯვარი, რომელიც ნაციონალური აზრის გამომსახველი და მფარველი იყო მისთვის, დღეიდან გამაუბედურებელ საგნად შეიქნა“.

კიტა აბაშიძის სიტყვით, გასაგებია, რომ ამ „უეცარმა მოტყუებად, ლალატმა მტრად გადაქცეულის მეგობრისამ, გული აუთუთქა მთელს საქართველოს, სათარეშოდ შემოსეულ ჩინოვნიკთა აღვირ-

⁶² ტექსტი აღდგენილია ჟურ. „მოამბის“ კიტა აბაშიძის მიერ ნასწორები ცალის მიხედვით.

ახსნილმა ურცხვობამ გააბრაზა თავადაზნაურობა, ააშფოთა და ააღელვა მთლად მთელი ხალხი... ქართველების გულში წინააღმდეგობისა და უმადურების თესლმა ღრმად გაიდგა ფესვი“, და ამ აღშფოთებისა და წინააღმდეგობის გამომხატველი იყო როგორც „ანეკდოტით, პარტიზანული აჯანყებები“ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (მთიულეთში, კახეთში, იმერეთში, გურიაში, სვანეთში), ასევე 1832 წლის შეთქმულებაც, რომელშიც „რაიმენაირი მონაწილეობა მიუღია ყოველ იმ დროის ქართველს, რომელსაც რაიმე აზრი და გრძნობა ჰქონდა, ანდა რაიმე ადგილი ეკავა იმ დროის ქართველ საზოგადოებაში“⁶³.

1832 წლის შეთქმულება კიბა აბაშიძისათვის არ წარმოადგენდა მარტოდონ „ბრწყინვალე წოდების“ შეთქმულებას. ეს იყო, ამავე დროს, „შეთქმულება ქართული საზოგადოების განათლებულის წრისა“, და თუ მას, ერთი მხრივ, „მართალია, უმადლესი არისტოკრატია ედგა სათავეში, მაგრამ საქართველოს იმ დროის დამამშვენებელიც — გონების არისტოკრატიაც მეთაურობდა ამ საქმეს“. ამდენად, კიბა აბაშიძის აზრით, სავსებით ბუნებრივი იყო, რომ შეთქმულების დამარცხებას წარუშლელი დაღი დაესვა აღნიშნული პერიოდის ქართული საზოგადოების სულიერ ცხოვრებაზე და მნიშვნელოვნად განესაზღვრა ქართველ მწერალთა შემოქმედების ხასიათი: „ჩვენი სეველისა და კაეშნის გენიოსი—ბარათაშვილი იმ დროს აბუთამეტი წლისა იყო და უთუოდ ბავშვობა არ აძლევდა ნებას გარეუღიყო საქმეში, — წერდა კიბა აბაშიძე. — თორემ სხვები, ჩვენის რომანტიკულის ლიტერატურის წარმომადგენელი, ყველა მონაწილეობას ლებულობდა, — ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ვახტ. ორბელიანი, ალ. ორბელიანი, გ. ერისთავი, — და ყველა მათზე ამ შემთხვევამ იქონია სასიკვდილო და სასიცოცხლო გავლენა, წარუხოციელი მშუმნვარების ბეჭედი დაასვა მათ ლირიკას და საუკუნოდ წარუწყმია მათ იმედი“⁶⁴.

შეთქმულების დამარცხებამ მართლაც სასიკვდილო ლახვარი ჩასცა „ორთავიანი არწივის კლანჭებიდან“ სამშობლოს დახსნის იმედს. ოცნებას სამშობლოს განთავისუფლებაზე მკაცრი სინამდვილე დაუპარისპირდა, რომელმაც ნათლად დაანახვა ქართველობას, თუ რა

⁶³ კიბა აბაშიძე, პოლიტიკური რომანტიზმი, ჟურ. „მომბე“, 1905, № I, გვ. 12—14.

⁶⁴ იქვე, გვ. 46.

შედგვი მოჰყვებოდა ძლევამოსილ რუსეთ-ხელმწიფესთან უთანასწორო კიდილს; აშკარა გახდა, რომ ძველ ოცნებებს ასრულება არ ეწერა, და თუ სულს კვლავ თავისუფლება სწყუროდა, — სინამდვილე დაჟინებით ითხოვდა მასთან შეგუებას. გზა ხსნისა არსაით ჩანდა და, ბუნებრივია, რომ ქართულ „მოაზრე საზოგადოებაში“ კვლავ „აზრთა გაურკვეველობას“ დაესადგურა რას უმზადებს მომავალი მრავალკირნახულ საქართველოს, სამუდამოდ დაეცა იგი, თუ კვლავ აღდგება „ახლის შვენებით“; რაშია საწინდარი მისი განახლებისა და აღორძინებისა, რაზეა დამოკიდებული მისი კეთილდღეობა? — ამ კითხვებზე არ არსებობდა ერთიანი პასუხი, ერთიანი თვალსაზრისი, და ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაშიც — კიტა აბაშიძის შეხედულების თანახმად, — მთელი თავისი სირთულით აისახა ეს გამოურკვეველობა XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრივი აზრისა. ხოლო „ყველაზედ უფრო ძლიერი განურკვეველობა საზოგადო აზრთა მიმართულებისა — კიტა აბაშიძის აზრით, — ეტყობა ალ. ჭავჭავაძეს, შემდეგ გრ. ორბელიანს, და წარმოიდგინეთ, ამ გზას ვერც ბარათაშვილის გენიოსობა ასცდა“⁶⁵. და ეს სავსებით ბუნებრივია ასე მომხდარიყო, რადგან ყოველი ხელოვანი, ყოველი შემოქმედი „გამომსახველია ეპოქის მიმართულების, ერის კვნესა-გოდების, მისი მხიარულების, იმედების, სასოების, სასოწარკვეთილებისა და უსასოების, სეედისა და ვარაზის, გამომხატველია იმ აზრების, რომლებიც დატრიალებს ერში... და რომელსაც მისი ნიჭიერების ნაზი აპარატი სავსებით აღბეჭდავს ხოლმე“; XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში კი ჯერ კიდევ არ არსებობდა — და არც შეიძლებოდა არსებულებიყო, — მტკიცედ შემუშავებული და თანმიმდევრული ეროვნული პროგრამა, — ის „წინადავე განსაზღვრული გეზი ცხოვრებისა და მოქმედებისა“, ის „საერთო ერთი მიზანი, ერთი აზრი, ერთი იდეალი“, რომლის დამკვიდრება ქართულ სინამდვილეში 60-იანი წლების დიადი ეპოქის სახელოვან ქართველ მოღვაწეთა დამსახურებას წარმოადგენს.

მაგრამ რომანტიკული ოცნებების გაცრუებამ და შექმნილიმარეალურმა ვითარებამ, „ჩრდილოს წყვილიადმა“ და „ქარბან ჩრდილოსამ“ ვერ ჩააქრო და ვერ გაანელა ქართველ მამულიშვილთა მხურვალე სიყვარული სამშობლოსადმი. სწორედ სამშობლოს ძნელებდობამ, „ცხოვრების უსასო მდგომარეობამ წარუწყმიდა აზრი და მოუწამლა გრძნობა, სასოწარკვეთილებაში ჩააგდო და გული გაუ-

⁶⁵ კიტა აბაშიძე, ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ, ტ. 1, ქუთაისი, 1911, გვ. 154.

ტეხა“ ქართველ რომანტიკოს პოეტებს. სწორედ მამულის თავისუფლების დაკარგვით აღძრულმა სევდამ და მშობელი ერის გმინვამ დასდალა წარუხოცელი მკმუნვარების დაღი ქართული რომანტიკული ლირიკა. „ანკი რა ნება აქვს ციურის მადლით მოსილს მწერალს. — წერდა კიტა აბაშიძე, — გაუჰმღარის, უდარდელის და უზარო ბურჯუას ოპტიმიზმით იტყუოს თავი და სხვებიც ატყუოს; ვისა აქვს ნება, სამხიარულო ჰანგები შეჰოსძახოს, როცა სამგლოვარო ზარი ისმის მისი მეგობრისა და მეზობლის ოჯახში“; „უბედურის მამულის შვილი არ შეიძლება იყოს ბედნიერი, თუ აგი პირუტყვი არ არის“, რადგან „მხოლოდ იმ ქვეყნის და იმ მხარის ბედნიერება არის კერძო პიროვნების სრული გამაბედნიერებელი, საცა ეს პიროვნება შობილა და გაზრდილა“⁶⁷. და თუკი ჩვენს რომანტიკულ პოეზიაში, ისევე როგორც საერთოდ XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში, „ისმის განუწყვეტელი ღრმა კვნესა და გოდება, — კიტა აბაშიძის რწმენით. — ეს უსაქმურთა და მოცილითა გამოგონილი კი არაა, მთელი ერის სულის განწყობილების გამოძახებელია, საერო ნიადაგზე აღმოცენებული“⁶⁸.

ქართველ რომანტიკოს პოეტთა მიმართების გარკვევა „ქართველი ერის დარდისა და მწუხარებისადმი“, — გარკვევა იმისა, თუ რამდენად „ღრმად ჩასწვდა ხალხს გულში“ ესა თუ ის პოეტი და რამდენად სრულად გვამცნო „ამ გულისა და სულის ნადები“; „გარკვევით ესმოდა თუ არა, და შეიგნო თუ არა პოეტმა, რა აკვნესებდა და აგოდებდა ერსა“, — კიტა აბაშიძისათვის, ისევე, როგორც საერთოდ XIX საუკუნის ქართული სალიტერატურო კრიტიკისათვის, ერთერთ ძირითად ამოსავალს წარმოადგენდა ქართველ რომანტიკოსთა პოეტური მემკვიდრეობის ღირებულების შესაფასებლად.

ამრიგად, თუ თანამედროვე ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში. როგორც მიუთითებენ, — ქართველ რომანტიკოსთა მსოფლმხედველობის პროგრესულობისა და რეაქციული ბუნების შესახებ სრულიად სამართლიანად ვმსჯელობთ იმის მიხედვით, თუ როგორაა მათ შიერ გაგებული ქართველი ხალხის კემშარბიტი ნება და გადაწყვეტილება — დიდ რუს ხალხთან სამედამო მეგობრობის შესახებ“⁶⁹, XIX საუკუნის ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში და,

66 კიტა აბაშიძე. XIX საუკუნე საქართველოს ლიტერატურისათვის, გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1901. № 1347, გვ. 3.

67 კიტა აბაშიძე, „ეტიუდები“... ტ. I, გვ. 154.

68 იქვე, გვ. 7.

69 ასალი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1956, გვ. 64.

კერძოდ. კიტა აბაშიძის „ეტიუდებშიც“ აქცენტი იმაზეა გადატანილი. თუ როგორი ასახვა ჰპოვა ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში მშობელი ერის კვნესამ და დრტიენვამ ეროვნული ჩაგვრის წიმივე უღელქვეშ და მისმა დაუოკებელმა სწრაფვამ ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისაქენ. მაგრამ ქართველ რომანტიკოსთა პოეტური მემკვიდრეობის შეფასების ეს ორი — ერთი შეხედვით, მკვეთრად განსხვავებული წესი, ფაქტიურად არათუ არ უპირისპირდება და არ გამორიცხავს ერთიმეორეს, არამედ ავსებს ერთმანეთს და შესაძლებლობას ქმნის მთლიანი, დასრულებული წარმოდგენა შევიმუშაოთ არსებული სინამდვილისადმი, შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარებისადმი ჩვენი რომანტიკოსების დამოკიდებულების საკითხზე: ქართველი ხალხის სანუკვარი სურვილი დიდ რუს ხალხთან ურღვევი მეგობრობის დამყარებისა, არ გამორიცხავდა და არც ასუსტებდა მის ლტოლვას ეროვნული ჩაგვრის მძიმე ხუნდებისაგან თავის დასაღწევად, და ქართველ რომანტიკოსს პოეტთა შემოქმედებაშიც, მეტ-ნაკლები სისრულითა და სიმკვეთრით, მშობელი ერის ეს ორივე მისწრაფება აისახა. ამდენად, კრატერიუმი, რომელსაც იყენებდა კიტა აბაშიძე ქართველ რომანტიკოსთა პოეტური მემკვიდრეობის ხასიათის განსაზღვრისა და შეფასებისათვის, თუ ერთი მხრივ, სრულყოფილად და საკმარისად ვერ იქნება მიჩნეული, მეორე მხრივ, მისი მომარჯვება, უთუოდ, სავსებით გამართლებული იყო და აუცილებელიც, რამდენადაც, მიუხედავად ქართული რომანტიკული პოეზიის მოტივებისა და განწყობილებების ნაირგვარობისა, მის ერთ უმთავრეს, განმსაზღვრელ ნიშანს — არსებულთ დაუქმყოფილებლობა, გარემოსთან ვერშეგუება, მისადმი უარყოფითი დამოკიდებულება წარმოადგენდა, — ხოლო გარემომცველი სინამდვილისადმი ამ შეურიგებელ კონფლიქტს, უდავოა, ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების კონკრეტული ვითარება ედო საფუძვლად.

როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, XIX საუკუნის დამლევისათვის (აღ. ჭავჭავაძის შემოქმედების შესახებ კიტა აბაშიძის ზემოთ მითითებული კრიტიკული ეტიუდის გამოქვეყნებისას) საოველთაოდ გავრცელებული შეხედულება აღ. ჭავჭავაძეს ეპიკურელ და ანაკრეონტელ პოეტად თვლიდა, და გამომდინარე ამ შეხედულებიდან, პოეტის შემოქმედებას, მისი საზოგადოებრივი ღირებულების თვალსაზრისით, უაყროფით შეფასებას აძლევდა.

კიტა აბაშიძის კრიტიკული ეტიუდი აღ. ჭავჭავაძეზე პირველია ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში, რომელშიც პრინციპულად

არის დაგმობილი ალ. ჭავჭავაძის პოეტური მემკვიდრეობის ასეთი შეფასება და მისი პოეზიის ხასიათის შესახებ ამ ფართოდ გავრცელებული და უკვე ტრადიციით დაკანონებული შეხედულებისაგან დიამეტრალურად განსხვავებული თვალსაზრისია წამოყენებული.

„ჩვენში გავრცელებულია უცნაური აზრი, — აღნიშნავდა კიტა აბაშიძე, — ვითომც ალექსანდრე ჭავჭავაძე „ვარდ-ბულბული“ მომღერალი პოეტი იყოს, ეპიკურას მიმდევარი და ვითომც პირადის, არა უმაღლესის გრძნობების დაკმაყოფილების მეტი არა ახსოვდა რა. მეტად უსამართლოა ეგრეთი აზრი ნიჭიერისა და გრძნობიერის პოეტის შესახებ“.

დავუშვათ, განაგრძობს კ. აბაშიძე, ვითომც ეს მართლაც ასე იყო და ალექსანდრე ჭავჭავაძე ქეიფისა, „აშიკობისა და ლაღობის“ გადაჭარბებული მიმდევარი ყოფილიყო“, როგორც ეს მის კრიტიკოსებს მიაჩნიათ, — „ამ შემთხვევაშიც ყოველად აუცილებელია, რომ სარჩული მოუძებნოთ და მიზეზი ეგრეთს ცალმხრივობას გრძნობათა გამოთქმაში, ეგრეთს გატაცებას ერთისა და იმავე გრძნობით. უნდა გავითვალისწინოთ და გამოვარკვიოთ. რატომ მოხდა, რომ ეგრეთი ნიჭიერი კაცი, ნაზ-გრძნობიერი პოეტი, საზოგადო უბედურების დღეს ქეიფისა და თამაშის მეტს არას დაეძებდა.

ვთქვათ, კაცმა თავის გასართობლად და დარდების დასაფიქვებლად ქეიფსა და ლხინს, არსიყობასა და დარდიმანდობას მიჰყო ხელი. ვთქვათ, კაცმა სიცოცხლე მოშხამულ-გამწარებულმა და გულ-მოწყულულმა „ღვინის ჩაღლევით“ მოისურვა თავის გაართობა. თუ მართლაც ამ ვაებატონის ოხვრა, კაემანი ადვილად განქარვდება პირველისავე ლამაზი თვალების დანახვით და გინდ პირველისავე ყანწის გადაკვრით, — მას უკვე მოუპოვებია ნავთსაყუდარი თავისი ბუნებისათვის. მისი ტანჯვა-ვაება, ოხვრა და კვნესა ქარის მოტანილი ყოფილა და ქარივე წაიღებს. მისი კვნესა გამოწვეული იყო უთუოდ არა პატივსადები მიზეზებისაგან, რომელიც ადვილი მოსასპობი იყო, მისი ნაღველი, სჩანს, არა ყოფილა სულის სიღრმიდან ამონაკვნესი, ძირითადი, მთელი მისი ტანჯული ცხოვრების შედეგი ფილოსოფია.

ხოლო როცა ადამიანის ოხვრა, ვაება და გლოვა წუთიერი კი არ არის და უმნიშვნელო მიზეზებისაგან გამოწვეული, არამედ არსებითია. როცა ამ ოხვრას სარჩულად უღვეს არა მარტო პირადი ბედნიერება და უბედურება, არამედ როცა ეგრეთის პესიმისტურის განწყობილების მიზეზი და გამომწვევი არის მსოფლიო, კაცობრიობისა და გინდ თავისი ერის მდგომარეობა, და როცა ეგრეთს კაცს, ამა თუ

~5 პოეტით, სხვა შეება ვერ მოუპოვებია თუ არ წუთიერი თავის ღაღიწყება. სხვადასხვა ვნებათაღელვის დაკმაყოფილება, — მაშინ ვერც კაცი. მერწმუნეთ, ვერც იქ იპოვნის ვერაფერად ნავთსაყუდელს თავისი აღშფოთებულისა და უიმედობით აღსავსე სულიანთვას. მას ჰგონია, რომ ამით თავდავიწყებას მიეცემა და თავდავიწყების შავერ ერთიორად იმწვავებს თავისსავე ტანჯვასა“.

კ. აბაშიძის სიტყვით, „თუ ალ. ჭავჭავაძე მოქეიფეთა გუნდს ეკუთვნის, მაშინ მხოლოდ იმ მოქეიფეთა გუნდს, რომელსაც ქეიფისათვის მიუშართავს როგორც უკანასკნელის საშუალებისათვის ტანჯულის გულის ოხვრის გასაქარებლად“...

კიტა აბაშიძის დასკვნით, ალ. ჭავჭავაძე, მთელ რიგ კრიტიკოსთა მიერ „ეპიკურულად მიჩნეული, სწორედ ისეთ პოეტს წარმოადგენს. რომელსაც ერთხელაც არ მოუშართავს თავისი ქნარი ისე, რომ კვნესით აღსავსე ჰანგები არ დაემღერებინოს ზედა, ერთხელაც არ ჩამოუყრავს სიმები თავისის ჩონგურისა, რომ ცრემლის მომგვრელი სამგლოვიარო ხმები არ გამოეცეს მის ჩონგურსა... მთელს მის ნაწარმოებს დაღვრემილობისა და სევდის კილო ამჩნევია, მკმუნვარების კოლორიტით შემოსილია“.

ამგვარად, როგორც კიტა აბაშიძის ზემოთ დასახელებული კრიტიკული ეტიუდიდან მოტანილი ამონაწერები ადასტურებენ. კ. აბაშიძე მკვეთრად დაუპირისპირდა XIX საუკუნის ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში საყოველთაოდ გავრცელებულ თვალსაზრისს ალ. ჭავჭავაძის პოეზიის ეპიკურული ხასიათის შესახებ, რომელმაც (აღნიშნულმა თვალსაზრისმა), როგორც ითქვა, კრიტიკოსთა აბსოლუტური უმეტესობა ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების საზოგადოებრივი ღირებულების ნეგატიურ შეფასებამდე მიიყვანა.

მაგრამ კ. აბაშიძის დამსახურება ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების „ნამდვილი ხასიათის“ ამოცნობის მხრივ მხოლოდ ზემოთქმულით არ ამოიწურება. კიტა აბაშიძე პირველი კრიტიკოსია, რომელმაც სავანგებოდ გაამახვილა ყურადღება ალ. ჭავჭავაძის პოეზიის „სევდიანი კილოს“ მიზეზებზეც, და იქამად ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში დამკვიდრებული თვალსაზრისის საპირისპიროდ, ახლებური თვალსაზრისი წამოაყენა ეროვნულ სინამდვილესთან ალ. ჭავჭავაძის პოეზიის მიმართების შესახებ.

ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ კიტა აბაშიძის აზრით, XIX საუკუნის მანძილზე, ჩვენი მწერლობის „მთავარმა აზრმა და გრძნობამ“ — „საეროვნო იდეალმა“, „დიადმა აზრმა და სურვილმა ერის წყლულისა და ტყვილის განკურნებისა“, — განვითარების

გარკვეული გზა გაიარა: „ყოველივე აზრი ყვავილის თესლის მსგავსია. — წერდა კიტა აბაშიძე, — იგი თესლი, თუ კარგს ნიადაგზედ ქობვდა და კარგი მომპლელი ეყოლა, გამოიღებს მცენარეს, მცენარე ყვავილს და ყვავილი კვალად თესლს... ასეთია სამარადისო მსვლელობა ბუნების ორგანულ ნაწილების განვითარებისა.

აზრიც ეგრე იბადება: თუ კარგს გულს მოხვდა, ფრთებს შეიხამს და მის ზრდას დასასრული არ უჩანს.

ამგვარი თანდათანობითი ზრდა ემჩნევა საეროვნო აზრს ჩვენ ლიტერატურაში საზოგადოდ“. და „ეტიუდების“ ერთ-ერთ ძირითად ამოცანას — XIX საუკუნის ქართული მწერლობის „მასულდგმულებელი“ ამ მთავარი, დიადი აზრისა და გრძნობის — „საეროვნო აზრის“, „საეროვნო გრძნობების“ „ზრდა-განვითარების“ ნათელყოფა წარმოადგენდა, შეძლებისდაგვარად „კვალ-და-კვალ მიყოლა“ და თვალისგადევნება მათი მსვლელობისათვის, ჩვენება იმისა, თუ ჩვენს მწერლობაში, „ამ გრძნობათა გამოხატვაში“ როგორ „ქცეულა თესლი ყვაველად“, თანდათან წინ როგორ წასულა ამ მხრივ ჩვენი მწერლობა და „უფრო ნათელს, უფრო გარკვეულს გზას დასდგომა“⁷⁰.

კიტა აბაშიძემ, ილია ჭავჭავაძის მსგავსად, ალ. ჭავჭავაძე XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში სწორედ ამ ეროვნული „თესლის“ ჩამგდებად მიიჩნია, — „საერო ნიადაგზედ აღმოცენებულა“ და „მთელი ერის სულის განწყობილების“ გამომხატველი „ღრმა კენესისა და გოდების“ დამწყებად, და ეს, რა თქმა უნდა, ახალი სიტყვა იყო ქართული კრიტიკის ისტორიაში, როგორც საკუთრივ ალ. ჭავჭავაძის პოეტური მემკვიდრეობის შესწავლის თვალსაზრისით. ასევე საერთოდ, ქართულ რომანტიკულ პოეზიაში XIX საუკუნის ქართული მწერლობისათვის ნიშანდობლივი ამ ერთ-ერთი წინყვანი მოტივის — ეროვნული მოტივის აღმოცენებისა და განვითარების ისტორიის შესწავლის მხრივაც.

ეკამათებოდა რა ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში დამკვიდრებულ თვალსაზრისს ეროვნული უბედურებისა და ეროვნულ ტკივილებისაგან ალ. ჭავჭავაძის განდგომისა და ვიწრო პირადული, ინტიმური სამყაროთი მისი ინტერესების შემოფარგვლის შესახებ. კიტა აბაშიძე სამართლიანად მიუთითებდა, რომ „იმ დიდ ცვლილებებს, რომელიც საქართველოს ისტორიაში მოხდა, არ შეეძლო თავისებური დალი არ დაემჩნია ამ გრძნობიერ არსებისათვის (ალ. ჭავ-

70 იხ. „ახალი ქართული ლიტერატურის საკითხები“, კრებული V, 1974, გვ. 25.

ქავაძისათვის — გ. ა.), შეუძლებელი იყო, რომ ან ფანჯრიდან, ან ოთახის კუქრუტანიდან ან საიდანმე არ შემოსულიყო საზოგადო უკმაყოფილების ხმა, რომელითაც მოცული იყო მთელი ქართველი ერი. არ შეიძლებოდა, რომ სამგლოვიარო მოთქმა და გლოვა მის მახვილ სმენას ასცდენოდა. შეუძლებელი იყო, ადამიანთა ცრემლისა და დაღვრემილობისათვის თვალი არ მოეკრა. ყოველივე ამას ღრმა გავლენა უნდა ჰქონოდა მგოსნის შემოქმედებაზე და კიდევაც ჰქონდა ეს გავლენა“ — დასძენდა კიტა აბაშიძე და მიუთითებდა, რომ თუ ალ. ქავჭავაძის მთელ შემოქმედებას „დაღვრემილობისა და სევდის კილო ამჩნევია და მკმუნვარების კოლორიტითაა შემოსილი“, პოეტის „ამ უსასოებისა და უიმედობის, ამ სევდით აღსავსეობის, კაეშინისა და გოდების მიზეზები უფრო ღრმაა, ვიდრე პირადი გრძნობები“. ალ. ქავჭავაძის დაუსრულებელი კენესა და ოხვრა... უეჭველი ნაყოფი იყო სამშობლოს უბედურებისა, რომელსაც ის გრძნობდა მთელის თავისის ნახაზის ბუნებით“. მთელი მისი ლექსები „კენესა სულისა და არა მარტო ტრფობისა ნაშთი, არამედ სხვა, უფრო მაღალი განწყობილების „მონაბერი“, ერის სულის მიმართულებისაგან დაბადებული“; მის ლექსებს „საერო ტანჯვამ დასდო გმინვისა და კენესის ფერი“, „ეს სამგლოვიარო კილო მისი ლექსებისა შექმნილი იყო საზოგადოდ მთელი ერის გლოვისა და ოხვრის ზეგავლენით, ამ სევდიანი კილოს მიზეზი საქართველოს ბედში იმალებოდა“.

ზემოთ ციტირებულ სტრიქონებში, ჩვენი აზრით, სავსებით ნათლადაა გამოთქმული კიტა აბაშიძის თვალსაზრისი ეროვნული სინამდვილით — არსებული სოციალურ-პოლიტიკური ვითარებითა და „ერის სულის განწყობილებით“ — ალ. ქავჭავაძის პოეზიის ხასიათის განსაზღვრულობის შესახებ, და მით უფრო მოულოდნელია, რომ თანამედროვე ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში კიტა აბაშიძის ზემოაღნიშნულ კრიტიკულ ეტიუდს, როგორც აღვნიშნეთ, მოიხსენიებენ როგორც თვალსაჩინო ნიმუშს ეროვნულ პრობლემასთან ალ. ქავჭავაძის მიმართების შესახებ XIX საუკუნის ქართველ კრიტიკოსთა ერთი ჯგუფის მცდარი შეხედულებისა, რომელიც მკვეთრად უპირისპირდებოდა ქართველი საზოგადოების მოწინავე წარმომადგენლების, კერძოდ კი, ილია ქავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მიერ ამ საკითხის მართებულ გააზრებას.

მაგ., პროფ. ავ. მახარაძე, ცნობილ ნაშრომში — „ქართული რომანტიზმი“. ილია ქავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მიერ ალ. ქავჭავაძისადმი მიძღვნილი — ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებული, —

ლექსების ციტირების შემდეგ, წერს „ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მიერ მიცემული ეს შეფასება უდავოდ ბევრის მთქმელია ალექსანდრე ჭავჭავაძის სასარგებლოდ. მაგრამ ეს მოსაზრება არ არის ერთადერთი მოსაზრება. ამ შეხედულების საწინააღმდეგო თვალსაზრისისა იყო ქართული ლიტერატურის მკვლევარი კიტა აბაშიძე... კიტა აბაშიძე აღიარებდა ალექსანდრე ჭავჭავაძეს, როგორც დიდ მწერალს, მაგრამ მას ეროვნული დარდისა და ვარამის გამომხატველად მაინც არ სცნობდა. შესაძლებელია თუ არა გავიზიაროთ ეს შეხედულება? რასაკვირველია — არა. კ. აბაშიძის თვალსაზრისზე რომ დავმდგარიყავით, მაშინ ჩვენ უნდა უარგვეყო ის შეფასება, რომელსაც ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებას აძლევდნენ ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი. ვინ იყო მართალი — ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი თუ კიტა აბაშიძე? რა თქმა უნდა — ილია და აკაკი“⁷¹.

მაგრამ პატივცემული მკვლევარის აღნიშნული შეხედულება ალ. ჭავჭავაძის პოეზიის შეფასებაში ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის, ერთი მხრივ, მეორე მხრივ კი კიტა აბაშიძის შეხედულებათა დაპირისპირებული ხასიათის შესახებ, უთუოდ, მნიშვნელოვან კორექტივს საკიროებს, რადგან კიტა აბაშიძის თვალსაზრისი ალ. ჭავჭავაძის პოეტური მემკვიდრეობის ღირებულებაზე საერთოდ, აუ, კერძოდ, ეროვნულ პრობლემასთან მის მიმართებაზე, არათუ არ ეწინააღმდეგება ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის აღნიშნულ ლექსებში გამოხატულ შეხედულებებს, არამედ ამ შეხედულებათა უშუალო გაგრძელებასა და შემდგომ განვითარებას წარმოადგენს.

ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებისადმი მიძღვნილი კრიტიკული ეტიუდის დასაწყისში კიტა აბაშიძე თვითვე საგანგებოდ მიუთითებს, რომ „თუ ერთი ნაწილი ჩვენის მოაზრე საზოგადოებისა მეტად სასტიკად ეპყრობოდა ალ. ჭავჭავაძეს, ვარდ-ბულბულის პოეტს ეძახდა, უაზროსა და უშინაარსო ლექსების მომღერლად მიაჩნდა, სამაგიეროდ ისეთი ბრწყინვალე ვარსკვლავნი ჩვენის ლიტერატურისა, როგორიცაა ილია ჭავჭავაძე და როგორიცაა ბრწყინვალე აკაკი წერეთელი, ამ პოეტსა სთვლიან „ტკბილ პოეტად, ნათლის სვეტად, ტკბილ მღერალად, ამალღებულად სულით ზეცამდე“, რომლის ლექსი „შეპყვეს სატრფოს გულსაკლავად, ტრფობის ისრით

71 ა. პ. მახარაძე, ქართული რომანტიზმი, 1948, გვ. 61—62.

განაწონი, ხან დაპყურებს ღრუბლიანი დაფიქრებით გოგჩის ტბასა და ემდურის მწვავის მოაქმიან დაუნდობელ დროთ ბრუნვასაო“.

კიტა აბაშიძის მიერ ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ციტირებული სტრიქონების ასეთ კონტექსტში დამოწმება უკვე თავისთავად მიუთითებს მათდამი კრიტიკოსის დამოკიდებულობაზე: ალექსანდრე ჭავჭავაძის მხატვრული შემოქმედების დაფასება, რომელიც ილიასა და აკაკის ლექსებშია გამოვლენილი, კიტა აბაშიძისათვის საყრდენსა და ამოსავალ საფუძველს წარმოადგენდა ალ. ჭავჭავაძის მთელი პოეტური მემკვიდრეობის დახასიათებისა და შეფასების დროს. ილიასა და აკაკის — ამ უდიდესი ავტორიტეტების მაღალი აზრი ალ. ჭავჭავაძის პოეზიაზე მამოძრავებელი სტიმულიც იყო და დასტურიც ახალგაზრდა კრიტიკოსისათვის (კრიტიკული ეტიუდი ალ. ჭავჭავაძეზე კ. აბაშიძეს ოცდა შვიდი წლის ასაკში აქვს დაწერილი) დაპირისპირებოდა ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში მტკიცედ დამკვიდრებულ უარყოფით შეხედულებას ალ. ჭავჭავაძის პოეზიის საზოგადოებრივი ღირებულების შესახებ და „სულთ ზეცამდე ამაღლებული პოეტის“ მთელი შემოქმედება „საერო ნიადაგზე აღმოცენებულ და ერის სულის განწყობილებას“ გამოჰსახველ პოეზიად მიეჩნია.

მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ კიტა აბაშიძის ეტიუდი ალ. ჭავჭავაძეზე არ განეკუთვნება ისეთ კრიტიკულ წერილთა რიგს, რომელნიც გამორიცხავენ მათ შესახებ აზრთა სხვაობის შესაძლებლობას და ყოველგვარი სიკრთულის გარეშე გვაწვდიან მარტივ, მზა, ერთნიშნა დასკვნებს.

ასე, მაგ., ეკამათებოდა რა იმ კრიტიკოსებს, რომელნიც ალ. ჭავჭავაძეს უდარდელ, „ვარდ-ბულბულისა“, ტრფიალების, „ლხინისა და ღვინის“ მეხოტბედ თვლიდნენ, — კიტა აბაშიძე იქვე დასძენდა: „სასოწარკვეთილ პოეტთა შორისაც ორგვარი შეგხვდებათ. ერთს შეგნებული და გარკვეული აქვს საგანი ვაებისა, ავტორს „ქართლის ბედისას“, „მერანისას“ და „სულთ ბორტოსას“ კარგადა აქვს შეგნებული „გონებისა და სიცოცხლის აღმაშფოთვარი“ საგანი; კარგადა სცნო ავტორმა „აჩრდილისამაც“ ქვეყნის დრტვინვა და დუმილი და „ამ დუმილში რა წყევლაც არის“; კარგად აქვს შეგნებული წამლით უკურნებელი თავის გულის ოხვრის მიზეზი იმ პოეტსაც, „რომლის ჩანგს ეშხით ვეღარ უქდერია და გულს ტკბილად არ უძგერია, რადგანაც ხედავს — სატრფო მისი მტერია“. ბარათაშვილს, შეიძლება უფრო საზოგადოებრივი ტანჯვა-ვაება აწუხებდეს, და ილია

კავკავაძესა და აკაკი წერეთელს უფრო სპეციალური საეროვნო, მაგრამ მაინც გარკვეული აქვთ „ოხვრის მიზეზი“, მწუხარების საგანი.

ზოგიერთს მწერალს კი ვერა აქვს გამორკვეული უმთავრესი მიზეზი „სულის ოხვრისა“, მაგრამ დრო, გარემოება და ისტორიული მომენტი თავისებურ დაღს ასვამს ნიჭიერსა და გრძნობიერს არსებას. ჰგრძნობს, რომ ჰაერში მებხისა და ჰქეჟა-ქუხილის სუნია, ჰგრძნობს, რომ რაღაც ტანჯვას დაუბუდებია მის გარშემო, მის „ნაზ კარს სმენისას“ ესმის კვნესა ერისა და ვერ გაუგია, რა არის ამ საზოგადო ოხვრისა და კვნესის მიზეზი. სიყვარული მისთვის მოწამლულია ამ საერთო გოდების გამო და ქეიფი და ლხინი მოშხამულია სამგლოვიარო ზარის სმენით. ასეთი ნაზ-გრძნობიერი ადამიანისათვის არ არსებობს მხიარულება. ყველგანა და ყოველთვის მას ესმის სევდიანი ხმა, ოხვრა და ამის მიზეზით საალერსოდა; სამიჯნუროდ მომართული მისი ენა საწამლავეთ აღსავსე სიტყვებს ისვრის. „სავსე ჰიქისაკენ“ გაწეული ხელი ჩამოუვარდება და თუ აიღებს ამ სავსე ჰიქას, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩალიოს და ამ ჩაღევას ჩაატანოს „კვნესა გულისა“. მაგრამ, ვიმეორებ, ტყუილად ცდილობს ამას. ნაზი გრძნობა-გონება და სული, ზეგარდმო მადლით ცხებული პოეტისა ვერ ურიგდება ვერავითარ თავის გასართობსა და გასამხიარულებელს რასმე.

ასეთ პიროვნებას ჩვენს ლიტერატურაში წარმოადგენს ალ. ჰავკავაძე“.

ამრიგად, როგორც ზემოთ მოტანილ მსჯელობიდანაც ჩანს, კიტა აბაშიძის აზრით, თუ ალ. ჰავკავაძის პოეზია, ერთი მხრივ, საერო სევდითა და ტკივილებითაა დაღდასმული და მის ლექსებს სწორედ „საერო ტანჯვამ დასდო გმინვისა და კვნესის ფერი“, მეორე მხრივ, კრიტიკოსს მიაჩნდა, რომ ალ. ჰავკავაძეს „არ ჰქონდა შეგნებული, თუ რისი შედეგი იყო ეს გმინვა ხალხისა, და რისი მომასწავებელი იყო მისი ტანჯვა და სევდიანი ოხვრა“, „პოეტი ღრმად ვერ ჩასწვდა ხალხს გულში და ამ გულის და სულის ნაღები ვერც გვამცნო ისე, როგორც ესა ჰქნეს შემდეგმა პოეტმა“.

„ისიც უსამართლობა იქნებოდა გვეთქვა, — აღნიშნავს კიტა აბაშიძე, — ალ. ჰავკავაძეს იმის დასამტკიცებელი საბუთიც არ მოეცეს, რომ საერთო უბედურება გაიგო და ამ უბედურებამ მასაც ტანჯვა მიაყენა, მხოლოდ არ მიმჩინია მე იგი გრძნობა გარკვეულად და მტკიცედ დაცულად“: — „იმას ვერ ვიტყვით, რომ ავტორს „გოგჩის ტბისას“ არ ეგრძნოს თავის სამშობლოს უბედურება, მაგრამ ვერც იმას ვიტყვით, რომ შეგნებული ჰქონდეს ეს უბედურებაო“. და ამ მოსაზ-

რებას კრიტიკოსი იმით ასაბუთებდა, რომ „მაშინ ხომ სხვადასხვა დარბაზებისა და სასახლეების ქება ისე ვერ გაიტაცებდა, რომ დაეწყებინა თავის ღრმა სევდები, რომელნიც, უეჭველია, ხშირად უღრღნიდნენ მას ნაზსა და გრძნობიერ გულსა“.

კიტა აბაშიძეს სიტყვით, „ჩვენ ვერ ვნახავთ მის (ალ. ჭავჭავაძის — გ. ა.) ლექსთა კრებაში იმ გარკვეულს ვაებასა და მწუხარებას, იმ ტანჯვასა და ოხერას საზოგადო ინტერესების გამო, რომელიც ამშვენებს შემდეგის მწერლების ნაწარმოებთ. ჩვენ არ შეგვიძლია დანამდვილებით ვსთქვათ, რა მიმართულებისა და აზრისა იყო ჩვენი ერის ბედის შესახებ, რა გვარ სევდასა და დარდებს ჰგრძნობდა საერო ბედის გა-ო“. და, საერთოდაც, კ. აბაშიძე ღრმადაა დარწმუნებული იმაში, რომ „ჩვენ რომანტიკოსებს ისე მკაფიოდ არა ჰქონდათ გარკვეული საეროვნო იდეალი“, როგორც „ჩვენს რეალისტებს — ილიასა და აკაკის, რომელთაც სავსებით, მთელი თავისი არსებით, მთელს თავისის წიღიარო ნიჭით ჰქონდათ შეგნებული, რომ მათი ერის, მათი სამშობლოს ბედნიერება დამოკიდებულია სამარცხვინო მონობის უღელის დამტვრევაზე და უსამართლო ტყვეობის ჯაჭვების დამსხვრევაზედ. ამის იმედი ასულდგმულებდა მათ და ერთ წუთსაც არ მოშორებია მათ აზრსა და გონებას ამის მოლოდინი... შემდეგში ყაზბეგმა და ვაჟა-ფშაველამ ეს გრძნობა უფრო ხმამაღლა გამოხატეს, უფრო ნათლად დაგვიანახვეს, რომ მთელი უძღურება, გათანხმობა და გადაგვარება ჩვენი ერისა იმისაგან წარმოდგება, რომ ჩვენი თავი ჩვენვე არ გვეკუთვნისო, რომ ჩვენი ცხოვრების გამგე და პატრონი სხვაა, რომელსაც არავითარი საერთო ჩვენთან არა აქვს, რომელსაც არა გაეგება რა ჩვენის სულისა და გულისა, და რომელსაც აოხრებისა და უბედურების მეტი არა მოუტანია რა ჩვენი ივისაო“⁷². კიტა აბაშიძისათვის „დიდათ საეჭვოა“, რომ ეროვნული უბედურება ასე მკაფიოდ და „ნათლად ჰქონდეს წარმოდგენილი არა თუ ალ. ჭავჭავაძეს, არამედ, რომელსამე ჩვენს რომანტიკოს პოეტთაგანს“.

მაგრამ, ჩვენი აზრით, თუ, ერთი მხრივ, არ შეიძლება იმ შეხედულების უარყოფა, რომ ალ. ჭავჭავაძის დამოკიდებულება ეროვნული საკითხისადმი მნიშვნელოვნად ჩამორჩება აღნიშნული საკითხის იმ გააზრებას, რომელიც 60-იანი წლების ეპოქამ შეიმუშავა, და ილია ჭავჭავაძისა და მის თანამოსაგრეთა ეროვნული კონცეფცია უდავოდ მნიშვნელოვნად წინ წადგმული ნაბიჯია ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში გამოვლენილ ეროვნულ შეხედულებებთან შედარებით, —

⁷² კ ი ტ ა ა ბ ა შ ი ძ ე, ეტიუდები... ტ. I, გვ. XIII.

ყოველივე ეს კიდევ არ იძლევა საკმაო საფუძველს იმისათვის, რომ ალ. ჭავჭავაძე „საეროვნო პოეტად“ არ მივიჩნიოთ; ხოლო კიტა აბაშიძის სიტყვით, — მიუხედავად იმისა, რომ ალ. ჭავჭავაძის ლექსებს „საერო ტანჯვამ დასდო გმინვისა და კვნესის ფერი“; რომ „საზოგადო, საერო გოდების ბრალია, რომ მთელს მის ლექსებს, პირად გრძნობათა გამომსახველს, სამგლოვიარო კილო აქვს“, მიუხედავად ამისა, — „თ-დი ალ. ჭავჭავაძე არ იყო საეროვნო მწერალი, საერო დარღისა და ვარამის გამომხატველი“; — „პოეტის ამ ნაკლოვანებების მიზეზს“ კი კრიტიკოსი იმ ატმოსფეროში ეძიებდა, „რომელშიაც ალ. ჭავჭავაძე იზრდებოდა, იმ აზრთა ზეგავლენაში, რომელშიაც თავისი სიყრმე-სიყმაწვილე გაატარა, და რომელსაც არ შეიძლებოდა თავისებური ღალი არ დაესვა ამ მწერალზე“.

მართალია, „საეროვნო მწერალში“ კიტა აბაშიძეს სრულიად გარკვეული აზრი აქვს ჩაქსოვილი, რამდენადაც ქეშმარიტად „საეროვნო მწერლებად“, მწერლებად, რომელთაც ეროვნული პრობლემა თავისი ცხოვრებისა და შემოქმედების უძირითადეს მცნებად ჰქონდათ დასახული, როგორც დაეინახეთ, კრიტიკოსს ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა და ყაზბეგი მიაჩნდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის შეფასება, რომელსაც კრიტიკოსი ქართველი ხალხის ეროვნული ტყვილებისადმი ალ. ჭავჭავაძის დამოკიდებულებას აძლევს (თუმც, თავისთავად, ეს შეფასება პრინციპულად უპირისპირდება ამ საკითხზე ქართულ კრიტიკაში ადრე დამკვიდრებულ მცდარ თვალსაზრისს, და, ამ მხრივ, — ალ. ჭავჭავაძის პოეზიის „ნამდვილი ხასიათის“ შეცნობის გზაზე, — დიდმნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს). თანამედროვე ქართული ლიტერატურათმცოდნეობის მიერ, ცხადია, ვერ იქნება გაზიარებული.

ამდენად, არ შეიძლება არ დავეთანხმოთ პროფ. დ. გამეზარდაშვილის შენიშვნას, რომელიც ეროვნული საკითხისადმი ალ. ჭავჭავაძის დამოკიდებულების კიტა აბაშიძისეულ ინტერპრეტაციას ეხება: „ასეთი დასკვნის გაკეთება აშკარად ეწინააღმდეგება თვით კრიტიკოსის მსჯელობას ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების სხვა ნოტივების შესახებ. — წერს პროფ. გ. გამეზარდაშვილი, მოაქვს რა ჩვენს მიერ ზემოთ ციტირებული ადგილი კიტა აბაშიძის კრიტიკული ეტიუდიდან („ჩვენ არ შეგვიძლიან დანამდვილებით ვსთქვათ, რა მიმართულებისა და აზრისა იყო პოეტი ჩვენი ერის ბედის შესახებ, რა გვარ სევდასა და დარღებს გრძნობდა საერო ბედის გამო“).— როგორც გავეცანით, კ. აბაშიძემ მეტად სწორედ შენიშნა

ის გარემოებაც კი, რომ ალ. ჭავჭავაძის სატრფიალო ლირიკა ადვილად გვაგარბნობინებს საქართველოს ეროვნული ბედით გულდაწყულულებული ავტორის ფიქრებს... და, ამის შემდეგ, ჩვენს კრიტიკოსს ვერ მოუხერხებია გაარკვიოს — რა შეხედულებისა იყო ჩვენი ერის ბედის შესახებ ავტორი ისეთი ნაწარმოებებისა, როგორცაა: „ვაკ. ღრონი, ღრონი“, „ისმინეთ მსმენო“, „ელების კარი გაზაფხულისა“, „ღიმ. ვ.“, „კავკასია“, „ეპა, ჩემო ოცნებავ“, და სხვ.“⁷³.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ თუკი კიტა აბაშიძის ზემოაღნიშნულ კრიტიკულ ეტიუდში განვითარებულ ძირითად შეხედულებებზე გავამახვილებთ ყურადღებას და ნაკლებ დაინტერესებას გაჰოვიჩენთ იმ ცალკეული წინააღმდეგობების, არაზუსტი ფორმულირებებისა და გამოთქმებისადმი, რომლებიც მართლაც მოიძიება „ეტიუდებში“. მაგრამ რომელთაც არა აქვთ ვადამწყვეტი, არსებითი მნიშვნელობა კრიტიკოსის თვალსაზრისზე მსჯელობის დროს. — ნაშინ ეროვნული პრობლემისადმი ალ. ჭავჭავაძის დამოკიდებულება, დასახელებულ კრიტიკულ ეტიუდში გატარებული ამ ძირითადი შეხედულებების მიხედვით, მოკლედ, შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

კიტა აბაშიძის აზრით, ალ. ჭავჭავაძის მთელი შემოქმედების განმსაზღვრელი, მისი პოეზიის ღრმად სევდიანი კილოს გამომწვევი ერთადერთი მიზეზი, საქართველოს იმჟამინდელი სავალალო მდგომარეობა იყო, ეს მიზეზი „საქართველოს ბედში იმაღებოდა“; „საზოგადო, საერო გოდების ბრალი იყო, რომ მთელს მის ლექსებს სამგლოვიარო კილო აქვთ“, — სამგლოვიარო კილო, „საერო ნი-ადაგზე აღმოცენებული და ერის სულის მიმართულებისაგან დაბადებული“. ალ. ჭავჭავაძე, კიტა აბაშიძის დახასიათებით, XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში გვევლინება დამწყებად იმ „კენესისა და გოდებისა“, რომელიც „უსაქმურთა და მოცილილთა გამოგონილი კი არ იყო“, არამედ „სხვა, უფრო მაღალი განწყობილების მონაბერი“ და შედეგი სამშობლოს და მშობელი ერის უბედურებისა. მეორეს მხრივ, ალ. ჭავჭავაძეს, საქართველოს ეროვნული უბედურება არ ჰქონდა ისე ღრმად გარკვეული, შეგნებული და ნათლად გაცნობიერებული, როგორც შემდგომი პერიოდის მწერ-

73 პროფ. დ. გამეზარდაშვილი, კიტა აბაშიძე და მისი „ეტიუდები“, (წიგნი: კიტა აბაშიძე. ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ, პროფ. დ. გამეზარდაშვილის რედაქციით და შესავალი წერილთ), 1970, გვ. 17.

ლობის წარმომადგენლებს, კერძოდ, 60-იანი წლების დიდ ქართველ მწერლებსა და მოღვაწეებს და მათ მომდევნო თაობას, რომელთა შემოქმედებაში ეროვნულმა პრობლემამ ცენტრალური ადგილი დაიკავა, ხოლო მათ მიერ შემუშავებული ეროვნული კონცეფცია ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ახალი, აღმავალი ეტაპის მათუწყებელი შეიქნა.

აღ. ჭავჭავაძის პოეზიის „ნამდვილი ხასიათის“ შეცნობის გზაზე, ეროვნულ საკითხთან პოეტის შემოქმედების მიმართების შესახებ კიტა აბაშიძის ზემოაღნიშნულ კრიტიკულ ეტიუდში განვითარებული თვალსაზრისის მაღალი ღირებულება, ჩვენი აზრით, სრულიად აშკარაა, და უდავოა ისიც, რომ ამ თვალსაზრისმა, ისევე, როგორც დასახელებულ კრიტიკულ ეტიუდში გამოთქმულმა არაერთმა სხვა საყურადღებო შეხედულებამ აღ. ჭავჭავაძის პოეტური მემკვიდრეობის თავისებურებათა შესახებ, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული რომანტიზმის ამ დიდი წარმომადგენლის შემოქმედების მეცნიერული შესწავლის საქმეში.

XIX საუკუნის ქართული ლიტერატურული
კრიტიკა და ბაირონის შემოქმედება

დიდი ინგლისელი რომანტიკოსის ჯორჯ ბაირონის პოეტურმა მემკვიდრეობამ ქართული სალიტერატურო კრიტიკის განვითარების მანძილზე საკმაოდ ფართო გამოხმაურება ჰპოვა.

ბაირონის ლიტერატურულმა შემოქმედებამ, რომელიც ცნობილია „ბაირონიზმის“ სახელწოდებით, მძლავრ ტალღასავით გაიარა თითქმის ყველა კულტურულ ხალხთა ლიტერატურაში და ადგილობრივი პირობების მიხედვით მიიღო თავისებური სახე. ბაირონიზმი მთელი ევროპის მასშტაბით გავრცელებულ მოვლენას წარმოადგენდა, თუმცა ინტერესი ბაირონის შემოქმედებისადმი სხვადასხვა ლიტერატურაში განსხვავებულ ძალითა და ფორმით გამოვლინდა.

ბაირონის პოპულარობამ რუსეთში გარკვეულად შეუწყო ხელი საქართველოში დიდი ინგლისელი პოეტისადმი ინტერესის გაღვივებას, მით უფრო, რომ საამისო საფუძვლები თვით ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებაშიც იყო შექმნილი. ამ დროს საქართველოში სწრაფად ვითარდებოდა რომანტიზმი და ინგლისელი რომანტიკოსის შემოქმედების იდეურ-ესთეტიკური თავისებურებანი ხელს უწყობდნენ ქართული რომანტიკული პოეზიის განვითარების პროცესს.

როცა ვლადიმერ კობთ XIX საუკუნის ქართული მწერლობის ბაირონის შემოქმედებისადმი დამოკიდებულებაზე, უნდა აღინიშნოს, რომ ბაირონი, აღიშნულ პერიოდში, ქართველ ლიტერატურულ მოღვაწეთა მიერ ძირითადად დანახულია რევოლუციურ-დემოკრატიული ესთეტიკის პოზიციებიდან. ეს გარემოება თავს იჩენს არა მხოლოდ იმაში, თუ ბაირონის რომელი პოეტური ნაწარმოები ითარგმნება, არამედ იმაშიც, თუ როგორ აფასებენ ინგლისელ პოეტს ქართველი მწერლები და კრიტიკოსები.

XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში არ მოგვეპოვება წერილი, რომელიც რომანტიზმის და,

კერძოდ, ბაირონის შემოქმედების შესწავლა-შეფასებას ეხებოდეს. ამ პერიოდის ქართული სალიტერატურო კრიტიკის არასახარბიელო მდგომარეობაზე სამართლიანად მიუთითებს ნიკო ნიკოლაძე წერილში — „გრიგოლ ორბელიანი“¹.

მთელი XIX საუკუნის მეორე ნახევრის მანძილზე ქართული ლიტერატურული საზოგადოებრიობა შეუწელებელ ინტერესს იჩენდა ბაირონის შემოქმედებისადმი. პროგრესული რომანტიზმის ამ უდიდესი წარმომადგენლის იდეური და ესთეტიკური შეხედულებები, მისი პოეზიის საერთო ხასიათი ეხმაურებოდა იმ მიზნებსა და მისწრაფებებს, რომელნიც ქართულ ლიტერატურას ასულდგმულებდა. თუ რაოდენ პოპულარული იყო ამ დროს ბაირონი საქართველოში, ამის შესახებ საინტერესო ცნობა მოიპოვება ნიკოლოზ ბერძნიშვილის ერთ-ერთ წერილშიც, რომელიც მან 1859 წელს, გაზ. „კავკაზში“ გამოაქვეყნა: ჩვენს წრეში, წერდა იგი, ძნელად შეხედებით ადამიანს, რომელიც არ იცნობდეს ლორდ ბაირონს, „რომლის სახელთანაც არის დაკავშირებული საუბარი პოეზიაზე და ცოტათ თუ ბევრად საოცნებო საგნებზე“².

ქართული მოწინავე საზოგადოებრიობის მიერ ბაირონის შემოქმედებით დაინტერესებამ ნათელი გამოხატულება ჰპოვა ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებში“, სადაც ბაირონის პოეზია სამოქალაქო, მებრძოლი ლიტერატურის სიმბოლოდ არის დასახული. ხოლო თერგი „მრისხანე და შეუპოვარ“ ბაირონთანაა შედარებული. ილიასეულ ამ შედარებაში ჩანს არა მხოლოდ ინგლისელი პოეტის შემოქმედების მაღალი შეფასება, არამედ ბაირონის შემოქმედების გააზრება მებრძოლი რომანტიზმის ნიმუშად. ეს გარემოება იმითაც არის ძალზე საგულისხმო, რომ იმ დროის რუსულ ლიტერატურულ აზროვნებაში ბაირონი ძირითადად „მსოფლიო სევდის“ გამომხატველ პესიმისტ პოეტად ითვლებოდა, ხოლო ილიას მისაბამად მიიჩნდა ბაირონის ცოცხალი, შეუდრეკელი ბუნება და წერდა: „ბაირონს... ცრემლის მაგიერ მღულარე ტყვია სცვივა თვალთაგან და კალმის მაგიერ ხელთ ეპყრა მენი“³...

¹ ნ. ს. კ ა ნ დ ე ლ ი. „ჩვენი მწერლობა“, ქერნ. „კრებული“, 1873, № 3, გვ. 146.

² Н. Бердзенов, Грузинская литература, «Кавказ», 1859, № 42, 225. — იხ. ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის. ქრესტომათია, ტ. I. ს. ხუციშვილის წინასიტყვაობითა და შენიშვნებით. 1954, გვ. 114.

³ ი. კ ა ვ ქ ა ე ა ძ ე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, პ. ინგოროვას რედაქტორობით, 1953, ტ. III, გვ. 10.

ილიას დაინტერესება და გატაცება დიდი ინგლისელი რომანტიკოსის შემოქმედებით ნათლად ჩანს ცნობილ წერილში — „ორი-ოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კოზლოვის შესლილის თარგმანზედა“, სადაც ის მკაცრად აკრიტიკებს ბაირონის „აბიდოსელი საცოლის“ კოზლოვისეულ თარგმანს და ამბობს: „სად არის თარგმანში ის მეხი სიტყვა, ის საკვირველი ძლიერი სული ბაირონის გენიისა“. ილია ხობტას ასხამს „მომხიბლავ ბაირონის გენიას“ და საგანგებოდ მიუთითებს იმ დიდ გავლენაზე, რომელიც ბაირონმა ევროპული და რუსული აზროვნების განვითარებაზე მოახდინა: „ბაირონმა ბევრი ტალანტები გაიტაცა, არა პოეტს თითქმის არ დაუბადნია მბაძავნი იმოდენა, რამოდენაც დაჰბადა ბაირონმა ევროპაში და ნაშეტნავად რუსეთში, თუმცა კი სატანის სხოლის თავადად უხმობდნენ თანამედროვენი ბაირონსა. რასაკვირველია, მისი მბაძავნი — ზოგნი სულ უნიჰონი იყვნენ, ზოგნი კი კარგა დიდ ტალანტისანი, რომელთათანაც კაზლოვი ბუზად გამოჩნდება. თითონ პუშკინიც მთელი თავისი გენიით ვერ გადაურჩა ემაგ ჰირსა: მთელი ერთი პერიოდი პუშკინის წერისა, „კავკასიის ტყვიდგან“ დაწყებული „ევგენი ონეგინამდინ“ და თვით „ევგენი ონეგინიც“, თითქმის იყო ბაირონის გავლენის ქვეშ. ლერმონტოვიც ჰბაძავდა ბაირონს, მთელ მის პოეზიას ეტყობა, როგორც ზე-შოთმობსენებულს პერიოდს პუშკინისას, ბექედი მომხიბლავ ბაირონის გენიისა, თუმცა კი ლერმონტოვი, როგორც მბაძავი ბაირონისა, მალლა დგას თვით პუშკინზედაც. აი, ეს უპირატესნი ვარსკვლავები რუსის ლიტერატურისა და ამათ გარდა, რამდენი სხვა პაწაწკინტელა პოეტები იყვნენ ბაირონის გავლენის ქვეშ!..

აღსანიშნავია, რომ, როგორც ცნობილია, თვითონ ილია ქავქავაძემაც თარგმნა ბაირონის „ებრაული მელოდიებიდან“ ლექსი „სტიროდეთ“, რომელშიც ბაირონი ებრაელი ხალხის ისტორიულ გზას პატრიოტიზმის მაღალი პოზიციებიდან აშუქებს. ილიას მიერ თარგმნილ ლექსში მოისმის ცხარე გოდების ხმა სამშობლოსა და თავისუფლების დაკარგვის გამო. უთუოდ ეროვნული საკითხის უაღრესად მძაფრი განცდით მიიპყრო ბაირონის ამ ლექსმა ილიას ყურადღება. მართლაც, როდესაც კითხულობთ ილიას მიერ თარგმნილ ბაირონის „ებრაულ მელოდიას“ — „სტიროდეთ“ არ შეიძლება არ იგრძნოთ ილიას უსაზღვრო სიყვარული სამშობლოსადმი და მისი დიდი გულისტკივილი, როდესაც იგი სტიროდა მათ, „ვისიც ტაძარ-

4 ილია ქავქავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, გვ. 9.

ნი ნანგრევ არიან... ვისიც მამული სამშობლოსა არარა არს რა, გარდა სიზმრისა“. ძნელი არ არის იმის მიხვედრა, ვის გულისხმობდა ილია, როდესაც ამბობდა ბაირონის პირით: „მელას აქვს ხვრელი და თვის ბუდე — ჩიტს, კაცს — სამშობლო, და ისრაილსა — არარა, გარდა თვის საფლავის“⁵. (საინტერესოა, რომ ამ ლექსის ზოგი ადგილი ჰგავს არა მხოლოდ „აჩრდილის“ ერთ-ერთ პასაჟს, არამედ ალ. ჰავკავაძის „გოგჩასაც“).

წერილში „ორიოდე სიტყვა..“ ილია ჰავკავაძე ბაირონის პოეტური სამყაროს ძალზე საყურადღებო დახასიათებას გვაძლევს: „გაშინჯეთ, მაგალითად, მეცხრე გვერდი კაზლოვის „чернец“ — ისა, — ვკითხულობთ დაახელებულ წერილში, — ჩაიკითხეთ ცამეტი სტრიქონი და შეადარეთ „მანფრედის“ სიტყვებთანა, როცა ის ელაპარაკება წყლის ფერისა. როგორც „чернец“-ი, ისე „Наталья Долгорукая“ — ეს ორივე პოემა კაზლოვისა — ბაირონის გავლენისანი არიან. ამ პოემებზედ ეტყობა, რომ კაზლოვი ცდილა ბაირონის გმირებისაგან რიდაცის გამოხატვასა, მაგრამ სად შეეძლო კაზლოვის პაწაწა ნიქს შთაებერნა კაზლოვის გმირებისათვის ის მორკმული, მოუღრეკელი სული ბაირონის ხასიათებისა! განა მარტო სიბნელე მოთხრობისა, მწუხარება, წყევლა და აი! უი! უხ! და ამაზედ უფრო უძლიერესნი შორისდებულნი შექმნიან ბაირონისა? ბაირონის გმირები კაზლოვის ბერისაგან არ კნავიან და ჩივიან, რათა ნუგეში სცეს ვინმე; ისინი ისეთი აგებულებისანი არიან, რომ თავის ტანჯვების წვაში. ექვის ღრღენაში, თავის სულის წყურვილში ჰხედვენ უკვდავების ღირსს ცხოვრებასა, ისინი არ შეეკედლებიან მონასტრის კედლებსა მოსასვენებლად, ამათ სულ მოძრაობა უნდათ, ისინი არ მიიბიან გულის გაუთავებელ წყლულთა მოსარჩენად კაცთან. არამედ თავიანთავე გულის სიღრმეში და სულის უკვდავებაში ეძებენ სააოწარკვეთილების წამალსა. ბაირონის ნაცვლად, რომელსაცა ცრემლის მაგიერ მღუღარე ტყვია სცივია თვალთაგან და კალმის მაგიერ ხელთ ეპყრა მენი, იმ ბაირონის ნაცვლად, კაზლოვი შეიქმნა ერთ კარამზინის სხოლის მტირალ და ღრეკია აშულადა“⁶.

ილია ჰავკავაძემ წერილში „ორიოდე სიტყვა“ „შესძლო ისტორიული თვალსაზრისით მისდგომოდა რომანტიკული მიმართულე-

5 გ. გაჩეჩილაძე, მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები, 1958, გვ. 94.

6 ი. ჰავკავაძე, თხზულებათა სრული კრებული..., ტ. III, გვ. 10.

ბის, ისევე როგორც მისი წინამორბედებისა და უდიდესი წარმომადგენლების მნიშვნელობას მსოფლიო ლიტერატურის განვითარებაში და მისი მართებული შეფასება მოეცემა⁷. წერილში „პასუხი“ ილიამ პოეზიაზე მსჯელობისას კვლავ მიუთითა ბაირონის ნიჭის უკვდავებაზე და აღნიშნა, რომ ბაირონისთანა „ობოლ მარგალიტებს ძალიან იშვიათად მოჰყრის ხოლმე მდინარე ცხოვრებისაო“.

როგორც ცნობილია, ლიტერატურული თარგმანის რიგი საკითხების განხილვასთან ერთად ილია ჭავჭავაძე წერილში „ორიოდე სიტყვა“... კრიტიკულ დამოკიდებულებას იჩენდა სანტიმენტალური ლიტერატურის მიმართ და, სხვათა შორის, მოიხსენიებდა სარდიონ ალექსი-მესხიშვილის მიერ სანტიმენტალური სკოლის ცნობილი წარმომადგენლის მარმონტელის ნაწარმოების „მეუდაბნოეს“ თარგმანს.

ამის საპასუხოდ 1861 წ. ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნდა სარდიონ ალექსი-მესხიშვილის წერილი — „უსტარი ანტიკრიტიკული“. რომელშიც, ი. ჭავჭავაძესთან პოლემიკისას, სარდიონ ალექსი-მესხიშვილი, სხვა საკითხებთან ერთად, ეხება რა ბაირონის შემოქმედების ილიასეულ დახასიათებას, წერს: „მიკვირს, რომ ის დიდი ბაირონი ისეთს კარგს გუნებაზედ განგიხილავსთ, რომ არ შეგიძინევიათ იმისთვის არაფერა ნაკლულევანება და ხელთ არ გიგდრათ სასტიკი იმაზე გამოცემული ედინბურღ-ში კრიტიკა. ეს დიდი მოლექსეც არ იყო თვინიერ ნაკლუევანებათა. სამხატვრო კალამი იპიპი ზოგან კამკამიერ ფეროვანია და ბრწყინვალე, ზოგან უკადრისად, უცხოველოდ მიმკრთალებული და უფერული, თითქო შემოქმედება წამლები და გაუცრეცია ხატული. მაინც, არა მიხედვისამებრ ან ნაკლულევანებათა შერაცხილია ისი უუდიდეს მოლექსეებთანა“.

აღსანიშნავია, რომ, როგორც ირკვევა, ს. ალექსი-მესხიშვილი ბაირონის პირველ ქართველ მთარგმნელთა რიცხვს მიეკუთვნება. ამატომ სავსებით ბუნებრივია, რომ იგი შესანიშნავად იცნობდა არა მხოლოდ საკუთრივ ბაირონის შემოქმედებას, არამედ, — როგორც ეს ზემოთ ციტირებული სტრიქონებიდანაც ჩანს, — აგრეთვე, ბაირონის შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურასაც (აქვე აღვნიშნავთ, რომ „უსტარი ანტიკრიტიკულის“ ციტირებული სტრიქონები მინაწერის სახით დართული აქვს ბაირონის პოეტური ლეგენდის „ოსკარ ალველის“ ს. ალექსი-მესხიშვილისეული თარგმანის

⁷ გ. აბაშიძე, რომანტიზმის საკითხისათვის XIX ს. ქართულ კრიტიკაში, — „ახალი ქართული ლიტერატურის საკითხები“, ყრებული, II, 1972, გვ. 7.

ავტოგრაფს, რომელიც კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული⁸.

საყურადღებო შეხედულებები აქვს გამოთქმული ბაირონის შემოქმედების შესახებ ნიკო ნიკოლაძეს.

1864 წელს ნიკო ნიკოლაძე „ნაროდნოე ბოგატსტვოში“ ბეკდავს იულიან შმიდტის ბროშურის — „XIX საუკუნის ინგლისური ლიტერატურის მიმოხილვის“ ანგარიშს. წერილში ნ. ნიკოლაძეს საილუსტრაციოდ მოჰყავს ის არასწორი დებულებანი, რომელსაც შმიდტი ინგლისელი რომანტიკოსის დახასიათებისას იძლევა და დასძენს, რომ შმიდტს „ტყუილად მოუყიდნია ხელი ბაირონის შემოქმედების გარჩევისთვის“⁹.

„ეპვი არაა, — წერს ნიკოლაძე, — რომ XIX საუკუნის ინგლისელ ნწერალთა რიცხვში ბაირონს ყველაზე საპატიო ადგილი უჭირავს როგორც ნიჭით, ისე მისწრაფებათა კეთილშობილებით. ბაირონი თავისი ხასიათით არ მიეკუთვნება იმ ნიჭიერ ადამიანთა რიცხვს, რომელნიც საზოგადოებაში გარკვეული მღვთმარეობის მიღწევით კმაყოფილებიან და შემდეგ ოლიმპიელის გამომეტყველებას მიიღებენ... ბაირონის მგზნებარე განწყობილება ეძიებდა მოქმედებას, ეძიებდა უკეთეს საზოგადოებას, ვიდრე იყო ის, რომელშიც იგი დაიბადა და აღიზარდა. და აი, სწორედ ამ ძიებაში მღვთმარეობა გასაღები მისი თხზულებების. ბაირონი არ იყო ინგლისელი, არც ფრანგი, არც რუსი, არც ბერძენი, არც იტალიელი, არც ესპანელი. ბაირონი იყო მხოლოდ და მხოლოდ ადამიანი. იგი ამისათვის სძულდათ, უშვერად სდევნიდნენ და ამ სიძულვილისა და დევნის საფასურს ბაირონი უბდიდა უღრმესი მძულვარებით, რაც ზოგჯერ გულისწყრომაში გადადიოდა. ბაირონი მკმუნვარებდა ადამიანთა განუვითარებლობის გამო, მას არ ესიამოვნებოდა იმის გახსენება, რომ ქვეყანაზე არ იყო ადამიანი. რომელსაც თავის გრძნობებს, ნაღველსა და სიხარულს გაუზიარებდა: იგი გრძნობდა საკუთარი თავის უპირატესობას ირგვლივ მყოფებთან შედარებით. თუ გნებავთ, ესაა ერთადერთი ბრალდება, რაც შეიძლება წარუყენონ ბაირონს, მაგრამ იმ დროის ლიტერატურის სხვა მოღვაწეებს თუ გავიხსენებთ (მხედველობაში გვყავს არა მარტო ინგლისელები). იძულებული ვიქნებით ვთქვათ, რომ ბაირონს სრული უფლება ჰქონდა თავისი თავი სხვებზე მაღლა დაეყენებინა. რაც შეეხება ბაირონის მსოფლ-

⁸ კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ხელნაწერი H—359.

⁹ ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. I, გვ. 220.

კერძოდ, უნდა ითქვას, რომ იგი ქვეყანას ორ მტრულ ბანაკად
ჰყოფდა, რომელთა შორისაც განუწყვეტელი ბრძოლა მიმდინარე-
ობს. როგორც ერთი, ისე მეორე მხარე იცავს ქვეშარიტებას იმ სა-
ხით, როგორც იგი ესმის და ის. ვინც გაიმარჯვა, პრინციპს, რო-
მელსაც იცავს იგი, უწოდებს ქვეშარიტებას, ხოლო მოპირდაპირე
პარტიის პრინციპს კი უკუნსა და ბოროტს. ბაირონი ხედავდა, რომ
გამარჯვებული პარტია დამარცხებულის პრინციპს ყალბად წარმო-
ადგენდა, ამიტომაც იგი ცდილობდა ქვეშარიტების აღდგენას —
ეჩვენებოდა, რომ დამარცხებულებს ქვეშარიტებას იცავს, მაგრამ,
რომ ეს ქვეშარიტება დამახინჯებულია და ახლა ბოროტების სა-
ხელს ატარებს. ასეთია ბაირონის პოეზიის ძირითადი მოტივი¹⁰...

ნიკო ნიკოლაძე, გამოდის რა ბაირონის შმიდტისეული შეფასე-
ბის. მისი არასწორი ფორმულირების წინააღმდეგ, აღნიშნავს, რომ
პოეტის სიძულვილი მისი გარემომცველი საზოგადოების მიმართ
ცხადად არის გამოვლენილი ბაირონის შემოქმედებაში. ბაირონის
სულიერი განწყობილებების ყველაზე უფრო ნათელ გამოხატულე-
ბად ნ. ნიკოლაძეს „დონ-ჟუანი“ მიაჩნია და მიუთითებს, რომ დონ-
ჟუანი ნაღვლიანი შეგრძნებებითაა აღსავსე¹¹.

ნ. ნიკოლაძე ღრმად არის დარწმუნებული იმაში, რომ ბაირო-
ნის პოეზია „დიხანს შეინარჩუნებს ინტერესს, — მანამდე, ვიდრე
ადამიანთა მდგომარეობა არ შეიცვლება. ვიდრე ბაირონის მსჯავს-
თა მარტოობა შეუძლებელი არ გახდება“¹¹...

1869—72 წლებში ქართულად ითარგმნა ბაირონის მთელი რი-
გი ნაწარმოებები. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ამ თარგმანე-
ბიდან საკმაოდ შორს იდგა სასურველი დონისაგან. ბაირონის ქარ-
თული თარგმანებით უკმაყოფილო ნიკო ნიკოლაძე, წერილში „ჩვენი
მწერლობა“¹², უმთავრეს მოვალეობად მთარგმნელს ენის სრულ-
ყოფილ ცოდნას უთვლის, მოითხოვს ორიგინალიდან თარგმნას და
დასძენს: „ჩვენ თარგმანების წინააღმდეგი არა ვართ... უხეირო
ორიგინალურ სტატიას, არა თუ ხეირიანი, უხეირო ნათარგმნიც
გვირჩევენია, თუ კი თარგმნის ღირსი თხზულება გადმოუღიათ“.
აქვე ნ. ნიკოლაძე მკაცრად აკრიტიკებს ბაირონის „დონ-ჟუანის“
მთარგმნელს, იოსებ ბაქრაძეს და წერს: „მისდგომიან.. ეს ვაჟბატო-
ნები შილლერს და ბაირონს და აწიოკებენ უმადლოთ და უღვთოდ...“

10 ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ. I, გვ. 216.

11 იქვე, გვ. 217.

12 ნ. ნიკოლაძე, ჩვენი მწერლობა, თხზ. ტ. III, 1972, გვ. 36.

...ავიღოთ, ვთქვათ „ღონ-ქუანი“ და ვნახოთ, რანაირათ არის იმ ვადმოთარგმნილი ქართულ ენაზე. აი, ბაირონის „ღონ-ქუანი-დამ“ პირველი სტროფი მეორე თავისა (ან ხმისა):

O ye! who teach the ingenious youth of nations,
Holland, France, England, Germany, or Spain,
I pray ye flog them upon all occasions,
et mends their morals, never mind the pain
The dest of mothers and of education:
In Juan's case were but emplotd in vain,
Since, in a way that's rather of addest, he Became divested
of his native modesty.

ესე იგი: გვედრებით თქვენ, ვინც ზრდის სხვადასხვა ხალხების — პოლანდიის, საფრანგეთის, ინგლისის, გერმანიის, ან ესპანეთის უმანყო ახალგაზრდობას, სცემეთ ისინი ყოველ შემთხვევაში. ეს მათ ზნეობას მოუხდება, ტკივილზე კი ნურასოდეს ნუ იზრუნებთ. ყველაზე უკეთესი დედის ყოლა და უმჯობესი სწავლის მიღება ღონ-ქუანს არად გამოადგენა. იმან მანაც დაკარგა თავისი უმანკობა და დაკარგა ძლიერ სულელურათ.

გინდათ ეხლა ნახოთ, რანაირათ არის ვადმოთარგმნილი ეს ადგილი „მნათობში“, აი, როგორ:

ყველა ქვეყნების შკოლების მასწავლებლებო,
რომ ჩვენ ზნეობა გავასწოროთ ყმაწვილებსა,
გვიქადაგებენ, რომ ვიხმართ მუდამ როზგებს
ცემა უნდა... რა არს ტკივილი ტყაუისათვისა?
ჩვენ მაგალითად ხელს მივიშვერთ ღონ-ქუანზედა.
თუმცა რომ დედა ბევრს ცდილობდა მის აღზრდაზედა
და ამისათვის არაფერსა არ იშურებდა,
მაგრამ ბოლოს კი უროზგობას ბევრსა ნანობდა.

აი, ამას ეძახის „მნათობი“ თარგმანს... ვინ „მნათობი“ და ვინ ბაირონის ღონ-ქუანი? ის სამართებელსავეთ მკრელი ირონია, ის მდუღარე გრძნობა და ბრაზიანი სიძულვილი, რომლითაც საესევა ეს პოემა¹³...

ნიკო ნიკოლაძის აღნიშნული წერილი საინტერესო ფაქტია XIX ს. ქართული სალიტერატურო კრიტიკის ისტორიაში. აქ ნ. ნიკოლაძემ — პირველად ქართულ კრიტიკაში, — მოიტანა ბაირონის

¹³ ნ. ნიკოლაძე, ჩვენი მწერლობა, თბზ., ტ. III, 1972, გვ. 36.

სტროფები ორიგინალში, შეადარა თარგმანი ორიგინალს, ნათელ-
ჰყო მთარგმნელის შეცდომები, „ლექსთა წყობის“ ნაკლოვანებანი
და დასძინა, რომ ისეთი გენიოსის თარგმანისას, როგორცაა შილ-
ლერი ან ბაირონი, „თავი უნდა იმტვიროს კაცმა თითოეულ სიტყ-
ვაზე. თითოეულ წერტილზე“.

როგორც ანალიზმა დაგვარწმუნა, ნ. ნიკოლაძის საყვედური
„დონ-ჟუანის“ მთარგმნელის მიმართ სავსებით მართებულია. აღ-
ნიშნული თარგმანის ორიგინალთან შედარებამ ცხადყო, რომ
ი. ბაქრაძეს ნაწყვეტები „დონ-ჟუანიდან“ უთარგმნია არა ორიგი-
ნალიდან, არამედ პოემის რუსული თარგმანიდან. აქვე გვინდა და-
ვუმატოთ, რომ ბაქრაძის შემდეგდროინდელი თარგმანები ბაირო-
ნიდან გაცილებით მაღალ დონეზეა შესრულებული, რაზეც სა-
მართლიანად მიუთითა გ. წერეთელმა¹⁴ და რ. ალისუბნელმა¹⁵.

1871 წელს ივანე კერესელიძემ გამოაქვეყნა რეცენზია გრ. ორ-
ბელიანის „სადღეგრძელოს“ შესახებ, სადაც არა მარტო დასახე-
ლებულია ბაირონი, მიითებებოდა რა გრ. ორბელიანისა და დიდი
ინვლისელი რომანტიკოსის მხატვრული სტილისა და შემოქმედები-
თი მეთოდის გარკვეულ მსგავსებაზე, არამედ გამოვლენილია ბაი-
რონის შემოქმედების ღრმა ცოდნა და საინტერესო პარალელებია
გავლენული „სადღეგრძელოსა“ და „დონ-ჟუანის“ ცალკეულ პა-
საეებს შორის: „ლორდ ბაირონი, — წერს ივ. კერესელიძე, — ბუ-
ნების აღწერაში დიდად ნაქებია, იმასა აქვს მშვენივრად აღწერილი
თავის „დონ-ჟუანში“ ზღვის პირი, სადაცა სხედან ახლად შეყრილ-
ნი მოტრფიალენი და აღწერს იქაურის მდგომარეობას. მე ეს ალაგი
განგებ წავიკოთხე და ბევრით უპირატესობა მივეცი აი, ამ ალაგს:
„ცისკარმან აღმოსავლეთი ვარდისა ფერად შეღება, ცას სისარული
მოჰფინა და ქვეყანა შვენება“¹⁶... და ა. შ.

გასული საუკუნიდან დაწყებული, ქართულ ლიტერატურათ-
მცოდნეობაში არაერთგზის გამოთქმულა სამართლიანი აზრი, რომ
ბაირონისა და ბარათაშვილის შემოქმედებაში შეიმჩნევა საერთო
იდეური და მხატვრული თავისებურებანი. მართლაც, ორივე პოეტი

¹⁴ გ. წერეთელი, ბიბლიოგრაფიული შენიშვნები, თურნ. „კრებული“,
1872, № 7, გვ. 130.

¹⁵ რ. ალისუბნელი [რ. ჩიკვაძე], ჩვენ ლიტერატურაზე, ე-
„თეატრი“, 1885, № 17.

¹⁶ ბიძია დონიკე [ივ. კერესელიძე], „სადღეგრძელო“, თქმული
ლექსად თავადის გრიგოლ ორბელიანისაგან..., თურნ. „ცისკარი“, 1871, № 2,
გვ. 129.

პროგრესული რომანტიზმის დიდი წარმომადგენელია; ორივეს შემოქმედებაში ძლიერია აწმყოთი უკმაყოფილებებისა და სულითობლობის, უღრმესი სევდისა და ამასთანავე ადამიანის სულის სიდიადის, მომავლისაკენ სწრაფვის განწყობილებანი. საგულისხმოა, რომ ანტონ ფურცელაძე ერთგან ბარათაშვილს „ჩვენ ბაირონს“ უწოდებს¹⁷, რითაც ბაირონის შემოქმედებასთან ბარათაშვილის პოეზიის შინაგან ნათესაობაზე მიგვანიშნებს; ხოლო მოგვიანებით, იონა მეუნარგია ავლებს ლიტერატურულ პარალელს ბაირონსა და ბარათაშვილს შორის და აღნიშნავს: „კარგად რომ თარგმნოს კაცმა ბარათაშვილის ლექსები „ჩემს მერანს“, „სულო ბოროტო“ და ბაირონის „დონ-კუანში“ ჩაუერთოს ან „ჩაილდ-ჰაროლდში“, არა მგონია, დიდებული პოეტის ქმნილების ერთობა დაირღვეს, ისე მწარედ და სწორედ არის გამოთქმული იმაში კაცობრიობის საყვედური ბოროტი ხეიდრის წინააღმდეგ“¹⁸.

პროფ. ალ. ცაგარელი ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილში — „ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში“¹⁹, ავლენს დიდი ინგლისელი პოეტის შემოქმედების ღრმა ცოდნას, სზიარად ასახელებს ბაირონის ნაწარმოებებს და მიუთითებს ბაირონისა და ბარათაშვილის სულიერ ნათესაობაზე. ალ. ცაგარელი ნიკოლოზ ბარათაშვილს „ჩვენს ბაირონს“ უწოდებს და „ბაირონიზმის“ შესახებ შენიშნავს: „მგვარმა პოეზიის კილომ და მიმართულებამ ყველა ცოტად მაინც განათლებულ ხალხებში თავის მიმბაძველნი და მიმყოლნი წარმოშობა: ამ უკმაყოფილების ტალღამ და გაბრაზებულმა თავის უძლურებისაგან გრძნობამ ჩვენშიაც მოაღწია; ყველა სიტყვა ნ. ბარათაშვილისა ამტკიცებს, რომ ამანაც კარგა ბლომად შესვა ამ ამღვრეული და ამამღვრეველი ტალღის წყალი და იმის მწარე გემო იხმია, მეტადრე ლექსებში „სულო ბოროტო“ და „ჩემს მერანს“, ბევრი ალაგია, რომელშიც თითქმის ნამდვილ იმ სიტყვებს შესვლებით, რაც ბაირონის თხზულებებში, მეტადრე „ლიუციფერში“ გვხვდება.

1885 წ. რ. ალისუბნელი (რ. ჩიკვაიძე) წერილში — „ჩვენ ლიტერატურაზე“, თავდაპირველად მიუთითებს რა კარგი თარგმანების აუცილებლობასა და მნიშვნელობაზე, წერს: „განა ცუდი იქნებოდა, რომ გვეკონდეს თარგმანი ისეთი კლასიკური მწერლებისა, როგო-

17 გაზ. „დროება“, 1867, № 111.

18 ი. მეუნარგია, ცხოვრება და პოეზია ნ. ბარათაშვილისა, — „ივერია“, 1893, № 88.

19 გაზ. „დროება“, 1870, № 3.

რიც არიან: შექსპირი, შილერი, გეტე. ბაირონი, ჰაინე... და სხვ. ეს მწერლები მით უფრო საკვიროანი არიან ჩვენი ლიტერატურისათვის, რომ მათზე აღიზრდებიან ჩვენი ყმაწვილები, იმათის თარგმანებით ამ უკანასკნელებს საშუალება მიეცემოდათ ქართულად გასცნობოდნენ იმ მწერლებს, რომლებსაც იძულებულნი არიან რუსულ ენაზე გაეცნონ... თარგმნით საშუალება გვეძლევა შენს ენაზე გაეცნოს საზოგადო მსოფლიო იდეებს. ამას გარდა ამლიტრებ ენას. მწერალს, რომელიც თავისი მაღალი ნიჭით მთელ ქვეყანას ეკუთვნის, შენი ვერის კუთვნილებად ხდი. ჩემის აზრით, შექსპირის ხერხიანად გადნომთარგმნელს ვანაცვალებდი მთლად ჩვენ დრამატულ ლიტერატურას. ბაირონისას — რაც აქამდის ჩვენში პოემები დაწერილა (იგულისხმება ახალი მწერლობა)²⁰.

ბაირონის და ბარათაშვილის შემოქმედების ნათესაობაზე მსჯელობს მიხ. ვეზირიშვილი წერილში — „ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი პოეზია“. მისი აზრით, „ვინც ჩაუყვირდება საზოგადო თვისებას ბარათაშვილის პოეზიისას, უეჭველია, იმ უტყუარს აზრს დაადგება, რომ ყველა იმის ნამოქმედარს სარჩულად უდევს საზღვარდაუდებელი სიყვარული ქვეყნის და მოქმისა... მსოფლიო ლიტერატურაში ბევრია ამისთანა მაგალითი. ავიღოთ თუნდაც ინგლისელი სახელოვანი პოეტი ბაირონი. ვინ არ იცის, რა სიძულვილითა და წყევლით იხსენიებს ბაირონი გაუტანელს ცხოვრებას, რა მკვახე-მკვახე სიტყვებით ამკობს კაცთა უაზრო და უსაგნო ცხოვრებას, მაგრამ ღრმად ჩაუფიქრდით იმის ნაწერებს რა უდევთ საფუძვლად. საფუძველი დიდი და დიდი სიყვარულია კაცობრიობისა, ძლიერი განცდა კაცთა მოყვარეობისა; ასეა ბარათაშვილის საქმეც“²¹. აქვე უნდა აღვნიშნოთ „დიდი მსგავსება ჩვენს პოეტსა და ბაირონს შორის... — წერს მ. ვეზირიშვილი, — მოტყუებულნი მუხთალ სოფლისაგან, ორივენი მიესწრაფებიან უსულო ბუნებისაკენ და აქ ჰსურთ მოიპოვონ თავისი დაკოდილი გულისათვის მალამო... ისინი ვერ იწყნარებენ, ვერ იშვენევენ უფერულობას და სიცრუეს, შორდებიან ნამდვილ ცხოვრებას და მიჰმართავენ ბუნებას, რათა აქ შეხვდნენ თვალ-და-თვალ პირველსახეს მშვენიერებისას. მოვიგონოთ ბაირონის „მანფრედის“ შესანიშნავი ადგილი, სადაც

20 რ. ა. ლ. ს. უ. ბ. ნ. ე. ლ. [რ. ჩ. ი. კ. ვ. ა. ი. ძ. ე.]. ჩვენ ლიტერატურაზე, ქურნ. „თეატრი“, 1885, № 17, გვ. 127.

21 მ. ვ. ე. ზ. ი. რ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი, ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი პოეზია, ვაზ. „ივერია“, 1889, № 247, გვ. 2.

სასოწარკვეთილი და იმედმიხილი მანფრედი მიესალმება ბუნების მშვენიერებას და იქ ღროებით მაინც შეიძენს თავის აღშფოთებულ სულის შვებას. ეს ბუნება იმდენად მძლავრია, რომ უდგამს სულს დაუძლურებულ მანფრედსა. იგი ისეთი მიმზიდველია, რომ აძლევს რალაც ახალ იმედს მანფრედსა, რომელსაც სიცოცხლე უკვე შესაძგებია. მოვიგონოთ კიდევ ერთი ალაგი „ჩაილდ-პაროლდისა“, სადაც პაროლდი, ანუ უკეთ ვაქვათ, თვით პოეტი, მუდამ მოუსვენარი დარბის ტყეში, დარბის მინდვრად, ველად, ჩასძახის უფსკრულსა და კლდეებს, მიჰყვირის მჩქეფარე მდინარეს და გაუზიარებს მათ თავის ადამიანურ წუხილს, რათა განჰკურნონ და შეიბრალონ იგი“.

მ. ვეზირიშვილის წერილი მეტად საყურადღებო ნიმუშია ბაირონის შემოქმედების ღრმა და სწორი ანალიზისა. როგორც სამართლიანად მიუთითებენ, ვეზირიშვილის წერილი პირველი იყო XIX ს. ქართულ კრიტიკაში, „სადაც ბარათაშვილისა და ბაირონის მდიდარი და რთული პოეტური სამყაროს ნათესაობის საკითხი უკვე ვრცელი, საგანგებო მსჯელობის საგანს წარმოადგენდა და სათანადოდ იყო არგუმენტირებული თვალსაჩინო მაგალითების მოშველიებით“²².

1892 წ. ილია ჭავჭავაძემ წერილში — „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ ყურადღება გაამახვილა ბაირონისა და ბარათაშვილის შემოქმედების ზოგადსაკაცობრიო ხასიათზე და აღნიშნა, რომ „საზღვარდადებული სიგრძე-სიგანე ადამიანის აზროვნებისა, ჩვენი პოეტის „სულისკვეთებას“ ვერ იტევს. მას სწყურს ეს საზღვარი ბედისა გაარღვიოს და ნიავს მისცეს თავისი „შავად მღელვარე ფიქრი“, რომ დაუსრულებელი სივრცე ცისა და ქვეყნისა მოიაროს... ბაირონმა ამისთვის ლუციფერი აირჩია, გეტეს ფაუსტმა — მეფისტოფელი და ჩვენმა პოეტმა თავისი მერანი, ესე იგი თავისი სულის ქროლა“²³.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან და სერიოზულ ნაშრომს XIX საუკუნის ქართულ სალიტერატურო კრიტიკის ისტორიაში წარმოადგენს რომანოზ ფანცხავას (ხომლელის) წერილი — „ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი დრო“. წერილში ავტორი განსაზღვრავს რომანტიზმის რაობას, იკვლევს მისი ხასიათისა და თავისებურების განმპირობებელ მიზეზებს სხვადასხვა ქვეყნების ლიტერატურაში, მსჯელობს იმ მიმართულებაზე, „რომელმაც კაცობრიობას შთაბერა მღელვარე და ენერგიული კაბუკობის სული უკვდავებისა“ და რო-

22 იხ. კრებული — „ახალი ქართული ლიტ-ის საკითხები“, ტ. II, გვ. 20.

23 ილია ჭავჭავაძე, გაზ. „ივერია“, 1892, № 77.

მელსაც მსოფლიო ლიტერატურაში „ბაირონიზმს“ უწოდებენ. ბარათაშვილისა და ბაირონის პოეზიის ნათესაობას ხომლელი ხსნის არა ბაირონის გავლენით, არამედ იმით, რომ ისინი „გამომხატველნი არიან ერთისა და მხოლოდ ერთი აჩემებული დედააზრისა“. ხომლელის აზრით, არსი „ბაირონიზმისა მაშინდელ შესანიშნავ პოეტთათვის საყოველთაო იყო და აუცილებელიც“. ამით აიხსნება ის ვარაუდობა, რომ მაშინ „ლიტერატურაში დაიბადნენ ჩაილდ-ჰაროლდები, მანფრედები, ფაუსტები, ფარისები, ნ. ბარათაშვილის მერანზე მჯდომი „სულით თბოლი“, რომელთაც კაცთა საზოგადოება და წუთი-სოფელი შესძავდათ და მღელვარე შავი ფიქრებით ქროლა დაიწყეს უფსკრულსა და უღაბნოებში, მინდორ-ველსა და კლდე-ღრეებში“²⁴.

აღსანიშნავია, რომ ბაირონის შემოქმედების დახასიათება და შეფასება XIX საუკუნის ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში ძირითადად ბარათაშვილის პოეზიაზე მსჯელობისას გვხვდება. კიტა აბაშიძეც თავის ცნობილ ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებში, განსაკუთრებით კი ნ. ბარათაშვილის პოეზიის შესახებ მსჯელობისას, ხშირად ახსენებს ბაირონის გენიას, მას „სალირიკო პოეზიის მეთაურად“ მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ ბაირონმა „სალირიკო პოეზებით უკვდავების სახელი მოიპოვაო“.

ბაირონს კიტა აბაშიძე „ტიტანსა და ზეკაცს“ უწოდებს და წერს: „გენიოს ბაირონს მე ვერ გავბედავ და ვერც შევადარებ ბარათაშვილს, ხოლო ეს კი უეჭველია, ბაირონის გვერდის დამამშვენებელ ლირიკოსთა შორის ადგილი ბარათაშვილსაც ეკუთვნის, იმიტომ, რომ თუ სხვებმა ბაირონის პესიმიზმი სავსებით შეიტვისეს და შეისიხლხოვრცეს, ბარათაშვილმა ზნეობრივი მოვალეობის შეგნებულობა გამოიჩინა და უსასო, დაუსრულებელ პესიმიზს კაცთა — შვილთა სოფლისა — მოვალეობა ამოუყენა გვერდით²⁵... აქვე, როცა კიტა აბაშიძე ბუნებასთან რომანტიკოს პოეტთა, და კერძოდ, ბაირონის დამოკიდებულებას ეხებოდა, აღნიშნავდა, რომ „სასოწარკვეთილება საზოგადოების დაცემისა და გათახსირების გამო ბაირონს უსულო ბუნებაში აძებნიდებდა ნუგეშსა და თანამგრძნობლებს“²⁶.

24 „კვალი“, 1896, № 221.

25 კიტა აბაშიძე, ეტიუდები XIX ს. ქართული ლიტერატურის შესახებ, ტ. I. 1911, გვ. 62/

26 იქვე, გვ. 77.

ის ფაქტი, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში, ამა თუ იმ ლიტერატურულ მოვლენაზე მსჯელობისას, ხშირად გვხვდება ბაირონის სახელი, ცხადად მოწმობს როგორც ბაირონის პოეტური მემკვიდრეობით ქართული ლიტერატურული საზოგადოების უდიდეს დაინტერესებას, აგრეთვე იმაზეც მიგვანიშნებს, რომ აღნიშნული პერიოდის ქართული სულიერი კულტურისათვის უაღრესად ახლობელი იყო ბაირონის სევდიანი, მაგრამ ამავე დროს აწმყოსადმი შეურიგებლობისა და რევოლუციური პათოსით გამსჭვალული შემოქმედება.

ნიკო ანდრონიკაშვილი

„ქალაქის“ თემა ალ. ყაზბეგის პროზაში

„ბარის“, „ქალაქის“ თემა ალ. ყაზბეგის შემოქმედებაში განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა. ქალაქთანაა დაკავშირებული ყაზბეგისათვის აბსოლუტურად უცხო, მიუღებელი ბურჟუაზიული სული-კვეთება, რომლისაგან ხსნასაც იგი „ცივილიზაციისაგან“ ჯერ კიდევ შეურყვნელ „მთაში“ ეძიებს. მთა იქცა ალ. ყაზბეგის შთაგონების მაცოცხლებელ წყაროდ, მაგრამ „ბარის“, „ქალაქის“ თემა არ გამჭრალა ყაზბეგის შემოქმედებაში. „მთისა“ და „ბარის“ დაპირისპირება შეადგენს ყაზბეგის მთელი შემოქმედების საერთო ტენდენციას.

საკუთრად ქალაქის თემა უფრო ყაზბეგის შემოქმედების ადრინდელი, 70-იანი წლებისათვის არის დამახასიათებელი. ამ პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოები არის დაუმთავრებელი რომანი „ცხოვრების ჩარხი“. რომანი „ბარის“, „ქალაქის“ თემაზეა შექმნილი; მოქმედება რუსეთში ხდება. ნაწარმოების ცენტრში დგას მდიდარი მემამულის პავლე სვეტლიცის ასული ლილია, რომლის გარშემოც ხლართავს ყაზბეგი სიუჟეტურ ქსელს. ლილია წმინდა, უმწიკლო სიყვარულით უყვარს ქართველ სტუდენტს თეიმურაზ კმუნვარაშვილს. ლილიას ხელში ჩასაგდებად ისწრაფვიან აგრეთვე მდიდარი საცოლის მამებარი ქართველი თავადი სიმონ კუხიანი და ლილიასავე გაიძვერა მოურავი, გაქნილი საქმოსანი მირონ პოლოსკო. აი, ძირითადად ეს ოთხეული ქმნის რომანის კონფლიქტს, ჰკრავს კვანძს, რომლის გახსნაც, სამწუხაროდ, რომანში აღარ არის; იგი წყდება, ალბათ, ყველაზე უფრო საინტერესო ადგილას. მაგრამ უკვე არსებულ ნაწილში იქმნება მძაფრი და მტკიცე სიუჟეტური კოლიზია და ჩანს პერსონაჟთა საკმაოდ გამოკვეთილი ანსამბლი.

მიუხედავად იმისა, რომ რომანი დაუმთავრებელია, მასში

მინც შეიძლება გამოიყოს ბევრი ის პრობლემა თუ საკითხი, რომელიც ყაზბეგის შემოქმედების გვიანი პერიოდისთვისაა დამახასიათებელი და წამყვანი. ეს რომანი იძლევა საშუალებას თვალყური ვადევნოთ ალ. ყაზბეგის ევოლუციას, მისი შემოქმედებითი მრწამსის ჩამოყალიბებას და განვითარებას.

საერთოდ, „ცხოვრების ჩარხი“ საგრძნობლად განსხვავდება ყაზბეგის ე. წ. მთის რომანებისაგან, უპირველეს ყოვლისა, შემოქმედებითი მეთოდით. „ცხოვრების ჩარხის“ ავტორი აშკარად და მთლიანად კრიტიკული რეალიზმის ტრადიციებს ემყარება. პირველ პლანზე აქ წამოწეულია არა იდეალურის ძიებისა და დამკვიდრების პათოსი, არამედ კრიტიკული, უარყოფელი ტენდენცია. წამყვანი ადგილი უჭირავს სატირას, საკაზმს, მწვავე, დაუნდობელ ირონიას, რაც ყაზბეგს, როგორც მხატვარს სამოციანელებისაგან აქვს შეთვისებული. ეს განსაკუთრებით ითქმის „ცხოვრების ჩარხის“ პირველ ვარიანტზე — „საქართველოს ბომონდზე“, რომელსაც ფაქტიურად, დეკლარაციის, დაუფარავი მხილების სახე აქვს. აქ თითქმის ყოველი პერსონაჟი გროტესკულია, სააშკარაოზეა გამოყვანილი და ავტორის რისხვისა და დაცინვის საგანი ხდება. ამით იგი უფრო ახლოს დგას გოგოლის „მკვდარ სულებთან“, ილიას „კაცია ადამიანთან“ (თუმცა, მხატვრული დონით დიდად ჩამორჩება მათ). უვარგაძე, ეშმაკაშვილი, კუხაშვილი — ეს მთელი გალერეაა ცხოვრების იმ ხორცმეტებისა, რომლებიც განიმსკვალენ ახალი დროის ახალი მხვეკველობითი სულისკვეთებით, დაკარგეს ყოველივე წმინდა და საქართველო დაღუპვის გზაზე დააყენეს (ზოგ ვარიანტს ამ რომანისას სათაურად აქვს „ახალი კაცი“, ან „ახალი ქართველი“). ეს ის ხალხია, რომელთაც ყაზბეგი ახალი დროის შვილებად თვლის, უტრადიციოდ და უმომავლოდ, რომელთა მშობლებმა „გაყიდეს საქართველო“, ხოლო თვითონ კი საბოლოოდ ბოლოს უღებენ და კლავენ მას.

„საქართველოს ბომონდი“ თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია ავტორის ტენდენციით — სააშკარაოზე გამოიყვანოს თავისი პერსონაჟები, გააშიშვლოს ის მდამალი ინსტინქტები, რომლებიც მათში ახალმა დრომ გააღვივა. ხშირად, თხრობის მანძილზე, ავტორი თვითონ ერევა მოქმედების მსვლელობაში და მკითხველისადმი უშუალო მიმართვით ცდილობს გააძლიეროს ეს მამხილებელი შტრიხები; ეპიკურ თხრობას, ჩვენებას ზოგჯერ სიტუაციის ეთიკურ-ფსიქოლოგიური ანალიზი ან უბრალო შეფასება ცვლის. ამიტომ „საქართვე-

ლოს ბომონდში“ არის ადგილები, რომლებიც თავისი სტილით პუბლიცისტურ მსჯელობას უფრო შეეფერება, ვიდრე მხატვრულ ნაწარმოებს. ამგვარი მანერა წერისა, რომელიც შემდგომი, გვიანდელი ყაზბეგისათვის არსებითად უცხოა, აქ ძირითადად მიმბაძველობის შედეგი უნდა იყოს. რომანზე შემდგომი მუშაობის პროცესში ყაზბეგი თანდათან თავისუფლდება ამგვარი გველენისაგან: „ცხოვრების ჩარხში“ უკან იხევს ყაზბეგი — პუბლიცისტი და გზას უთმობს ყაზბეგს — მხატვარს. რომანის სიუჟეტი უფრო შეკრული, ვამართული და დახვეწილი ხდება. თუ „საქართველოს ბომონდი“ ერთგვარად ფრაგმენტული იყო, აკლდა დინამიურობა, მრავალი მოქმედი პირი, ფაქტიურად, ერთსა და იმავე მხატვრულ ფუნქციას ასრულებდა, „ცხოვრების ჩარხში“ (მიუხედავად იმისა, რომ ისიც დაუმთავრებელია) ყველა მოქმედი პირი თავის ადგილზეა და გაცილებით მეტი სისრულით, ბევრად უფრო ნათლად და მკაფიოდ არის დახატული.

„ცხოვრების ჩარხმა“ შეისრულა ყველა ის ძირითადი პრობლემა თუ ტენდენცია, რომელიც „საქართველოს ბომონდში“ არსებობდა. ამავე დროს განთავისუფლდა ზედმეტი პათეტიკისაგან, დეკლარაციულობისაგან. ერთგვარად მცირდება სატირული პასაჟები, გროტესკული დეტალების რაოდენობა; ავტორის აღმფოთებული ტონიც. და აქედან გამომდინარე მწვავე სარკაზმიც, ერთგვარად ნელდება; სამაგიეროდ, ავტორის ირონია უფრო მწვავე და მახვილი ხდება. მეორეს მხრივ, რომანში წინ წამოიწია რომანტიკულმა ელემენტმა (თეიმურაზისა და ლიდიას ხაზი). აქ უკვე იგრძნობა ყაზბეგის ტენდენცია — განსაკუთრებული ინტერესი დადებითი გმირებისადმი, რომლებიც უპირისპირდებიან ბოროტებას, წინ აღუდგებიან მას, რომელთაც, მისი რწმენით, ძალუძთ იპოვნონ და გადაარჩინონ ის, რაც „ბომონდებმა“ დაჰკარგეს და დასალუპავად გააწირეს. ასეთი გმირი „ცხოვრების ჩარხში“ თეიმურაზი უნდა ყოფილიყო; მას აეისრია ეს მძიმე მისია. მაგრამ თეიმურაზი არ არის და არც შეიძლება იყოს ბოლომდე თანმიმდევრული, იგი სუსტია, დაბნეულია, ვერ გარკვეულა საკუთარ მისწრაფებებში და იდეალებში, ნიადაგი, რომელზედაც ის დგას, არამყარია, მას არა აქვს საყრდენი წერტილი. ამიტომ მან ვერ იტვირთა ბოლომდე ის მძიმე როლი, რომელიც ავტორმა მას დააკისრა და ბრძოლის ასპარეზი მოწინააღმდეგეებს დაუთმო. რომანი არ არის დამთავრებული, მაგრამ სავარაუდოა, რომ თეიმურაზის მისია რომანში აქვე უნდა

შთავრდებოდეს. შესაძლოა ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ყაზბეგმა რომანი აღარ დაასრულა: მან ვეღარ მოუწაბა საყრდენი თავის იდეალურ გმირს, ვეღარ დაინახა მასში ძალა ბოროტებისადმი, უსამართლობისადმი წინააღმდეგობისა და ამიტომაც მიატოვა ისიც და მთელი თავისი რომანიც ბედის ანაბარა.

თეიმურაზში უკვე არის ბევრი ის თვისება, რომელიც ვლგუჯას ან კობას ახასიათებთ. მაგრამ მასში არ არის ის ბუნებრივი უშუალობა, პირველყოფილი გულუბრყვილობა, რაც ყაზბეგის „მთის“ გმირების ძალას შეადგენს. იგი „ინტელექტუალური“, „მოაზროვნე“ გმირია. ფიქრობს, აანალიზებს თავის მოქმედებას, არ ენდობა თავის გრძნობებს.

„თეიმურაზს თავისი გრძნობა, რომელიც ლიდისადმი აღძროდა, მხოლოდ უბრალო მეგობრობა ეგონა და მასთან ყოფნის სურვილი კი — ცოცხალს, გრძნობაგაურყენელ სიახლოვის საჭიროება.

იმას თავში არ მოსდიოდა, რომ მის გულს სხვა გრძნობა გასჩენოდა, სხვა გრძნობა ამლევარებდა და გარდა გარეგანის მიმზიდველობისა, კიდევ სხვა უმაღლესი ცეცხლით აგიზგიზებულებოდა. თეიმურაზი სრულიად ვერ ამჩნევდა, რა რიგად წაკიდებოდა ეს ცეცხლი და ძლიერდებოდა, რომ აუცილებლად დრო უნდა მოსულიყო, როდესაც თოფის წაპალივით უნდა ეფეთქა¹. შეადარეთ ეს ნაწყვეტი „იღვუჯას“ ან „ხვევისბერ გოჩას“ და თვალნათლივ გამოჩნდება ის განსხვავება, რომელიც თეიმურაზსა და ყაზბეგის გვიანდელ გმირებს შორის არსებობს. ვლგუჯა და ონისე ბუნების შეილები არიან, ისეთივე ალაღნი და სპეტაკნი, როგორც თვით ბუნება. თეიმურაზი კი ცივილიზაციის, ახალი ცხოვრების პირმშოა, აღზრდილი უნდობლობაში, ეკვში. და მიუხედავად იმისა, რომ იგიც სპეტაკია, წმინდაა და ხალასი, მასში მაინც არის გარე საზოგადოების ზემოქმედების ნიშნები. ეკვი, დაუნდობლობა. იგი არ ენდობა თავის გრძნობებს, დაეკვებულა ლიდის სიყვარულში. მას არ სჯერა თვით სიყვარულისა. იგი მრავალნაირად აანალიზებს თავის განცდებს, უპირისპირებს მათ ცივ გონებას. გრძნობის მოვალეობისადმი დამორჩილებას ცდილობს და ამით სურს ჩაქლას მოზღვავებული ვნებები. მაგრამ ახალგაზრდული ნდომის შეჩერება ძნელია, შეუძლებელია; ამის მაგალითია თეიმურაზის სიზმარი თუ მოლანდება: „თვალწინ წარმოუდგა ლიდია, გაბრწყინებულის და

¹ ალ. ყაზბეგი, თხულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, თბილისი, 1948—50, ტ. 4, გვ. 15.

სხვივთ მოსილის წმინდანად, მერე როგორი კეთილი იყო! თეიმურაზს ყველაფერი სტკიოდა, ყოველი სხეული აწუხებდა და რაკი ლიდია მკურნალის ხელს შეახებდა, ტყვილის მაგივრად ციურს სიტკბობას იგრძნობდა. აგერ ქალი მოვიდა იმის ლოგინთან, ჩამოჯდა. პირმა გაუღიმა და თვალები საიმედოდ გაუბრწყინდა. თეიმურაზი გაუმაძღრად შეჰყურებდა და ედემის სიტკბობას ჰგრძნობდა. ქალი არ ელაპარაკებოდა, მაგრამ კეკლუცობით თავისკენ იტყუებდა. ყმაწვილკაცს თავბრუ ეხვეოდა, მაგრამ იმდენი ღონე აღარა ჰქონდა, რომ მიკარებით, შეხებით გაბედნიერებულყო. ქალი შესთამაშებდა სიტკბოებით წაშებულს, ნეტარებით საღერღელს უშლიდა და მომხიბლავად, სუნთქვასთან ერთად, სიტყვებს აგრძნობინებდა: „მოდო, თუ სიტკბოების გესმის რამე, მე შემიძლიან დაგატებო!.. სიცოცხლის ფასი გაგაგებინო!“ თეიმურაზი იტანჯებოდა, აწყვეტდა ხელებს და ამაოდ მიიბრძოდა მომხიბლავის მაცდურისაგენ. ქალმა შეიბრალა, დახარა თავი და მარჯნის მსგავსმა ტუჩებმა წარმოსთქვა: „უღონოვ! სიტკბობეც ვერ მოგიხერხებია!“

ყმაწვილმა იგრძნო ქალის სუნთქვა. მისი ტუჩები თითქმის მის სახეს ეკარებოდა და მასთან შეწებების სურვილმა გულში საკირე აღუგზნო. ამ წუთში ქალმაც თითქოს ველარ მოითმინა, ორივე ხელით ხშირი დალალები უკუიყარა, მკლავები მაგრად შემოაქლო თეიმურაზს კისერზედ და გაშმაგებით დაეკონა. ავადმყოფს ეს ნეტარება და აკლდა, რომ გონი არ წასვლოდა და ყოველისღერი გაშავდა, თვალებში წითლად აუქრელდა და სულთქმა შეწყვეტილი დაეცა“².

ქეშმარიტად ყაზბეგისეული სურათია! თეიმურაზის ამ ზმანებაში ყაზბეგი მისთვის ჩვეული ექსპრესიულობით გვიხატავს გაუცნობიერებელი გრძნობების მოზღვავებას და ცნობიერების ზედაპირზე ამოტივტივებას. აქ თეიმურაზი პირველად „იგებს“, რომ თურმე მას ლიდია „გაგიყვებით უყვარდა, იმ წუთშივე, როდესაც პირველად ნახა“.

საინტერესოა, რომ ყაზბეგის ე. წ. „მთის“ ნაწარმოებებში ამგვარი ზმანებები არ არის. „მთის“ გმირებში გრძნობა ჩასახვისთანავე ამოხეთქავს. ისინი არც ცდილობენ თავიანთი გრძნობების მოთოკვას, ჭერ მათში გარკვევას და შემდეგ გამჟღავნებას. ის, რომ თეიმურაზს ლიდიასადმი სიყვარული მეგობრობა ეგონა, თავის მოტყუება იყო და სხვა არაფერი, რაც მის ზმანებაში აშკარად გა-

² აღ. ყ ა ზ ბ ე გ ი, ტ. 4, გვ. 17

შომელავენდა. მისგან განსხვავებით მათა („ელგუჯა“) არ ცდილობს თავის თავის მოტყუებას. მან კარგად იცის, თუ რა გრძნობა აქვს მას მზალოსადმი. იგი არ ცდილობს ამ გრძნობის გაანალიზებას. „მიყვარს და რა ჩემი ბრალიაო“, ამბობს ის, თუმცა კი იტანჯება, რადგან იცის, რომ ამგვარი გრძნობა მეგობრის, მოვალეობასთან შეუთავსებელია.

არც თავისი გრძნობების გამომელავენებაში ჰკავს თეიმურაზი თავის მთელი თანამომძეების იმ მრავლისმეტყველ ზმანების შემდეგ. როდესაც მან ლიდიასადმი თავისი გრძნობა საბოლოოდ გაარკვია, იგი სასწრაფოდ ეწვია ლიდიას: „ლიდიამ თეიმურაზს შეხედა და დაინახა, რომ აღგზნებული თვალებით უყურებდა. კაცი გაწითლდა, თავი დახარა. წუთს წინად ისე გათამამებული ქალიც ერთბაშად გამოიცივლა, გაჩუმდა და თავდახრილმა კუშეტკისკენ გასწია, კაცი თითქოს უხილავ ბრძანებას ემორჩილებო, გაჰყვა უკან და ორივენი დასხდნენ.

საზოგადოდ მათი პირველი შეყრა მზიარულის ტრტინით დაიწყებოდა: ისინი ერთმანეთს ლაპარაკს არ აცდიდნენ იქამდის, სანამ სწავლას არ შეუდგებოდნენ ხოლმე და ეხლა კი ორივე ისე გაჩუმებულიყო, თითქო ერთმანეთს შემოსწყრომოდნენ: მაგრამ მათი საქციელი რომ წყრომასაც არ ჰკავდა, თქვენ ადვილად შეამჩნევდით მათა, რომ ხანგამომშვებით ხან ერთი დაუწყებდა ცქერას და როდესაც შეამჩნევდა. რომ მეორის ყურადღება მიიქცია, თვალებს დახრიდა, — ხან მეორე“³.

ავილოთ ნაწყვეტი „ელგუჯადან“: „ელგუჯამ ქალი შეიყვანა „საწოლში“, აუნთო ხირალი და რა შეხედა გაშტერებული დარჩა. იმას თვალწინ წარმოუდგა ისეთი მშვენიერი, მომზიბლავი. თხუთმეტ თექვსმეტი წლის ქალი, რომელმაც მოულოდნელად გული აუცახცახა და ძარღვებში სისხლი აუღღღა. რას შვრებოდა, სად იყო — იმას სრულიად გადაავიწყდა. ის შეეპყრო მარტო ერთს სურვილს, რომ ასე განუწყვეტლივ ეყურებინა ამ ქალის მშვენიერებისათვის და დამტკბარიყო იმ გრძნობით, რომელსაც პირველად გეღვიძა იმის გულში... ელგუჯამ ველარ მოითმინა, გადახტა და გულში ჩაიკრა ქალი. რომელიც შეშინებული და აღელვებული, რაღაცა გამოუცდელის გრძნობისაგან დამონებული მკერდს ძალზე ეკვროდა.

ამ წუთებში გამოიხატებოდა წადილი, შიში, სიყვარული, ბრძოლა აღძრულს გრძნობასთან, მაგრამ იმათგან ვერც ერთი კი ვერ

³ ალ. ყაზბეგი, ტ. 4. გვ. 18.

გეტყოდათ — რა მოსდიოდათ, რასა შერებოდნენ, ან ასე რად იქცოდნენ და სხვა რიგად არა... ელგუჯამ უკანასკნელად ძალზე ნოუქირა მკლავები. აღზნებულად აკოცა, გამოვარდა გარედ მთვრალსავეით. გიესავით და გულს ძგერით კარებთან მიწვა“⁴.

თეიმურაზი მოკლებულია იმ ექსპრესიას. იმ შინაგან სიმრთელეს. იმ ბავშვურად გულუბრყვილო დამოკიდებულებას ცხოვრებისადმი. რაც ელგუჯასათვის არის დამახასიათებელი. და ეს გასაგებიცაა. იპიტომ. რომ ისინი სხვადასხვა გარემოში, სხვადასხვა სულისკვეთებით არიან აღზრდილნი. ერთი — ბუნების წიაღში, თავისუფალი თემის, გმირობისა და ვაჟკაცური პირდაპირობის, რაინდული ურთიერთდამოკიდებულების ატმოსფეროში; ხოლო მეორე — ცივილიზაციის სამყაროში, სიყალბის, ვაქრული, მსექველობითი ინსტინქტების, შურისა და დაუნდობლობის ატმოსფეროში. ელგუჯა ქვეყანას ფართოდ გახელილი თვალებით უყურებს, თეიმურაზის წვალთახედვაში ექვის ქიაა უკვე შეპარული. სწორედ ამიტომ თეიმურაზი ადვილად სთმობს ბრძოლის ველს პოლოსკოსთან პირველივე შეტაკებაში. იგი პოლოსკომ კი არ დაამარცხა. არამედ ლიდის გულწრფელობაში. მის სიყვარულში შეტანილმა ექვმა: „—მე მსურს ლიდია პავლოვნა ვნახო.

— თქვენ გსურთ, მაგრამ იმის ნახვა შეუძლებელია!... ლიდია პავლოვნა ავად არის... და თუნდაც ეგეც არ იყოს, იქნება თვით კნიაენას არა სურს თქვენი ნახვა.

ამ სიტყვებზე თეიმურაზი შეკრთა და მთლად გაფითრდა. „იქნებ მარალა“. გაურბინა ფიქრმა და მაშინვე მეორე აზრი დაებადა: „რა არის გასაკვირველი, ქვეყანაზედ რა არ მოხდება!“

— მაშ პირდაპირ მითხარიო! — ხმამაღლა დაუმატა მან.

— პირდაპირ გეუბნებით, — უპასუხა გახარებულმა პოლოსკომ, რომ ყმაწვილ კაცს ასე ადვილად იშორებდა თავიდან.

— თქვენ ამტკიცებთ..

— მე ვამტკიცებ და გარწმუნებთ კიდევ, რომ კნიაენას თქვენი ნახვა არ სურს.

მეტად გაბედვით ლაპარაკობდა ეს კაცი, ისე გაბედვით, რომ თითქმის შეუძლებელი იყო კაცს ეფიქრა, საექვოა, ამ გასიებულის ლაპარაკიო. მისმა სიტყვებმა თავს ზარი დასცა თეიმურაზს და მთლად შეაჩყია მისი არსება.

⁴ ალ. ყ ა ზ ბ ე გ ი, ტ. I, გვ. 13—14.

ზმაგაქმენდილი, ენაჩეარდნილი, რამდენსამე ხანს ცახცახებდა ყმაწვილი კაცი და თვალეზღებულეული სკამს მოსკიდებოდა, რომ არ წაქეუულიყო. „მამ, ასე მალე, ასე სწრაფად დამივიწყა?“. გაურბინა გონებაში. „მერე როგორ მეფიცებოდა, როგორ მარწყმუნებდა“⁵.

თეიმურაზმა დაუკერა პოლოსკოს და ეკვი შეიტანა სიყვარულში. ამას არასოდეს არ იზამდა ელგუჯა, არც სხვა რომელიმე „მთიელი“ გმირი. ისინი სიყვარულს არშინებით არ ზომავენ. დაფარული ექვეები უცხოა ყაზბეგის „მთიელი გმირებისათვის“, მათ უყვართ და დარწმუნებულნი არიან საპასუხო სიყვარულში. გაეინხნეთ. რას ეუბნება ელგუჯა ნამუსახდილ მზალს: „მზალო მოყვა თავის გაწბილების ამბავს, რომელზედაც ლაპარაკი მთელ სიცოცხლედ უღირდა.

— ეხლაც არ დარწმუნდები, რომ შენი ღირსი აღარა ვარ?

— ბარემ, ბარემ მინდოდა, აგრე მეთქვა, მაგრამ რაი ექნა, რომ მიყვარხარ, ჩემ თავზე მეტად!... მიყვარხარ... ელგუჯამ ძალზედ მიცრა გულზედ მზალო და დაუწყო გამმაგებით კოცნა“⁶.

თეიმურაზი ასეთი ხალასი გრძნობისათვის უძღურია. ამ მხრივ მისი მახლობელია ყაზბეგის კიდევ ერთი „ქალაქელი“ გმირი — დევანი „განკიცხულიდან“, რომელიც აგრეთვე ექვს შეიტანს მარის სიყვარულში, როგორც კი პორფირუშკა თავის შეთითხნილ ყალბ წერალს აჩვენებს. ეს ის ექვიანობაა, ის უნდობლობაა სხვისა და საკუთარი თავის მიმართაც. რომელიც აუცილებლად გაიღვიძებს აღამიანში თუ იგი იზრდება და ტრიალებს ყალბსა და დაუნდობელ. შურით შეპყრობილ და მლიქვნელ საზოგადოებაში (თვისი ყაზბეგიც ხომ ბავშვობიდანვე აპგვარი ექვითა და უნდობლობით იყო შეპყრობილი გარშემომყოფთადმი). თეიმურაზს, რომელსაც უღიდესი მოთხოვნილება აქვს სპეტაკი, წმინდა, უანგარო, შეურყენელი სიყვარულისა. ეკვი შეაქვს აპგვარი სიყვარულის შესაძლებლობაში, ამით მას ეკვი შეაქვს საერთოდ სიყვარულში, რითაც ელავს მას და მასთან ერთად საკუთარ სასიცოცხლო ძალებს.

თეიმურაზი დადებით გმირთა რიცხვს მიეკუთვნება, მაგრამ იგი არ არის მეტროპოლი გმირი, იგი უფრო „მოაზროვნე“ გმირია, იგი ფიქრობს, იგი სწონის ყოველ თავის ნაბიჯს, „მას გრძნობაც და ექვაც ერთგვარი სიძლიერისა ჰქონდა, ერთმანეთს ვერა „სჯალ-

⁵ ალ. ყაზბეგი, ტ. 4, გვ. 58.

⁶ იქვე, ტ. 1, გვ. 92.

დობდა“. ვერ იმორჩილებდა... მისი გრძნობა შეებნია გონებისაგან შეიწვევებულს რწმუნებასა და მით უფრო ძლიერი გამედგრებულის პირობის მსხვერპლად გაუხდია“.

თეიმურაზის სახეში ნათლადაა გამოხატული დაპირისპირება მის ბუნებრივ ადამიანურ ლტოლვასა და გონებას შორის, რაც სამშობლოს წინაშე მამულიშვილური მოვალეობის თავისებურ გაგებაში გამოიხატება. თეიმურაზი ქადაგებს პირადი ინტერესების ღათარგუნვას, საკუთარი ინდივიდუალობის ჩაკვლას, უფრო დიდი, საზოგადოებრივ-ეროვნული ინტერესების სასარგებლოდ.

უკვე „ცხოვრების ჩარხში“ არის წანამძღვრები იმისა, რაც „მთის“ ნაწარმოებებში ყაზბეგმა „თემის“ სახით შემოიტანა ლიტერატურაში. სახელდობრ საზოგადოებრივისა და ინდივიდუალურის, ეროვნულისა და პირადის იდეალური ერთიანობის შექმნის ცდა: „თეიმურაზს კარგად ესმოდა, რომ თავის ქვეყნის და ხალხის პატივის დაცვა პირადად თავისი ღირსების დაცვა არის, და თავისი თავი მსოლოდ თავისსავე ერთან ესმოდა. განმარტოებული, ცალკე ვერ წარმოედგინა ქართველი და სწორედ ამისათვის საქართველოს რომელ კიდებზეც არ უნდა დაეკრათ, თეიმურაზის გულში ტკივილი ვაისმოდა. ის იყო საქართველოს ნაწილი და მასთან გადაბმული გრძნობით. საერთოს ხალხოსნობის უმთავრესი ძარღვი, იმის ფიქრით, ურიცხვ ძალებად განაწილებულიყო და, ვინც ერთს მათგანთან დაკავშირებით არ გაბედნიერებულყო, ის ქართველად არა სწამდა და დალუპულად მიაჩნდა“⁷.

ამ სიტყვებში ყაზბეგის მსოფლმხედველობის ძირები ჩანს. მას განმარტოება, განცალკევება დალუპვად მიაჩნია, ხოლო ერთიანობა კი ძალად. აი, რას წერს ყაზბეგი ქართული ფერხულის შესახებ: „დიდი თუ პატარა, ბატონი თუ ყმა, ერთმანეთს ძმურად ხელს გადახვევენ, ერთ წრეს შეადგენენ. თითქოს მით მამაპაპის ანდერძი უნდა მოიგონონო, რომ ერთობა შეურყვენელი ძალაა, ხოლო განცალკევება დალუპვაო“⁸.

ეს „მამა-პაპის ანდერძი“, ეს „ერთობა“ სწორედ ის ცნებებია, რომლებიც ყაზბეგმა თავის მთის რომანებში მხატვრული განზოგადოების დიდ სიმაღლეზე აიყვანა და, როგორც აღვნიშნეთ, თემის სახით წარმოგვიდგინა. მაგრამ რა დიდი სიყვარულითა და აღფრთოვანებითაც არ უნდა გვიხატავდეს თემს, ერთობას, ეროვნულ

⁷ ალ. ყაზბეგი, ტ. 4, გვ. 33.

⁸ იქვე, გვ. 43.

ძალას, როგორც პიროვნების თავშესაფარს და მის დასაყრდენს, რა გულისტკივილითა და გულსწყრომით არ უნდა განიცდიდეს იგი მის დაშლასა და გაქრობას, მთ უფრო მეტი სიყვარულითა და თანაგრძნობით, სინაზითა და სევდით გვიხატავს იგი ცალკეულ ადამიანების, პიროვნებების ბედს, რომლებიც იჩაგრებიან არა მარტო თემთან ერთად, არამედ იჩაგრებიან და იტანჯებიან თვით იმ იდეალურ თემშიც, რომელიც თითქოს ადამიანის ბედნიერების მაქსიმალური საწინდარი უნდა იყოს. „ადამიანი ტანჯვისათვის არის გაჩენილი“ და მას სრული ბედნიერება არ უწერია. — მიუსედავად იმისა, რომ ყაზბეგს ერთგვარი ოპტიმიზმი შეაქვს ამ პესიმისტურ დასკვნაში (პიროვნების ინტერესების კოლექტივის ინტერესებს უქვემდებარებს და პირად ბედნიერებას საერთო ბედნიერებას სწირავს მსპვერპლად), მის შემოქმედებას მაინც გამსჭვალავს უდიდესი ტრაგიზმი და განუსაზღვრელი სევდა ადამიანის მარადგანუხორციელებელი ბედნიერების გამო. ყაზბეგი ყოველნაირად ცდილობს ამ სევდიანი გრძნობის მიჩქმალვას, მოქალაქეობრივი, ეროვნული პათოსით, მეგრძოლი ოპტიმიზმით მის გადაფარვას, მაგრამ სევდა და ტრაგიზმი ყოველთვის ყონავს მისი შემოქმედების ზედაპირზე, და ზოგჯერ ძალუმი გვიზერავით ამოხეთქავს კიდევ.

„ცხოვრების ჩარბში“ ეს ყველაფერი ერთგვარად რიტორიკულად. ავტორისა და პერსონაჟების მსჯელობებშია გაბნეული, თეიმურაზი, როგორც აღვნიშნეთ, „მოაზროვნე“ გმირია და იგი მსჯელობის, ლოგიკის გზით ცდილობს პრობლემის გადაჭრას. თავის გვიანდელ ნაწარმოებებში ყაზბეგი უარყოფს ასეთ „ინტელექტუალურ“ დამოკიდებულებას პრობლემისადმი და „ინტუიტიური“ გზით წყვეტს მათ. იგი ცდილობს პრობლემის არსი არა მსჯელობაში და ლოგიკურ კატეგორიებში, არამედ ხასიათებში, ცხოვრებისეულ სურათებში დაგვიანახოს არც ელგუჯა, არც მათია, არც ორივე ონიქე არ მსჯელობენ, არ სჯიან, არ კამათობენ; ისინი ბუნების ხალასი შვილები არიან და იქცევიან ბუნებრივად — ისე, როგორც ბუნება კარნახობს. ეს იმას კი არ ნიშნავს, თითქოს ისინი მხოლოდ და მხოლოდ თავიანთი ინტინქტების ტყვეობაში იყვნენ, პირიქით, მათი ეთიკა, შინაგანიც და საზოგადოებრივიც, გაცილებით უფრო მაღალია. ვიდრე თეიმურაზის მტყნარი „ინტელექტუალური“ პატრიოტიზმი. მათი გრძნობებიც, მათი მეობაც გაცილებით უფრო ღრმაა და აქედან მათი ტანჯვაც ათქეცად უფრო მძიმეა და ტრაგიკული. მათი კონფლიქტი საკუთარ თავთან მხატვრულად გაცილებით

წევრო დამაჯერებელია და ამდენად უფრო შთამბეჭდავიც, ვიდრე თეიმურაზის სულიერი დრამა.

თეიმურაზი ნაწარმოების დადებითი გმირი და ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟია. მაგრამ იგი არ არის ნაწარმოების მთავარი ფიგურა. თეიმურაზი უძლურია თვითონ იტვირთოს ნაწარმოების განვითარების მთელი სიმძიმე, მას ძალა არ შესწევს, არამც თუ წარმართოს თავისი საკუთარი ბედი, არამედ ოდნავი წინააღმდეგობაც კი გაუწიოს ბედისწერას.

თეიმურაზი პასიური გმირია. სამაგიეროდ აქტიური გმირია სამონ კუხიანი და სწორედ იგია, ჩვენის აზრით, რომანის ცენტრალური ფიგურა. საერთოდ რომანი თავდაპირველად ჩაფიქრებული იყო, როგორც ქრონიკა საქართველოს დაცემისა; თუ როგორ იღუპება ერი, საზოგადოება „ახალი ქართველების“, „ბომონდის“ ხელში. ყაზბეგი ამ პერიოდში სწორედ მაღალ წოდებაში ხედავს გასრწვნისა და დეგრადაციის მთავარ კერას, რადგან სწორედ ამ წოდებამ შეისუნთქა პირველად ახალი დროის მოწამლული ჰაერი, სხვებზე აღრე იგრძნო ის მუჯღუფენი, რომელიც ახალმა ცხოვრებამ უთავაზა და ძველი დიდების დაკარგვის საფრთხის წინაშე დამდგარი, ახალ იყო უსაშინელესი ბოროტებაც კი ჩაედინა, ოღონდ ცხოვრების ზედაპირზე დარჩენილიყო. ამ წოდების წინააღმდეგ არის მიმართული ყაზბეგის რისხვა „საქართველოს ბომონდში“:

„არისტოკრატნი, გარყენილნი საუკუნოებით... ეს ხალხი არიან დაბადებულნი მხოლოდ გასტინისათვის, ერთმანეთის სატყუებლად და ქვეყნის დასალუპავად...“⁹. ასეთია სიმონ კუხიანიც, რომელიც შიოლას, გირგოლას, აპოაკუნეს და სხვა „მამის მკვლელთა“ რიგში უნდა ჩაეაყენოთ. რომელთაც სული მიჰყიდეს ეშმაკს და ახალ კერპებს შესწირეს მსხვერპლი.

სვიმონმა. „მამის მკვლელთა“ მემკვიდრეობით მიიღო საკუთარი მშობლებისაგან: „თავადი სვიმონ კუხიანი იყო კარგი დედამკის შვილი, კარგი ოჯახის პატრონი, იმ ოჯახისა, რომელმაც წარსულში დესპანობისა და ელჩობის ნიჭი გამოიჩინა და საქართველოს თავისუფალი სუნთქვის მოსასპობად მცირედი მეცადინეობა არ გასწია. საქართველოს თავ-თავის დროზე კეთილისმყოფელნი არ დაჰლევია, თავ-თავის დროზე მათი სამსახურიც დაჯილდოვებულა. ამისათვის სვიმონ კუხიანის მშობლებიც უნდა დაჯილდოვებულნი-

⁹ ა. ლ. ყაზბეგი, ტ. 5, გვ. 260.

ყვენ და დაჯილდოვდნენ კიდევ: შეიძინეს სიმდიდრე, დიდკაცობა და პატივი“¹⁰. დიდი შიხვედრილობა არ არის საჭირო, რომ ამ სიტყვებში მკაცრი ირონია და ამავე დროს სევდა და ტკივილი ამოიკითხო.

სვიმონი სავსებით მომზადებული გამოვიდა ცხოვრების ასპარეზზე, მან მშვენივრად იცოდა, რომ მთავარი ძალა ცხოვრებაში ფული იყო და ისიც ყოველნაირი საშუალებებით ცდილობდა, რომ ეს ძალა ხელში ჰქონოდა. იგი ახალი ტიპის ქართველი იყო, „სოლიდურ აღზრდა მიღებული“ და კარგადაც გარკვეული ახალი ჩინოვნიკური აპარატის მლიქვნელობაზე, მექრთამეობაზე და ძარცვა-გლეჯაზე აგებულ სტრუქტურაში. სვიმონისათვის აღარ არსებობს ცნებები ადამიანური ღირსებისა, თავმოყვარეობისა, ამათ მისთვის იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც ისინი შემოსავლის წყაროდ შეიძლება იქცან. სვიმონი სულ უფრო სცილდება ადამიანურ არსს. „თქვენ ღირსეული, პატიოსანი და ჩემი ერთგული კაცი ყოფილხართ“¹¹. — ეუბნება გენერალი სვიმონს, როდესაც იგი მას მორიგ აფიორას შესთავაზებს: და ეს ირონია არ არის, ეს ღირსებისა და პატიოსნების ახალი კრიტერიუმია, ახალი საზომია „ახალი ადამიანისა“. ფაქტიურად ჩვენ საქმე ადამიანებთან აღარც კი გვაქვს. აქ მოქმედებს ფული, ადამიანი კი მხოლოდ მონაა, ერთგული შემსრულებელი თავისი კერპის კაპრიზებისა. ფული ფარავს, ჩრდილავს ადამიანის არსებას. როდესაც ყველაფერი პოტენციური მოგების თვალსაზრისით იზომება, კვდება სულიერი საწყისი, კვდება სილამაზე, მშვენიერება: „—ჰე, —ჰე, —ჰე! — ამოიოხრა აპოლონმა და დაუმატა: ყოველი აპოლონი უფულოდ დამახინჯდებაო“¹². ყაზბეგის ისეთი გმირებისათვის, როგორც არიან კუხიანი, აპოლონი, პორფირუშკა და სოფიო საერთოდ უცხოა ტვობა სილამაზით. მშვენიერების ცნება მათთვის მომგებიანობის ცნებითაა შეცვლილი: „ლამაზი და მდიდარი?... ეგ ორი თვისება ერთად იშვიათად თავსდება — სილამაზეს კიდევ დავსთამბდი თუ ფული ექნებოდა“¹³.

«Вследствии рыночной ориентации человек имеет дело со своими собственными свойствами, как с товаром, отчуждаемым от него, ибо для него становится важным не оценка этих

¹⁰ ალ. ყ ა ზ ბ ე გ ი, ტ. 4, გვ. 69.

¹¹ ი ქ ვ ე, გვ. 76.

¹² ი ქ ვ ე, გვ. 77.

¹³ ი ქ ვ ე.

свойств в процессе использования их, а его успех в продаже их»¹⁴.

აპოლონი, სვიმონი და მათი მსგავსი „საქმოსნები“, რომლებსაც კაპიტალი არ გააჩნიათ, ეწევიან თავისებურ პროსტიტუციას. საკუთარ თავს აქცევენ კაპიტალად და ცდილობენ მის რაც შეიძლება უკეთ დაბანდებას: „აპოლონი საქართველოში იმისათვის წამოსულიყო, რომ აქედან წარმოსადეგი ყმაწვილი კაცები რუსეთში წაეყვანა. იქ ეშოვა მათთვის მდიდარი საცოლეები და ამგვარის შრომისათვის ღირსეული სასყიდელი აეღო“¹⁵.

ცოლის თხოვა სვიმონისათვისაც და აპოლონისათვისაც ბიზნესა. ბიზნესი კი კონკურენციის გარეშე შეუძლებელია. მძაფრია და დაუნდობელი კონკურენცია ქალის (სიმდიდრის) ხელში ჩასაგდებად: — დაბრკოლებებსაც შევხვდებით?

— სადაც თავლია, ბუზიც იმ ადგილას ეხვევა. სვიმონ, — დარცების კილოთი უთხრა აპოლონმა, — მდიდარი საცოლეები ბევრ საქმროებს იზიდავენ, სიმდიდრის მოპოვების მსურველნი მრავალნი არიან.

— მით უკეთესი, — უპასუხა სვიმონმა, — შემთხვევა გვეძლევა ბრძოლაში ჩარევისა და ვნახოთ ვინ გაიმარჯვებს¹⁶.

ქალისათვის ბრძოლა ოდითგანვე არსებული რაინდული წესია (კავისხენოთ თუნდაც ყაზბეგის მიერ ბრწყინვალედ აღწერილი ხარჯიზების ბრძოლა სატრფოსათვის, უაღრესად რაინდული და ამაღლებული): ქალისათვის ბრძოლის აღწერისას, ყაზბეგი, ჩვეულებრივ, გვიხატავს ვნებით სავსე გრძნობებს, შმაგსა და მრისხანეს, მაგრამ ამავე დროს უაღრესად ნაზსა და სათნოს. ასეა, როცა მოქმედება პატრიარქალურ მთაში წარმოებს. აქ კი — ცივილიზებულ ბარში, — ყოველგვარ ადამიანურობას მოკლებული საქმოსნური დამოკიდებულებაა: საქონლად, სავაჭრო, სააღებმიცემო საგნად ქცეულა ადამიანი; შეუპოვარი ბრძოლა მიჰდინარეობს არა ქალის გულისათვის, არამედ მისი ფულისათვის, სიმდიდრისათვის. კონკურენტები მზად არიან ყელი გამოხრან ერთმანეთს, რათა მდიდარი საცოლე ჩაიგდონ ხელში, დაეპატრონონ მის სიმდიდრეს, მეწველი ძროხასავით გამოწველონ უკანასკნელ წვეთამდე, შემდეგ კი მიაგდონ უსარგებლო ნივთივით და ახალი „საქმის“, სიმდიდრის ახალი წყაროს სა-

14 К. Маркс, Ф. Энгельс, Из ранних произведений, 1955, стр. 590.

15 ალ. ყაზბეგი, ტ. 4, გვ. 78.

16 იქვე.

ქებნელად წავიდნენ. ასეთი მდგომარეობა თავის არაადამიანურ დალს ასვამს ადამიანთა პირად ურთიერთობებს. მეგობრობისა და მოქიშპეობის ცნებათა პირველადი აზრი გაუქმებულია. ადამიანები მხოლოდ კომპანიონები ან კონკურენტები არიან. დღევანდელი ამფსონი ხვალ შეიძლება მოსისხლე მტრად იქცეს და პირიქით. ერთი ცდილობს მეორე გააცუროს და რაც შეიძლება მეტი წაგლიჯოს. ურთიერთდამოკიდებულება ძალზე არამყარი და სიტუაციიდან გამომდინარეა. ტურის საქციელი — სხვანაირად შეუძლებელია სვიმონის საქციელის დახასიათება, როდესაც მან აპოლონის ცოლს, აპოლონისაგან მალულად უკანასკნელი სარჩო წაგლიჯა, — წაართვა ის, რაც თვით აპოლონს გადაურჩა. ანდა მისი დამოკიდებულება აპოლონთან: „პირველი სიტყვიდანვე აგრძნობინა აპოლონს, რომ ეს დალალი იყო, სადალალოში ფულს იღებდა და მამასადამე, რიგან სამსახურს სთხოვდნენ. აპოლონი ამხანაგს ელოდა. იმას მბრძანებელი მოუვიდა. ამ შემთხვევამ თუმცა არა მცირედი შეაფიქრა, მაგრამ ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ აღსრულებაზედ უარი ვერ გაბედა და მეორეს დღეს სოკოლნიკში სახლის დასაქერად წავიდა“¹⁷.

სამაგიეროდ გაქნილ ვაჭართან შეტაკებისას სვიმონი თვით ჩავარდა მძიმე მდგომარეობაში და თავის თავზე იწვნია მტაცებლის ბასრი კლანჭები. სცენა ვაჭართან უაღრესად დინამიურია და შთამბეჭდავი; კითხულობთ მას და ხედავთ, როგორ აქანდაკებს ყაზბეგი თავის პერსონაჟებს, რეალისტური სიმართლით ხატავს მათ ხასიათებს. ვერავითარი ავტორისეული დახასიათება ასე სრულად და ამავე დროს ასე შთამბეჭდავად ვერ გახსნიდა გმირების შინაგან ბუნებას, როგორც ამას ყაზბეგი აკეთებს მოქმედების მსვლელობაში. სულ რამდენიმე შტრიხი და პორტრეტი მზად არის. ვაჭარი, რომელსაც სვიმონი ესტუმრა, ნაწარმოებში სხვაგან არსად არ ჩნდება, იგი ეპიზოდური ტიპია, მაგრამ ამ ეპიზოდშიც კარგად ჩანს, რომ იგი მალალი რანგის გამობრძმედილი მტაცებელია, და მას სვიმონი, (რომელიც, თავის მხრივ, მტაცებლად გვევლინება აპოლონის ცოლთან ურთიერთობაში) შეგირდად თუ გამოადგება.

რალა საკვირველია, რომ ამ სიცრუის, გაუტანლობის, საყოველთაო ურთიერთმტრობისა და „მგლური“ დამოკიდებულების ატმოსფეროში არ აღმოჩნდა ისეთი გულუბრყვილო, სპეტაკი და პატიოსანი ადამიანის ადგილი, როგორიც თეიმურაზია. თეიმურაზი თა-

17 ალ. ყაზბეგი, ტ. 4, გვ. 84.

ვისი რომანტიკული ბუნებით ზედმეტია იმ „პატიოსან“ საზოგადოებაში, რომელიც საქმოსნური იდეალებითა და მხვეჭელობითი ინსტიქტებით იყო შეპყრობილი.

თეიმურაზი, კუხიანი და პოლოსკო ქმნიან სამკუთხედს, რომლის ცენტრში დგას ლიდია. იგი არის ამ სამივე გმირის შეხვედრის წერტილი: ამავე დროს ის არის სამივე პიროვნების სასიხვი ქვა. სწორედ ლიდიასთან დამოკიდებულებაში მელანდრეა ყველა მათგანის ინდივიდუალობა. თეიმურაზისათვის ლიდია ღმერთია; უმანკო სიყვარულის განსახიერება, მისი ლტოლვა ლიდიასადმი წმინდაა და უანგარო.

კუხიანისათვის ლიდია სიმდიდრისა და სიამოვნების წყაროა, უზრუნველი, მხიარული და აღვირაბსნილი ცხოვრების გასაღები.

პოლოსკოსათვის ლიდია ოქროს კერპია, კაპიტალდაბანდებაა, ტრამპლინია მაღალი საზოგადოებისაკენ.

კუხიანი წარმავალი კლასის — არისტოკრატის წარმომადგენელია, რომელიც ყველა ღონეს ხმარობს ზედაპირზე ამოსატივტივებლად.

პოლოსკო ამომავალი კლასის, ბურჟუაზიის ტიპური წარმომადგენელია. იგი განურჩევლად მიისწრაფვის თავისი საქმის განსახორციელებლად.

თეიმურაზი ინტელიგენტია, მაღალი იდეალების მქონე, მაგრამ უმოქმედო, უნიათო და ამდენად უპერსპექტივო.

ლიდია მსხვერპლია, უძლური და უპატრონო, ყოველგვარ დასაყრდენს მოკლებული; თუმცა, რომანის დასაწყისში იგი იჩენს ერთგვარად მტკიცე ხასიათს და ნებისყოფას, მაგრამ მამის სიკვდილის შემდეგ იგი სრულიად უმწეო აღმოჩნდება, როგორც კუხიანის შემპარავი ქათინაურებისა და მოჩვენებითი ბრწყინვალეების წინაშე, ასევე პოლოსკოს უხეში შემოტევის წინაშეც.

ასეთია ძალთა განლაგება, ხასიათთა სიუჟეტური დისპოზიცია რომანში, მისი შეწყვეტის მომენტში. თეიმურაზი უკვე დამარცხებულია, ხოლო ვინ გაიმარჯვებს პოლოსკოსა და კუხიანის ბრძოლაში, გაურკვეველია, თუმცა, თუ ყაზბეგის შემოქმედების შინაგან ლოგიკას გავყვებით, გამარჯვებული პოლოსკო უნდა გამოვიდეს, რადგან სწორედ მასში სჩანს იმ ახალი ძალის კონტურები, რომელიც შემდგომში ყაზბეგის შემოქმედებაში ბედისწერის სახეს იღებს და გარედან შემოკრიბილი ცივილიზაციის სახით წარმოგვიდგება; ყაზბეგის „მთის“ რომანებში, ეს ახალი ძალა (საღდათების სახით)

ყველაზე კრიტიკულ მომენტებში გამოჩნდება ხოლმე და საქმეს თავის სასარგებლოდ სწყვეტს. ასევე პოლოსკოც რომანში ყოველთვის კრიტიკულ, საკვანძო მომენტებში ჩნდება და მკვეთრად ცვლის საქმის ვითარებას თავის სასარგებლოდ. პოლოსკო სწორედ ის ძალაა, რომელსაც ყველაზე უფრო უფროსხის ყაზბეგი. და თუ კუხიანის დახასიათებისას ხშირია ირონია და სატირული შტრიხები, პოლოსკოს დახასიათებისას ყოველივე ეს ქრება და ადგილს უთმობს მკაცრ, ავისმომასწავებელ, თითქმის სასოწარკვეთილ სერიოზულობას. რომანში პოლოსკო ყველაზე ნაკლებად ჩანს, მაგრამ, შეიძლება ითქვას, მისი სახე ყველაზე რელიეფურადაა გამოკვეთილი.

„ცხოვრების ჩარხში“ უკვე ნათლად იგრძნობა იმ ტენდენციების კონტურები, რომლებიც ყაზბეგისათვის ასე დამახასიათებელი ხდება მის შემდგომ შემოქმედებაში. ესაა, უპირველეს ყოვლისა, კონტრასტული დაპირისპირება, ერთის მხრივ, კეთილს, ამადლებულს, რომანტიკულსა და მეორეს მხრივ, ბოროტს, მდაბალს, რეალურს შორის. შემოქმედების ამ ეტაპზე რეალური საწყისი წამყვანია: ამ რომანში ყაზბეგი გვევლინება უფრო უამთააღმწერლად, მკაცრ ობიექტურ მსაჯულად სინამდვილისა. იგი არ გვიხსნის თავის შინაგან სამყაროს. ამიტომაც, რომ მის ამ რომანს აკლია ის გრძნობათა მოზღვაება, ის ვნებათა ქიდილი, რაც ყაზბეგის მხატვრული შემოქმედების თავსა და თავს შეადგენს.

სხვა ტიპის ნაწარმოებს წარმოადგენს დაუმთავრებელი რომანი „თავის მახეში“. თუ „ცხოვრების ჩარხში“ საზოგადოებრივი, ეროვნული მოტივებიც იჩენენ თავს, „თავის მახეში“ მოკლებულია ფართო პლანს. იგი ვიწრო, ოჯახურ, ინტიმურ ცხოვრებას ასახავს და წმინდა მორალურ პრობლემებს ეხება.

რომანი რუსულ სინამდვილეს აგვიწერს და, როგორც ჩანს, რუსულიდან უნდა იყოს გადმოკეთებული (რომანის ხელნაწერს თავისუფალი თარგმანი აწერია). მაგრამ, მეორე მხრივ, მასში ავტობიოგრაფიული ელემენტებიც შეინიშნება; მაგალითად, პატარა განუბივრებულ ანდრიუშკას სახეში შეიძლება თვით ყაზბეგის პატარაობა ამოვიცნოთ. ჩამოსულ გუვერნანტკასთან ანდრიუშკას პირველი შეყრის სცენა აშკარად ავტობიოგრაფიული ფაქტია. ამას გარდა, თუ ელისაბედ ყაზბეგის მოგონებებს ვერწმუნებით, მაშოს სახე და მისი მდგომარეობა ლეონტიევის ოჯახში ძალზე წააგავს თვით ელისაბედ ყაზბეგის მდგომარეობას ბიძამისის, მიხეილ ყაზბეგის

კარზე. ხოლო ზოიას ხასიათში არის ალექსანდრე ყაზბეგის დედის ხასიათის შტრიხები. ზოიას გამზრდელი ბარბარეც ერთგვარად ემსგავსებო ელისაბედ ყაზბეგის მიერ აღწერილ გამზრდელ ნინოს.

ეს ყველაფერი გვაძლევს იმის საფუძველს, რომ რომანი ავტობიოგრაფიულ შტრიხების მატარებლად მივიჩნიოთ. თუ ეს ასეა, მაშინ ეს რომანი, გადმოკეთებულია ის თუ არა, ნანახსა და განცდილს ემყარება და აღრეული (ბავშური) შთაბეჭდილებების გვიანდელი ანალიზის ცდაა.

ნაწარმოებში მოთხრობილია ერთი ოჯახის ამბავი, ზოიამ თავის დას კლავდიას „წაართვა“ საქმრო — ლეონტიევი, მდიდარი, ლამაზი და განათლებული მემამულე და ამდენად სახარბიელო საკბილო. ამ ნიადაგზე კლავდია გაგიჟდა, ხოლო ზოიამ და ლეონტიევმა შექმნეს „ნეულრო“ და „ბედნიერი“ ოჯახი. ზოია ცერბერივით დაჩაჯობს ამ თავის სიმყუდროვეს და ბედნიერებას, იგი თვალის ჩინივით უფრთხილდება თავისსა და ქმრის „სიყვარულს“. ცდილობს ყველას ჩამოაცილოს თავისი ქმარი, გარიყოს იგი „უკაცრიელ კუნძულზე“ და მასთან ერთად მიეცეს ცხოვრების იდილიას.

მაგრამ იდილია ირღვევა, მის დას იულიას თავისი შვილისათვის ჩამოჰყავს გუვერნანტკა ნატალია, რომელიც უმეგობრდება ლეონტიევს; ლეონტიევიც გრძნობს ნატაშასადმი სულიერ სიახლოვეს. იგი უეცრად აღმოაჩენს, რომ მისი იდილია მირაჯია, მისი სიყვარული ცოლისადმი ფიქციაა, მათ ერთობას საფუძველი არ გააჩნია. რომანი აქ წყდება. როგორც ვხედავთ ამ ნაწარმოებში დგას ოჯახის, ცოლ-ქმრული სიყვარულის პრობლემა.

ერთმანეთს უპირისპირდება ორი პიროვნება, ორი თვალსაზრისი — ზოია და ნატაშა. ოჯახს, ცოლქმრობას ზოია უყურებს როგორც საქმის გარიგებას. სიყვარული, მისთვის მხოლოდ იარაღია, გზაა, საშუალებაა „ბედნიერების“ მისაღწევად. საკუთარი „ბედნიერება“ მას ხომ ამგვარად აქვს შეკოწიწებული.

მაგრამ ზოიას ბედნიერება ყალბია, სიცრუითა და ორპირობით აშენებული, ამ „ბედნიერების“ საფუძველი ანგარებაა და მის შესანარჩუნებლად ზოია იძულებულია ნიღაბფარებულმა იცხოვროს, რათა არ გამოჩნდეს მისი ნამდვილი ბუნება.

ზოია თვითონვე კარგად გრძნობს თავისი ბედნიერების ილუზიურობას, ამიტომაც იცავს მას ასეთი გააფთრებით, ამიტომაც ეჩვენება ყველა ადამიანში თავისი ბედნიერების მტერი, ამიტომაც ასეთი უნდობლობით გამსჭვალული ყველასადმი.

ზოიას, რომელიც ასე გააფთრებით იცავს თავის ბედნიერებას, რადგან მისი დაქარგვისა ეშინია, სინამდვილეში საერთოდ არ სჭერა ბედნიერების შესაძლებლობისა. მისი ბედნიერება ეს ბედნიერების ფილისტერული ილუზიაა, რომელსაც იგი თვითონვე ქმნის. მაგრამ ბევრისაგან განსხვავებით გრძნობს ამ ილუზიურობას და მისი გაქრობისა ეშინია (იგი იმ ადამიანს ჰგავს, რომელიც ტკბილ სიზმარს ჩასქილებია და მისი გახანგრძლივება სურს).

აბსოლუტურად საპირისპირო ტაბია ნატაშა. სიყვარული მისთვის საქმის გარიგება. პირადი კეთილდღეობის შექმნის საშუალება როდია, ეს ზეცით მოვლენილი გრძნობაა, რომელიც თვითვე გულისხმობს პოტენციაში ბედნიერებას. ნატაშას ღრმად სჭერა ბედნიერების არსებობისა:

„ვე ვარწმუნებელი ვარ, რომ არც ერთი კაცის ცხოვრება ისე არ გაივლის, რომ ერთხელაც არის ბედნიერება არ ეწვიოს და ამის გამოისობით მომავალში მეც ბედნიერებას უნდა ველოდე. რა საჭიროა ამგვარი სასოწარკვეთილება? რა საჭიროა მზადება რაღაც მოულოდნელ შემთხვევებისათვის? ეგ სხვა არაფერს არ მიეწერება, თუ არ სულიერ სილაჩრეს“¹⁸.

ეს სიტყვები არ არის შემთხვევითი, სხვათა შორის წარმოთქმული პერსონაჟის, ცხოვრებაში გამოუცდელი ქალიშვილის მიერ, რომელსაც სინამდვილე და მომავალი ვარდისფრად ესახება. ეს სიტყვები ძალზე ნიშანდობლივია ყაზბეგისათვის, რადგან გამოხატავენ მისი შემოქმედებისათვის ორგანულ. ქედუხრელ ოპტიმიზმს. მთელი მისი „მთის“ შემოქმედება ამგვარი „სულიერი სილაჩრის“ გამობაა და მიუხედავად ფაქტიური განუწყვეტელი და უსახლვრო უბედურებისა, მაინც ნათელი, ბედნიერი მომავლის იმედინი მოლოდინია.

ამგვარი „სულიერი სილაჩრე“ არ ახასიათებს ნატაშას. იგი არა ჰგავს ყაზბეგის სხვა „პატარა ადამიანებს“. მათზე გაცილებით ძლიერია, არ ახასიათებს ცხოვრების შიში, მისი ხასიათი მტკიცეა და შეურყეველი, მისთვის უცბოა ყოველგვარი დაექვეება და უნდობლობა, იგი პირდაპირია და სხვისგანაც ასევე პირდაპირობას მოითხოვს, ამავე დროს იგი არ არის გულუბრყვილო და უნებისყოფო, როგორც ყაზბეგის ბევრი სხვა „ქალაქელი“ პერსონაჟი. მას გააჩნია საკუთარი პიროვნული „მე“ და ადვილად არავეს ალახვინებს თავის უფლებას და ღირსებას.

¹⁸ ალ. ყაზბეგი, ტ. IV, გვ. 117.

ნატაშამ სიცოცხლე, ცხოვრების ხალისი შემოიტანა ლეონტი-
ევის სამყაროში, რომელიც ზოიას წყალობით ძალზე უახლოვდება
განდევილურს.

ამ ნაწარმოებში, რომელიც ჯერ კიდევ შორს დგას მხატვრული
სრულყოფისაგან და ფსიქოლოგიური შინაარსითაც, აშკარად, ერთ-
განზომილებიანია, ყაზბეგი მაინც არხერხებს მისთვის დამახასიათე-
ბელი ემოციური სიმძაფრით წამოაყენოს სიყვარულის, სულიერი
ერთობის პრობლემა. ჭეშმარიტი სიყვარულის გარეშე ყაზბეგისა-
თვის არ არსებობს სიცოცხლე და ბედნიერება. ზოიასათვის სიყვა-
რული და მასზე დაფუძნებული ოჯახი მატერიალური, ნივთიერი
ბედნიერების საფუძველია. ლეონტიევისათვის და ნატაშასათვის
ბედნიერებას კონკრეტული ნივთიერი გამოხატულება არა აქვს. ისინი
თვით სიყვარულში, საკუთარ თავში ნახულობენ ბედნიერების
საფუძველს. ამიტომ მათში არ არის ბედნიერების დაკარგვის შიში,
ისინი ცხოვრობენ ბედნიერების დაუსრულებელი მოლოდინით. სა-
ერთოდ ყაზბეგის შემოქმედებისათვის, მისი გმირებისათვის (გან-
საკუთრებით „მთის“ პერიოდში) დამახასიათებელია ბედნიერების
მოლოდინი, ბედნიერების იმედი უმძიმეს სიტუაციებშიც კი, სიყვა-
რული ყაზბეგთან სიცოცხლის წყურვილია, სიცოცხლის წყურვილი
კი ბედნიერების, იმედის, ნათელი მომავლის რწმენის გარეშე წარ-
შოუდგენელია. ამიტომ ბედნიერების პრობლემა ყაზბეგთან მკიდ-
როდაა დაკავშირებული სიყვარულისა და ოჯახის პრობლემასთან.

სიყვარული ყაზბეგისათვის სასინჯი ქვაა, რომლითაც იგი ავ-
ლენს ადამიანში ადამიანურს. სიყვარულშია ყაზბეგის ოპტიმიზმის
ძალა, რადგან სწორედ იგი უპირისპირდება „სულიერ სილაჩრეს“
და ადამიანის გულს ბედნიერების მოლოდინით ავსებს. ამიტომ
სიყვარულის გაყალბება, მისი დაქვემდებარება ანგარიშისა და გა-
მორჩენისადმი ყაზბეგს ადამიანის ერთ-ერთ ყველაზე უფრო დიდ
დანაშაულად და უბედურებად მიაჩნია. ამიტომაც მთელი სისასტი-
კით ამხელს იგი ყალბ გრძნობებზე. ანგარებაზე დამყარებულ
ოჯახს. ამიტომაც ქალ-ვაჟის ურთიერთისადმი დამოკიდებულების,
მათი კანონიერი ერთობის წმინდა მორალურ მხარეს მის შემოქმე-
დებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

რომანი „განკიცხული“ მკიდროდ უკავშირდება ჩვენს მიერ
განხილულ ყაზბეგის ნაწარმოებებს.

ადამიანის ბედი ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, პიროვნების
კონფლიქტი საზოგადოებასთან — ამ ნაწარმოების მთავარი თემაა.

ყაზბეგს ამ კონფლიქტის ეთიკურ-მორალური მხარე აქვს წინ წამოწეული. მარი და ლევანი ვერ უთავსებენ თავიანთ ადამიანურ შინაგან მორალს საზოგადოების ყალბ, მაგრამ მკაცრ და უღმობელ ეთიკურ დოგმებს, ისინი უპირისპირდებიან საზოგადოებას, სურთ განთავისუფლდნენ მისი დოგმებისაგან, მაგრამ უძლურნი არიან საზოგადოებისა და მისი პრინციპების დამცველი ოფიციალური კანონის წინაშე. ეს კანონი კი იცავს ოფიციალური დოგმების შეუვალობას, რაგინდ უკანონოც არ უნდა იყვნენ ისინი.

საზოგადოების მორალური პრინციპების მატარებლად რომანში გვევლინებიან პორტირუშკა და მისი და სოფიო. ისინი მშვენიერად გამოხატავენ იმ საზოგადოების შინაარსს, სადაც წამგლეჯი, მგლური კანონი მეფობს: „მე ვიყავ სულ ოცი წლისა და, მაშასადამე არასრულწლოვანი, ამისათვის აპეუნად მყვანდა დანიშნული პორტირუშკა. მე დავობლდი 5 წლისა და მას აქეთ პორტირუშკას განკარგულების ქვეშ იყო ჩემი მამული, რომელსაც ისე შეეჩვია ჩემი ბიძა, რომ თავის საკუთრებად სთვლიდა. პორტირუშკამ და სოფიომ მოიანგარიშეს, რომ სრულებით მეტია ჩემთვის რისამე ძლევა და ამჯობინეს მთელის შემოსავლით თითონ სარგებლობა“¹⁹. სწავისი ძარცვა-გლეჯა ამ ტიპის ადამიანებისათვის უცხო რამ არ არის, მაგრამ ისინი არც ერთმანეთს ინდობენ: „ამისმა მომდევნო გაუთხოვარმა დამ, საკმაოდ გამოქნილმა და უქმრობისაგან გაბრაზიანებულმა, მაგრამ ბევრით უფრო ჰკვიანმა თავის ძმაზედ, მალე ჩაიგდო ხელში უხასიათო პორტირუშკა და ისე ჰყველედდა, როგორც კი შეეძლო“²⁰. აი, ამისთანა ხალხის ხელში ჩაეარდა მარი, რომელიც ძალით მიათხოვა პორტირუშკას მარის დედინაცვალმა, რომელმაც თავის მხრივ მომგებიანი საქმე გაჩარხა და პორფირი „მახეში გააბა“²¹. სწორედ ამის გამო სოფიოს მარი კონკურენტად მიაჩნდა, რომელიც მას ძმის ყვლეფაში შეეცილებოდა და ცდილობდა როგორმე თავიდანვე დაეთრგუნა „მოწინააღმდეგე“. მარისა და ლევანისათვის უცხოა ეს კონკურენციაზე, ყვლეფაზე და ძარცვა-გლეჯაზე დამყარებული სამყარო, სადაც ყოველი ადამიანი პორტენციური მოწინააღმდეგეა. ამიტომ ისინი გაურბიან ამ საზოგადოებაში ყოფნას და მარტოობისაკენ მიისწრაფვიან. „მე ხალხში ყოფნა

19 ა. ყ ა ზ ბ ე გ ი, ტ. II, გვ. 169.

20 ი ქ ვ ე, გვ. 168.

21 ი ქ ვ ე, გვ. 169.

არ მიყვარს“²², ამბობს მარი. არც ლევანს უნდა რაიმე საერთო ჰქონდეს საზოგადოებასთან, რომელსაც სოფიო ეკუთვნის: „...მე არც ვისმე გაცნობა მინდა, არც ვისი დამეგობრება. — ეგ რაღაც იცი, რომ არავის მიეკარები? — რისთვის ერთი მითხარი, რა მაქვს საერთო იმ ხალხთან, სადაც შენ დადიხარ, რომ მეც ვიარო“²³. სულიერმა ნათესაობამ დააახლოვა მარი და ლევანი, დაბადა მათი მეგობრობა, სიყვარული, მაგრამ მათი სიყვარული, ეს არ არის ვნება, რომელიც პირველი შეხედვისთანავე აინთება ხოლმე ყაზბეგის მთიელი გმირების სულში. მათი სიყვარული, ეს ორი მონათესავე სულის კავშირია. ეს პროტესტია საზოგადოების მორალის წინააღმდეგ. მარი მაშინ გაამყვანებს ლევანისადმი სიყვარულს, როდესაც გაიგებს, რომ მათ უთვალთვალებენ და სურთ ამორალური საქციელი დასწამონ და ამით დაამცირონ: „დიად, მე მიყვარს ლევანი და ვნახოთ ეგ მზვერაობა რას გიშველით“²⁴. წამოიძახებს იგი და ლევანიც მხოლოდ ამის შემდეგ გააცნობიერებს თავის სიყვარულს: „ღმერთო რა მომივიდა იმ წამს? რა ნეტარების ნექტარი დაიწრა ჩემს ძარღვებში? მე თავბრუ დამესხა, თავდავიწყებამდინ მივედი და როცა გონს მოვედი, ვიგრძენი მარის გახურებული ტუჩები ჩემს ტუჩებს შეწებებული, მაშინ გავიგე, რომ მე გაგიყვებით მიყვარდა ეს ქალი და მივხვდი, რომ იმაზედ გადაენასკვა ჩემი ბედობალი“²⁵.

მაგრამ ლევანის გრძნობას წინ მოვალეობა ელობება, მოვალეობა არა მარტო საზოგადოებრივი მორალის, არამედ საკუთარი სინდის-ნამუსის წინაშეც: „ღმერთო რა ჯოჯოხეთი იგრძნო მაშინ ჩემმა გულმა? მე, რომელსაც გაგიყვებით მიყვარდა, რომელსაც როგორც სიყვარული, ისე სიყმაწვილე, ნებას მაძლევდა, მიზიდავდა ამ ქალის სატრფიალოდ, — მეორეს მხრით, ხელებს მიკრავდა ნათესაობის და პატიოსანის კაცის მოვალეობა“²⁶.

ლევანი აქაც არ ჰგავს ყაზბეგის „მთიელ“ გმირებს. მათგან განსხვავებით იგი მაშინვე უკეთებს ანალოზს თავის გრძნობას და იწყება ხანგრძლივი დისპუტი ამ გრძნობასა და გონებას შორის: „მე ვხედავდი, რომ მარი ვაგლახად შემეყვარდა, რომ ის შეიქნა

22 ა ლ. ყ ა ზ ბ ე გ ი, ტ. II, გვ. 171.

23 ი ქ ვ ე, გვ. 172.

24 ი ქ ვ ე, გვ. 180.

25 ი ქ ვ ე, გვ. 181.

26 ი ქ ვ ე, გვ. 181.

ჩემის სიცოცხლის საჭიროებად, რომ რალაცა უხილავს ძალას შე-
ვეპყარ და შეუბრალებლად მაერთებდა მასთან, მაშინ, როდესაც
გონება იძახდა, რომ ის ნათესავია ჩემი, რომ ის სხვას ეკუთვნის და
ნაშასადამე, მე ნება აღარა მაქვს ვისარგებლო დავსტკბე მასთან
ბედნიერებით.

ათასჯერ ვეუბნებოდი ჩემს თავს, რომ ის არავის ცოლი არ
არის უცხო, მაგრამ ისინი ლევანისავით ადვილად ვერ წყვეტენ
არავითარ ვალდებულებას არა სდებს მას, რომ აღძრულს გრძნობას
ჩვენში არც ერთი ეძებდა, არც მეორე, თვითონ მოვიდა, თვითონ
დაიბადა ჩვენსავე უნებურად, მაშასადამე, ჩვენ არამც თუ ბრალ-
დებულნი არ ვიყავით, არამედ კანონიერადაც უნდა ჩათვლილიყო
ჩვენი გრძნობა, მაგრამ გონება მაინც რალაცა მოვალეობაზედ ჩამ-
ჩიჩინებდა და ამაზედ ფიქრი ცივს ოფლს მასხამდა. ბოლოს გონე-
ბამ დაიმორჩილა გრძნობა და გულის კვნესით გადავწყვიტე ჩვენი
ღაშორების საჭიროება²⁷.

გრძნობა-გონების კონფლიქტი არც მთიელი გმირებისათვის
არის უცხო, მაგრამ ისინი ლევანივით ადვილად ვერ წყვეტენ
ამ მიძიმე პრობლემას; ლოგიკური დასკვნის გაკეთება მათთვის ძნე-
ლია. ლევანთან შედარებით, ისინი ალალი ბუნების ალალი შვილე-
ბი არიან და სიყვარულის ხალასი გრძნობაც უფრო ძლიერად ფეთ-
ქავს მათ ძარღვებში. აკი თვითონ ლევანიც გრძნობს, რომ მას ბუ-
ნებრიობა აკლია და ამიტომაც შურს ჩიტებისა და ხეებისა, სიცო-
ცხლისავენ მათი ბუნებრივი განუხსჯელი სწრაფვის: „ჩემს გარშემო
ყველა სცოცხლობდა. ყველა ხარობდა. ყველა ჰგრძნობდა, რომ გა-
ჩენილია, რომ სიტკბოება არის ქვეყანაზე და კიდევ სტკბებოდა.
ყველას ეპოვა თანამგრძნობელი, ყველას ჰყავდა თავისი ცალი, უკა-
ნასკნელი კოლოებიც კი მხიარულობდნენ და თამაშობდნენ... იმათ
შორის ვიდევ კაცი, მათზე მეტის აზროვნებით. მეტის გრძნობით,
მეტის მოაზრებით, გვირგვინი დანარჩენ ქმნილებათა შორის, და მე
კი ვერ მომეწყო იმათსავით ცხოვრება.

მხოლოდ მე ვიდექ განმარტოებულ- დაჩაგრული, მარტო მე
ვერავისთვის გადამეცა გულის მოძრაობა და შურით ვუყურებდი
ბედნიერს ქმნილებათა, რომელნიც უბრალო ფიქრზედ დროს არა
ჰკარგავდნენ, სარგებლობდნენ მიუ რაც ეძლეოდათ... ვინ არის
მართალი: ისინი თუ მე?... სიმართლისას კი ვერას გეტყვით, მაგრამ
ისინი რომ ჩემზედ ბედნიერები იყვნენ, მაგაში ეჭვი არ იყო²⁸...

²⁷ ა ლ . ყ ა ზ ბ ე გ ი . ტ . 11, გვ . 182.

²⁸ ი ქ ე ე .

ლევანი გრძნობს, რომ იგი მოწყვეტილია ბუნებას. მისი გონება ბოროტი სულივით დგას გრძნობის სადარაჯოზე და ზღუდავს მას. ადამიანისათვის, რომელიც მოწყვეტილია ბუნებას, ბედნიერება მიუღწეველია. ბედნიერება კი, ყაზბეგის აზრით, მთლიანობაშია, როდესაც არ არის მტანჯველი გაორება, საშინელი ბზარი. ბუნების წიაღში ადამიანი უფრო უშუალოა, უფრო ძლიერია, ის უფრო ბუნებრივია და ამდენად უფრო ბედნიერი. ამიტომაც მიისწრაფვის ლევანი ყოველთვის ბუნებისაკენ. ამიტომაც გაიჭრება იგი მცხეთისაკენ, სოფლის ბუნებრივ გარემოში. აქვე იხილა მან ზმანება, რომელმაც მას წუთიერი ბედნიერება მოუტანა. საერთოდ ამ ნაწარმოებში ლევანისა და მარის ყოველი ბედნიერი წუთი ბუნებასთან არის დაკავშირებული. აქ ბუნების წიაღში მუშტაიდის ბალის ხეებს ქვეშ იხინი უფრო ხალასნი, უფრო გულახდილნი და ბუნებრივნი არიან, აქ იცილებენ იმ შტამპებს, რომელშიც იხინი საზოგადოებამ ჩასვა.

ლევანის გონება, მისი შინაგანი მორალი ეწინააღმდეგება მის გრძნობას, აუცილებლობა იმარჯვებს თავისუფლებასზე. „გადავწყვიტე, აღძრული გრძნობა გულში მომეკლა, გულში დამემარხა.

მე მახსოვს ეს წუთი, რომელმაც ერთბაშად მთელი არსება გადამიბრუნა, რომელმაც მხიარულის, გაბედულის კაცისაგან დაღონებულად, მოწყენილ და ბედის მონად მაქცია“²⁹.

ეს აუცილებლობა, რომელმაც ლევანს თავისუფლებაზე უარი ააქმევინა, არის, როგორც ვთქვით, მისი შინაგანი მორალი, მისი პატიოსნება და სინდისი, რომელიც გამოხატულებაა ხალხის კემარიტი სინდისისა და ზნეობისა: „გადავწყვიტე. რომ ჩემს გრძნობას, რამოდენადვე უნდა გაეზიდა, დამცირებამდის არ მივსულიყავ, არ მეღალატა იმ შეხედულებისათვის, რომელიც ხალხს სინდისის მოვალეობად მიუღია“³⁰.

„ხალხის სინდისი“ ეს ის ცნებაა, რომელსაც ყაზბეგი თავის „მთის“ ნაწარმოებებში თემის სახით წარმოგვიდგენს. მაგრამ „ბარში“, იმ საზოგადოებაში, სადაც მარი და ლევანი ცხოვრობენ, სინდის-ნამუსის სხვანაირი გაგება სუფევს, მორალის ცნება აქ მოჩვენებითია და ყალბი. პორტირი თანახმაა ყოველგვარ საშუალებაზე, ყველაზე უფრო უპატიოსნო და ამორალურზე, ოღონდ მოჩვენებითი, გარეგნული პატიოსნება, მორალი არ დაირღვეს. იგი ამოდის არა საკუთარი მორალურ-ეთიკური პრინციპებიდან, არამედ

²⁹ ალ. ყ ა ზ ბ ე გ ი, ტ. II, გვ. 191.

³⁰ იქვე.

მისთვის უმთავრესი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების აზრს. „იმი-
სათვის გაძლევ ყველაფრის ნებას, ოღონდაც ხალხი ჩემად იყოს“³¹.
ეუბნება იგი მარის. ამდენად, პორფირი და ის საზოგადოება, რომ-
ლის ეთიკური პრინციპების მატარებელია იგი, განძარცველია
ყოველგვარი მორალისაგან.

პორფირი თვითონ უწყობს ხელს ლევანის პიროვნებაში გაო-
რების, წინააღმდეგობის მოხსნას. პორფირის საქციელმა თვალი
აუხილა ლევანს, ის ხალხი, ვის წინაშეც იგი გარკვეულ მორალურ
ვალდებულებას გრძნობდა, თეათონ აღმოჩნდა ყოველგვარი მორა-
ლისაგან განძარცვული. ლევანის შინაგანი მორალი ამჯერად მოუწო-
დებდა მას ამბოხებული და განკიცხული, საზოგადოებისაგან გარი-
ყული მარის მხარე დაეჭირა. ამგვარად მტანჯველი წინააღმდეგობა
გრძნობდასა და მოვალეობას შორის მოიხსნა და იგი ჰარმონიულ.
მთლიან თავისუფალ პიროვნებად გადაიქცა: „ვეგრძნობდი ჩემს
თავს, მეფედ, ქვეყნის უფლად... იმ წუთებში ისეთი ძალა მომეცა.
ეფუხვებ, ლომს რომ შევყროდი, ხელდახელ შევებმებოდი და უეჭ-
ველია, გამარჯვება მე დამრჩებოდა! ასე აპატიოსნებს, აამაყებს.
ასეთ რწმუნებას აძლევს თურმე კაცს წმინდა, უებრო სიყვარული!
მარის მე ვუყვარდი, — ქვეყანა ჩემად მიმაჩნდა. ვის რას შევეპო-
ვებოდი?! მთელს ქვეყანას, ჯოჯობებს, ზეცას საბრძოლველად გა-
მოვიწვევდი!“³²... მარი თავიდანვე მთლიან, ჰარმონიულ და ძლიერ
პიროვნებად გვევლინება. ამიტომ იგი ყოველთვის უფრო აქტიუ-
რი და ქმედითი პიროვნებაა. ვიდრე ლევანი. მისი სიყვარული ლე-
ვანისადმი, ესაა მისი სწრაფვა თავისუფლებისაკენ. იგი მოკლებუ-
ლია ამ მტანჯველ გაორებას, რომელიც სულს უხუთავს ლევანს.

აქამდე, „განკიცხულში“ ყველაფერი ყაზბეგის „ბარის“ შემო-
ქმედებისათვის ტრადიციულად ვითარდება. კონფლიქტი ვიწრო.
ინდივიდუალურ ხასიათს ატარებს. ნაწარმოებში ვითარდება ორი
ხაზი — ანგარებაზე დამყარებული, ქორწინებიდან გამომდინარე
ოჯახური ტრაგედია (მარის ხაზი) და გრძნობა-მოვალეობის კონ-
ფლიქტი (ლევანის ხაზი). ეს ორივე თემა დამახასიათებელია ყაზ-
ბეგის ქალაქური ნაწარმოებებისათვის („ცხოვრების ჩარხი“, „თა-
ვის ძახეში“). „განკიცხულს“ ბევრი აქვს საერთო ამ ნაწარმოებებ-
თან. მიუხედავად უფრო მაღალი მხატვრული ოსტატობისა, ყაზ-
ბეგის მსოფლადქმა ამ ნაწარმოებში თითქოს იმავე დონეზეა, რაც

31 ალ. ყაზბეგი, ტ. II. გვ. 199.

32 იქვე, გვ. 190.

მის აღრეულ ნაწარმოებებში, მაგრამ XIII თავიდან დაწყებული ყაზბეგი მკვეთრად ცვლის თავისი ნაწარმოების ხასიათს, შემოაქვს, ნაწარმოებში ახალი მოტივი — ობიექტური, უხეში, ადამიანის დამთრგუნველი ძალის მოტივი, რომელსაც ბედისწერის მნიშვნელობა აქვს. ესაა ბურჟუაზიული კანონი. ამით მას ინდივიდუალური, მეზ-ჩანური დრამა ადამიანური ტრაგედიის ხარისხში აპყავს. სწორედ ამ ახალი მოტივით სცილდება „განკიცხული“ ყაზბეგის აღრეულ ნაწარმოებებს და მსოფლმხედველობრივად მის „მთის“ ნაწარმოებს უკავშირდება. სადაც ეს ბურჟუაზიული, უხეში კანონი ახალი ძალის, თვითპყრობელური კანონიერების სახით წარმოგვიდგება. ალბათ, ამის გამო მიაჩნდა პოლ. ცინცაძეს, რომ XIII თავის შემდეგ „განკიცხული“ თავისი ბუნებრივი გზით აღარ მიდის და არ ვითარდება³³... ერთი შეხედვით, თითქოს მართლაც ასეა, XIII თავი თითქოს კეთილ დასასრულს უნდა გვაუწყებდეს. ლევანმა დასძლია თავისი დილემა — გრძნობა-გონების კონფლიქტი. შეყვარებულები ერთმანეთს შეხედნენ, ლევანი საავადმყოფოს ექიმში თავის მეგობარს შეიცნობს და იმედი აქვს საქმე კარგად დამთავრდება. მაგრამ უკვე ამ XIII თავის ბოლოს ჩნდება ის ძალა, რომლის წინაშე ეძღურანი არიან ლევანი და მარი. ამ ძალას აქ უხეში პოლიციელი განასახიერებს, რომელიც ცუდ წინათგრძნობებს აღუძრავს ლევანს და მარის: „საკვირველია, თუმცა ჩემს თავს ვარწმუნებდი, რომ ჩქარა უნდა დაებრუნებულიყავ, ჩქარა უნდა შევეყოდი მარის, მაგრამ მეც გული მეუბნებოდა, რომ ეს უკანასკნელი ხილვა იყო მარისა“³⁴. პოლიციელის ავისმომასწავებელი გამოჩენის და ასეთი წინათგრძნობის შემდეგ სრულიად ბუნებრივია და ლოგიკური მეთქვსპეტე თავი. იგი არც ისეთი „სქემატურია, ალეგორიული და არასრული“³⁵, როგორც ეს პოლ. ცინცაძეს მიაჩნია.

პირიქით, ჩვენის აზრით, სწორედ ამ უკანასკნელ XVI თავშია წარმოდგენილი მწერლის მსოფლმხედველობრივი პოზიცია, რომლის შინაარსიც იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი ეჭახება ობიექტურ ძალას, რომლის წინაშეც იგი უძღურია, ეს ის ტრაგიკული მსოფლშეგრძნებაა, რომლითაც ყაზბეგის „მთის“ ნაწარმოებები, განსაკუთრებით „ელგუჯა“, არის გამსჭვალული. თუმცა, თუ „განკიცხულში“ ეს მსოფლშეგრძნება პესიმისტურია, „მთის“ ნაწარმოე-

33 პოლ. ცინცაძე, ა. ყაზბეგის შემოქმედება, თბილისი, 1944, გვ. 111.

34 ალ. ყაზბეგის, ტ. II, გვ. 211.

35 პოლ. ცინცაძე, ა. ყაზბეგის შემოქმედება თბილისი, 1944, გვ. 111.

ბებში უკვე ჩნდება ბედთან შეურიგებლობა და მეზობელი პეროიკა, სასოწარკვეთილი, მაგრამ მაინც კედუხრელი ოპტიმიზმი, რაც „განკიცხულში“ არ არის. მაგრამ ეს უკვე „ქალაქის“ და „მთის“ სპეციფიკითაა განპირობებული, იმ სხვა პავით, რომელიც „ქალაქს“ სოფლისაგან განასხვავებს: „ეხლა დაედივარ სოფლიდან სოფელს. სადაც ხალხს ჭერ იმ დამციკებამდისინ არ მიუღწევია, სადამდინაც ქალაქებში მცხოვრებნი მისულან... ჭვეყანა ჭერ კიდევ არ დაცემულა, მათში კიდევ მოიპოვება გულკეთილი ხალხი და მათთვის ზრუნვა კი ღირს ზრუნვად, ისინი მანუგეშებენ, და დანაღვლულს გულს შვებას აძლევენ“³⁶.

„განკიცხული“ იმით განსხვავდება სხვა „ბარის“ ნაწარმოებთან და იმით უახლოვდება „მთის“ შემოქმედებას, რომ აქ ყაზბეგი სამყაროს უფრო განიცდის ვიდრე ასასაუს. აქ ჭრება მისი ადრეული ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელი აღწერილობითი რეალიზმი. განსაკუთრებით, ბოლო თავებში იგი თავისუფლდება დეკლარაციულობისა და ზედმეტი პათეტიკურობისაგან, უფრო უშუალო და გულწრფელი ხდება. ბარის თემაზე შექმნილ ნაწარმოებებთან იგი ყველაზე უფრო დახვეწილია ფორმისა და სტილის მხრივ „განკიცხული“ დადებითი გმირის რომანია და ჭრება თემაზე შექმნილ სხვა ნაწარმოებებთან შედარებით დადებითი რეზიუმეები აქ უფრო სრულყოფილად და ძლიერად არიან დახასიათებული.

ს ა რ ჩ ი ვ ი

1. შალვა გოზალიშვილი — მიხეილ ბარათაშვილი	3
2. შალვა რატიანი — ფილადელფოს კიკნაძე	29
3. შალვა სააკაძე — ნ. ნიკოლაძე და ქართული კრიტიკული რეალიზმი	60
4. თეიმურაზ ფირალიშვილი — ნიკო ნიკოლაძე და XIX საუკუნის 70-იანი წლების რუსული პრესა	78
5. შოთა ვაშაყმაძე — გიორგი წერეთელი და ეურნალი „კვალი“	112
6. გიორგი აბაშიძე — „მამულიშვილური გულისტკივილი“ ალ. ჭავჭავაძის პოეზიაში და XIX საუკუნის ქართული სალიტერატურო კრიტიკა	133
7. მაყვალა კუჭუხიძე — XIX საუკუნის ქართული ლიტერატურული კრიტიკა და ბაირონის შემოქმედება	162
8. ნიკო ანდრონიკაშვილი — „ქალაქის“ თემა ალ. ყაზბეგის პროზაში	196

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

■

რედაქტორები: გ. აბაშიძე, გ. ასათიანი
გამომცემლობის რედაქტორი ე. კოლუა
ტექნორედაქტორი ნ. თქუჭავაძე
მხატვარი გ. ნადირაძე
კორექტორი ი. ლომიძე

გადაეცა წარმოებას 6.3.1975; ხელმოწერილია დასაბეჭდად 23.7.1975;
ქალაქის ზომა 60×90¹/₁₆; ქალაქი № 2; ნაბეჭდი თაბახი 14.00;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 11.80;

უე 01049

ტირაჟი 1000;

შეკვეთა № 807

ფასი 1 მან. 26 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниერება», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19